


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

23 ივლისი 2010

№15(119)



ო'ჰენრის ნოველა
ვანო ჩხიკვაძის ლექსები
რატომ ეშინიათ სიტყვის?
ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
თათია ჯგუშია ღია სტურუაზე
ეკა ცხადაძე გივი აღბაზიშვილზე
სალომე ბენიძის ბავშვობის ქალაქი
რომანტიკოსი პრაგმატული ჟამისა
გურამ ქართველიშვილის მოთხრობა
კალიგრაფია — ერის სულიერი პორტრეტი
ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მომხიბვლელობა

შინაარსი

ახალგაზრდავო, ან კი თქვენ	2	ესმა მანია ხელით წერის ხელოვნება — ერის სულიერი პორტრეტი
მსარს-ინტერვიუ	5	ირმა მალაციაძე „ბედნიერება ჩვენშია“
წარსული მომავლისათვის	7	ქეთევან მეგრელიშვილი გმირი და ფილოსოფოსი (სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენიებლად)
პროზა	8	გურამ ქართველიშვილი ოჯახი
პოეზია	12	ვანო ჩხიკვაძე წარწერა საკუთარ ნიგნზე
	16	სალომე ბენიძე ბავშვობის ქალაქი და სხვა ლექსები
ანეკდოტი	19	თომას მანი იბსენი და ვაგნერი
უსწოეთის სხოვრებიდან	20	ბრუნო ბეტელჰეიმი ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მომხიბვლელობის შესახებ
თეატრალური სიხლენი	24	ანი ბერძენიშვილი ტრაგედია იუმორის მიღმა (ოთარ ჩხეიძის ნოველა „მამაშვილობაში“ სცენაზე)
ფიქრები	26	ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაბეჭდავი
რეპორტაჟი	37	ეკა ბუჯიაშვილი რატომ უშინიათ სიტყვის? (მაკა ჯოხაძის ესეისტური პროზის წარდგინება)
კრიტიკა	41	ქარდა ქარდუხი ნიჟარების ჩურჩული (აფხაზეთი რობერტ მესხის პოეზიაში)
	44	ეკა ცხადაძე დისტანციიდან შეფასებული რეალობა (გივი ალხაზიშვილის ავტობიოგრაფიული რომანი)
ახალი წიგნები	46	თათია ჯგუშია ის მძიმე ნითილი (ლია სტურუას ახალი პოეტური კრებული)
სამიწარი: სამი ისტორია	48	პასუხისმგებლობა და მოვალეობა
ჩანახატი	53	ელენე ამალღობელი დუღუკი ქართული წარმოშობისა (ანსამბლი „ქსოვრელები“)
უსწოური ნოველა	55	ო'ჰენრი ნათარების სამოსელი
დღიურის ფრესკებიდან	57	მარინე ტურავა ორი სამყაროს სამანა (ზოგიერთი დაკვირვება თამაზ ბაძალუას ლექსებზე)
საორბი	58	როსტომ ჩხეიძე რომანტიკოსი პრაგმატული ჟამისა (ზურაბ აზმაიფარაშვილი და მარინა მილორავა, „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“)
ნაქვსები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	ახალი ალექსანდრა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“
საბეჭდო, თბილისი, საბურთალოს რაიონი 17
ბაქურდის ქ. +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TEL PHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სცენა ოთარ ბალათურის სპექტაკლიდან „მამაშვილობაში“
ლალო ჩაჩუას ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 6 აგვისტოს

ნოველაში „საზაფხულო სალონი“ ოთარ ჩხეიძე წარმოსახავს კოლორიტულ პერსონაჟს — ვარლამს — ვისაც ჩინებული კალიგრაფია აღმოაჩნდება და ამიტომაც ურჩევენ: კარგი იქნება, თუკი „ვეფხისტყაოსანს“ გადაწერ და შეგვძენ ამ ეპოსის ახალ, XX საუკუნის ხელნაწერსო. დასაწყისისათვის ჯერ თუნდაც გალაკტიონის ლექსები ანდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ მოსინჯოს.

და ისიც რომ ჩაუჯდება „ვეფხისტყაოსანს“, დიდსა და პატარას დაარბენინებს აღმა-დაღმა, ტყეა თუ მთაში, ველმინდორში, იალაღებზე, დაარბენინებს და აძებნინებს ყვავილებს — უცნობ, უჩვეულო, ველურ ყვავილებს, აზიდვინებს, არჩევს და იყენებს ხელნაწერის შესამკობად — თავსართების, მთავრულის, ფურცლის პირების... ყვავილებით რთავს და ალამაზებს.

გამჭვირვალეა მინიშნება, რომ ხელნაწერი ყვავილთა სურნელით უნდა იყოს აღსავსე.

ამ პოეტური, რომანტიკული განწყობილებით, ამ აღმტაცი სტრიქონებით ბოლოვდება ნოველა, კალიგრაფიის ხელოვნების თავისებურ აპოლოგიად რომ წარმოგვიდგება, ავტორის ოცნებად და მკითხველის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, შეგულიანებად — აღედგინათ ჩვენს დროშიც ეს უძველესი ხელოვნება.

მწერალი ჯერ კიდევ როდის გრძნობს იმ აუცილებლობას, რაც ქართულ ხელნაწერთა ცენტრის მიერ ჩვენს თვალწინ თანდათან მკვიდრ საძირკველს ეფუძნება და მოსალოდნელია, რომ კალიგრაფიის ხელოვნების დიდი აღორძინების მოწმენი შევიქნათ. ყოველ შემთხვევაში დასაწყისი საიმედოა და „ჩვენი მწერლობა“ თავის მხრივ ყოველთვის შეეცდება ამ პროცესის შესაფერის თანადგომას.

ესმა მანია

ხელით წერის ხელოვნება — ერის სულიერი პორტრეტი

„ხელოვნური წერა (ხელით წერა) ჩვენში ბოლო ხანებში ძალიან დაეცა და იშვიათად მოსძებნით ჩვენს განათლებულს დასაში პირსა, რომელიც ლაზათიანი, მოსაწონი, ქართული ხელით სწერდეს — 1883 წელს წერდა იაკობ გოგებაშვილი — ევროპული წერის შესახებ დიდი ხანია დადგინდა კანონები, გაკვალილია გზა, რომელსაც სკოლა და საზოგადოება მტკიცედ ადგია. ჩვენებური ანბანი, ძველებური და ხელთნაწერი, ბევრად განსხვავდება ევროპული ანბანისაგან და ამიტომ ვერ დაემორჩილება მის კანონებს უცვლელად“.

ეს საკითხები აქტუალური იყო თითქმის საუკუნე-ნახევრის წინაც და აქტუალურია დღესაც.

ჩუქურთმა ყოველთვის ერთგვარ ესთეტიკასთან არის დაკავშირებული. ესთეტიკა — დახვეწილ ხედვასა და გემოვნებასთან, გემოვნება — გენეტიკასა და იდენტობასთან, იდენტობას კი დიდი გზა აქვს წარსულისკენ. იქიდან და ბევრად უფრო შორიდან, ბევრად დიდი სიღრმიდან მოდის ხელით წერის ხელოვნება. დღეს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ერთი ხელწერით — კომპიუტერული, ტექნიკური კალიგრაფიით ვართ გაერთიანებული და ჩვენული თითქმის უგულვებელყოფილია ამ სივრცეში. ეს სივრცე შორსაა შემოქმედებითი უნარების გამოვლენისაგან, შესაბამისად, დღეს ხელოვნების ეს დარგი — ხელით წერა, თითქმის უფუნქციოა, თუ არ ვიგულისხმებთ ადამიანურ რესურსთა თვალსაზრისით მწირ კალიგრაფიულ სკოლებს, რომელთა ნამუშევრებიც დღეს განსაკუთრებულ ფუნქციასაც წარმოადგენს.



დავით მაისურაძე



გიორგი სისაური

დღეს ადამიანის ხელით წერის მისტიკას, თავისი უნიკალური პერსონალური ნიუანსებით, თვითმყოფადი ინტიმური დეტალებით, თითქმის მთლიანად ცვლის ტექნიკა, უფრო სწორად, ტექნიკური შრიფტი, რაც რამდენადაც კარგად შეესაბამება ინფორმაციული საუკუნის აჩქარებულ რიტმს, იმდენად სრულიად ჩქმალავს ადამიანის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. არადა, ხელით წერაში ჩადებულ პერსონალურ ინფორმაციასთან ერთად იკარგება იმ დიდი და მნიშვნელოვანი კალიგრაფიული სკოლების გამოცდილება, ადრეულ შუასაუკუნეთა საქართველოში რომ იღებს სათავეს.

თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის უამრავი წყარო არსებობს, ერთ-ერთი გამორჩეული არის ხელნაწერი, ხელთვა... ამ ანგარიშგასანევი წყაროების საფუძველზე პიროვნების პორტრეტს ცალკე მეცნიერებაც კი იკვლევს. თუმცა დროთა განმავლობაში ეს საკვლევი წყარო დავიწყებებს ეძლევა და სულ უფრო და უფრო იშვიათდება.

1880-იანი წლების დასაწყისში, როცა ქართულ ანბანს, ქართულ ენაზე წერაკითხვას საყოველთაო-სახალხო ხასიათი ეძლეოდა და როცა იწყებოდა იაკობ გოგებაშვილის ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ქართული ანბანის თითოეული ასოს თითოეულ დეტალზე საგანგებო კომისიები საგულდაგულოდ მსჯელობდნენ. ერთ-ერთი ასეთი კომისიის გადაწყვეტილების შესახებ იაკობ გოგებაშვილი, აი, რას წერს: „ასო ა დარჩეს ისე, როგორც კომისიას დაუწესებია, ასო ბ ზემო

ნაწილში უშნოა, რგოლიც უნდა ჰგავდეს ასო გ-ს მუცელს, როგორც ბეჭდურშია, ასო დ-ს კუდი უნდა გრძელი ებას, ასო ო სტამბურად უნდა იწერებოდეს, როგორც ხელნაწერებში“ და ა. შ... დღეს ჩვენში ასეთი ღვაწლით, ასეთი ღრმა და საფუძვლიანი ფიქრის შედეგად დანერგილი ხელით წერის კულტურა თითქმის ხელახლდა აღსადგენი.

საქართველოს პატრიარქის, უნმინდისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და არასამთავრობო ორგანიზაცია „ნამის“ მიერ

ორგანიზებულმა კონკურსმა „ქართული კალიგრაფია“ ეს შესაძლებლობა ათი ათას მოსწავლეს მისცა. პროექტი მიზნად ისახავდა მოზარდებში ხელით წერის კულტურის განვითარებასა და მათი შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების მოზარდის ჩართვა ამ პროექტში ქართული მხედრული ანბანით შესრულებული ნებისმიერი ტიპის ტექსტის შექმნით განხორციელდა. პროექტი შემეცნებით ეტაპებად (ტექსტის დეკორისა და მხატვრული ელემენტების შექმნა, ლოგიკური აბზაცების გამოყოფა, სანიმუშოდ მიცემული გვერდების ანალოგიებისა ან მათი თავისებური ვარიაციების მოფიქრება და სხვა...) ითვალისწინებდა. ოთხთვიანი მუშაობისა და რამდენიმე შემოქმედებითი თუ შემეცნებითი ტურის გავლის შემდეგ დედაენის დღეს — 14 აპრილს — პროექტის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

ცნობილი კალიგრაფები, მხატვრები, კულტურისა და განათლების სამინისტროების წარმომადგენლები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაკები აცხადებდნენ, რომ კონკურსანტთა ნამუშევრებში ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიყოფა. ისინი არა მხოლოდ მემკვიდრეობენ უმდიდრეს ქართულ კალიგრაფიულ სკოლებს, არამედ სრულიად თავისებურ და თვისობრივად ახალ სტილს უყრიან საფუძველს. ეს უახლესი მიდგომა კი გაჯერებულია მაღალმხატვრული ესთეტიკით და ეროვნული საგანძურისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით.

მინისტრებმა **კობა სუბელიანმა** და **პაატა დავითაიამ**, გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემ**, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა **ბუბა კუდავამ**, გამომცემლობებმა „ინტელექტმა“ და „არტანუჯმა“, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კომპანიებმა: „თი-ბი-სი ბანკი“, „ჯეოსელი“, „რედიქსი“, ვაკის საცურაო აუზი და სხვებმა 14 აპრილს 119 ფინალისტი დაასაჩუქრეს. საკუთარი ფავორიტები გამოავლინეს ჟიურის წევრებმაც.



ანაპიტ დურგარიანი

შორენა მურუსიძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი და ჟიურის წევრი; პროექტის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი: „იმ უმდიდრესი მემკვიდრეობის შესახებ, რაც ხელნაწერთა სახით ჩვენამდეა მოღწეული, სამწუხაროდ, ჩვენმა მოქალაქეებმა ცოტა რამ იციან. დღეს ჩვენთან არ არსებობს ხელნაწერის შექმნასთან დაკავშირებული პროფესია. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ყურადღება და ინტერესი მასშტაბური არასოდეს ყოფილა, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ კი არაერთი კალიგრაფიული სკოლაა ჩამოყალიბებული, დამზადებულია შემეცნებითი ვიდეოკავშირებიც.“

ჩვენმა ნამონყებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, თითქმის ყოველდღე გვირეკავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, აქტიურობდნენ ჩვენი ემიგრანტები. ჩვენს იდეას გამოეხმაურნენ სახელმწიფო სტრუქტურებიც (დღიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისის მერია, რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობები).

კონკურსი ხელს უწყობს ხელით წერის კულტურის განვითარებას მოზარდებში, ასევე სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ბავშვთა ერთმანეთთან დაახლოებას, მათი თვალსაწიერის გაფართოებას. მონაწილეებმა კონკურსის პროცესში შეიძინეს ახალი უნარ-ჩვევები და გახდნენ პირველი მონაწილენი ნამონყებისა, რომელიც ყოველწლიური გახდება.

ამ პროექტით არაერთ ემიგრანტ ბავშვს გაუჩნდა მოტივაცია, სტიმული, ისწავლოს მშობლიურ ენაზე წერა.

კონკურსში მონაწილეობდნენ არაქართველი მოსწავლეებიც, ამ მხრივ აქტიურობდნენ ახალქალაქისა და მარნეულის სკოლების მოსწავლეები.

სამომავლოდ ჩვენი სურვილია საზაფხულო და საკვირაო კალიგრაფიული სკოლის დაარსება, სადაც მსურველები უკვე პროფესიულად დაუფლებიან ხელნაწერი ნიგნის შექმნის საქმეს.

ჩვენი საბოლოო მიზანია საქართველოში ხელნაწერი ნიგნის შექმნის კულტურის აღორძინება, ისეთ სპეციალისტთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ გადწერონ სახარება მონასტრისთვის და სხვა. ხატი მხოლოდ ხელით იწერება, მისი სტამბური ვერსიები ეკლესიებში თითქმის არ გვხვდება, კარგი იქნება, რომ ასევე ხელით იყოს გადწერილი საეკლესიო საჭიროებისთვის საღვთისმსახური და საღვთისმეტყველო ნიგნები“.

ნესტან ბაგაური, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი, კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი: „კონკურსი



გიორგი თაღუმაძე



გიორგი ჩაგანავა

„ქართული კალიგრაფია“, ვფიქრობთ, იმ დროული და მეტად საშური საქმის დასაწყისია, რასაც ქართული კალიგრაფიული სკოლის აღორძინება და შემდგომი განვითარება ჰქვია. ხელით წერის კულტურას მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში განსაკუთრებით უფრთხილდებიან. ეს ეხება არა მხოლოდ ორიგინალური დამწერლობის მქონე ერებს, არამედ ლათინურენოვან ქვეყნებსაც. ამის ფონზე კიდევ უფრო მოგვეთხოვება ათასწლეულთა ისტორიის მქონე ქართული დამწერლობისა და კალიგრაფიული ტრადიციის გაცოცხლება და განვითარება, ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად ქცევა.



ილონა კრიხელი



უჩა ფინჩაია

ხურად წერა, 10 წლისამ კი ის მხედრული ვისნავე, რითაც კონკურსზე წარვდექი. დაინტერესებული ვარ ყველა სახის დამწერლობით. ქართულის გარდა, ვიცი ბერძნული, ლათინური, კირილიცა, სომხური, ებრაული, არაბული და ინდური დამწერლობები, რომლებსაც სხვების დაუხმარებლად ვეუფლები. ახლა ვცდილობ ძველგვიგებურ იეროგლიფთა შესწავლასაც.

ამ პროექტმა საოცრად დიდი გამოცდილება მომცა და კონკრეტული საკითხების ცოდნაც“.

17 წლის დავით მაისურაძე გამორჩეულია ყველა სასკოლო დისციპლინაშიც. გარდა ამისა, ცეკვავს, მღერის, უკრავს, მუშაობს ინტერნეტენციკლოპედია-ვიკიპედიაზე და არის პროექტ ვიქსიკონის (ლექსიკონი) ადმინისტრატორი.

პროექტმა განსაკუთრებული გამოხმაურება ემიგრანტთა შორის ჰპოვა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წარადგინა თითქმის 10 ქვეყნიდან (ირანი, თურქეთი, რუსეთი, უზბეკეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, გერმანია...) შემოსული ათეულობით დაინტერესებული პირის საკონკურსო მასალა. საგულისხმოა, რომ ქართული კულტურით დაინტერესებული ეთნიკურად არაქართველი კონკურსანტებიც მონაწილეობდნენ. ქართველ ემიგრანტებში ზედა ასაკობრივი ზღვარი 80 წელსაც კი აღწევდა.

საყურადღებოა, რომ ანბანი, როგორც ერის თავისთავადობის უფაქიზესი ფენომენი, ზედმინევენით ზუსტად რეაგირებს გარე ფაქტორებზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სოციალურ გავლენებზე.

ამის ნიმუშია იაკობ გოგებაშვილის ერთი საგულისხმო დაკვირვება: „ჩვენში ძლიერ განხიერებულია ერთი ნაკლებლოვანება წერისა. სახელდობრ ისა, რომ ზემო და ქვემო ნაწილები ასოებისა ორჯერ და სამჯერ სჭარბობენ ცენტრსა, შუაგულსა. გამოდის რალაც ვინრო და წონლოკინა ხელი, რომელიც სანერათაც ძნელია და საკითხავათაც. ...ფრიად შესანიშნავია, რომ ეს ხელი ჩვენ, ქართველებს, შემოგვიღია საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან შეერთების შემდეგ, თითქო საკუთარი პოლიტიკური ცენტრის გაუქმებას და გაქარწყლებას წერაზედაც უმოქმედნია, შეუსუსტებია, დაუპატარავებია მათი ცენტრი და გაუდიდებია ზემო და ქვემო ნაწილები. წინანდელ საუკუნეებში ამ წონლოკინა ხელს ადგილი არა ჰქონია“.

წარმატებას ვუსურვებთ პროექტის ყველა მონაწილეს, რადგან დღეს ერის ცხოველმყოფელობის ამ ფენომენს გამოცოცხლება და გაძლიერება სჭირდება.

ხელით წერის ხელოვნება ეროვნული კულტურის ფუნდამენტური სეგმენტია და მას თავისი ფილოსოფია და თავისი ესთეტიკა აქვს. სწორედ ამ ფილოსოფიით არის ის ერის სულიერი პორტრეტი.

კონკურსის ორგანიზატორთათვის საკითხის აქტუალობა და საშურობა იმთავითვე ცხადი იყო, თუმცა მოულოდნელი ამ ინიციატივაზე გამოხმაურების ინტენსივობა და მასშტაბები გამოდგა. იმის მიუხედავად, რომ კონკურსი ფორსირებულ რეჟიმში გამოცხადდა და ინფორმაციამ ყველა სკოლამდე ვერ მიაღწია, 10 000-ზე მეტი საკონკურსო ნიმუში მივიღეთ. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან, ცხადია, ყველა კალიგრაფი ვერ გამოვა, თუმცა ერთი უდავოა: მათი დიდი ნაწილისთვის ხელით წერა ძალიან ფაქიზი და სასურველი საქმიანობა იქნება. ამ კონკურსის შემდეგ შეეცდებიან ოდნავ უკეთ მანაც დაწერონ.

იმედი გვაქვს, ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ სახის კონკურსი, უფრო ფართო მასშტაბით, ყოველწლიურ სახეს შეიძენს. ამას დაერთება სხვადასხვა სახის აქტივობები: საზაფხულო და რეგულარული კალიგრაფიული სკოლა, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში; საუბრები, ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობანი და ონლაინ-გაკვეთილები კალიგრაფიაში; ურთიერთობები მომიჯნავე დარგების — ჭედურობის და ტყავის დამუშავების, ხატუნერის, მეთუნეობის და სხვა სპეციალისტებთან.

მართალია, ყველა კონკურსანტი ვერ გახდა საპრიზო ადგილის მფლობელი, მაგრამ ჩვენი სურვილია, მათთან გამუდმებით გვექონდეს კავშირი, ერთი დიდი საქმის გარშემო გაერთიანებულ ერთობად ვიქცეთ, მითუმეტეს, რომ გულშემატკივრები უკვე შევიძინეთ და მომავალში, ვიმედოვნებთ, კიდევ მეტს შევიძინებთ.

ვფიქრობ, კონკურსმა გაამართლა და ეს ძალიან გვახარებს. ამ წამოწყებას სხვა რომ არაფერი მოეტანა შედეგად, ჩვენი ძალისხმევა თუნდაც მხოლოდ დავით მაისურაძის აღმოჩენად ღირდა, რომლის ნაწერის დანახვისთანავე ყველას შუასაუკუნეებიდან მოვლენილი კალიგრაფი ახსენდება“.

დავით მაისურაძე, ქალაქ რუსთავის 17-ე საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე, კონკურსის პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი უფროს ასაკობრივ კატეგორიაში: „პირველად ხუთი წლისამ ვნახე ქართული ასომთავრულით ნაწერი და ამით მოხიბლულმა ძველი ქართული დამწერლობა მხედრულზე ადრე ვისწავლე. პატარა-პატარა ჩანაწერებს ვაკეთებდი ჩემთვის. მოგვიანებით ნუს-

ორმა მალაცხიძე

„ბედნიერება რვენია“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— სიცარიელე სულში.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ნებისმიერ ადგილას, სადაც სიმშვიდეა, ლამაზი ბუნებაა და ჩემთვის ძვირფასი ადამიანები გვერდით არიან.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— ძნელია, მიაგნო ბედნიერების ზუსტ განსაზღვრებას... ალბათ ბედნიერებაა, როცა ირგვლივ ადამიანები იღიმებიან, როცა შვილების თვალებში სიხარულს ხედავ, ბედნიერებაა თავად სიცოცხლე, ადამიანების დაბადებითა და სიკვდილით, სიხარულითა და მწუხარებით.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჩემი საყვარელი პერსონაჟი ყოველთვის იყო და არის პეპი. ეს თავნება, უცნაური გოგონა. კიდევ... ტიფანი, ტრუმენ კეპოტის მოთხრობის „საუზმე ტიფანისთან“ პერსონაჟი. ესეც უცნაური, დიდი ბავშვი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ალბათ ყველა, ვინც კაცობრიობის ისტორიაში კვალი დატოვა. ყოველთვის მოცუბდა ჟანა დ'არკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ვან გოგის ფერები ჩემთვის ყველაზე ახლოს. საოცარი ფერები...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— შეუძლებელია თქვა, ჩემი საყვარელი კომპოზიტორი მოცარტი... იმიტომ, რომ იქვე უნდა დასძინო — შოპენიც, შტრაუსიც, ბეთჰოვენიც, ბახიც... უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვი — ამ ბუმბერაზების შექმნილი მუსიკა კიდევ ერთხელ გაფიქრებინებს, რომ სამყარო უსაზღვრო, უკიდვანაო და ადამიანის გონებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამაა დაფარული.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— უპირველეს ყოვლისა — წესიერებას, გულწრფელობას, სინაზესა და ძლიერებას ერთდროულად. კაცი უნდა იყოს კეთილსინდისიერი, მზრუნველი, პასუხისმგებლობის გრძნობით. ცოტა პატივმოყვარეც. როცა საჭიროა, მკაცრი, როცა საჭიროა ლმობიერი. რაც მთავარია — ჭკვიანი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალი უნდა იყოს — ქალი. მარტის ამინდით ცვალებადი ხასიათით, თან ჭირვეული, თან დამთმობი. ალერსიანი, თბილი, ყურადღებიანი, გულწრფელი. პრაგმატული

და რომანტიკული ერთდროულად. მოკლედ, ცოტ-ცოტა ყველაფერი.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ადამიანის მიერ მეორე ადამიანის გაგების უნარი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

თუ გამომიჩნდება მშვიდი წამები ამ გიჟური ტემპით ცხოვრებაში — კითხვა. საყვარელი პოეტის ან მწერლის წიგნის ნებისმიერ გვერდზე გადაშლა და ნებისმიერ სტრიქონით დაწყება. ეს საუკეთესო ფსიქოთერაპიაა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არავინ და კიდევ ერთხელ — არავინ!

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიხისტისა და ლმობიერების ორ პოლუსი... რაც ძალიან მიშლის ცხოვრებაში ხელს.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას. გულწრფელობას. მოსმენის და გაგების უნარს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ვფიქრობ, ჩემი მთავარი ნაკლია სწორხაზოვნება. ნათქვამის ბუკვა-

ლურად აღქმა და მაქსიმალიზმი ადამიანებთან ურთიერთობებში. მაქვს ფეთქებადი ხასიათი, რაც აგრეთვე დიდი ნაკლია, თუმცა წყენას დიდხანს არ ვატარებ გულში.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ჩემი ერთი ზღაპრის გმირი გოგონა ნია დადის და ბედნიერებას დაეძებს. ყველა, ვისაც ის მიმართავს, თავის ბედნიერებას სთავაზობს, ძალი — ძვალს, მაიმუნი — ბანანს, ზღარბი — ვაშლს... ბოლოს კი ნია გაიცნობს ბალერინას, რომელიც ეტყვის: — აიხედე ცაში, ხედავ რა ცისფერია, ან ამ მწვანე მინდორსა და ყვავილებს შეხედე. განა ბედნიერება არაა, როცა ჩიტების ჭიკჭიკი გესმის. ბედნიერება აქვეა, ბედნიერება შენშია“. მეც ჩემი გმირით გიპასუხებთ: ბედნიერება აქვეა! ბედნიერება ჩვენშია. მთავარია, მისი დანახვა შევძლოთ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ყველაზე დიდი უბედურება ჩემთვის ოცნების უნარის დაკარგვაა. იყო რთული პერიოდი, როცა ეს მოხდა და ასე ცუდად არასდროს ვყოფილვარ. ალბათ ყველა ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც დგება ასეთი განსაცდელის წინაშე (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ).

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ბედის იმდენად მაღლიერი ვარ, რომ სხვანაირად ყოფნას არც ვისურვებდი. დაე, შემიყვარონ ჩემი ღირსებებით და ამიტანონ ჩემი ნაკლით. ჩემს ასაკში შეცვლა აღარ მოხერხდება.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი და ცისფერი... ნათელი ფერები. დილის და ცის ფერები...

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მინდვრის ყვავილებზე მშვენიერი ბუნებას არაფერი შეუქმნია. არ მიყვარს ხელოვნური ყვავილები.



— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა. ბავშვობაში, საკლასო ოთახში პლაკატი ეკიდა, მასზე ზამთარი და აბუზული ბელურები ეხატა. მთელი გაკვეთილი მათ ვუყურებდი და ძალიან მეცოდებოდნენ. ეს განცდა მთელი ცხოვრება გამომყვა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ქართველი მწერლებიდან — ოთარ ჭილაძე. როცა ცუდად ვარ, აუცილებლად ვკითხულობ მის ნებისმიერ ნაწარმოებს და უკეთ ვხდები. ბუმბერაზი მწერალია. საბავშვო მწერლებიდან ძალიან მიყვარს ასტრიდ ლინდგრენი და არჩილ სულაკაური. დღემდე ვკითხულობ მათ ნივნებს და როგორც ბავშვი, ისე ვხალისობ.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ასეთი უამრავია. ისევე როგორც კომპოზიტორი, ვერ გაიხსენებ, რომლით დაიწყო და რომლით დაამთავრო. პოეზია იმ პატარა, საიდუმლო ოთახს მოჰგავს, ბავშვი რომ უფროსებისგან მალულად მონიყობს, იმალება და ჩუმად თამაშობს. როცა გინდა, გაერიდო ყოფით საზრუნავს, ყოველდღიურ აურზაურს, საკმარისია საყვარელი პოეტის ნივნის გადაშალი და უშალო საიდუმლო ოთახში ემწყვდევნი, სადაც ვერავინ მოგაგნებს და აგაფორიანებს, ლექსის გარდა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ანა კარენინა, სკარლეთ ო'ჰარა...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— გმირობა ჩემთვის არის სამშობლოსთვის თავგანწირვა და მეგობრის ერთგულება... გმირობა შვილის გამო სიცოცხლეზე უარის თქმა და თანაკლასელის მიერ ჩამსხვრეული ფანჯრის გამო დანაშაულის საკუთარ თავზე აღება... იტყვი ალბათ, სად ერთი და სად მეორეო, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ნებისმიერი მსხვერპლის გაღება, დიდია ეს თუ პატარა, გმირობაა. ერთხელ ნაცნობმა მამამ, როგორ აცლიდა ერთ პატარა ბიჭს თანაკლასელი ყოველდღე ჩანთიდან ვაშლს და უჭამდა. და იცით როგორ მოიქცა ეს ბიჭი? ჩანთაში ორი ვაშლის ჩადება დაიწყო. ერთს ისევ თანაკლასელი აცლიდა, მეორე კი — თვითონ რჩებოდა. ვფიქრობ, რომ ესეც გმირობაა. პატარა ადამიანის მიერ ჩადენილი, მაგრამ მინც გმირობა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ჟანა დ'არკი, თამარ მეფე...

— საყვარელი სახელები?

— ბევრი სახელი მომწონს, მაგრამ როგორც ყველა დედას, მაინც საკუთარი შვილებისა მირჩევნია — მარიამ, თინათინ, მათე.

ნათინ, მათე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ყველაზე მეტად — ორპირობას და ტყუილს. ცბიერად ადამიანს ვერ ვიტან, ყალბსა და მლიქვნელს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ჰიტლერი, ლენინი, ჰუსეინი, ჩაუშესკუ... კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ბოროტი გენია მართავდა სამყაროს და რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეინირეს მათ.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა ნამდვილად იმსახურებს აღფრთოვანებას. ამ ბრძოლით საქართველოს ოქროს ხანა დაიწყო. თუმცა ბევრი, თუნდაც წარუმატებელი ბრძოლა გადაუტანია ჩვენს ქვეყანას, რომელიც არანაკლებ აღტაცების ღირსია მეტროპოლითა თავდადებათა და გმირობით. თუნდაც უკანასკნელი ომი რუსეთთან.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ვფიქრობ, ყველაზე რთული რეფორმა ეხლა მიდის ჩვენი ერის ცნობიერებაში... და ის ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს. მაგრამ ის, რაც გასაუღელისა, ჩვენს ნაცვლად სხვა ვერ გაივლის.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ყველა უნარი, რაც არ მაქვს და მინდა მქონდეს — უპირველეს ყოვლისა, სიმღერის ნიჭი... კიდევ... კარგი მეხსიერება.

— როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

— მნიშვნელობა არ აქვს, როგორ... მთავარია, ჩემს შვილებს უნდა ვტოვებდე საიმედოდ... ფეხზე დამდგარს და გამართულს.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული... შვილებზე ზრუნვით და საერთოდ, ყველაფრით...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ვფიქრობ, რომ ადამიანის ნებისმიერი საქციელის გამართლება თუ არა, გაგება შეიძლება. ყველაფერს აქვს მიზეზი, თუნდაც ძალზე შეფარული და შორეული, შესაძლოა სანციის ბავშვობაშიც იღებდეს, მაგრამ ასეთი მიზეზი ყოველთვის არსებობს. არ მიყვარს რადიკალიზმი არაფერში. მით უმეტეს, როცა საქმე ადამიანის გაგებას და შემწყნარებლობას ეხება.

— თქვენი დევიზი?

— მაპატიეთ, თუ ვინმეს გული გატკინეთ!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით?

უჩვეულო პროექტი ესპანეთში

კანტაბრიის მთავარი ქალაქი სანტანდერი ისწრაფის 2016 წელს ევროპის კულტურის დედაქალაქად იქცეს და ამ მიზნით აღსანიშნავია საზოგადოებრივ ტრანსპორტში პოეზიის კითხვაც. საინტერესოა, როგორ? ძალიან მარტივად — ქალაქის მუნიციპალიტეტის ავტობუსებში მგზავრებს დაურიგებენ პოეტურ კრებულთა სერიებს, რომელთა ნაკითხვაც იქვე შეეძლება, ვიდრე თავიანთ გაჩერებაზე ჩავლენ.

ამ პროექტისათვის შემდეგ პოეტთა 5 ბროშურა გამოიცა: ლორენცო ოლივანი, მარიან ბარცენა, ალბერტო სატამარია, მარიანო კალვო ჰაია და მარიბელ ერნანდეს გარიდო. სტამბაში 10 000 კრებული დაიბეჭდა — 2 ათასი თითო პოეტზე. მოგვიანებით ავტობუსებისათვის გამოსცემენ სხვა ლიტერატურული ჟანრის ნივნებსაც. მთავარი პირობაა — ავტორები ესპანელები უნდა იყვნენ, ტექსტები კი მოკლე, რათა მგზავრებმა მოასწრონ მათი ნაკითხვა.

მსგავსი იდეა ორმხრივ სასარგებლოა — არა მხოლოდ სანტანდერის ევროპის კულტურის დედაქალაქად ქცევისათვის, არამედ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად თანამემამულეთა შემოქმედებისაკენ.

ქეთევან მეგრელიშვილი

გმირი და ფილოსოფოსი

□

სოლომონ დოდაშვილის სულის მოსახსენიებლად

მის შესახებ მთარგმნელი წრეებში ასეთი ხუმრობა ყოფილა გავრცელებული:

— ვინ არის ახალ დროის ყველაზე დიდი ქართველი ფილოსოფოსი?

- სოლომონ დოდაშვილი.
- და რა დაწერა მან?
- ვერ მოასწრო!

ამის შესახებ მთარგმნელი და კრიტიკოსი პაატა ჩხეიძე მეუბნება ბოდბეში, წმინდა ნინოს წყაროსთან, მცხუნვარე მზის ქვეშ მდგომს და დასძენს:

„ამ ხუმრობაში სინანულიც გამოსჭვივის გარკვეული წრის ადამიანებისა — მათი, ვინც მის პოზიციას გაიზიარებდნენ. თუმცა, ამავე დროს, ნიშნისმოგებაც ჩანს, ამ ბოლო ხანს პრესაშიც რომ გაიჟღერა:

— მაგრამ... ხომ ვერ მოასწრო!“

არადა, ძალიან ბევრი რამ მოასწრო. სრულიად ახალგაზრდა 1832 წლის შეთქმულების თაოსანთა შორის დადგა და თავისი მხრებით იტვირთა იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხის სიმძიმე.

იყო გამომცემელიც, ჟურნალისტიც, პედაგოგიც, მის მიერ დაწერილი ლოგიკის სახელმძღვანელოთი კი რუსეთში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის I ნახევარშიც ასწავლიდნენ.

სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

სხვებისგან განსხვავებით, მას არ აღმოაჩნდა სამეფო კართან დაახლოებული ნაცნობ-მეგობრები, სასჯელის შემსუბუქება რომ მოეხერხებინათ მისთვის, ამიტომაც არავინ გამოსარჩლებია და ყველაზე მძიმე ხვედრიც, ჩაფუშული ამბოხების თაოსანთა შორის, სწორედ მან გაიზიარა. ვიატკაში გადასახლეს და მისი ძეგლები დღესაც იმ მიწაშია დამარხული.

სამაგიეროდ, გამომსარჩლებელი მას და საერთოდ ეროვნულ გმირთა ხსოვნას გამოუჩნდა, როსტომ ჩხეიძისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სახით და ეს შესავალიც იმისთვის დამჭირდა, რომ მეთქვა: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები ტრადიციულად სოლომონ დოდაშვილის მშობლიურ მხარეს ეწვივნენ, ამ დიდი ეროვნული გმირის სულის მოსახსენიებლად.

პანაშვიდი ბოდბის მონასტერში ქვემო ბოდბის 12 მოციქულის ტაძრის მოძღვარმა მამა მირიანმა (ხოხონიშვი-

ლი) და სტიქაროსანმა თეიმურაზ ძამიაშვილმა გადაიხადეს. მერე სიღნაღში, სოლომონ დოდაშვილის ძეგლთან, კიდევ ერთხელ ვსაუბრობდით მის ღვანლზე შეკრებილები: როსტომ, პაატა, გიორგი და ელისაბედ ჩხეიძეები, მაკა, თინიკო და გიორგი ჯაფარიძეები, სალომე კაპანაძე, ნინო ვახანია, თამარ ლონდაძე, ნინო დეკანოიძე, თეკლე ჯანელიძე, ლევან კიკნაძე, ნინო ქოქუაშვილი, გიორგი შარშიშვილი, ლევან და გიორგი ჩხეიძეები, ეკა დარბაიძე, ალექსანდრე მეგრელიშვილი...

სალომე კაპანაძის თქმით, „რომ არა 1832 წლის შეთქმულება, ისევე, როგორც 1924 წლის მოვლენები, ყოველთვის მექნებოდა განცდა, რომ ქართველებს თავისუფლების სრულფასოვანი შეგრძნების უნარი იმ პერიოდში უკვე აღარ შერჩენოდათ. განსწავლულობასა და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან ერთად სოლომონ დოდაშვილი ჩემთვის სწორედ ამიტომ არის ძალიან დიდი, რადგან 28 წლის კაცის ბიოგრაფიაში აისახა ყველაფერი ის, რასაც უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე სჭირდება ხოლმე. დღეს, ვინც მასზე საუბრობს, იხსენებს მას და პატივს მიაგებს — იმ ტრადიციას აგრძელებს, ქართული სულისა და საქმის მარადიულობას რომ ემსახურება. უნდა განიცადო და შეიგრძნო ამ მასშტაბის პიროვნებების არსებობის ბედნიერება შენი ქვეყნის ისტორიაში. სიღნაღი, სოლომონ დოდაშვილის მშობლიური ქალაქი, საამისოდ ყველაზე კარგი ადგილი აღმოჩნდა ჩემთვის. მით უფრო, როცა ისეთი ადამიანების გარემოცვაში იმყოფები, როგორც როსტომ ჩხეიძეა, რომელიც ერის ცნობიერებაში ყოველთვის რალაც ძალიან სათუთისა და მნიშვნელოვანის სადარაჯოზე დგასო“.

— ვიცი, რომ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ უკვე ტრადიციად დაამკვიდრა მამულისთვის თავდადებულ ადამიანთა ხსენების დღის აღნიშვნა. დღეს 1832 წლის ერთ-ერთი მეთაურის, სოლომონ დოდაშვილის სულის საოხად ვიხდით პანაშვიდს. მე პირველად ვესწრები ამ ღონისძიებას. მიხარია და მეამაყება, რომ ამ დიდი საქმის მონაწილე მეც ვარ. ალბათ, დიდხანს გამყვება დღევანდელი დღის მაღლი, — თქვა თეკლე ჯანელიძემ.

პატარა გიორგი ჯაფარიძემ კი ამ დღის შთაბეჭდილებები გაიზიარა:

— ჩვენს სკოლაში გაზეთი გამოუშვით წმინდა ნინოს შესახებ. ის ხომ ბოდბეში გარდაიცვალა, სწორედ იმ ადგილზე, რომელიც უფალმა გამოარჩია მისთვის სათნოდ. მეფე მირიანმა მოისურვა მისი გადასვენება მაცხოვრის კვართთან ახლოს, მაგრამ ორმოცმა კაცმა ძვრა ვერ უყო წმინდა ნინოს მცირე სარეცელს, და ის ბოდბეში დაკრძალეს. ამიტომაც ეს ადგილი ჩემთვის გამორჩეული სიწმინდის მატარებელია. ახლა კი გავიგე, რომ თურმე ამ მხარიდან ყოფილა სოლომონ დოდაშვილი.

— და შენ იცი ვინ იყო სოლომონ დოდაშვილი? — ვეკითხები მას.

— ეროვნული გმირი, კიდევ — დიდი ქართველი ფილოსოფოსი...

— ფილოსოფიური ნაშრომების დაწერა რომ ვერ მოასწრო?

— მერე რა... საქართველო ხომ ძალიან უყვარდა.

სამშობლოს სიყვარული ხომ მოასწროო — უთუოდ ამა-საც გულისხმობდა პატარა გიორგი და ამ ნათქვამშიც იყო რალაც ნიშნის მოგების მსგავსი — მათთვის, ვისაც ეს ცოტა რამ ჰკონია.

გავიგეთ, მივხვდით, დავრწმუნდით, ვიცით — მარტო ენა, მამული და სარწმუნოება არ არის საკმარისი, რომ ერმა იარსებოს, მონოლითურობა შეინარჩუნოს და ქვეყნად იქცეს. ამისათვის საჭიროა იდეა, იდეის ქონა. იდეა მარტო ცნება, მეტაფიზიკური წარმოდგენა ან ფილოსოფიური ტერმინი არ არის. ეს არის მსოფლმხედველობა, გარემოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. საერთოდ, იდეა არის ყველაზე არსებითი რამ, რაც ადამიანს, ერს, ქვეყანას აარსებებს.

ეს ფიქრები გავიჩინა, გურამ ქართველიშვილის „ოჯახი“ რომ წავიკითხეთ. საინტერესო ნაწარმოებია, ტკივილიანი, პრობლემური და, სხვათა შორის, იმედია. მოქმედება პარალელურ დროში მიმდინარეობს. მართალია, ეს უკვე სქემაა და გარკვეულწილად მხატვრული ბლანსის დარღვევის საშიშროებასაც ქმნის, მაგრამ მთავარი დატვირთვა მინც დროთა პარალელიზმზე კი არა, თანამედროვე ქართულ პრობლემაზე მოდის, ამიტომ გაორების გრძნობას იდეის საკითხი ფარავს. უნდა ითქვას, რომ გურამ ქართველიშვილი საკმაოდ კარგი ოსტატია. მის შემოქმედებით ბუნებას განსაზღვრავს ნათელი ხედვა და ტექნიკური აღღო. მას შეუძლია ორივე სიტყვით გადმოსცეს ადგილის კოლორიტიც, ინტერიერიც, პერსონაჟის პორტრეტიც, ხასიათიც და განწყობილებაც. შიოშვილების ოჯახის ორასწლოვანი გზა და ამ გზის ორი მონაკვეთი, თავი და ბოლო, სადღაც აქვე ახლოს დასაწყისიც. ყოველივე ეს საკვირველი უბრალოებით არის მოთხრობილი. აი, თუნდაც როგორი უშუალობაა შიო შიოშვილის სიტყვებში: ქვეყნის გათავისუფლების იმედი რომ გაჩნდა, ჩემი შვილები იარაღში ჩავსვი და ალექსანდრე ბატონიშვილს მივგვარო.

„ყველა ქართველში ომის ტრფობა ძველისძველია“ — გალაკტიონი რომ ამბობს, მართალია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ყველანაირი გრძნობა ქრება და ცივდება, თუ მას ცეცხლი გამოაცალა.

ქვეყნის მოვლის ინსტინქტი, სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავგანწირვის უნარი მიინავლა ქართველებში, რადგან დაკარგეს ერთიანობის შეგრძნება. ერთიანობის შეგრძნებას რა ბაღებს? — ოჯახი, საზოგადოება, ეროვნული მთლიანობა. არც ერთი ამ სამი ელემენტიდან მთელი აღარ შერჩენია ქვეყნისთვის თავდადებული შიო შიოშვილის შთამომავალს ირაკლის და მის დროს. ცოლ-შვილი პარიზშია გადახვენილი, საზოგადოება გათითოკაცებულია, მთლიანი ერი კი არა, ოჯახებიც აღარ არსებობს. მიდიან ქართველები უცხოეთში თავის გადასარჩენად და თან მიაქვთ თავიანთი წილი სივრცე, თავიანთი წილი ეროვნული სულისა.

„სულ გამოცლილ ქვეყანაში ათი წლის შემდეგ თოფის დამკავებელი აღარავინ იქნება სამშობლოს დასაცავად...“ ამაზე უფრო საშინელი რაღა უნდა იყოს, მაგრამ ქვეყანა არსებობს თავის უპასუხისმგებლობის ესთეტიზმით, როგორც მოსწრებულად თქვა ალენმა. სასწაულის მოლოდინი ქართველი კაცის ხასიათის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც ხშირად უმართლებდა და, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, შეიძლება ამჟღავნებდეს გაუმართლოს. რა არის ამისათვის საჭირო? სრულიად ელემენტარული რამ — ოჯახის შენარჩუნება. ოჯახი — ეს უნდა იყოს ქართველთა მთავარი იდეა. ამას მიგვანიშნებს დრო, ამას გვეუბნება გურამ ქართველიშვილი ამ მოთხრობით, რომელიც, დარწმუნებული ვარ, აგვეკვიტება და აღარ მოგვეშვება, როგორც ქართული პერსევერაცია: „ოჯახი... ოჯახი... ოჯახი...“

გურამ ქართველიშვილი

ოჯახი

1832

თიბათვე იდგა და ახალგამშრალი თივის სუნით სუნთქავდა მოსუბანი. დიდი კომპის ირგვლივ ჩამჯდარ სოფელს ბინდი აუჩინარებდა, როცა მისი შარა ცხენის ჭენებამ აიკლო. თეთრ ქაფად ქცეული ბედაური ჩოხიანმა კომპს მიაგდო და დაუქვეითებლად დასცხო მათრახის ტარი კარს.

- ვინა ხარ?! ეჭვით სავსე ხმა მოისმა კომპიდან.
- შიოშვილების კომპია ესა?
- გახლავს. ვინ გინდა?
- ირაკლი შიოშვილი.

მხედარმა ბინდში კარგად გაარჩია ზემო სათოფურებიდან მასზე მოშვერილი ორი ლულა და კარის ღრიჭოდან მოშტერებული თვალი.

- გააღე, დალოცვილო, ქრისტიანი ვარ!
- შიგნიდან კარზე აკრულმა ირაკლიმ შეყენებული დამბაჩა ქამარში გაიჩარა და კარს ურდული ახსნა.
- რა გნებავს, სტუმარო? მე ვარ ირაკლი.
- ეს ჩაიბარე. ჩეჩნეთიდან გამომატანეს შენთვის. მხედარმა მასპინძელს ერთი გრძელი და მეორე ოთხკუთხა ნივთი ჩამოაწოდა.
- რა არის ესა?
- არაფერი ვიცი, ძმობილო. ასე დამაბარეს, ნახავს და თვითონ მიხვდებაო.
- მასპინძლობა მაინც მიიღე, დაქვეითდი. სტუმარი ღვთისაა!

— მეჩქარება. სოფლის თავს მელოდებიან. მხედარი იარაღში იჯდა და ტყეს შეფარებული კაცის იერი ჰქონდა. ზედვე ეტყობოდა ერთ ალაგას ორი ღამე არ ჰქონდა გათეული, ამიტომ ირაკლი ბევრ პატიყს აღარ მოჰყოლია, კახურად მიუგდო, მშვიდობის გზაო. მოსულმაც მშვიდობით დარჩენა დაუბრუნა და გაქრა.



შინ შებრუნებულს კომპის ზედა სართულიდან ჩამოსული თოფმომარჯვებული უწვერული ვაჟები მიეგებნენ და გაკვირვებით შეათვალიერეს მამა.

— ვინ იყო, ირაკლი? რა უნდოდა? ცნობისმოყვარეობის დუმილი ცოლმა დაარღვია.

— არავინ. მგზავრი იყო. ძილის თადარიგს მიხედეთ! ნაწყვეტებად მიუგდო ოჯახს პასუხი ირაკლიმ და თავის სამყოფელში შეიკეტა. უცხოს მოტანილი ნივთები მაგიდაზე დააღაგა და ანთებული ჭრაქი მიუმარჯვა. ნეტა რაეზია?! რა მესაქმება ჩეჩნებთან?! ეჭვიანი ფიქრით დაუნყო გახსნა შეფუთულებს. ჯერ გრძელ და მოლუნულ ნივთს შემოაცალა ტყავის სახვევი. ხმალი გამოდგა შავტარქარქაშიანი, ვერცხლით ძუნწად შემკობილი. ერთხანს ათვალიერა, მერე ქარქაში მოაცილა და ხელში საუკეთესო გორდა შერჩა. „რომელი ხმლის მამლერებელი მე ვარ, ეგეთი ძღვენი რო გამოუგზავნიათ?! — ჭრაქის შუქზე აბრიალებულ ფოლადს დამღები დაუთვალიერა და ტართან წარწერა უპოვნა. ახალგაზრდა კაცის თვალმა წვალებით ნაიკითხა ცეცხლის

შუქზე: ხრმალი ვარ მეფის ირაკლის ძისა, ლევანისა. გამტერდა. სიზმარში რომ არ იყო, ხვდებოდა, მაგრამ ვერაფრით ამოეხსნა, ვის უნდა გამოეგზავნა მისთვის ეს ნივთი.

თავის დღეში ობოლ ირაკლის მთელი ბავშვობა არაკად ესმოდა ლევან ბატონიშვილის სახელი კოლა გამზრდელისაგან. იმ ცხოვრებისგან ისიც გაეგონა, რომ ლევანის ნაჩუქარ ხმაღს მისი პაპა შიო ატარებდა, ახლა რომ სოფლის სასაფლაოზე ყველაზე დიდი ლოდის ქვეშ იწვა და გულზე ეწერა: გარდავიცვალე ჩემი სამშობლოს დაღუპვითგან მეთორმეტე წელსა. ბაგრატიონების ტახტის აზნაური შიო შიოშვილისგან ნაანდერძევი ეგ წარწერა დარჩა ირაკლის და კომპი ათიოდ კომლი ყმით და მცირე მამულით. საფლავის ლოდზე ამოკანრული სიტყვები მთელ ამ ქონებად იმიტომ უღირდა, რომ ოჯახის სახელს ინახავდნენ. ობლობის მიუხედავად, არაფერი მოჰკლებია. ისე ზრდიდნენ გლეხები, თითქოს დაბადებიდან ყველა ვალში იყო მასთან. გაჩენიდან მეცხრე აღდგომას ჭარმაგმა კაცებმა პაპის საფლავთან მიიყვანეს და დალოცეს იმის ჯიშისა ხარ და იმაზე მეტი შეგაძლებინოსო. მაშინ ისიც უთხრეს პატარა ირაკლის, თუ რას ნიშნავდა დიდი შიოს საფლავზე ამოკანრული წარწერა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მეთორმეტე წელს მოკლეს შიო რუსებმაო, ალექსანდრე ბატონიშვილის კახეთის დიდი აჯანყების დროსაო. ერიჰა... მას აქეთ ოცი წელიწადი გავიდა და ჩერნეთში ვილას ახსოვს ახლა შიო, მისი ნაქონი ხმალი რომ გამოუგზავნია?! ფიქრებში ნასულმა და გაოგნებულმა ირაკლიმ ახლა ოთხკუთხად შეფუთულს დაადგა თვალი და გასანთლულ ტყავის სახვევს დაუწყო გახსნა. თითუბით რომ ვერას გახდა, ხანჯლის შვილი იხმარა. ნაპირიდან გაჭრა და როცა ფუთიდან მაგიდაზე ათასნაირი თვალ-მარგალიტი დახვავდა, სხეული მოისინჯა, მართლა სიზმარში ხო არა ვარო. ერთხანს რეტიდასხმული ჩაშტერებოდა ძვირფასი ქვების ელვარებას, მერე მოფნიზლდა და ტყავის ფუთა საგულდაგულოდ გაჩხრიკა. დაკეცილი ქალღალი იპოვნა, გამაღა და ჭრაქს მიუშვირა. წერილი წერილი და მშვენიერი მხედრულით იყო დანერილი.

მეიმედება, კოლამ ისე არ გაგზარდა, რომ განძის დანახვამ თვალი ავებას. ოცი წლის წინ ქვეყნიდან რუსის ამოძიკვის იმედი რომ გაჩნდა, ჩემი შვილები, შენი მამაბიძები, იარაღში ჩავსვი და ალექსანდრე ბატონიშვილს მივგვარე. მაშინ აჯანყებამ ერთთავად იფეთქა მთელ კახეთში. თავი არავის ეზოგებოდა. ბაგრატიონების ტახტის აღდგენა მიზანი იყო და ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე მეფედ გვიჩანდა. დიდძალი სისხლი მივეცით ომს. შენი ორი ბიძა სიღნაღთან მოკლეს და მამაშენი ხევსურეთში ჩემი ხელით მივაბარე მინას. მაშინ სამი წლისა იქნებოდი, რო შატილში გამოკეტილს დედაშენის სიკვდილის ამბავიც მომიტანეს. ბატონიშვილს დავეთხოვე, შიოსუბანში გადმოვედი, ობლად დარჩენილი კოლას ჩავაბარე, ჩემს საფლავზე თვითონ დავდე ქვა და რაც ზედ აწერია, კოლას ამოვაკანრინე. იმდენი სისხლი მქონდა ნასვამი რუსებისა, ვამჯობინე მკვდარი ვგონებოდი. ვიცოდი, შინ ველარასდროს დავბრუნდებოდი. ერთხანობას ირანში ვიხეტიალე ბატონიშვილთან ერთად და ბოლოს ისევ კავკასიას მოვაშურე. ბედს ადევნებული ჩერქეზებს შევეკედლე. მას აქეთ ყირიმშიც ვცხოვრობდი, რუსეთი ფეხად მოვიარე და დაუძღურებულმა ჩერნეთში დავიდე ბინა. ახლა, როცა სიკვდილი ხელის განვდენაზეა, გიგზავნი ყველაზე ძვირფასს, რაც ნივთიერად გამაჩნია — ჩემს სინდისს ლევანისეულ ხმაღს და ორ პეშვ თვალმარგალიტს, რომელიც გაუკულ-

მართებული ცხოვრების გზებიდან შემომრჩა. შორიდან შენი ყველაფერი ვიცი. დაგიზარდოს ის ორი ლეკვი და რადგან უფალმა ჩემი ანდერძის გადამბარებელი შემარჩინა, კარგად მოისმინე, რაც ქვემოთ დამინერია.

ჩვენა, ირაკლი, თუშები ვართ, წიკოპოშვილის გვარიდან. მამაჩემსაც შიო ერქვა. მე რო დავიბადე, იმ წელს მოუკლავთ ასპინძის ომში. ობოლი და უქონელი დავარჩი. მდიდარი თუშების ცხვარს ვმწყემსავდი ცხრა წლისა, მაგრამ უფალმა ცოცხალი გონება და ელვასავით მარჯვენა მინყალობა. ცხვრის ფარის წინ მიმავალს ფეხებთან ხოხობი რომ ამიფრინდებოდა, ხმლის ამოღებას და გაჭრას ვასწრებდი. აბა, ეგეთს მწყემსად ვინ დამაბერებდა ომის ქვეყანაში?! თურთმეტისა ლევან ბატონიშვილს მიმგვარეს თუშებმა. ბაგრატიონების ოჯახში წიგნიც მასწავლეს. თექვსმეტისა უკვე ლევანის მორიგე ჯარში ასისტავი შევიქენი და კახეთზე მოთარეშე ლეკებს ვჟღელტდი. დიდი სახელი ვიძივე. ბატონიშვილმა სამსახური დამიფასა აზნაურობა მიბოძა და შიოშვილის გვარზე დამწერა. ასე აშენდა შიოსუბანი. მაშინ კაცი უნდა დაეწყეყველა და მაგ ალაგას დაეცახლებინა. კარგა იცი, ჩვენი სოფელი ორი ხეობის ყელზე დგას. ეგ იყო ლეკების მთავარი გზა კახეთზე სათარეშოდ. ლევანმა კომპიცი ამამუენებინა და კარის ეკლესიაც. გლეხებიც სულ მგლები დამირჩია გუთანიც რო იცოდნენ და ხმალიც. იმ დღიდან ოცი წელი კბილით მეჭირა შიოსუბანი. მერე რუსი მოვიდა და ბაგრატიონთა ტახტი ამოაგდო. მოსისხლე ლეკები მოყვრებად იქცნენ, რადგან მტერი ერთი გაგვიჩნდა. ე, მაგ კომპი შეეყარე ლეკი ბელადები და რუსის წინააღმდეგ ბრძოლაზე დავაფიცეთავის ქებაში ნუ ჩამითვლი, შვილო, სიბერემ წარსულში ქექვა იცის. რალა გავაგრძელო. ქვეყნის სამსახურში იმდენი მაქვს გადახდილი, მთელ ჩვენს მოდგმას ეყოფა. ნამებაა ქართველი კაცის ყოფა. განა ყველა ქართველია, ვინც გვარსახელს ატარებს?! საქართველო უფრო სულია, ვიდრე ხორცი, ირაკლი. თუ ეგ სული მოკვდება, ჩვენი ქვეყანაც გათავდება. ხოდა, ჩემი ანდერძიც ეგ არი. ამდენ წვალებას წყალს ნუ გაატან. შვილებს განათლება მიეცი, სოფელს მიხედე და დიდ ოჯახს დასაბამი დაუდე. ჩვენ მოდგმაში თაობიდან თაობაზე უნდა გადავიდეს ეგ სული. დაიხსომე, უპატრონოდ დარჩენილ ქართველობას აწი ოჯახები შეინახავენ. რამდენ ხანსაც არ უნდა იზოგინოს მტერმა, ვერას დაგვაკლებს, თუ მამიდან შვილზე ქართული სული გადავა. მამაბიძების საფლავებს ნურც მოიკითხავ გადმოსასვენებლად. ინენენ იქ, სადაც წვანან. ჩემი ძვლებიც მაგ ლოდის ქვეშ გეგულეობდეთ. მშვიდობით! გფარავდეს დედა ღვთისა და შიოსუბნის წმინდა გიორგი!

შენი პაპა შიო შიოშვილი

ირაკლიმ წერილი მობრჭყვიალე თვალმარგალიტზე დადო, ერთხანს გახევებული იჯდა და ცრემლებს შიგნით ყლაპავდა. მერე ადგა, ჭრაქი გაიძლოდა და შვილების სამყოფელში ავიდა. არხეინად ეძინათ ბავშვური ძილით ვაჟებს. საბნები შეუსწორა, თითოს თითოჯერ აკოცა და ჯვარი გადასახა.

2010

იმ დღეს ცურივით გაბერილი იყო ცა და თოვლს აპირებდა ირაკლიმ რომ შიოსუბნის სახლი დააბოქლომა. შემოდგომამ მის ხელებზე კოჟრები გააჩინა და ძველი ქალაქურ ოჯახი სანოვაგით აავსო. ყოველგვარ პენს მოკლებუ-

ლი დიდუბის ავტოსადგურიდან ჭირნახულით გატენილი ყუთები სახლში მიათრია, გადაბერებულ სავარძელში ჩაეფლო და ჭერს მიაბოლა. როგორც იქნა... ეს შემოდგომაც მოვილიე... ხო, მართლა ბესოს დანაბარები?.. ყურმილს დასწვდა და ნომერი აკრფა.

- ბიძოს გაუმარჯოს!
- ჩამობარგდი?

— ხო, როგორც იქნა... ვაშლი ჩამოგიტანე. მოდი და წაიღე. ხვალ სახლში ვიქნები.

- სალამოს მოვალ. შიოსუბანში რა ამბებია?

— სადღაა შიოსუბანი, ბიძინ. ერთი ბესოლა დარჩა და ისიც ისრაელში აპირებს. მაგიტომაც გირეკავ. იქნებ მოუხერხო იერუსალიმში მიმავალი მლოცველების ჯგუფში ჩაასმევინო. აბა, ისე ვინ მისცემს ვიზას. სამუშაოდ მიდის.

— მერე სოფელს ვის უტოვებს? სამშობლოზე დამწუხრებული ფუნქციონერის პასუხი გაისმა ყურმილში.

— არ გინდა ეს დიდაქტიკა, ბიძინ! თუ შეგიძლია დაეხმარე. ერთი ბესო არც იქით, არც აქეთ. მთელი ქვეყანა გაქცეულია აქედან და...

— ხო, კაი, სამშობლოდ წამსვლელთა ჯგუფში თუ ვერ ჩავსვი, სააღდგომოდ ნაღდად გაუფუკეთებ. დარჩა ვინმე კიდევ იმ რაიონში?

— კი, გამგებელი, პოლიციის უფროსი, მგლები და დათვები.

- ეგეც საქმეა. კაი ხვალამდე.
- ხვალამდე.

ირაკლიმ ყურმილი დადო და ვალმოხდილის სიმსუბუქე იგრძნო. თაობებნაცხოვრებ სახლის მშობლიურობით ცოტა ხანს კიდევ დატკბა, მერე ყუთების თრევით დაღლილი წელი აითრია და მოხუცის ძეხვას შეუდგა. უზარმაზარი ბინის მემვიდე ოთახში მტკვერიან ნივნებში ჩაფლულს ეძინა დიმიტრი პაპას. ირაკლიმ ხალათი გადააფარა. თუმცა ძვალზე გადაკრული ტყავი არისტოკრატიულობას მატებდა, მოხუცი მაინც უფრო გატენილი იქნენა. ის იყო მძინარის სასთუმალთან დახვავებული ნივნების მოწესრიგებას შეუდგა, რომ კარზე ზარი დარეკეს. სტუმარს დანატრებულმა მტკვრიანი ოთახები გაჩქარებით გაიარა და საკეტები აახმაურა. ღია კარებიდან მეზობლის თათულიმ ენერგიის ნიაღვარი შემოიყვალა.

- ჩამოხვედი, საფლელიო?
- ჩამოვედი, თათული დეიდა. როგორ გიკითხოთ?
- როგორც ჩემს ასაკს შეეფერება ისე. კი, მაგრამ ამ ოჯახიდან მიწის მუშა არავინ ყოფილა და შენ ვის დაემსგავსე? ხოხობო, რაები ჩამოუტანია?!

ქალმა მადიანად შეათვალა დიდ ოთახში დახვავებული ჭირნახული. მერე ყუთიდან გამოშვერილი ჩურჩხელა გაკბინა და სავარძელში კოპნიად მოკალათდა.

— რა ვქნა, შენ გენაცვალოს თათული, ვერ დაგახვედრე სახლი დალაგებული. აბა მე რისი გამკეთებელი ვარ და დამლაგებლის აქ შემოშვება ვერ გავბედე. რაც ამ სახლში სამუზეუმო ნივთები დევს, ვის ვენდო?! თითო ამათგანს თითო ისტორია აქვს და რომ დაიკარგოს რამე?...

— რას ამბობთ! თქვენი ისედაც დიდი მადლობელი ვარ დიმიტრი პაპას მიხედვისთვის. დალაგებას მოველება. ხომ არ გაგანვალათ მოხუცმა?

— რას ამბობ! სად არის მაგისთანა ადამიანი?! სადილს ვუმზადებდი ხოლმე. ის თქვენი თვალუნვდენელი ბიბლიოთეკა თავიდან გადაიკითხა. მაგის ხმა არ გამიგია. სადაა ახლა?

— ძინავს.

— ხო, მართლა. თიკო მოდიოდა ხოლმე. მოიყვანე შე კაცო, მშვენიერი ქალია. გიჟდება შენზე. შენს ასაკში ხალხი ცხოვრებას იწყებს და... ეშმაკურად ჩაიციან თათულიმ.

- ეჰ, თათული დეიდა, მეორედ ცოლის მომყვანი ვარ მე?!
- კაი, აბა. მოგვიანებით გნახავ კიდევ. უჰ, რა ჩურჩხელაა!

— ეგ იმდენი გვაქვს, ტკბილად გამოვიზამთრებთ. გული გაუკეთა ირაკლიმ მეზობელს და ნუგბარები სახელდახელოდ გაატანა. მადლობად ქცეული თათული ბნელ სადარბაზოში გაუჩინარდა და მტვრიან სახლში ჩვეული მყუდროება დაბრუნდა. გაზაფხულს აქეთ იმდენი ენერჯია არ დაუკარგავს ირაკლის, რამდენიც თათულიმ წაართვა. „ენერჯოვამპირი. სანყალი დიმიტრი მაგის ხელში. წვივში ჩარჩენილმა ტყვიამ კბენა დაუნყო. ალბათ ითოვებს. ფანჯრიდან ზეცას ახედა და ისევ სავარძელს დაუბრუნდა. „რა დაალაგებს ახლა ამხელა სახლს?! – ირაკლი იქვე მდგარ ძველ რადიოლას გადასწვდა, ჩართო და რალაც არხი დაიჭირა. რეკლამა გაისმა ქართული ხალხური სიმღერის სპონსორია გერმანელი ყასაბი ძეხვეულის დიდოსტატი. გაელიმა, მაგრამ ყასაბის მიერ დასპონსორებულმა ჩაკრულომ განწყობა მოჰგვარა. მონატრებოდა ეს ცივი, მტვრიანი და მოხუცის ამაზა მიტოვებული ბავშვობის სახლი. თითქოს პირველად ხედავსო, ისე დაუნყო თვალთვლება კედლებზე ახუნძლულ სურათებსა და ნივთებს. მარჯვენა კედლიდან ობობის ქსელში გახვეული მეცხრამეტე საუკუნის წინაპრები იყურებოდნენ, ქართულ თუ მოღურ ევროპულ ტანისამოსში გამონყობილები. მარცხენა კედელი კი მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების დახვერტილგადასახლებულთა სახეებით იყო მოფენილი. „რა არის, მაინც, ფოტო?! ცხოვრების ბედნიერ წუთებს ინახავს, თორემ, ამათგან უმეტესობის ნიჭი ბორკილებს და კატორღებს შეენიწა. ფიქრობდა ირაკლი. ძალიან გულუხვი აღმოჩნდა რადიოარხის სპონსორი გერმანელი ყასაბი და ჩაკრულოს შავლეგო მოჰყვა, შავლეგოს დაიგვიანეს. ირაკლი წამოდგა და ახლა დამტვერილ ნივთებს ჩამოუარა. სახლში აქვს თითოეულ მათგანს ისტორია, თორემ ეს ყველაფერი მშრალი ხიდის ბაზრობაზე რომ დაალაგო, ანტიკვარულ ნივთებად იქცევიან. ოჯახიც ეგ არის, ხსოვნას ინახავს. ხალიჩაზე ახუნძლულ იარაღს თვალის შეავლო და გაახსენდა, ბავშვობაში როგორ უკრძალავდნენ მათთან მიკარებას მშობლები. მოგონებებით ტკობა და ჰანგი ხალიჩაზე ცარიელმა ადგილმა უეცრად გააქრო. ძველ ხანჯლებსა და დამბაჩებს შორის აღარ ეკიდა ლევან ბატონიშვილისეული ხმალი, შიოშვილების ოჯახის მთავარი რელიქვია. გაოგნდა. ის იყო დაეჭვებულიმა მეზობლის თათულისთან დარეკვა დააპირა, რომ ოთახში ნამძინარევი დიმიტრი პაპა შემოფათურდა. ჯერ რადიო გამოართო, მერე ყუთებს შეხედა გაკვირვებით და როგორც იქნა, შენიშნა ირაკლი.

— შენა ხარ, შე გადაკარგული?! მოხუცის ბავშვურობით მიფერავ დიმიტრი შვილიშვილს. ძალიან შეგიყვარდა იქაურობა.

- კარგად გამოიყურები, პაპა, როგორა ხარ?
- ბებრულად... ეჰ, ხელი ჩაიქნია მოხუცმა. ეს რაები მოგიტანია, კაცო?

— მოსავალი. გადაყვევი. ძალიან ძნელია მიწის საქმე. მაგიტომაც ვერ ჩამოვედი გაზაფხულს აქეთ.

— გამახარე, ირაკლი. დაჯე, დავილაპარაკოთ. კიდევ დგას შიოსუბანი?

— დგას, გაულიმა შვილიშვილმა პაპას და ყუთებში ქექვას მოჰყვა. მაგიდაზე ამოალაგა ათასგვარი ნუგბარი, ღვინო ჩამოასხა და კოხტა სუფრა გაშალა.

— შენ არა ხუმრობ, აი! დიმიტრის მიმქრალ თვალებში სხივი ჩაუდგა. მშობლიური სოფლიდან ჩამოტანილმა ჭირნახულმა გაახალისა. ყვალაფერს იღებდა, ყნოსავდა და თეფშზე ალაგებდა.

ჩვენებური რო ყველაფერი კარგია, არა?! ეჰ, ერთხელ კიდევ მაჩვენა იქაურობა და... ჭიქა აიღო და ღვინოს გახედა სინათლეზე. შენ ჩამოსვლას გაუმარჯოს და ჩემ დახვედრას. ჯეელივით გამოცალა სასმისი. სხვა, რითი გამახარებ?

— დავნერე რალაცეები, მაგრამ იქ დავტოვე.

— რატომ?

— ეჰ, ვის რად უნდა?! ახლა თუ რამე ღირებულს დანერ, მაინც თაროზე დაგილპება. არადა, რომ არ დანერო, შიგნით დაგიგროვდება და გაგაგიჟებს კაცს.

— შე რალას მერჩი?! ჩემთვის მაინც წაგეკითხა.

ირაკლიმ უხერხულად შეხედა პაპას და შეეკითხა:

— ეგ იქეთ იყოს და ლევანისეული ხმალი სად არის? ხალიჩაზე აღარ კიდიხა. იმასაც ფიქრობდა, იქნებ მოხუცმა არც იცის და გული არ გაუსკდესო.

დიმიტრიმ მკაცრად შეხედა შვილიშვილს, წამოდგა, გვერდით ოთახში გაჩოჩდა და მცირე ხანში ლევანისეული გორდა რალაც ნერილთან ერთად მაგიდაზე დადო.

— ნუ ღელავ, აქ არის.

ჯერ კიდევ ოჯახშია... ჯერ კიდევ!.. ამოიხრა მოხუცმა და ღვინო მოსვა. შენი ხელით წაიღე და მუზეუმს ჩააბარე. სიარული მიჭირს. აი, წერილიც გამზადებული მაქვს. ასე გადავწყვიტე.

— რატომ? იკითხა ირაკლიმ და მიხვდა, რომ იჩქარა.

— ამ ნივთის ჩვენ სახლში ყოფნას მანამდე ჰქონდა აზრი, სანამ ამ კედლებში ოჯახი იყო. ვილა დავრჩით მე, შენ და შენი პარიზში გადახვენილი ყოფილი ცოლ-შვილი. ხო, მართლა, შენი ვაჟი იყო ჩამოსული. გინახულა? ცოტა ცინიზმი გაურია ხმაში მოხუცმა.

— არა, როდის იყო?

— ერთი თვის წინათ. შემომიარა სხვათა შორის. მოცარტის ვარცხნილობა დაუყენებია და კეფას ბაფთა უმშვენებს. ყურზე ბარე სამი საყურე მაინც დაფუთვალე. ეგ ჩვენებური აღარ არის, შვილო. მე როდემდე ვიცოცხლებ? ან რალა შემიძლია? შენ ჩამოგიყრია ყურები და მიწას ხნავ ეგეთი ნიჭის პატრონი. კვდება ოჯახი.

— რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი... დამსვა ბნელსა შინა ვითარცა მკუდარი საუკუნოი და მოეწყინა ჩემ თანა სულსა

და გულსა ჩემსა. ფსალმუნის სიტყვები ირონიულად დაუბრუნა პასუხად ირაკლიმ მოხუცს და ოთახში გაიარგამოიარა.

— ძალიან გაგიტეხია გული. არ გეკადრება. კაცი თუ იდეით ცხოვრობ, მეტი მოგეთხოვება.

— თავს ზევით ძალა აღარ არის, პაპა. ჩემი ნაწარმოებები ძალიან ქართულია და როგორც ჩანს, ამის რალაც ძალას შეემინდა. ჩემს პიესებს მაყურებელი ბუზივით ახვევია, მაგრამ არცერთ თეატრში აღარ მიშვებენ. ქვენა გრძნობებით დატვირთულ ნაწარმოებებს დგამენ. თქვენ ის მაინც იცოდით, რომ იმპერიაში ცხოვრობდით და ათასი ხერხით ნაწვადით ქართულ საქმეს მაინც აკეთებდით. უფრო გამოგდიოდათ. თუ შენც გჯერა, რომ თავისუფლებაში ვცხოვრობთ? ნიღბია ეგ თავისუფლება. სინამდვილე კი გადაგვარებაა, როგორც არასდროს. თავგამოდებული მეცადინეობა მიდის იმაზე, რომ შვილები მამებისგან გააუცხოონ. გემოვნება იკლებს. ჩვენი ფასეულობები დახლზეა შემოდებული. დღევანდელი ქართველი მილიონერებიდან თითო ხელი ჩოხახალუხი ყველას უკიდია თავის მდიდარ გარდერობში, თორემ ქართულ საქმეში ფულის ჩამდები თითქმის აღარავინაა ირაკლიმ თევობით მარტოობაში დაგროვილი სათქმელი ერთიანად ამოხეთქა და სიგარეტს მოუკიდა, ვეფხისტყაოსანმა რვა საუკუნეს გაუძლო და მაინცდამაინც ახლა რატომ მოძველდა, ხომ ვერ მეტყვი?! ჩემი თაობაც წავა, როცა იქნება და საეჭვო ფასეულობებზე გაზრდილი მომავალი ჩვენს ნაწერებს აღარ წაიკითხავს. ბავშვებმა ის კარგად იციან, რა ფერ საცვალს ატარებს რომელიმე კინოვარსკვლავი, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ვინ არიო რომ ჰკითხო, გაკვირვებით შემოგხედავენ. სულგამოცლილ ქვეყანაში ათი წლის შემდეგ თოფის დამკავებელი აღარავინ იქნება სამშობლოს დასაცავად. ერში მარადიული ფასეულობები ინახავენ იმ სიტბოს, რასაც სამშობლო ჰქვია და რისთვისაც სიცოცხლეს წირავ კაცი. ნელანაც გითხარი, ვწერ იმისთვის, რომ არ გავგიჟდე და თაროებზე ვალაგებ. აღარაფერს გეუბნები ხოლმე, გული არ მინდა გატკინო.

დიმიტრისთანა ქართველისთვის ამის მოსმენა ადვილი არ იყო, მაგრამ ჩამოქნილ სახეზე ნაკვიცი არ შერხევია. ღვინო მოსვა და მშვიდად დაუბრუნა:

— ეგ ყველაფერი მოსალოდნელი რომ იყო, მე მაშინვე ვხვდებოდი, ოცი წლის წინათ. ორი საუკუნე ოცნებობდა ეს ოჯახი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— რა და ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელმაც ხმლის ეპოქაში დაკარგა თავისუფლება და ატომის ხანამდე ორი საუკუნე



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

სხვა ხალხის სახელმწიფოში ვიცხოვრეთ. ის სხვა კი ჩვენ ენას ძალის ენას ეძახდა და ათასგვარ გენოციდს გვინწყობდა. ოდესმე გიფიქრია იმაზე, რომ იმ ხმლის დროიდან დღემდე ყველა თაობა რალაც ფასეულს კარგავდა? ძნელი მოსასმენია, შვილო, მაგრამ ფაქტია. დღეს ჩვენ იმ თავისუფალი აზროვნების მქონე საქართველოს ნარჩენი ვართ. საკუთარი ხელით საქმის კეთებას გადავეჩვიეთ. ბევრი ავტორიტეტი დამეთანხმება, რომ ამ აღმოსავლეთდასავლეთის გზათგასაყარზე, სადაც ჩვენი ქვეყანაა, არანაირი ლოგიკით სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს, რომ არა ქართველების მიერ გამოიმუშავებული კულტურა ამ მიწის ფლობისა. აქ მუდმივად იდეალში ბატონობდა მატერიალიზმზე. ძვირფასეულობით ხატებსა და იარაღს ვამკობდით, ანუ გვწამდა და ომი შეგვეძლო. შენ მე ყრუ ხომ არა გგონივარ? კარგად ვხედავ, რაც ხდება დღეს აქ, მაგრამ ახალიც არაფერია. დღეს ამ მიწას ერთი იმპერია ეცილება მეორეს. ჩვენ კი თავის გადარჩენა გვმართებს, ირაკლი! განა ქართველის ნათქვამი არაა: ალია, ბალია ორივე თათარიო?! ნუ ჩამოყრი ხელეებს! ბოლომდე მიეცი მისაცემი და ის აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს.

— რას მირჩევ?

— თანამოაზრეები ხომ გყავს?! ჩვენნაირი ოჯახები ღმერთმა ნუ დალიოს! პირველ რიგში საკუთარ თავს მოერიე, ნუ ჩაიკეტები! ვიცი, როცა დევნიან შენს საქმეს, კაცი უსახსროდ რჩები; მითუმეტეს, ამ დროში. გაყიდე ეს სახლი. უფრო მცირე სამყოფელი გაიკეთე. ალებული ფული დიდხანს გაცხოვრებს. ოჯახი შექმენი და შვილები გაზარდე. შენს საქმეს კი არ გადაუხვიო, იცოდე. აბა, გადახედე წარსულს, რამდენი სისუსტე გიყურებს იქიდან! შიოსუბნის კოშკი ალაღვინე და ეს ნივთები იქ გამოფინე! მშვენიერი მუზეუმი გამოგივა. ათი ათას ადამიანს მაინც რომ გადააბაროთ შენ და შენისთანებმა ჩვენებური სულის გასაღები, საქართველო იცოცხლებს!

— გათოვდა. ნახე რამხელა ფანტელებია... გაულიმა მოხუცს ირაკლიმ.

— ხო, დღეს მთელი დღეა აპირებს. დიმიტრიმ თავისი ხელით შეივსო სასმისი და შვილიშვილის ჭიქას მიუკაკუნა. თუ ფასეულობა მარადიულია, ის არ ქრება. აქ თუ გაქრა, კი არ მოკვდება, გარდაიცვლება და სხვა სამყაროში დაიდებს ბინას. ის, რაზეც ჩვენ გვწყდება გული, ირაკლი, დიდი ხანია ზეციურ საქართველოშია გადაბრძანებული. მთელი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის წარსულს ჩავკირკიტებდი და ბევრი რამ ვერ ამოვხსენი. ან როგორ უნდა ამომეხსნა?! ისინი ხომ იქ არიან უკვე. თითო ზევით აიშვირა მოხუცმა და მშვიდად გაიღიმა. მაგრამ მალე ვნახავ მათ. მე იქ უკვე მიმელიან. გაგიმარჯოს! კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ იმ საქართველოს ხილვის ღირსი გახდეს!

დიმიტრიმ ჭიქა გამოცალა, წამოდგა, შვილიშვილს ხელით სახეზე მიეფერა და ოთახიდან გავიდა. ირაკლი ერთხანს დალურსმულივით იჯდა, მერე ხელში შეყინული სასმისი დაცალა და ტელეფონს გადასწვდა. ნომერი დამაჯერებლად აკრიფა. ქალმა უპასუხა.

— თინათინ, ჩამოვედი. ახლა არაფერი მკითხო. უბრალოდ მოემზადე. როდემდე ვიყო ასე?! ხვალ ჯვარი დავიწერო.

— კარგი, დაგელოდები. უპასუხა ქალმა.

— დილით მოგაკითხავ. გკოცნი...

ფანჯრიდან ორომტრიალა ფანტელებმა დაქანცულ ირაკლის ძილი შეახსენეს. სუფრის ალაგება არც უცდია. მხოლოდ ლევანისეული ხმალი აიღო მაგიდიდან და თავის ადგილზე ჩამოკიდა.



ვანო ჩხიკვაძე

ფიფქები

ახალწლის ღამეში დამეძებთ, მოფრინავთ ერთად თუ ცალ-ცალკე და ვიდრე დადნებით, ნამცეცვა ფრთებივით ცახცახებთ წამწამზე.

ღვთიური უბიდან იფრქვევით, მეძახით, მალვიძებთ, სად ხარო, სამოთხის გულთეთრა ჩიტებო, ნეტავი რა უნდა მახაროთ.

და ვიდრე ჩვენ ერთად ვიქნებით ვილოცოთ ვერცხლისფერ ზამთარზე. ხელისგულს გაშველებთ ფიფქებო, მინაზე რბილად რომ დაბრძანდეთ.

ბელურა

გიორგი მახარობლიძეს

შენ ხარ ბელურა ჩემი ქალაქის მხრებაწურული და მობუზული. მკაცრი ცხოვრება გაფორიაქებს ქარის სტვენით და ქარის ზუზუნით.

შენ ხომ სიკეთის ნამცეცვიც გყოფნის, რადგან სინდისის შუქი კლებულობს, მხოლოდ იმიტომ ანთისხარ ობლად, რომ შეიყვარო და უერთგულო.

ივლება ჯვარით ჭიქა დაცლილი, თოვლი კი არა, დარდი უღევი, გათოვს და ნაცნობ გზით მოგაცილებს დილა, შენსავით ნაბახუსევი. შეიფრთხილებს გული ტიალი, ფიფქმა თვალიც რომ დააფახულოს. შენ ხარ ბელურა — ტოტზე წრიალებ და გაზაფხულზე სიზმრებს ნახულობ.

* * *

ასე დაიწყო ეს თებერვალი —
გარდაიცვალა პოეტი ქალი.

ჩაბარდა გამჩენს გათენებისას,
ვისი სტრიქონიც თრთოდა ვნებისგან.

წერამწერალმა ასე ისურვა —
დაჭკნა ღიმილი ვით ფურისულა.

ყინვამ გათოშა ანცი ბელურა,
ლექსსა და თუთუნს ვინც უერთგულა.

ჩაცხრა თვალეებში შავი ავაზა,
ჩატყდა თითებში ფიალა წამლის.
სული, პოეტის ბოლო ნაფაზი —
ცისკენ წავიდა თუთუნის კვამლი.

ცხოვრებამ არც მას არ დაუყვავა,
ხან ის უყვარდათ, ხან მას უყვარდა.

არ ჰგავდა შექმნილს ადამის ძვლიდან,
ბედის ჯინაზე ცვლიდნენ და... ცვლიდა.
შეკრა სიკვდილის სონეტთა რკალი —
გარდაიცვალა პოეტი ქალი.

ძილში სტრიქონი აღარ აბოდეებს,
თავისკენ უხმობს უცხო შორეთი.
ამ ჯოჯოხეთის მნახველ ქალბატონს,
ვერ გააკვირვებ მაგ ჯოჯოხეთით,

ამიტომ გულით შეგთხოვ, უფალო,
სასუფეველისკენ გზა გაუკვალო.

ასე დაიწყო ეს თებერვალი —
გარდაიცვალა პოეტი ქალი.

ნეტავი

ნეტავ რომელი წელია —
დები სარკმელთან მღერიან —
„ამბავი ჩვენი ტრფობისა
გულისფიცარზე წერია.“

ნეტავ რომელი წელია,
ანდა რომელი მაისი,
ის მოგონება, ის ხმები,
ხელზე ჩიტივით დავისვი.

ნეტავი წლების ღობიდან
წარსულში გადამახედა,
მეზობლის ორი ფერია
როგორ ღიღინებს სარკმელთან.

იმ სიმღერებში ცრემლი და
იის სურნელი ერია
ნეტავ რომელი წელია —
დები სარკმელთან მღერიან.

პარალელი

ქარები გაძარცვეულ ხეებს გარს უვლიან,
ბალი შემოქარგა ფოთლის დიადემა.

შენი მომავალიც უკვე წარსულია,
უკვე იძახიან:
— ჩქარა, გვიანდება!

მზიან სიმღერებში სევდამ შემოთქორა,
შენ ვინც გიხაროდა, ახლა სად არიან?

მიდის, ჩაიფერფლა თვალწინ შემოდგომა,
ღამე აყმუვლდა და თითქმის ზამთარია.

ცისკენ ინვერება სული — კვიპაროსი,
სიზმრებს შეგიჭრყოლებს კენესა ბალდახინის.

მიდევს აღრენილი მძიმე დიაგნოზით
გული ხელისგულზე, დარდით გადაღლილი.

ნარწარა საკუთარ ნიბნეა

კარლო ფაჩულიას

ცაზე გადაიციცა
მარტის მთვარის ნამლევი.
ნიგნის ყდაზე აყივლდნენ
კარლო, შენი მამლები.

ოქროს ბიბილოებით,
ბიბლიური დეზებით,
— ჩქარა! — ამოსასვლელად
დილის მზეს აქეზებენ.

ხრინწსაც მოიცილებენ
თუ ცოტათი დაუთბათ.
ჯავრობენ მეზობლები
ჩვენთან მამლებს რა უნდათ!

ამობრიალდებიან
უცებ ცეცხლის ენებად,
კიდევ მაინც გაჩვენა
მათი ყელმოღერება.

გიყვივან, გიხმობენ —
არ თქვა, ველარ დავლევი.
იყიყინეთ, ჯინაზე,
ფაჩულიას მამლებო.

* * *

დაისვენე. დაისვენე. დაისვენე.
მკერდზე ორი ხელისგული დაისვენე.

ნაადგომევს, მაისში ან ნამაისევს,
შვიდფეროვან წვიმით თავს რომ დაისველებ.

მზისგული რომ მარტის იებს გადაიფენს,
ამ სოფლიდან იმ სოფელში გადაიფრენ.

ან შობამდე, პირველ ფიფქებს მოთოვს ვიდრე,
თეთრი ქირხლი საფეთქლებს რომ გააფითრებს.

დაისვენე. დაისვენე. დაისვენე.
მკერდზე ორი ხელისგული დაისვენე.

გაუყუჩდი გულზე ბოლო ნაიარევს,
ლურჯი კიბით ცის აღმართი აიარე.

„გრიგორიჩი“

დავით კაპანაძეს

სარკმელს ქრისტეშობისთვე
უცებ შემოუბერავს,
ქარი ხის კენწეროებს
ლლაბუციტ რომ მოლლის.
ბედოშვილის ბუნაგში,
მოღულუნე ლუმელთან
გაიშლება სუფრა და
დაიყრება თოხლი.

სავსე არის დოვლათით
მისი საათაბაგო,
„ცოცხალს“ მოაციმციმებს
ქალბატონი მერი.
— ჩამოასხი თავადო,
„გრიგორიჩი“ თამადაობს! —
დოქის ყელში შემთვრალი
ატენური მღერის.

სამი დეკემბერია,
ორიათასცხრა წლის,
ჩვენ საცოდავ ქვეყანას
ვინც დაუდო კვანტი,
ითოშება დისევთან,
კბილმოჭრილი ანწლით,
ნიჟნი-ნოვგოროდელი
რიჟა ოკუპანტი.

ჩვენი წუთისოფელი
გრიგალი და ქარია,
მძიმე დღეებს ხანდახან
მზიანს გამოურევს,
იმედია, უფალი,

სხვისი მიწისპარიას
რაც ჩვენთვის სურს, თვითონაც
ალარ გამოუღევს.

— ჩამოასხი თავადო,
„გრიგორიჩი“ თამადაობს! —
დალია და ულვაში
ჩაინურა შვებით.
თითქოს აღმოაჩინა
სიყვარულის საბადო,
ფრჩხილის წვერზე ჩაკოცნა
ატენურის შხეფი.

მარად დაუვინყარო,
მეგობარო ვანია,
ნაძვთან რომ მისდგომიხარ
შავი კვრინჩხის ძეძვებს,
უნდა გითხრა სიმართლე,
მხოლოდ შენი ბრალია,
ცხრა მთისა და ზღვის იქით,
მეგობარს რომ ვეძებ.

სულ ასე ბზრიალებდა
ჩვენი იღბლის ჩიკორი,
გვართმევდნენ და გვართმევდნენ,
მაგრამ ღმერთის მადლით,
მურვან-ყრუ და მონღოლი
ჟამმა გადაიყოლა,
ბოლოს მაინც აქ რჩება,
ბედდამწვარი ქართლი.

რაც არ უნდა იფხორო,
მინაზე აბრაგუნო,
ოფლით აშმორებული
დანალული ჩექმა,
კვრინჩხით პირმოშაბულო,
სმოლენსკელო დრაგუნო,
მაინც ვერ ვუღალატებთ
„გრიგორიჩის“ გეგმას.

სავსე არის დოვლათით
მისი საათაბაგო,
„ცოცხალს“ მოაციმციმებს
ქალბატონი მერი.
— ჩამოასხი თავადო,
„გრიგორიჩი“ თამადაობს! —
დოქის ყელში შემთვრალი
ატენური მღერის.

თვითმფრინავიდან

იმ ვარსკვლავთან შემიჩერეთ
იმ ღრუბელის შესახვევთან,
იმ ქულაში ჩემი სული
სამუდამოდ შესახლდება.

ჩაქრა შენი სიყვარული
ვით ნიშაში კელაპტრები.
გადამალა, დედამინავ,
უკვე აღარ მენატრები.

რა ვთქვა, ვით ვთქვა, ვის შევჩვილო
სხვა მრავალის შესახებ და...
იმ ვარსკვლავთან შემჩნერეთ,
იმ ღრუბელის შესახებვეთან.

* * *

მოულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.

შეუქეს, შემდგომ სალამ-ქალამის,
ამან — მეფობა,
იმან — კალამი.

შეეფერებათ ვითარც ახლობლებს,
იმასლაათეს და ილალობებს.

ჩვენს სასიკეთოდ, განგების ძალით,
გვერდიგვერდ ძოვდა მგელი და ცხვარი...

იქვე, უხილავ კარის მასხარას,
ნამოსცდა, ბევრი არ დაახანა:
„როცა ქვეყანას რყვნის ფანფარონი,
როცა ხორცი და სული შიმშილობს,
როცა მტყუანი მართალს აბოლებს,
შენ რა გახარებს, შე ვირიშვილო!..“

ხანდაზმულ მგოსანს უკვდავებისკენ
გაუადვილოს, ვინძლო, ნახტომი —
მოულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.

* * *

გავიხედე,
დარდი გადამეყარა,
ქარი ფიფქებს
გრაგნილებადა ახვევს.
თოვლი მოდის —
გაიზადრა ქვეყანა,
ძლივს სამშობლო
მომლიმარი ვნახე.

მტკვართან

მიღელავს ჩვენი გვადალკვივირი,
და ზღვის თოლია მისდევს ყივილით.

გალმა-გამოღმა ცხელი ავვისტოს
მოახლოება გაკრთობს, ბალახო,
მთვლემარე ქართლი არ გააღვიძო
და თავისთავი არ დაანახო.

აღარ დაჰხარის ლურჯი ზეციდან,
ხორბლის ხოდაბუნს მზე გადახრილი.

ჩემად გაუყვეს სარეცელი და
შუაში ჩადეს მტკვარი — მახვილი.

არ იცის, არა, არ გაუმხილო,
როგორ ჩაქერი სისხლის დუღილო.

სადღაა შვილი, ჭირთა მდევნელი —
სული, რომელიც ანგრევს ჯვბირებს.
ან იალბუზზე ფეხის შემდგმელი,
დიდ მთებს დრეკას რომ დაანყებინებს.

წევს დაგლეჯილი და დანატორი —
ღია ჭრილობებს ილოკავს ძილშიც,
მაგრამ სადღაა თავი პატრონის
მონღოლის კუნძზე დადების ღირსი.

არ ახსოვს, არა, არ გაახსენოთ
სად ვართ, როგორ ვართ, ან ვით ვარსებობთ.

მტანჯველო ჯავრო საფეთქლებს ხეთქავ.
შიშველ ფეხისგულს კოცნის ლადარი.
რეტის დამსხმელი მოვარდა სეტყვა,
მაგრამ რომ დახვდეს, ქვა არსად არის.

არ უთხრათ, არა, ბედმა ინება,
განყალდა ქართლში ჩვენი პურ-ღვინო,
ეჰ, ამ გულს როგორც ელიღინება,
ჩვენს დამანყევარს ისე უღბინოს.

მიღელავს ჩვენი გვადალკვივირი,
და ზღვის თოლია მისდევს ყივილით.

* * *

ეს წვიმა იმ წვიმის მსგავსია,
ის წვიმა ამ წვიმას არ ჰგავს,
სიყვარულს (ჯერ კიდევ ბავშვია),
წვეთების ძაფებით ქარგავს.

რაფაზე ჩიტვივით დაფრინდი,
ნისკარტის კაკუნით დახვალ.
მიყვარხარ მარტშიც და აპრილშიც,
მაისში მაინც სულ სხვა ხარ.

რა ვუყოთ, ცხოვრება ასეა,
ვპოულობთ, გვართმევენ, ვკარგავთ...
ეს წვიმა იმ წვიმის მსგავსია,
ის წვიმა ამ წვიმას არ ჰგავს.



გივი თოიძე

ქართლი



სალომე ბენიძე

ბაქო. ვიზიტი მეორე

როცა შენი ხერხემალი
ჩემს მკერდს ეხება
და მზე მრგვალდება ჰორიზონტზე,
მე ხელებს ვანყო შენს მხრებზე და
უსიტყვოდ მჯერა.
რომ რაც კი მოხდა,
მოხდა ჩვენთვის არა შემთხვევით,
არამედ „სახელითა მამისათა“...
არ გავაგრძელებ.

როცა ჩემკენ ტრიალდები
და შენი კანი
ჩემსას ჩუმად უყვება ამბებს
ძველი აზიის,
ცრემლიან სახეს შენს ყელთან ვმაღავ,
შენ კი ჩემი დამტვერილი თმა ისე გართობს,
იცი, შენი ვარ,
რადგან ამქვეყნად „არ არსებობს ღმერთი თვინიერ“ ...
ნუ გააგრძელებ.

როცა მზე ისე ნახევრდება,
როგორც ნესვი, შენს მიწაზე მოყვანილი,
დანის დარტყმისას,
მე ვწევარ ზურგზე,
შენ კი დალილ ფეხებს მიკოცნი,
დახუჭული თვალებით ვხედავ ყველა ვარსკვლავს —
ჩემს თვალებში უღრუბლო ცაა,
ვჩურჩულებ: „ღმერთო“...
ჩურჩულებ: „ალაჰ“...

როცა შენი ტუჩები
დაგლეჯილ სიტყვებს ჭამენ ჩემი ტუჩებიდან,
მე მეჩვენება,
რომ გამყოფი ჩვენს ღმერთებს შორის
დანგრეულია —
დღეს ჩემთვის შენ ხარ ყველა ღმერთი,
შენთვისაა ყველა ლოცვა,
ყველა ფსალმუნი,
შენით მაცდუნებს ორივე ხელი,
ორივე თვალი,

ორივე ბაგე,
გული,
გონება,
სხეული,
გრძნობა,
დაე, მომკვეთონ საკუთარ თავს —
განწირული ვარ.

როცა ჩემი მოხრილი ზურგი
შენს მკლავზე წევს,
გვიყურებს მთვარე,
რომ ყველაფერი გავიხსენოთ,
რაც დავივინყეთ,
არ შემომხედო,
მე ახლა ვიტყვი: „შემინდე, უფალო, რამეთუ“...
და გავაგრძელებ.
შენ, შეგიძლია, საკუთარ თავს ელაპარაკო.
იქნებ გვეპატიოს ერთმანეთი.

გავშვოვის ქალაქი

იმ ღამით, როცა შენ არ მომიკვდი,
მე დამესიზმრა,
მეცვა ჩემი წითელი კაბა
და მწუხარებით სავსე თვალებით დავჩერებოდი
დავინყების ჩუმი მდინარის
დამშრალ კალაპოტს.

იქ, სადაც ჩემი ყველა ლექსი,
ერთმანეთს ისე ემსგავსება,
რომ სტრიქონები ვერც კი ასწრებს ფერის შეცვლას,
სადაც ჩემი ყველა ნაბიჯი
შენს კვალს მიჰყვება
და იკარგება მდინარის პირას,
ორი რამ დამრჩა,
ორი ბავშვობა —
ჩემი და შენი.

სადაც წლების წინ საკუთარ ხელით
დაიბრმავეს თავი ხეებმა,
დაითხარეს მწვანე თვალები,
რომ მე და შენ, ერთმანეთისკენ ზურგით მდგომნი,
ალარასდროს არ დავენახეთ,
ჩვენ დავივინყეთ ერთმანეთი,
ყველა გზა და ყველა ბილიკი,
სადაც გვივლია,
არდაბრუნებას გადავულოცეთ.

მერე მითხრეს —
თურმე ერთ დღეს მოვიდა ქარი
და თან წაიღო ჟანგისფერი ჯიხურების
სევდა და ფიქრი,
სანამ მე, ფეხშიშველი და ხელებგაშლილი,
გადავდიოდი აეროპორტიდან აეროპორტში,
და შენ, მომლიმარი და თავისუფალი,
ჩემს სიზმრებს სხვებს უხდენდი,
სხვებს, რომლებსაც თეთრი ხელები
არასოდეს გაყინვიათ შენს დანახვაზე,

სხვებს, რომლებსაც არასოდეს უკითხავთ შენთვის,
როგორ იყავი,
ხომ არ გლლიდა თანდაყოლილი, ჩუმი სიმძიმე,
რომელიც თან სდევთ უფლისწულებს დაბადებიდან,
სხვებს, რომლებსაც არასოდეს უყვებოდი,
რომ ჩემი თმა ყველა თმაზე მზისფერია
და ყველა ღამეს გაგინათებს,
რომ ჩემი თმა ყველა თმაზე გამძლეა
და ყველა თმაზე უფრო გრძელი,
და ყველა ჭიდან ამოგიყვანს,
მაშინაც კი,
როცა მინიდან ზეცისაკენ მიმავალი ყველა ბილიკი,
ჩვენი ბავშვობის ქალაქივით გაფერმკრთალდება.

იმ დილით, როცა მე არ მოგიკვდი,
წვიმის ხმაურმა გაგაღვიძა,
გამოყევი გარეთ ნიაღვარს
და დამინახე,
როგორ ვიდექი სველ ასფალტზე თმაგაშლილი,
ქარისგან ქოლგანაღებული
და გაოცებით მივჩერებოდი შენს უძრავ თვალებს —
ჩემი ყველაზე გულწრფელი და ბანალური ოცნებების
ჩუმი მდინარის
დამშრალ კალაპოტს.

შეშორების ლოცვაებიდან

ივნისში, ურანოპოლისში მითხრეს,
ძალიან ახლოს ცხოვრობსო აქედან,
აქვე ცხოვრობსო, მწვანე ნახევარკუნძულზე.
სანაპიროზე დიდხანს ვიდექი,
ქვები სველი იყო,
თავის შემაგრება მიჭირდა,
მზე აცხუნებდა,
მხრებს მინვაგდა,
ჯიუტად გეძებდი მეორე ნაპირზე,
რომელიც უშველებელი სილურჯის იქით მოჩანდა,
მეგონა, გნახავდი ქვიშაზე მოსეირნეს,
ან თუნდაც, ტალღებზე მავალს,
მაგრამ ვერავინ დავინახე,
საკუთარი მეგობრის გარდა,
ეგეოსის ზღვას რომ მოაპობდა მძლავრი მხარულით.
დიდხანს ვიდექი,
გემის საყვირმა გამომაფხიზლა —
ნასვლის დრო იყო.

ივლისში, თბილისში მითხრეს,
აქ დადისო, ვინრო ქუჩებში,
ყველა ღიმილში ცხოვრობსო და ყველა სახლში,
და მეც ვიარე,
ვიარე კარდაკარ,
ისე, რომ არავინ შემომშველებია,
ვიარე, რომ დამენახე მეტეხის აღმართზე,
ან ნარიყალას კარიბჭესთან,
ან მტკვრის ნაპირას, ბადით ხელში,
თევზის მომლოდინე,
ან თონეში, ცომით ხელში,

პურის გამოცხობის მომლოდინე,
ჩემს დასაპურებლად.
ბევრი ვიარე,
არცერთი რუკა არ გამომადგა,
ფეხქვეშ გამიცვდა ყველა ქუჩა, ყველა ბილიკი,
მანქანის შუქმა გამომაფხიზლა —
ძილის დრო იყო.

ავგისტოში მითხრეს, სად — აღარ მახსოვს,
მასში ცხოვრობსო, ვინც შენ გიყვარს,
და მე განვაგრძე მისი სიყვარული,
როგორც არასდროს,
მისით სუნთქვა,
წყლის სმა მისი დამსკდარი ხელებიდან,
იქნებ მეპოვე მის თვალებში,
ასე მონყალე,
გულუხვი და მიმტევებელი,
ქვრივთა ნუგეშისმცემელი და ობოლთა შემწე,
და ბოლოს მივხვდი —
მეცოდებიან ქალები,
რომლებიც შუალამისას
ბრუნდებიან სახლში მარტონი,
მანამდე კი აძინებენ მეგობრის შვილებს
და ღამის თორმეტზე უკაცურ სახლში შესულებს
არ უყვართ საშინელებათა ფილმების ყურება.
და კიდევ უფრო ბოლოს მივხვდი,
როგორ შემეცოდა საკუთარი თავი.
მარტოობამ გამომაფხიზლა —
დრო აღარ იყო.

სექტემბერში ჩემს თავს ვუთხარი,
შენშია-მეთქი, სხვაგან არ ეძებო.
დიდხანს ვუთმინე საკუთარ თავს უმოქმედობა,
შიშები და ნევროზული შემოტევები,
დიდხანს ვუზიდე ნამლები უახლოესი აფთიაქიდან,
დიდხანს ვუსმინე, იქნებ რაიმე გეთქვა,
იქნებ დამენახე, როცა სარკეში ჩავიხედავდი,
ან იქნებ სისხლს გამოჰყოლოდი,
თუკი ვენებს გადავიჭრიდი,
იქნებ გუგებიდან გადმომსვლოდი თავჩამომხრჩვალს,
ან ცრემლებად ჩამომდენოდი,
საკუთარი თავის გამოტირებას თუკი შეეძლებდი.
ყველაფერი ვცადა —
არაფერი გამომივიდა.

ახლა უკვე ოქტომბერია.
ხორხში თევზის ფხასავითაა გაჩხერილი
შენთვის სათქმელი „ამინ“,
და შენც პურის ყუას არ მაძლევ,
რომ დახრჩობისგან გადამარჩინო,
მე კი ვზროტინებ,
შუალამისას სახლში მარტო დაბრუნებული,
სახლში, რომელსაც კედლები და ქერი არა აქვს.
მასწავლე საკუთარი მისამართი,
მასწავლე მისი მისამართი
და შენი მისამართიც მასწავლე,
ღმერთო.

გამოსამშვიდოებელი პარათი

ეს თებერვალი, ამბობენ, რომ იქნება გრძელი, იანვარს მიაქვს ყველა ფიქრი, დარდი, კამათი, ჩემს საყვლოში ნუ გაითბობ გაყინულ ხელებს — ახლა სხვა გზა გაქვს, სხვა სახლი და სხვა მისამართი.

ხეებს ტოტები დაეღლებათ, ამბობენ ასე, და კიდევ უფრო გაჭირდება გზების გაგნება, იარე ფრთხილად, მაშინ, როცა ადიხარ მთაზე, ადამიანებს, გაყინულებს, ქცეულთ საგნებად

არ ედარდები, შენ კი მაღლა მიიწევ ისევ, ვდგავარ და გხედავ, როგორ გკარგავ, როგორ მშორდები, კონტურებს ფერმკრთალს, შენს დახრილ მხრებს, თმასა და კისერს, ფარავს მწვერვალთან შეჯგუფული თეთრი ლოდები.

ამბობენ, მალე დიდთოვლობა გზებსაც ჩახერგავს, ჩაკეტავს ტყესაც, ველარ შევძლებთ ბუხრის დანთებას, და გათავდება ალბათ ერთ დღეს შეშაც, ნახერხიც, და შენი მოსვლაც ჩემთან კი არ დაგვიანდება,

ისე ნახვედი, რომ არასდროს არ დამიბრუნდე. კარს, შენ რომ ჩუმად გაიხურე, ქარი აწვალავს, სიზმრებს დავეძებ, გზებს კი ისევ ღამე მიმრუდებს, და ჩემი სახლი, ყველა სახლზე უფრო საწყალი,

თვლემს ტყის ნაპირას. თითქმის ნაშლილ, ფერმკრთალ ნაკვალევს, ჩემსას და შენსას, მალე ალბათ ველარც გავარჩევ, დაუბადებელ ჩვენი შვილის თეთრი აკვანი ბუხარში უნდა შევუკეთო, რათა გადავრჩე.

მე ვზივარ ზურგით კარისაკენ და აღარ გელი, აღარ გიხსენებ, თუმცა მაკრთობს მხრების ცახცახი, და ბევრი წელი, ბევრი გრძელი, დაღლილი წელი, ჩვენი ცხოვრების, შენთან ერთად, თოვლში დავმარხე.

დაყრუვდა სივრცე და ამქვეყნად ვუყვარდით ვისაც, არ არის სხვა გზა, დაგვივიწყონ უნდა იმათვე, ამბავი ჩვენი ქვეყნად მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით, ჩვენ ორმა ვიცით ჩვენი ყოფნის მთელი სიმართლე.

MADE IN CHINA

კარგად შეხედე დედამიწას, სულ ორი წუთით ღრუბლებისკენ აიწიე, ამაღლდი და გადმოხედე ცისფერ ბურთულას, დაუნდობლად რომ ვათამაშებთ. დააკვირდი — ხედავ ასოებს? პარალელებს და მერიდიანებს კვეთს ერთადერთი წინადადება: **Made in China.**

აქ ყველაფერი ერთჯერადია და ერთჯერად ადამიანებს

ისე კლავენ ერთჯერადი სნეულებები, ერთჯერად ქვეყნებს ისე ბომბავენ ერთჯერადი თვითმფრინავები, ერთჯერად ზღვებში ისე დაცურავენ ერთჯერადი გემები, რომ ვერაფერს გრძნობს ერთჯერადი დედამიწა, წვრილთვალეა დედამიწა, ყვითელკანიანი დედამიწა, **Made in China.**

ამ ერთჯერად სამყაროში ერთადერთი რამ გამომადგა მრავალჯერადი — ჩემი სიყვარული, რომელიც ბევრჯერ დამეკარგა, ბევრჯერ მომიკვდა.

ხშირად უთქვამთ ჩემს ერთჯერად ადამიანებს, რომ თუ სხვებივით ერთჯერადი სიცოცხლე გერგო, უხერხულია მარტო ყოფნა, მარტო ცხოვრება, მარტო ღიმილი, მარტო თრევა მძიმე ჩანთების, მარტო ძილი ფართო სანოლზე, მარტო დატკობა მზის სხივებით, ყველაფერზე კითხვის დასმა და საკუთარ მწარე კითხვებზე პასუხების გაცემა თვითონ.

დახედე საათს, ეკრანს შეხედე, ჩაიცვი, მერე გაიხადე, ჭამე, დალიე, ჩამოჯექი, ადექი, წადი — ეს ყველაფერი სულერთია, ეს ყველაფერი ერთიანდება ერთი ნიშნის ქვეშ: **Made in China.**

და სანამ იგრძნობ საკუთარ შუბლზე ამოტვიფრულ უცხო ასოებს, მანამ მიილე ჩემი მიტოვებული სიყვარული, ჩემი განწირული სიყვარული, ჩემი ღვთისგან და კაცისგან დავინყებული სიყვარული, ჩემი ქუჩის კუთხეში მიგდებული სიყვარული.

დამიჯერე, უხერხულია მარტო დგომა გაშლილ მინდორზე, უხერხულია მხრების გაშლა, მაღლა ახედვა. უხერხულია მარტო დევნა ცისარტყელების, მარტო ფრენაც უხერხულია, ფრთები რომც გქონდეს.

ვდგავარ, გიღიმი — ხელში უბრად არ შემატოვო ჩემი გაუბედავი სიყვარული, ჩემი აკანკალებული სიყვარული, ჩემი თვალმდაობრილი სიყვარული, ჩემი ფრთებმოკეცილი სიყვარული. მიმილე შენთან, სანამ დავახრჩობთ ჩვენი ჭუჭყით დედამიწას, სანამ ყველას დავემსგავსებით, სანამ გავხდებით ერთჯერადები — **Made in China.**


თომას მანი

იბსენი და ვაგნერი

იბსენისა და ვაგნერის დრამატული შემოქმედება — ეს არის ჩრდილოურ-გერმანიკული ხელოვნების სულის ორი დიდი გზავნილი, რომლებიც თამამად უსწორებენ მხარს სხვა ხალხთა თანადროულ ქმნილებებს: XIX საუკუნის ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ რომანს, საფრანგეთის იმპრესიონისტულ მხატვრობას. თავისი სიდიადითა და დახვეწილობით, თავისი ტიტანური ტკივილებით ისინი სამუდამოდ დაასვამენ ბეჭედს იმ ეპოქას, რომელმაც ისინი მოამინიფა, რომელზე თანაგრძნობანარევი აგდებულობით ლაპარაკი დღეს კარგ ტონად ითვლება, თუმცა თავისი მასშტაბებით ის ბევრად აღემატება ჩვენს ფრიად უძლურ ევროპულ თანამედროვეობას. სიდიადე, და კერძოდ, პირქუში, ტანჯული, სკეპტიკური და ჭეშმარიტებასავით მწარე ერთსა და იმავე დროს, ჭეშმარიტების ფანატიკურად მოყვარული სიდიადე, რომელსაც შესწევს ძალა, აღმოაჩინოს ხანმოკლე, ურწმუნო ბედნიერება წარმავალი მშვენიერებით ნამიერ თრობაში, — ეს იყო მისი არსი და ბეჭედი, და თუ იმ ძაფებს გავყვებით, მის ჭეშმარიტ შვილებს — ვაგნერსა და იბსენს რომ აკავშირებენ, გაგვიჭირდება განსხვავების პოვნა ზოგად-ეპოქალურ და უფრო ახლობლურ ნათესაობას შორის. ჩვენი განცდა, თაობის განცდა აკავშირებთ მათ, ისევე, როგორც ტოლსტოისა და ზოლას შემთხვევაში, მაგრამ ცალკეულ ნიუანსებში გამოყოფს მათგან. ცნობილმა ბაიროთელმა დირიჟორმა, რომელმაც მიუნჰენში პირველად ნახა იბსენის დრამა, ასეთი დასკვნა გამოიტანა: ეს ან სასაცილოა, — ან ისევე დიადი, როგორც ვაგნერი. დაბნეულობის ბრალი თუ იყო, რომ პირველის თეორიული შესაძლებლობა ივარაუდა, მაგრამ ასეთი ალტერნატივა ხომ თავისთავად გამორიცხავს უარყოფით არჩევანს. სასაცილო ან დიადი, — ეს კი ნიშნავს: დიადი, დიადი როგორც ვაგნერი, და ეს სიდიადე ისეთივე მოდერნისტული, გაბედული და გაუგონრად საინტერესო იყო, როგორც ვაგნერისა. ეს გახლდათ ჰერმან ლევი, მართალია მუსიკოსი, და ლიტერატურის სფეროში ნაკლებად გაცნობიერებული, მაგრამ როგორც ხელოვანმა, ბიურგერული დრამის დიალოგში მან შეიცნო ის საშუალებები, ხერხები, მომაჯადოებელი, უღრმესი ხიბლი, რომლებიც ასე ახლობელი და ნაცნობი იყო მისთვის ბევრათა სამყაროდან, შეიგრძნო არა მარტო მათი ძმობა სიდიადის ძალით, არამედ სიდიადეში, რასაც მარად შეიგრძნობენ და აღნიშნავენ.

იბსენი და ვაგნერი არ უყვართ ისეთივე სიყვარულით, როგორც გოეთე. მისგან განსხვავებით მათ შემთხვევაში სიყვარულისა და ღირებულების მახვილი მოდის არა მათ ცხოვრებაზე, არამედ მათ შემოქმედებაზე, და ისინი გაცილებით ძლიერად აღიზიანებენ ჩვენს შემოქმედებით

ინსტიქტს, ვიდრე გოეთე, რომელსაც, მართალია, მამისგან კი გამოჰყვა საქმის გასრულების ეთიკური იმპერატივი, მაგრამ მის ავტობიოგრაფიულ ქმნილებებს, სიმდიდრესა და ყოველგვარ კანონიკურ-ადამიანურ სისავსესთან ერთად, მაინც დაჰკრავს, ცოტა არ იყოს, დაუდევარი ფრაგმენტულობისა და შემთხვევითობის ელფერი.



განცდის, თვითგამოხატვის, აღმსარებლობის დიდებული, ადამიანური და კეთილშობილური სამყარო, რომლისთვისაც ობიექტური სინამდვილე მხოლოდ პოეტური ირონიის სახით არის ცნობილი — განა სავალდებულოა, განვაცხადოთ ჩვენი ტრფიალი მის მიმართ? როგორ უნდა გავიგოთ პროდუქტიულობა — როგორც ცხოვრების კვალი და ლამაზი შემთხვევითობა, თუ როგორც ფორმა, თვით ნების პირველადი გამოხატულება? ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მათი ერთმანეთისაგან განსხვავება, ვიდრე მათ შორის არჩევანის გაკეთება. იბსენი და ვაგნერი, გოეთესაგან განსხვავებით, იყვნენ სულით-ხორცამდე შემოქმედნი, წარმატებული და ძლევამოსილი ერისკაცები, და ამდენად, პოლიტიკური ადამიანები, და ამას უკავშირდება მათი მძლავრი, ახალგაზრდულად სოციალურ-რევოლუციური და მაგიურ-ცერემონიულში გარდამავალი თეატრალური შედეგების შეკრულობა, სფერული სრულყოფილება და უნაშთობა. „როცა ჩვენ მკვდრები ვიღვიძებთ“, ურუანტელისმომგვრელი ჩურჩულით ამოთქმული აღსარება შემოქმედისა, მონანიება, დაგვიანებული, ძალზე დაგვიანებული განდობა სიყვარულში სიცოცხლისადმი, — და „პარსიფალი“, ხსნის ორატორია, — როგორ მივეჩვიე მათ ერთიანობაში ხედვას, ერთიანად აღქმას, ამ ორი გამოხატობის დრამისა და უკანასკნელი სიტყვებისა საუკუნო დადუმების წინ, — მსცოვანობის ამ წმინდა ქმნილებებს დიდებულ-სკლეროზული დაღლილობის, უკვე მექანიზირებული ხერხების, ნაგვიანევი განზოგადების, წარსულის ჭვრეტის, თვითციტირების, კვანძების გახსნის ბეჭედი აზის. განა ის, რასაც „Fin de siècle“-ს (საუკუნის დასასრული) უწოდებდნენ, მცირე ეპოქის უბადრუკი სატირული თამაში არ იყო საუკუნის იმ ჭეშმარიტ, მუხლმოდრეკის ღირს გამოძახილთან შედარებით, ამ ორი ჯადოქრის მსცოვანობისდროინდელ ქმნილებებში რომ გაისმა? რადგან ორივენი ჩრდილოელი ჯადოქრები იყვნენ, ცბიერი, თვალთმაქცი მოხუცი კუდიანები, ჩაგონებისა და მონუსხვის ხელოვნებაში დაოსტატებულნი, რასაც ისინი აღწევდნენ როგორც გრძობადი, ისე დახვეწილი სატანური არტისტიზმით, უდიდესი შემოქმედების ძალით, უმცირეს დეტალთა კულტით, ყოველგვარი ორაზროვნებითა და სიმბოლოთა ძერწვის ხერხით, იდეის განდიდებით, ინტელექტის პოეტიკებით — ამასთან ერთად

მუსიკოსები, როგორც ეს ჩრდილოეთთა თავისთავად იგულისხმება: და არა მარტო ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც შეგნებულად შეისწავლა მუსიკა, რადგან სჭირდებოდა, როგორც დამპყრობს, თუმც აკვნიდან არ დაჰყოლია, არამედ მეორეც, მართალია, მხოლოდ ფარულად, — სულიერად, სიტყვებს მიღმა.

მაგრამ მე ვფიქრობ იმაზე, რაც მათ ყველაფერზე მეტად აკავშირებს ერთმანეთთან, — ეს არის სუბლიმაციის პროცესი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომელიც თითოეულის ხელში განიცადა ხელოვნების იმ ფორმებში, სულიერად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში რომ დაუხვდათ. ვაგნერისათვის ეს იყო ოპერა, იბსენისათვის კი — დრამა. გოეთე ამბობს: „ყოველივე სრულყოფილი უნდა გასცდეს საკუთარ ფარგლებს და რაღაც სხვად, უბადლოდ იქცეს. ზოგიერთი იმ ბგერით, ბუღბუღლი რომ გამოსცემს, ის ჯერ კიდევ ჩიტია, მაგრამ შემდეგ

ამაღლდება თავის კლასზე და თითქოს სურს უჩვენოს ყველა ფრთოსანს, თუ რას ჰქვია გალობა“. ზუსტად ასევე სრულჰყვეს ვაგნერმა და იბსენმა ოპერა და სამოქალაქო დრამა: მათ ისინი რაღაც სხვად აქციეს, სრულიად შეუდარებელ საფეხურზე აიყვანეს. და იმ გამოძახილს, იმ ნაშთს, ბუღბუღზე რომაა გოეთეს მაგალითში ნათქვამი, მათთანაც ვპოულობთ: დროდადრო, თვით მისი შემოქმედების მწვერვალამდე, „პარსიფალამდე“, ვაგნერთან ჯერ კიდევ გამოსჭვივის ოპერა; დროდადრო იბსენთან დრამის დიუმასეული ტექნიკა იჩენს ხოლმე თავს. მაგრამ ორივე შემოქმედია იმ გაგებით, რომ მოცემული არნახულ სიმაღლეზე აჰყავთ და მისგან ახალ, აქამდე წარმოუდგენელ თვისობრიობას ქმნიან.

გერმანულიდან თარგმნა
რუსულად ლვინაფაქია

უცხოეთის ცხოვრებიდან

ბრუნო ბეტელჰეიმი

ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური მომხიბვლელობის შესახებ

ძველად, დესპოტური მმართველი ქვეშევრდომთაგან ან არ მოითხოვდა ნებაყოფლობით თანხმობას ანუ მისი მეთოდებისა და ხედვისადმი შინაგან უთანხმოებას, ან, უბრალოდ, მსგავსი მოთხოვნების დამკვიდრება ძალით არ შეეძლო. იგულისხმებოდა, რომ ტირანს ყველა ემორჩილებოდა და რადგან ეს ასე იყო, სინამდვილეში რას ფიქრობდნენ, დიდად არც აინტერესებდა... მთავარია, ხმა არ ამოეღოთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევა, სინამდვილეში რას ფიქრობდნენ, მაინცდამაინც არც შეეძლო.

თანამედროვე ტოტალიტარულ სახელმწიფოებში მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებს უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვთ, ზეგავლენა ყოველი ადამიანის აზროვნებაზე მოახდინონ. დღევანდელ ტექნოლოგიებს კერძო პირის ყოველი ნაბიჯის შესწავლა შეუძლია. ეს და კიდევ მრავალი ფაქტორი ტოტალიტარულ დიქტატურას საშუალებას აძლევს, თავისუფალი აზრი ყველას აქვსო, ამტკიცოს — მასობრივი საზოგადოების დღევანდელ ტექნოლოგიებს ხომ მრავალ სფეროში ადამიანთა ძალისხმევა აუცილებლად სჭირდება — და ამის მიუხედავად, ყოველწინააღმდეგე ეცადოს ქვეშევრდომებმა ის ირწმუნონ, რასაც სახელმწიფო მიიჩნევს საჭიროდ. ამგვარად, წარსულში, დიქტატურის დროს, სისტემის შიგნით აზროვნებისა და არც თუ ისე იშვიათად მოქმედების თავისუფლების შენარჩუნებაც შეეძლო, რაც საკუთარი თავის პატივისცემას არ დაგაკარგვინებდა. დღესდღეობით კი სრულიად შეუძლებელია სისტემასთან შინაგანი წინააღმდეგობით იცხოვრო და თვითპატივისცემაც შეინარჩუნო. არსებითად ყოველი თანამედროვე ნონკონფორმისტი არჩევანის წინაშე დგება: ან ხელისუფლების მტერი უნდა გახდეს, რაც დევნისა

და ხშირად განადგურების მიზეზიც იქნება, ან ხალხს უქადაგოს ის, რაც შინაგანად თვითონაც სძულს. ნაცისტური მისალმება სწორედ იმისთვის შემოიღეს, რათა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — რესტორნებში, მატარებლის ვაგონებში, კანტორებში, ქარხნებში ან უბრალოდ ქუჩაში — იოლად გამოველინათ ისინი, ვინც ჯერ კიდევ ებლაუჭებოდა სალმის მოძველებულ, „დემოკრატიულ“ ფორმებს. ჰიტლერის მომხრეთათვის ყოველდღიური, მრავალგზის გამეორებული მისალმება თავდაჯერებულობის გამოვლინება და გაბატონების სიმბოლო იყო. ყოველთვის, როცა კანონმორჩილი სუბიექტი ამ მისალმებას იმეორებდა, მისი „მე“ ძლიერდებოდა. რეჟიმის მონინაალმდევეთათვის კი პირიქით იყო. საზოგადოებრივ ადგილებში ნაცნობთან შეხვედრისას ნონკონფორმისტის ისეთი განცდა ეუფლებოდა, რომელიც „მეს“ ურბევდა და პიროვნების შინაგან მთლიანობას უსუსტებდა. ყოველივე ამის წინააღმდეგ მისი „ზე-მე“ რომ გამოსულიყო, მისთვის უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ სალამი შუაში სწორედ „მეს“ ხლენდა. ფსიქოანალიტიკოსთა თეორიის მიხედვით კი, შინაგან და გარეგან სამყაროებს შორის შუამავლის როლი სწორედ მას აკისრია და მათი თანაფარდობა ინდივიდის სიცოცხლისუნარიანობის სანინდარია.

ერთადერთი საშუალება იყო, თავი დაგერწმუნებინა, სალამი არაფერს ნიშნავსო, რადგანაც გარემომცველი რეალობიდან გამომდინარე, იძულებული იყავი გეპასუხა, თუ გესტაპოში მოხვედრა არ გსურდა. პიროვნების მთლიანობას სწორედ მოქმედებისა და მრწამსის თანაფარდობა განაპირობებს, ამიტომაც თვითგადარჩენის მხოლოდ ერთადერთი გზა რჩებოდა: მისალმება შეუძლებლად აღარ უნდა ჩავთვავალა.

ეს კი უფრო დამთრგუნველი იყო, რადგან დღის განმავლობაში სალამს მრავალჯერ აძლევდი და არა მხოლოდ ოფიციალურ პირებს, ვთქვათ, პოლიციელს, მასწავლებელს ან ფოსტალიონს. მაშინაც კი, როცა იცოდი, რომ მეგობარი შენს აზრს იზიარებდა – მეგობრის ნდობა კი ყოველთვის როდი შეიძლება – იძულებული ხდებოდი ანგარიში სხვებისთვის გაგენია. ხომ შეიძლება შემთხვევითი ნაცნობი ამ ნორმის დარღვევით უხერხულ ყოფაში ჩაგეყენებინა? ყველა მოქალაქე ვალდებული იყო სალამის დარღვევის შემთხვევები ხელისუფლებისთვის ეცნობებინა და, ამგვარად, დამრღვევი დარტყმის ქვეშ არა მხოლოდ საკუთარ თავს, სხვებსაც აყენებდა. ნაციზმის მონინალმდეგებს სწორედ ამგვარად აიძულებდნენ, ან ნამებულები გამხდარიყვნენ და სხვების სიმამაცე და რწმენა გამოეცადათ, ან საკუთარი თავის პატივისცემა დაეკარგათ.

თუ ცნობიერებასა და არაცნობიერს ჭიდილი აქვთ, ეს აუცილებლად სიზმრებში იჩენს თავს. ტიპური მაგალითია ფაშიზმის პირველი წლების ერთი მოწმის სიზმარი, სადაც იგი ნაცისტური რეჟიმის წინააღმდეგ გალაშქრებას ბედავდა. სიზმარში ემორჩილებოდა ცნობიერების იმ მოთხოვნას, რასაც მორალურ ვალდებულებად მიიჩნევდა და საპროტესტო წერილს წერდა. მაგრამ გააგზავნიდა თუ არა, მაშინვე ხვდებოდა, რომ საგულდაგულოდ დაწებულ კონვერტში სუფთა ფურცელი ჩაედო. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ჩვენს გმირს ტიპური, „ფროიდისეული“ შეცდომა მოსდიოდა და საკუთარი ხვედრის სამართლიანი შიში ცნობიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ უბიძგებდა. მთავარი ისაა, რომ სიზმარი ადასტურებდა, ეს მღელვარება – სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდაცვა – ადრე თუ გვიან შენს რწმენას მოერევთ. ადამიანი სიზმარშიც კი ხვდებოდა, რა დამარბეველი შეიძლება გამხდარიყო მისი თვითპატივისცემისთვის ამგვარი შინაგანი კონფლიქტი და ის საშუალებანი, რითაც რეალობა მის მოგვარებას მოითხოვდა. თავდაპირველად ძალიან ეამაყებოდა, რომ პროტესტის გამოთქმას ბედავდა, შემდეგ ძალიან რცხვენოდა, რომ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. საბოლოოდ კი სიზმარი დამცირებისა და ღრმა სირცხვილის გრძნობას უტოვებდა.

ჰიტლერისეული მისალმების გამო სულიერი კონფლიქტი ბევრი გერმანელის ხვედრი იყო. ეს კი შეუცნობელ გამოვლინებას სიზმრებში ახდენდა. ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, ძალიან მალე, ერთმა მენარმემ სიზმარში ნახა, რომ მისი ფაბრიკა გებელსმა მოინახულა. „მუშათა რიგის წინ ნაცისტური სალამის ნიშნად ხელი უნდა ამენია. მთელი ნახევარი საათი დამჭირდა, რათა თითო-თითო სანტიმეტრით მისი აწევა მომეხერხებინა... აი, ასე ვეყუდე საკუთარ ფაბრიკაში, საკუთარი მუშების წინ აწეული ხელით, ვიდრე გამომეღვიძებოდა“.

ეს ადამიანი, ვისთვისაც ნაციზმი სრულიად მიუღებელი იყო, სიზმარშიც იმავე პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა,

რაც მის ცნობიერებას აესებდა – უნდა დაეთმო ან შეძლებდა თუ არა დაეთმო თავისი მრწამსი, რათა ფაბრიკა შეენარჩუნებინა? /ჰიტლერული რეჟიმის პირველ წლებში ფაშისტურ სალამზე უარის თქმა სიცოცხლეს ჯერ არ ემუქრებოდა. თავდაპირველად მხოლოდ კეთილდღეობას უტევდნენ/. სიზმარი აცნობდა სავარაუდო შედეგს, რაც ღრმა ზიზლს წარმოშობდა. ჩვენი გმირის განცხადებით, სიზმრისეულმა ბრძოლამ ხელის ასანეებად იგი „ხერხემალი გატეხა“. „ხერხემალი“ ჩვეულებრივი მეტაფორაა, რითიც ღრმა რწმენისა და მოქმედების თანაფარდობას აღნიშნავენ. სიზმარმა კაცს ის აუხსნა, რისი აღიარება საკუთარი თავის წინაშეც კი არ სურდა: კერძოდ ის,

რომ მხოლოდ თვითონ შეეძლო საკუთარი მორალური ხერხემლის დამსხვრევა და ნებისმიერი რეჟიმი ამის წინაშე უძლური იყო. გებელსმა როდი აიძულა ხელი აენია – თვითონვე აიძულა საკუთარი თავი, რათა სისტემასთან შეუფუებლობა არ გამოევიდნა. ის, რომ რეჟიმს შეუძლია ადამიანი აქამდე მიიყვანოს, კარგად ავლენს რა დამარბეველი შედეგი შეიძლება მოიტანოს მისმა ზემოქმედებამ.

სისტემასთან აქტიურად მეტროლი ადამიანები, ვისაც გადაწყვეტილების მიღების შინაგანი პრობლემა არ აწუხებდათ, სულ სხვაგვარ სიზმრებს ხედავდნენ. განა მშვიდად იყვნენ, მაგრამ თუ ერთხელ დაესიზმრებოდათ, რომ გესტაპომ დააპატიმრა და აწამებდა, მეორედ თავის გამარჯვებას ხედავდნენ. ჩაე თუ ისე, სიზმარში თავს არასოდეს აიძულებდნენ მრწამსი დაეთმოთ და მტერს დამორჩილებოდნენ.

ბრუნო ბეტელჰეიმი

ყოველივე, რაც ფაშისტური მისალმების შესახებ ითქვა, რა თქმა უნდა ნაცისტური რეჟიმის სხვა ყოველდღიურ გამოვლინებებსაც ეხება. კიდევ ერთ მაგალითს სკოლის მონაფის ცხოვრებიდან მოვიყვანთ. ერთხელ თანაკლასელებთან ერთად მოსახლეობის აღწერის საქმეში მონაწილეობა შესთავაზეს. თავის არიდება საკუთარი და მთელი ოჯახის კეთილდღეობის გამეტებას იწინავდა, თანაც წინააღმდეგ საკმაოდ უვნებელს გავდა. მაგრამ აღწერისას გოგონამ იგრძნო, რომ ამ დავალებას – ერთი ებრაული ოჯახის არსებობის წერილმანები უნდა დაედგინა – შინაგანად ეწინააღმდეგებოდა. გოგონა მიხვდა, რომ ამ ოჯახს იგი სძულდა, როგორც რეჟიმის წარმომადგენელი, და ამაზე გააბოროტა, მათ წინააღმდეგ შემართა. მაშინ მიხვდა, რომ რეჟიმი სწორედ ამის მიღწევას ცდილობდა და შეეძლო კიდევ საკუთარი ნების წინააღმდეგ წაეყვანა. ამაზე საკუთარი თავი შეაზიზლა, რაც შემდეგ სიძულვილში გადაიზარდა ამ პროგრამაში მონაწილეობის გამო, გარედან აღწერას რომ გავდა, სინამდვილეში კი მიზნად ებრაელთა დევნას ისახავდა. რა თქმა უნდა ის რეჟიმიც სძულდა, ასეთ შავ დღეში რომ ჩააგდო, მაგრამ საკუთარი თავი უფრო მეტად შეიძულა და მისი თვითპატივისცემაც საბოლოოდ დასამარდა.

ტოტალიტარული რეჟიმი სწორედ ამგვარად აყენებდა ყოველდღე მოთხოვნებს, რომელიც ან უნდა შეგესრულებინა ან თავი გაგენირა. სისტემის უამრავი მონინალმდეგე ამ



მოთხოვნებს ემორჩილებოდა, რეჟიმის სძულდა და საკუთარი თავიც და უმძიმეს შინაგან კონფლიქტამდე მიდიოდა: დამორჩილებოდა მრწამსს და გაერისკა თუ უსაფრთხოება აერჩია, მხდალის როლში გამოსულიყო და ყველაზე ძვირფასი გაენირა. რეჟიმს მათი სიძულვილი სულაც არ აწუხებდა, მშვენივრად არსებობდა. ისინი კი ნამდვილად ენამებოდნენ, რადგანაც გარეგან გამოვლინებას შინაგან ფასეულობასთან ვერაფრით ათავსებდნენ. სწორედ ამგვარად ხდებოდა რეჟიმი დამანგრეველი მათი მთლიანობისა და თვითპატივისცემისთვის, რადგან საკუთარი მრწამსის სანინააღმდეგოდ უწევდათ მოქმედება. ადამიანის თვითპატივისცემა და მთლიანობა კი – ამას ხაზგასმით აღვნიშნავ – სწორედ ის ფსიქოლოგიური საყრდენია, რაც ძალას გვანიჭებს ვიცხოვროთ ამ ქვეყნად, მუდამ განადგურებით რომ გვემუქრება.

ძალიან ხშირად სისტემის მონინააღმდეგე შევებას საკუთარ ოჯახშიც კი ვერ პოულობდა. მთლიანად ანტიფაშისტური განწყობის მქონე ოჯახი იშვიათობა იყო. განსაკუთრებით იოლად – სკოლებსა და ახალგაზრდულ, ჰიტლერულ ორგანიზაციებში – ბავშვები ინამებოდნენ. მათ ხომ დაუსრულებლად არნმუნებდნენ, მშობლებს უთვალთვალეთ და ხელისუფლებას აცნობეთო. რა თქმა უნდა ამას ყველა არ ემორჩილებოდა, მაგრამ ანტიფაშისტური განწყობის მქონე ადამიანთა შვილებს მძიმე კონფლიქტი ეწყებოდათ. ისინი ხომ მშობლების სიყვარულსა და იმ სახელმწიფო ვალდებულებებს შორის იხლიჩებოდნენ, რომელიც ასწავლიდა — მოლაღატის გაცემა ყველას მოვალეობააო. ამგვარი კონფლიქტი ბავშვებს იმდენად აწამებდათ, რომ ყველა სძულდათ, ვინც კი ამგვარ ფსიქოლოგიურ ჩინში აქცევდათ.

ადრე თუ გვიან ბავშვი გაბოროტებით აღიქვამდა მშობლების პოლიტიკურ მრწამსსაც და თვით მშობლებსაც. ასეთ პრობლემებს ხომ სწორედ ისინი უქმნიდნენ. თავის მხრივ, მშობლებს კარგად ესმოდათ, მათი შვილები რა ზემოქმედების ქვეშ ხდებოდნენ და ცდილობდნენ თავისი შეხედულებანი დაემაღლათ. განა ლაღატის ემინოდათ, ბავშვისთვის ცხოვრების გართულება არ სურდათ. ამიტომ ოჯახშიც კი შეუძლებელი ხდებოდა თვალთმაქცობისგან თავის გამოსხნა. ოთხ კედელში იქნებოდა თუ თბილ ოჯახურ სიმყუდროვეში, ის თავს არასოდეს განებებდა.

ერთმანეთს ყველაფერში მხოლოდ იდეური ნაცისტები ეთანხმებოდნენ და ეს რეჟიმის მომხრეთა რიგებს კიდევ უფრო ადულაბებდა. მონინააღმდეგეებს კი, პირიქით, სისტემის გარდა და უფრო ხშირადაც, ერთმანეთთან უწევდათ ბრძოლა თუ პრინციპულ საკითხებში არა, ყოველდღიურ წვრილმანებში მანაც. მუდამ თავს იჩენდა შემამფოთებელი პრობლემა, როგორ გაენიათ სისტემისთვის წინააღმდეგობა ისე, რომ ოჯახი არ გაემეტებინათ. მუდამ თავს იჩენდა მტკიცეული შეკითხვა, ჰქონდა თუ არა ადამიანს უფლება პარტნიორის ან შვილის თავისუფლება, კეთილდღეობა და თავად არსებობაც კი, თავისი პოლიტიკური და მორალური მრწამსისთვის შეენირა.

ამგვარი პოლიტიკური უთანხმოება ოჯახში ადრე თუ გვიან წამოტივტივდებოდა და გამართლებას უძებნიდა ძველ კონფლიქტებს, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდათ საერთო. ეს კი ქმარსა და ცოლს, მშობლებსა და შვილებს, ძმებსა და დებს შორის განხეთქილებას წარმოშობდა. მხოლოდ ერთ ასეთ მაგალითს მოვიყვან.

სამთავრობო მაღალი თანამდებობის მქონე ერთი ჩინოვნიკის ცოლს შეურიგებელი, ანტიფაშისტური შეხედუ-

ლებანი ჰქონდა. მისი ქმარი, არცთუ ისე ცუდი კაცი, იძულებული გახლდათ ყოველივეს შერიგებოდა, თუმცა ბევრი რამ მისთვისაც მიუღებელი იყო. ყოველმხრივ უზრუნველყოფილ მეუღლეს შეეძლო, არ ემუშავა და არც მუშაობდა. ამის წყალობით ისიც შეეძლო უსიამოვნო ჰიტლერული მისალმებისა და სხვა უთვალავი პარტიული ვალდებულებისთვის /ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა/ თავი აერიდებოდა. მისი ქმარი კი, სისტემის მოთხოვნათაგან გამომდინარე, ყოველივე ამას ძალაუბრებურად ასრულებდა.

რა თქმა უნდა შინ არავის სურდა, ოჯახის უფროსს თავისი მდგომარეობა დაეთმო და ყველა უკიდურესი სილატაკისთვის გაენირა. არადა, სახელმწიფოს ერთი რომ ეგუმანა, მთელი ეს ნლები სინამდვილეში რას ფიქრობდა, მთელ ოჯახს სახალხოდ შერისხავდნენ და ზოგიერთებს ალბათ კვლშიც ჩაუდგებოდნენ. ქალი, ერთი მხრივ, მშვენივრად იყენებდა იმ კეთილდღეობას, რასაც ნაცისტებთან ქმრის გარეგანი თანამშრომლობა უქმნიდა /შეეძლო ქუჩაში საერთოდ არ გასულიყო, საძულველი სალაში არავისთვის მიეცა და საკუთარ ფასეულობასთან კონფლიქტი არ შეექმნა/, მეორე მხრივ კი ქმარს სასტიკად აკრიტიკებდა, საკუთარ მრწამსს რად ლაღატობო. ამ კამათს კიდევ მეტად ამძაფრებდა ძველი უსიამოვნებები იმ მეუღლეებს შორის, კარგა ხანია ერთმანეთს თავს რომ არიდებდნენ.

განწყენებული კაცი, რომელსაც ცოლი ასე დაუნდობლად ამართახებდა, ანტიფაშისტურ იდეებს უფრო და უფრო შორდებოდა. იმის შიში, რომ ეს იდეები გამომჟღავნებოდა და მთელ ოჯახს დარტყმის ქვეშ დააყენებდა, კიდევ უფრო მეტად აბოროტებდა ცოლის მიმართ, ვისი მრწამსი და რწმენაც ოჯახს იზოლაციაში აქცევდა, თანამშრომლებთან ქმრის ოფიციალურ ურთიერთობას კი კიდევ უფრო ართულებდა. და რადგან ოჯახში ქედმაღლურად ექცეოდნენ, გარეთ კი — პირიქით, სისტემის ერთგულებას უფასებდნენ, კაცს თანდათან გაუქრა რეჟიმის წინააღმდეგ ის მღრღნელი ეჭვები, ასე რომ ურთულებდა როგორც საოჯახო, ისე სამსახურებრივ ცხოვრებას. ამის შედეგად ჩვენი გმირი, თუმცა გაჭირვებით, რეჟიმს მაინც შეეგუა და თავისი ფასეულობანი ისევე მყარად ჩამოაყალიბა, როგორც ცოლს ჰქონდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ის გააკეთა, რასაც ქალი მისგან ამდენ ხანს მოითხოვდა. ახლა აღარ მიაჩნდა თავი დამცირებულად ამ ქალის წინაშე, ვინც ამდენი წელი თავისი ფასეულობის ერთგული დარჩა. მეტიც, ისეთივე მორალური უპირატესობის შეგრძნება გაუჩნდა, როგორც ადრე ქალს ჰქონდა: ის ხომ პოლიტიკურ შეხედულებებს უარყოფდა, მისგან მიღებულ სარგებელს კი მშვენივრად იყენებდა.

შვილები დედასა და მამას შორის გაიყვნენ. ვაჟიშვილებმა ნაციზმი ხელაღებით მიიღეს, ამიტომ ცოლისა და ქალიშვილის მიერ ათვალწუნებულმა მამამ ვაჟიშვილების მხარდაჭერა მოიპოვა და თავს მარტოსულად აღარ გრძნობდა. ვაჟები დედის შეფასებებს არ იზიარებდნენ, არც ყურადღებას აქცევდნენ და ქალი თანამედროვეობას ჩამორჩენილ, გაუნათლებელ და ძველმოდურ არსებად მიაჩნდათ. ქალიშვილს მთლიანად დედის მხარე ეჭირა და, როგორც მოგვიანებით მიხვდა, ასე მამასთან შეუთანხმებლობის გამო კი არა, ძმებთან დაპირისპირების გამო მოხდა. გარდა ამისა, დედის ფასეულობები მომხიბვლელად ეჩვენებოდა, მისი მსჯელობა კი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ცოტა რომ წამოიზარდა, გოგონა იმასაც მიხვდა, რომ მისი მშობლების პოლიტიკური წინააღმდეგობა სათავეს უძველესი საოჯახო განხეთქილები-

დან იღებდა. ახლობლების ასეთი მწვავე დაპირისპირება გოგონასთვის ძალიან მტკივნეული იყო. მას ოჯახში მშვიდობა სურდა. თანდათანობით პოლიტიკისადმი გაბოროტება გაუჩნდა. ახლა პოლიტიკური შეხედულებანი იმ უბრალო იარაღად ერქვენოდა, რასაც ერთი ადამიანი მეორის წინააღმდეგ იყენებდა. პოლიტიკამ ხომ მას ოჯახური მყუდროება წაართვა, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა. და რადგან ყოველივე, რასაც პოლიტიკასთან ჰქონდა საერთო, ამაზრზუნად ერქვენოდა, თანდათან ანტიფაშისტური ან, თუ გნებავთ, პროდემოკრატიული მრწამსიც დაკარგა.

საბოლოოდ, ქალიშვილს ერთადერთი სურდა: ოჯახი კვლავ შეკავშირებულიყო და მშობლებს მეგობრულად ეცხოვრათ. ჯერ კიდევ მოზარდობაში მიხვდა, რომ დედის იდეები ოჯახს ვერ შეაკავშირებდა, მამას სამსახურს დააკარგვინებდა და ის და მისი ძმები უნივერსიტეტში ვეღარ ისწავლიდნენ. დედის ერთგულება თავისი ფასეულობების მიმართ ჯერ კიდევ იწვევდა მის ალტაცებას, და ამასთანავე სძულდა ეს ქალი, რომელიც ოჯახის მთლიანობას არღვევდა. ყოველივე ამან ღრმა შინაგანი ჭიდილი წარმოშვა, რომელიც სათავეს მშობლების კონფლიქტისგან იღებდა.

გოგონა იზრდებოდა და მასთან ერთად სიტუაციის შეფასების უნარიც გაიზარდა. მან დაინახა, რომ დედამ გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი განწყვიტა და მრწამსის ერთგულების გამო საკუთარ ოჯახშიც კი სრულიად მარტო დარჩა. იგრძნო, რომ უფრო და უფრო უჭირდა თანატოლებისგან განსხვავებული ფასეულობებით ცხოვრება და ბოლოს და ბოლოს ნაციზმი აღიარა. ამგვარი უარყოფით ყოველივესი, რასაც დედა ასე თავგამოდებით იცავდა, გოგონამ ბოლო მოუღო შინაგან კონფლიქტს, რომელიც ერთი მხრივ დედის სიმამაცით ალტაცებამ შექმნა, მეორე მხრივ კი ოჯახის გახლჩქვის გამო მასზე განწყობებამ. ამ გარდატეხამ იგი კიდევ ერთი, საკუთარ ფასეულობებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტისგან გაათავისუფლა. შედეგად გოგონამ პირველად მოიპოვა ღრმა სულიერი სიმშვიდე, მაგრამ ცხოვრებით ტკბობის ეს ახალი უნარი კონფლიქტის გაქრობას კი არა, ნაციზმის მიღებით შექმნილ ახალ მსოფლმხედველობას მიაწერა. ეს კი სისტემის სასარგებლოდ კიდევ ერთი უდავო არგუმენტი იყო.

როგორც ვხედავთ, ყოველად უხეში, ზედაპირული გაგებითაც კი, ტოტალიტარულიზმის მომხიბვლელობა ისაა, რომ მისი აღიარებით თითქოს ახლობლებთან, მთელ სამყაროსთან შეთანხმებით მოქმედებ და თავს უცხოვრებდნენ. უფრო ღრმა ან მაღალი გაგებით კი ტოტალიტარულიზმი მომხიბვლელია, რადგან შეუძლია ალაღინოს ადამიანის შინაგანი მთლიანობა, როცა საკუთარი გრძობების საწინააღმდეგო მოქმედებით მას დარბევის საშიშროება ემუქრება. ზოგიერთებისთვის ამ წინააღმდეგობის გადალახვის მოთხოვნის იმდენად დიდი იყო, რომ სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. სხვები გესტაპოს ხელში იმ თითქოს შემთხვევითი უყურადღებობის გამო ხვდებოდნენ, რომელიც ქვეცნობიერად ამ წინააღმდეგობის დასრულების სურვილით იყო მოტივირებული, თუნდაც ამისთვის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრა ყოფილიყო გარდაუვალი. მაგრამ ანტიფაშისტთა უმრავლესობამ იარაღი დაყარა და მხარი რეჟიმს დაუჭირა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ არ შესულან და ბოლომდე არც მათი ფასეულობანი გაუზიარებიათ, ამ რეჟიმში რაღაც ნათელი მხარეები მაინც დაინა-

ხეს, თუმცა სისტემის ზოგიერთი ასპექტის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება შეინარჩუნეს.

ფაშისტური მისალმება – სისტემის თითქოს უმნიშვნელო დეტალი, რომელსაც ადამიანებზე ასეთი ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა – მხოლოდ გარეგანი საქციელის ნაწილი იყო, ისევე როგორც კედელზე მიხატული ჰიტლერის ან სხვა გარემოებაში, ვთქვათ, სტალინის კარიკატურა იქნებოდა. თავზარდამცემი მნიშვნელობა მან მხოლოდ იმიტომ შეიძინა, რომ ნონკონფორმისტს შეგნებული ცხოვრების ყველა დღესა და საათს ახსენებდა, შენი ფასეულობებით ცხოვრება არ შეგიძლიათ. რა უხეშიც უნდა იყოს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამგვარი მექანიზმი, მის უდიდეს ეფექტურობას მაინც ვერავინ უარყოფს.

უფრო წერილი ძაფებიც არსებობდა. ასეთი ძლიერი, გარეგანი კონტროლი ადამიანებში ბავშვურ შეხედულებებსა და გრძობებს აღვიძებდა. მხოლოდ ბავშვობისას შეუძლიათ სხვა ადამიანებს – მშობლებს – ასეთი ძალით შეგვეკონ უიმედო შინაგანი კონფლიქტის ტყვეობაში, თუკი ჩვენი სურვილები მათ სურვილებს ეწინააღმდეგება. თავდაპირველად ბავშვი, ისევე, როგორც ნონკონფორმისტი, მაკონტროლებელ ძალას წინააღმდეგობას უწევს. მაგრამ იგი ძლიერიცაა, მომზიდველიც /ასეთი წარმატებაზე იოლი რა არის! / და ბავშვზე გაბატონება რაც უფრო წარმატებით ხორციელდება, მიმზიდველობაც იზრდება და ბოლოს და ბოლოს ზე-მედ აღიქმება.

წუთით დაუფიქრდეთ გერმანიის აღმზრდელით სისტემას ჰიტლერის გამორჩენად – სისტემას, სადაც ბავშვს ყველგან ხედავდნენ, მაგრამ მისი არავის ესმოდა, და იოლად მიხვდებით, რად აღმოჩნდა გერმანელი ახალგაზრდობისათვის ჰიტლერის რეჟიმი ასე მიმზიდველი. თითქმის ნებისმიერ საზოგადოებაში ბავშვები უფროსების იძულებითი ზეგავლენით იზარებდნენ. ტოტალიტარული სისტემის კი, გოგონებსა თუ ბიჭებს თავისუფლებას ანიჭებს და არწმუნებს, მთელი ხმით იყვირე, მშობლებს უთვალთვალე და, თუ სისტემის კანონებს არ დაემორჩილებიან, ჩვენ გვაცნობო.

წუ დაგავინყდებათ, რომ ტოტალიტარული სისტემა, ჩვეულებრივ, სასტიკი იერარქიული წყობის საზოგადოებაში ჩნდება – გინდ ფეოდალური იყოს და გინდ პატერნალური. სახელმწიფოს მეთაური, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები /ვთქვათ, პოლიცია, ჯარი თუ მასწავლებლები/, მშობლების ხატის ძლიერ შემცვლელებად, უფრო სწორად კი, ზე-მეს სუროგატებად გვევლინებოდნენ. იგივე ზე-მეს სუროგატი იყო ხელისუფლება, რომელიც ფსიქოლოგიურად მშობლების ხატის ანარეკლი გახლდათ და მისი მოთხოვნები ბავშვობიდან შეთვისებულ მშობელთა ბრძანებებად აღიქმებოდა.

არცთუ ისე იშვიათად საკონცენტრაციო ბანაკშიც კი ხელისუფლებისა და პოლიციის სამართლიანობის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ პატიმრებს საკუთარი სასჯელის უსამართლობის აღიარება არ სურდათ. ეს აიძულებდათ საკუთარი თავისთვის რაიმე დანაშაული მოეძებნათ. ზე-მეს შინაგანი სურვილი მეურვეობისა მეტისმეტად დიდია და რაც უფრო სუსტია „მე“, მით მეტად ძლიერდება ეს სურვილი. და რადგანაც ტოტალიტარულ სისტემებში ზე-მეს ყველაზე ძლიერი შემცვლელი ბელადები და მათი წარმომადგენლები არიან და ეს მთელი სისტემაა, მონონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებ, თუკი ამ სისტემის ანარეკლი გახდები. როცა გარედან მიღებულ ბრძანებებს ემორჩილები, დანაშაულის გრძობა გიქრება, ეს კი უსაფრთხოების შეგრძნებას გიჩენს.

უცხოეთის ცხოვრებიდან

დაუსრულებლად გრძნობდე საკუთარ თავში და მალაგდე ზე-მეს, რომელიც იმ საზოგადოებას აკრიტიკებს, სადაც ცხოვრება გინევს, საკმაოდ მტკივნეული პროცესია. მთლიანობაში ეს მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, თუკი ზემეს სხვა, ალტერნატიული ხატებიც მოგეპოვება. ამერიკელებს გაუჭირდებათ ჩვენი სირთულეების გაგება. ისინი თავისუფალ საზოგადოებაში იზრდებიან, სადაც ირგვლივ ზემეს უამრავი ხატი ახვევიათ და არჩევანის საშუალება აქვთ. აქ შეხვედები, მაგალითად, პურიტანელს, თავისუფლების მეხოტბეს, ნაცრისფერ სერთუკში გამოწყობილ მამაკაცს, კოვბოის და კიდევ სხვა მრავალს. ჰიტლერისეულ გერმანიაში კი ზე-მეს მხოლოდ ერთი ხატი არსებობდა და ძალიან რთული იყო ღრმა შინაგანი ხატების ჩამოყალიბება და შენარჩუნება, როცა ის საზოგადოებისას არ ეხმებიანოდა.

ტოტალიტარულ სახელმწიფოში რეჟიმის მონინააღმდეგეებს მუდამ ემინიათ, შეცდომა არ მოუვიდეთ და საკუ-

თარი, ხშირად კი ოჯახის სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ არ დააყენონ. ამიტომ იძულებულნი არიან იდეალურ მსახიობებად გადაიქცნენ. ამისთვის კი როლის შეგრძნება და შესისხლხორცებაა საჭირო. ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მშვიდად იყოს, ბრძანების შეუსრულებლობაში არ დამადანაშაულებენო, თუკი ტოტალიტარული სახელმწიფოს თვინიერ წევრად გადაიქცევა.

ტოტალიტარიზმის მიმზიდველობა სწორედ მის დაპირებაშია, რომ სასტიკ შინაგან კონფლიქტებს გადაჭრი, საზოგადოებასთან თანხმობას მიიღწევ და უსაფრთხოების გრძნობას შეიძენ. რეჟიმის მონინააღმდეგეთა სავალალოდ, ამ თანხმობისა და მშვიდობის მიღწევა მხოლოდ დამოუკიდებლობის, თვითპატივისცემისა და ადამიანური ღირსების დაკარგვის ხარჯზე შეიძლება. სიმშვიდის ფასი ტოტალიტარულ სახელმწიფოებში სულის კვდომაა.

თეატრალური სინაქსი

ანი ბერძენიშვილი

ტრაგედია იუმორის მიღმა

□

ოთარ ჩხეიძის ნოველა სტენაზა

ოთარ ჩხეიძის ნოველა „მამაშვილობა“ ლიტერატურის მუზეუმთან არსებული თეატრალური დასის სცენაზე გათამაშდა. სპექტაკლის რეჟისორია **ოთარ ბალატიშვილი**, მუსიკალური გაფორმება — **კოტე მჭავიანი**, მხატვარი — **სალომე ავალიშვილი**, მსახიობები: **კოტე მჭავიანი**, **ნაირა ბალაქი**, **ნიკოლოზ კვანტალიანი**, **სოფო ფერაქი**.

ცოცხალი, დინამიკური სცენებით, საინტერესო კომპოზიციით, ქართული სოფლის დეკორაციით, კარგად შერჩეული მუსიკალური ფონითა და შთამბეჭდავად შექმნილი ხასიათებით სცენაზე ცოცხლდება ოთარ ჩხეიძის სამყარო — თავისი მრავალმხრივი შრეებით, გამორჩეული ენითა და ქართული სულით.

ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივი ყოფითი ისტორია სოფელში მცხოვრები ოჯახისა, სინამდვილეში ტრაგიკულად აღმართული კომედიაა, რომელშიც უბრალო ადამიანური ურთიერთობების მიღმა უდიდესი ტრაგიზმი იკვეთება.

ერთი ამოსუნთქვით გათამაშებულ სპექტაკლს სულგანაბული უსმენდა მაყურებელი, მოხიბლული მსახიობთა ექსპრესიული თამაშითა და რეჟისორის ოსტატობით. დარბაზი თითქოს მონანილე იყო იუმორით გათამაშებული ადამიანური ტრაგედიისა... და თაობათა მარადიული წიდილის, მამაშვილობაში გაჩენილი ბზარის საკაცობრიო პრობლემაც — ასე ქართულ საბურველში გამოხვეული, ქართული მინისა და სოფლის სურნელით გაჟღერებული, ქართული ფესვიდან აღმოცენებული და ძარღვი-

ანი იუმორით გამთბარი — ჩვენ თვალწინ გარდასახა სიყვარულად, იმ სიყვარულად, რომლის გარეშე არსებობაც არათუ მამებსა და შვილებს, საერთოდ, სამყაროსაც არ უნერია.

ვახტანგ ჯავახაძე:

„სპექტაკლი თავიდან ბოლომდე ძალიან საინტერესო იყო, ამ პატარა სცენაზე კარგად მორგებული. ამავე დროს მუსიკა იყო გამოყენებული შთამბეჭდავად და საერთოდ ძალიან ცოცხალი სპექტაკლი გამოვიდა. იმდენად დიდი იყო ემოციური მუხტი, რომ სოფელი მომენტურად. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ვაკვირდებოდი, როგორ უსმენდა მთელი დარბაზი. ვფიქრობ, ეს უკვე გამარჯვებაა“.

ლია სტურუა:

„სპექტაკლი ძალიან მომეწონა, როგორც ყველაფერი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ოთარ ჩხეიძისა. თან ამდენი და ასეთი არანორმატიული ლექსიკის ფონზე გამიჩნდა ნოსტალგია ძარღვიანი ქართული სიტყვისა. კიდევ ერთხელ დაფიქრდი მამაშვილობის მარადიულ პრობლემაზე, რომელიც საოცარი იუმორითა და სითბოთი თამაშდება სცენაზე. ეს ამბობიც აუცილებელია, მამის აღშფოთებაც ბუნებრივია... მაგრამ მთავარი სიყვარულია, რომელიც ყველაფერში ჩანს. ეს რეჟისორისა და მსახიობების ოსტატობაზე მიგვანიშნებს. სპექტაკლი კომპოზიციურად კარგად შეკრულია, თავის ადგილზეა იუმორი. შთამბეჭდავია მიზანსცენები. და კიდევ: ძალიან კარგად არის შესისხლხორცებული ქართული სოფელი, ქართული სული, რაც ასე ნიშანდობლივია ოთარ ჩხეიძის შემოქმედებისათვის.

ისეთი სიამოვნება მივიღე, არ მინდოდა სპექტაკლი დამთავრებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა იუმორით არის გაჯერებული, მის მიღმა ადამიანური ტრაგედია თამაშდება, მაგრამ იმედინია დასასრული. მამა-შვილს შორისაც კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მთავარია ის, რომ სიყვარული იმარჯვებს... და ცხოვრებაც გრძელდება“.

იოსებ ჭუმბურიძე:

„ველოდებოდი ლიტერატურული თეატრის წარმოდგენას და ვნახე ნამდვილი სპექტაკლი. მოვიხიბლე ნიუანსების ხელოვნებით, მსახიობებმა რომ გვიჩვენეს და მათ ოსტა-

ტობასთან ერთად, ბუნებრივად აჩვენებდა რეჟისორის ხელწერასაც.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა ძალა აქვს მაღალი რანგის ეროვნულ მწერლობას. ვფიქრობ, ისიც გამოჩნდა, რომ „ეთნოგრაფიული სამოსელი“, და თუნდაც ქათმის კაკანი, სრულიადაც არ უშლის ხელს თანამედროვე სათეატრო სტილისტიკის შექმნას.

მინდა, მივმართო ჩვენს სახელოვან თეატრებს და რეჟისორებს, მუდამ კარგი ქართული პიესის ნაკლებობას რომ უჩივიან: სამაგიეროდ (და საბედნიეროდ!), არსებობს კარგი ქართული პროზა. თუ მოინდომებენ, იქ ადვილად იპოვნიან ისეთ ნაწარმოებებს, შინაგანი ბუნებით რომ არიან დრამატურგიულნი, აი, როგორც ოთარ ჩხეიძის ამ მშვენიერ ნოველაში („მამაშვილობაში“).

ერთსაც დავძენდი: აი, რა უნდა დაფიქსირდეს ანომალიებს, დროდადრო რომ გამოჩნდებიან ხოლმე — არა მიტინგები და ტელედებატები, არამედ ასეთი სპექტაკლები.

მაშინ იქნებ თვით ის საბრალო ერეკლე დეისაძეც მიხედეს, თუ რას ნიშნავს მამაშვილობა. ხოლო სპექტაკლში ამასაც ამბობენ — დედაშვილობა და მამაშვილობა რამ გაყო...

ნატო გაგნიძე:

„ოთარ ჩხეიძის ამ ბრწყინვალე ტექსტის წარმოდგენა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა პირნმინდად ლიტერატურული თეატრის გზით, როდესაც თეატრალიზება ხდება შეზღუდული, პატარა-პატარა მიწიწივებით (მცირე განათება, მცირე მუსიკა, დეკორაციებისა და კოსტიუმების გარეშე). ასეთ დროს სიტყვა ერთადერთი ინსტრუმენტი და ის ხდება უნივერსალური: სიტყვა-დეკორი, სიტყვა-მუსიკა, სიტყვა-განათლება და ა.შ. არტისტი ზედაპირიდან სიღრმეში ეშვება და იძულებულია ეძებოს, მაშასადამე, იძულებულია იმ ზოგადსა და მარადიულზე გავიდეს, რაც უმთავრესია და რატომაც ასე ძვირფასია ჩვენთვის ეს ტექსტი“.

მაია ჯალიაშვილი:

„თვითონ მოთხრობა ძალიან ორიგინალურია. აქამდე მამაშვილობის საკითხი ამგვარად არავის დაუყენებია ქართულ ლიტერატურაში და რეჟისორმა მოახერხა მოთხრობის მიხედვით ისეთი სცენარი შეექმნა, რომ მთავარი სათქმელი არ დაეკარგა. სპექტაკლი ემოციურად დამუხტული იყო, მსახიობები ზედმინვენით ზუსტად მისდევდნენ ტექსტს და გულწრფელად, ოსტატურად წარმოაჩენდნენ განცდებსა და ოთარ ჩხეიძის გამორჩეულ სამყაროს“.

ზურაბ კანდელაკი:

„პროფესიონალური თვალსაზრისით არ ჩავუღრმავებები, რადგან ამაზე საუბარი შორს წავიყვანს, უბრალოდ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ თვითონ ამ ნაწარმოებით, კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდი ამ ნოველას და სულ სხვანაირად დავინახე. ამ ყველაფრის ასე მოტანა ჩვენამდე ალბათ სპექტაკლის შემქმნელთა დამსახურებაა“.

გურამ ბათიაშვილი:

„მამაშვილობამ“ ოთარ ჩხეიძის დრამატურგია გამახსენა. გამახსენა ცოცხალი სახეებით, ხასიათებით „გაძეძგილი“ მისი პიესები. ხშირად წამიკითხავს: მწერლობა ადამიანთმცოდნეობააო. იმის გამო, რომ ეს ფრაზა ხელოვნურად და აქედან გამომდინარე, გამაღიზიანებლად მეჩვენება, ამ თეზასაც კი ამრეზილად ვუყურებ, რადგან მწერლობა უწინარესად შემოქმედებაა, ხოლო ის, რაზეც წერ, კარგად რომ უნდა იცოდეს, არა-რა მტკიცებას არ საჭიროებს. თუ ძალიან კარგად არ იცნობ, შემოქმედებითი პროცესიც მოიკოჭლებს.

ოთარ ჩხეიძე რომ გარემომცველი სამყაროს პერსონალებსა და პრობლემებს ძალიან ღრმად იცნობდა, ჩემი აღმოჩენა არ გახლავთ. საკმარისია მისი პროზისა, თუ დრამატურგიის ერთი გვერდი წაიკითხოთ და დარწმუნდებით **რა როგორ** იცოდა. მიტომაც გახლავთ მისი პროზა და დრამატურგია ასე „გაძეძგილი“ (იმედს ვიტოვებ, ამ სიტყვის განმეორებით ხმარებას აკვიტებულობაში არ ჩამითვლით. უბრალოდ ვერ მოვინახე ერთი სხვა ისეთი სიტყვა, რომელიც მათქმევინებდა: მის პროზასა და დრამატურგიაში სქემები და მონახაზები კი არა, ცოცხალი ადამიანები და სახეები მოქმედებენ (მეთქი) სახეებითა და ხასიათებით.

„მამაშვილობაშიც“ ასეა: სულ

მცირე დიალოგი ამ გაცენიურებულ მოთხრობისა და თითქოს თავად იქვე ამ შეთხზული რეალობის ბინადრად. შეთხ-ზული რეალობა კი შემთხვევით არ მისხენებია. ამ რეალობას მწერალი თხზავს ჩვენთვის – ადამიანებისათვის, რათა ამ ყოფაში საკუთარი თავიც დავინახოთ, საკუთარი ყოფა გავანალიზოთ. რამდენიც უნდა ილაპარაკონ იმაზე, რომ ეს ცხოვრებისეული რეალობაა, მაინც მწერლის მიერ წარმოსახულ, შეთხზულ რეალობასთან გვაქვს საქმე. რატომ თხზავდა ამ რეალობას მწერალი? იმიტომ, რომ მას არ მოსწონდა ცხოვრებისეული რეალობა და თავისი თვის დამკვიდრებას ესწრაფოდა: იქნებ კორექტივი შევიტანოთ გარემომცველ სამყაროსთან, ადამიანებთან ურთიერთობაში (იქნებ ეს არც არის აღსანიშნავი: ეს დიდებული ქართველი მწერალი ცხოვრებისეული რეალობის ასახვისათვის ვერც მოიცილიდა – მას უფრო მნიშვნელოვანი მიზანი ამოძრავებდა, ვიდრე ასახვა).

ამიტომაც ოთარ ჩხეიძის ლოკალურ გარემოში – ერთ სოფელში მოქცეული ადამიანები მნიშვნელოვანი პრობლემების მატარებლად გვევლინებიან.

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა სპექტაკლზე: ყოველგვარ თეატრს, აბსურდისა იქნება, რომანტიკული, ყოფითი თუ პოლიტიკური, თავისი ხიბლი აქვს. ჟანრის, მწერლის მიერ ნაკარნახევი სტილის ერთგულებამ ოთარ ბალათურია კარგ შედეგთან მიიყვანა. მან ისე დადგა, როგორც წერია, და ამიტომ გამოვიდა ცოცხალი სპექტაკლი. აქ ოთარ ჩხეიძის სიტყვის ინტონაციაც კი ჩაგესმით. ამიტომ ამ პატარა სცენაზე დადგმულმა პატარა სპექტაკლმა ყოფითი თეატრის ის ხანა გამახსენა, როცა თეატრი მწერლის ნაწარმოებს დგამდა და არა თავის სქემას“.



შვილი (ნიკოლოზ კვანტალიანი) მამა (კოტე მყავია)

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ქართული ენა, როგორც სისხლი, როგორც საღვთო რამ საჩუქარი, როგორც დროის მარადიული მტვერი, როგორც ჯადოსნური საღებავი... აი, ამ იღუმალს აურით გარემოსილი მგზავრი გზადაგზა ტოვებს ხელისა და გულის ანაბეჭდებს...

ეს არ არის ჩემი ძველი წიგნის „ფურცლების“ გაგრძელება, თუმცა აქ უდავოდ იგრძნობა რაღაც ინერცია... ვაღიარებ: ეს უფრო იმ მხარეს ეკუთვნის, რომელსაც მე მეტაპოფიზიკა დავარქვი: პოეზიისა და პროზის საზღვარზეა...


პოეტის უკომპრომისო, უკიდურესი და შეუნიღბავი გულწრფელობა ხშირად აღვიძებს მკითხველის იმ ბუნდოვან გრძნობას, რასაც ძველი ლათინები ოდიოსუს (საძულველს) ეძახდნენ, რის კვალდაკვალაც ავტორი ოდიოზურობის ამაზრზენი ბურუსით იფარება... იმის გათვალისწინებით, რომ პოეტი სიყალბის ნიღბებს ვერ მოიმარჯვეს და ვერც ყოფიერებას გააფერადებს, მხოლოდ დამთმენი და სულგრძელი მკითხველის იმედი მრჩება და „ხელის-გულის ანაბეჭდებიც“ მისთვის იქმნება.

ასე მეუბნება: სამშობლო? რა გითხრა, რო! არის რა, თითქოს ციხიდან თავდებით გამოშვებულივითა... საცაა ისევ გასკვანჩავენ: შეაბრუნებენ! ჰო, ჰო, ჰო!

გალაკტიონი დანვრილებით აღწერს ბათუმში გამგზავრებას: იქიდან გემით სოხუმში უნდა წასულიყო, იმ ფიქრით, რომ ზღვაში გემიდან გადახტებოდა და თავს მოიკლავდა!.. ბათუმში თვითმკვლელობა გადაიფიქრა! რა მოხდა? იქნებ ბათუმში ჩასულს ვინმე ბანოვანი თავდავინყებთ შეუყვარდა და ამან გადაარჩინა დიდი პოეტი! ეგებ ვინმე ბათუმელის მასპინძლობამ გაუღღო გული და ამან უშველა!.. არა, მსგავსი რამ არ მომხდარა... პოეტი წერს: უეცრად სულში დიდი სინათლე ჩამიდგა და ცხოვრებაც ასატანი გახდაო... სარწმუნოა: მან იგრძნო პოეზიის დიდი, ღვთიური სინათლე, სატანურ ზრახვებს რომ ანადგურებს: პოეზიის დიდი სინათლე!

დედამიწის ნანგრევებში ჩვენ ვიპოვეთ პოეზია, როგორც სამყაროს შავი ყუთი: ჩვენი აქ ყოფნის ერთადერთი, ღვთიური მონმე, ცეცხლს და ნგრევას გადარჩენილი...

მეუბნება: დემოკრატია არის ჭაობი და მყაყი: იმას თვით ყველაზე უიღბლო და პროვინციული დიქტატურაც კი მაღლიდან დასცქერის! ჰო, ასეა, ძვირფასებო, ასეა, ასე!



ის პოეზიას დაემალა პოეზიაში...

სიყვარულის შედეგი: შენივე თანხმობით ვილაც გულს ამოგლეჯს და მერე შენს გულს აღარ გიბრუნებს... და რჩები ასე უბედური, გახლეჩილი, მარტოსული, მიტოვებული...

ჰო: გულია ის ადგილი, სადაც სიტყვას სიტყვასთან შეხვედრა უხარია: ასე იქმნება სიხარულის ლექსი, მწუხარების ლექსი: გულის პოეზია...

მეტაპოფიზიკა: ის, რაც პოეზიას აგრძელებს, რაც პოეზიის შემდეგ იქმნება...

სასაფლაოს უჭკნობი ყვავილები: ქართული ანბანი, ქართული სიტყვები: საფლავის ქვებზე აღმოცენებული: ეპიტაფიოს...

გეტყვი: ჩვენი ერთადერთი სიმდიდრეა ქართველობა: აი, ეს მიგვაქვს ევროპაში! სხვა არაფერი არ გვაბადია!

კარგი ვაჟკაცის ხელში ცხენიც კი ბედნიერიაო, იტყოდნენ ძველები... მთიბელას შავრა რამი ომში მთიბელას მხარდამხარ ფლოქვებით და კამპით იბრძოდაო, ესეც გამიგონია... მთიბელა რო მოკლეს, შავრას ცხრუება დაემართაო... მთიბელა რო დამარხეს, შავრამ სამშური გაკვნიტა და მთებისაკენ გაქუსლა... მაშინ ბევრმა ვინმემ მოინდომა მისი დაჭერა, მაგრამ სულ ამაოდ: ყველამ ინვინია შავრას ფლოქვისა და კამპის სიმწარე! ბოლოს მთიბელას ძმებმა მოინდომეს მისი მოთვინიერება, მაგრამ არც იმათ დანებდა: ჩალრუმის ვერან ორნოხებში გადაეშვა თურმე!.. ზოგნი იმასაც ამბობდნენ, შავრაზე ამხედრებული შუბოსანი მთიბელა დავლანდეთო: ეს კი უფრო სარწმუნო მგონია!.. ერთ ძველისძველ, უკვდავ ხალხურ ლექსში შავრა ლურჯად მოიხსენიება: „ჩალრუმს ჩახვივის ლურჯაი, მთიბელავ, შენი ცხენია: არცვინ შამაგდო ომშია, არცვინ მაჭმია ქერია, არცვინ ზედ შამაგდა ვაჟკაცი, მთიბელავ, შენი ფერია!“

„სამოთხეში ვისაც უნდა, სამი ნაბიჯით წინ გამოვიდეს!“ – იყვირა სასახლის აივანზე გადმომდგარმა მეგაფონიანმა ანგელოზმა... „გამიგეთ, ვისაც სამოთხეში უნდა, წინ გამოვიდეს!.. სხვები ყველანი ჯოჯოხეთში დარჩებით!..“ ხალხით საესე მოედანი გაინაბა, მერე სადღაც შიგნით, გულისგულში აჩოჩქოლდა... და ბოლოს ყველას ერთხმად აღმოხდა: „არ გვინდა, ბატონო, არა! ჩვენ იქ ვერ ვიცხოვრებთ! ისევ აქ გვირჩევნია, ამ ჯოჯოხეთში, ამ დამპალი ქალაქის მივინყებულ გარეუბანში! არა, არა! კარგად გვეყოლე! არ გვინდა, ბატონო, არა!..“

კოსმოსის უკიდევანო დუმილი ხომ ადამიანთა ვედრებისა და მოთქმის ექოა: ის არის საღეთო პასუხი, რასაც ამოხსნა არ უწერია!

იაპონური შედეგრი: მოსაუბრე რობოტი. მისი პირველი სიტყვები ასეთი იყო: ისე მძულს ადამიანი, რომ ლამის ჰა-რაკირი გავიკეთო! ფუჰ!..

მაინც რა გინდა? რას დამყურებ? ქორის თვალებს რატომ მიმწვეტებ?

გვადალკვივრი: ესპანური პოეზიის წმინდა მდინარე, სამხრეთ ესპანეთის ბატიკის კორდილიერებში რომ იღებს სათავეს, ატლანტის წყლებისკენ რომ მიექანება, სამხრეთის წვრილ მდინარეებს რომ შეირთავს, კორდოვის და სევილიის მიწებს რომ ანაყოფიერებს... ვერ ნახავ ესპანეთის მეტ-ნაკლებად გამოჩინებულ პოეტს, გვადალკვივრისთვის ლექსი რომ არ მიეძღვნას... ამბობენ: გვადალკვივრის წყალი ესპანეთის სისხლიანმა პოეზიამ გაათბოო... მჯერა, რომ ასეა: ვირწმუნოთ პოეზიის ღვთაებრივი ძალა... აქ რა არის გასაკვირველი?!..

და ეს დღეც დადგა: ის დადაბლდა მიწაზე მეტად!

ქართველი სიკვდილს ეომება „მრავალჟამიერის“ დაქუხებით და სიმღერის ბოლოს გულის ანათალი სიტყვების ამოტყორცნით: „იხარე ჭერო! მოკვდი მტერო!..“

დაიწვა ედიშერ გიორგაძე: ლექსის გურმანი, მართალ-მესიტყვე, სულით პოეტი... იტყვიან: ის დასწვა სანთლის ცეცხლმა, პაპიროსის ცეცხლმა, შეშის ცეცხლმა... ნეტავ, შემოქმედების ცეცხლს თუ გაიხსენებენ?..

გულმა ეროტიკული სტრიქონი დაახეთქა!.. მანდილოსანმა იყვირა: დახეთ, ქა!

ასეა: ბერდებიან პოეტები: ისინი ახლა მხოლოდ რითმებს დაეძებენ წვრილ ფრინველებზე მონადირე მიმინოებებით...

დროზე დიდი და ყოვლისმომცველი რამ: არარა...

ასე თქვა: „ჩუმი ძახილი“... ეს არის მთელი ტერენტი გრანელი!

მოდი, ლექსები „დააძველე“: გადამალე სადმე მალლა, ცის ნაპრალეში!

იყვირე, რამდენიც გინდა: გული ამოიგლიჯე! სულერთია, დროს ვერაფერს ვერ გააგონებ! ის შენთან ერთად მაინც ივლის ძველისძველ გზაზე, გულუძრავი, მიუკარები...

აი, სიტყვა, მაზოხისტური ვნებით აღსავსე: ის თავის თავს ჯიჯგნის, ის თავის თავს წენავს, ის თავის თავს ამარცხებს!

იმის თვალეში უზარმაზარი დარდი მარხია: შეიძლება ეს მომავალი ეპოქების დარდიც იყოს... ვინ იცის!

„ლირიკული პოემების“ ეპოქა... კიდევ კარგი, ეს გაჭიანურებული ლექსი წარსულს რომ ჩაბარდა!

დააკვირდი: ლამის ტყავი მზეში არა ჩანს...

სიტყვები ჩემში: სადღაც შორს, შორს... სადღაც გულისგულში: როგორც ველური მცენარეები...

მიყვარს! – ეს არის ზოგადი, დამაჯერებლობას მოკლებული და უღვთოდ ნაცვეთი სიტყვა: ის შეიძლება, ყოველგვარი სინანულის გარეშე, სანაგვეზე გავიტანოთ! ოჰ! მაშინ რალას იზამენ სიყვარულის ქურდები და სხვადასხვა ჯურის აფერისტები! სადაა გამოსავალი?... ის არ ჩანს...

ცადავლენილ ლოცვებს პასუხობს უზენაესის დუმილი: ეს არის „ექო“ ღვთიური, სადაც მრავალ რამეს ამოიცნობენ ისინი, ვინც თავისი ლოცვის შედეგს ელოდებიან...

ბაირონთან ერთად მოკვდა თავდაპირველი პოეზიის დიდი სიმწვანე: მას ჩაენაცვლა ტვინისჭყლეტით შობილი ლექსი!

მივდივართ, მივდივართ: ფრთხილად, ფრთხილად ვაბიჯებთ საფლავებით დანალმულ დედამინაზე...

აი, ენა: უფრო უკვდავ გამოცანას სად აღმოაჩენ?

ავიტანოთ ესეც: პატრიოტიზმის ტენდენციურობა...

ზენბაცალიგოელ თინიბექაზე როა ნათქვამი – გულსუნადინოდ კვდებოა, აი, ესე გულსუნადინოდ მოკვდა არავინაი: თავსასთუმალთან მტირალი ცოლი იჯდა და იმას შეულრინა საბოლოოდ: ჩქარა მათრახი გამომიტანეო... გამოუტანა, მიანვადა... არავინამ მათრახი ველარ ასნია, ჩაუვარდა... ერთი კი უნდოდა, სიკვდილისთვის მოექნია, მაგრამ მისი თანამდევი, მრავალ შულსა და აყალმაყალში ნანროთობი ძალა სადღაც გამქრალიყო და ახლა იმედიც გაუქრა!.. ერთი მაშრიყელი სწავლული ხორხეს ბო სწერს, რომაო, ჩვენს დროში ღმერთი განიბნა, განიფანტა და მის მიერვე შექმნილ ყოველ საგანსა და არსებაში ბინადრობს ნანილ-ნანილო. ამაზე ხშირად იცინოდა არავინაი: მაშ ღმერთი ჩემშიც არის, სიკვდილშიც არის და სიკვდილი ჩემთან როგორ მოვა, თავის თავს ხო არ მოკლავსო... მაგრამ სიკვდილი მაინც მოვიდა! ის კი ვერ გაიგო, საიდან მოვიდა, როგორ მოვიდა... ჯერ ძალა წაართვა! და დარჩა არავინაი შუაგზაზე პირწმინდად გაძარცული მგზავრით... და ღმერთმა მოკლა თავისთავი!.. და მოკვდა არავინაი! დაკრეჭილ კბილებით დიდხანს ეჭირა სული, მაგრამ როდემდე? ბოლოს სულმა ძალა იხმარა: არავინაის კბილები გამოანგრია და გაფრინდა!.. ოღონდ ეგ იყო: არავინამ სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ იყვირა: არიქა, მოდის არავინაიო!.. ნეტავ ვის უყვირა? ეგება სულეთის წინკარში შესძახა იმ იმედით, იქაურობა მიაღაგ-მოაღაგონ, რო შევალ, ფეხი არაფერს წამოვკრაო... თანაც საბოლოოდ ხელიც ისე გადაიქნია, მათრახის მოქნევის დროს რომ იცოდა... დამარხეს... ახლა ეპიტაფიის გამო ატყდა ერთი ამბავი: არავინას კარგი ეპიტაფია უნდა, კარგი ეპიტაფია დავამგზავროთო. ეგებ ეპიტაფიად სულაც ლექსი შევთხზათო და ა.შ... ერთმა შეღერილმა ფშაველმა ეგრე თქვა: არავინას ეპიტაფია რად უნდა, თვით მაგისი სახელია ეპიტაფიაო... მაგისი სახელი მთელი ქვეყნიერების ეპიტაფიადაც კი ივარგებსო... და საფლავზე დარჭობილ სიპს ნახშირით მიანერს: არავინაი... მართალი იყო ის ფშაველი: ეს ხომ საუკუნის ეპიტაფიაა, დროის ეპიტაფიაა: არავინაი. არავინავ, ძმაო ჩემო! შენი სახელი მართლაც დიდებული ეპიტაფიაა: ის სიცოცხლეშიც გამშვენებდა და სიკვდილშიც თანაგდევს და მდიდრული და ძვირფასი ეპიტაფიებით დამშვენებულ სასაფლაოზე მხოლოდ შენი საფლავის სიპს აწერია ეს უკვდავი სიტყვა... თუმცა სხვა ეპიტაფიებიც რომ წავშალოთ, იქ უდავოდ გამოჩნდება მეორე, დაფარული

ლი უკანა მხარე, რაც ასე იკითხება: არავინაი... და შენც, ძვირფასო ბორხეს ბო, ალბათ, თანახმა ხარ, რომ არავინაის ამ ეპიტაფიაშიც ბინადრობს დაშლილი, მთელს სამყაროში გაბნეული ღმერთის რალაც ნანილი... და, ამის გამო, თვით არავინაიც უეჭველად კოლექტიური უკვდავების საღვთო პანთეონშია დავანებული...

თვითონ ლექსიც პატიმარია, სანამ არ აღმოაჩენ, სანამ კარს არ გაუხსნი, სანამ არ გაათავისუფლებ... ვიჭყვი ასე: სამუდამოპატიმრობამისჯილი პოეზიაც ხომ არის შესაძლებლობათა უსიერ სივრცეში: იმას ვერავინ ვერ აღმოაჩენს, ვერ გაათავისუფლებს!.. ასეთია ბედი მზაკვარი...

ამბობენ: ღმერთის ნახელავი ყოველივე მშვენიერია... მოდი, ამ ნათქვამს ასეთი ბოლოკუდაც მივუმატოთ: მაშ სიკვდილიც მშვენიერია, რადგან ისიც ღმერთის ქმნილია, როგორც სიცოცხლის უკვდავი ანტითეზა...

დააკვირდი: სიტყვას ფეხს რომ დაადგამ, ის იჭყლიტება უდრტვინველად: ობობასავით...

ენის სიფართოვე არაა საკმაო, რომ სამყარო დაიტოს! როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ? დაველოდოთ იმ დროს, როცა ენა გაფართოვდება?! ანდა ასე: სამყარო ავსახოთ ნანილ-ნანილ, ფრაგმენტულად, იმის კვალობაზე, რამდენსაც ენა დაიტევს...

დიდი, ღვთიური პარადოქსი, რამაც სამყარო მთლიანად შეცვალა: გიყვარდეს მტერი შენი!..

ბედისწერამ ასე ჩამიფიქრა: მაჟრჟოლებს მე ჩემი ველური გარეგნობა, ველური აზრები, ველური ძალ-ღონე... ველური სილატაკე...

მოდი, ვალიართ: ჩვენ ვართ ძველისძველი კავკასიელები: კვალდაკვალ მოგვდევს კავკასიის სისხლიანი ცივილიზაცია... და ჩვენ ვერსად ვერ გავიქცევით!

გამოტყდი: რომელი დროის მკითხველისთვის წერ? თქვი, რომელ დროს ესაუბრები?!

ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ წერს: „აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლამსასაგან აშენებული, რომელ-

სა შინა არიან მრავალი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისა-
ნი, ჭურჭელნი და წიგნნი და უწოდებენ ლაშას ჯუპის და
აქუთ სასოება მასზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც
ხევსური, უკეთუ იმოგნოს ოქრო, ანუ ვერცხლი, ვერსაიდ
იხმარებენ თვისად, არამედ მიუძღვის ლაშას ჯვარს“... ვინ
იცის, ეგებ „ვეფხისტყაოსნის“, ბიბლიის და სხვა ძველისძვე-
ლი წიგნების დედნებიც აქ არის საძებნელი... ვინ იცის!..

სიცოცხლე წვალობს ჯოჯოხეთის წკვარამ წინკარში:
ანუ ძველისძველ დედამინაზე...

ასეთი რიგიც: ძალად მწერალი. ძალად ხელოვანი. ძა-
ლად მორწმუნე. ძალად ადამიანი...

ენის წართმევა: ენის ამოჭრა: დამუნჯება, უენპირობა...
მოდი, ესეც ვიკითხოთ: სად დაიკარგა, სად განქარდა უენ-
პირო ბუნების ენა?

სიტყვა დიდი მესაიდუმლეა: მოჭუჭკავს, დაფარავს რა-
გინდარა საიდუმლოს: ზედ დროის ხავსს გადააფარებს...

არა სხვა რამ, არამედ: გულების პოეზია...

მეტაპოეზია გულს ესობა მეტასტაზივით...

ლაშარის გორის ლეგენდა, დიდმა ვაჟამ საქართველოს
ბედ-ილბალთან რომ გადაადნო: „ამბობენ: შააძლებინა სნე-
ულსო ფეხზე დადგომა; ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის
გორზე შადგომა!“ აქ ხომ ყოველი სიტყვა ლეგენდური და
ღვთაებრივია; თვით ორწერტილი და ძახილის ნიშანიც
არამინიერი ხელითაა დასმული!.. ამბობენო, რომ წერს: ვი-
სი ხმა ესმის დიდ პოეტს? უდავოდ ზეციერის, უფლის ანგე-
ლოზების, ღმერთის, ღმერთების...

ბებერი ციხე, შენგრეული სარკმლებიდან რომ იყურება:
მაგას თვალები ამოკორტნა ისტორიის შავმა ყორანმა!

შავ ლამეში ვილაც მწარედ შემომყრანტალებს: როდემ-
დე უნდა იბორგო, გზასაცდენილო კიბორგო!

გზები, გზები, როგორც ცივილიზაციის შხამიანი გვე-
ლები, საქართველოს დაღლილ ტანზე დახვეულები!

ვთქვათ, ესეც პოეზიის კიდევ ერთი საიდუმლოა: როცა
პოეზიას არა კითხულობენ; როცა მკითხველის გული გა-
უცხოვდა; როცა პოეზიას მარტოდმარტო ზეციერის თვა-
ლი დაჰყურებს; ხოლო კაცის თვალი პოეზიას არ ეკარება!

პოეტური დარდის ქურდობა: კლონირება პოეზიისა:
ხელმრუდობა ღვთითდაწყველილი!..

მოდი, დამიჯერე: კარგი ლექსი სამყაროს განაახლებს:
ახალ ფერს აძლევს, ახალ სისხლს გადაუსხამს, ალაგებს
ახალი შინაარსით...

ასე იტყოდა: დედალ გველს ნუ მოკლავ: ტანში დედალი
გველვეშაპი ჩაგისახლებდა.

მეჭორენი ეგრე ამბობენ: ედგარ პო ნარკოტიკს ეძალე-
ბოდაო, მაგრამ, გეუბნები, რად უნდოდა ნარკოტიკი დიდ
პოეტს, ვინც თვით ქმნიდა ზემძღავრ ნარკოტიკს: თავის
უკვდავ პოეზიას...

ერთიანობა სასაფლაოსი: ცრემლსა და ყვავილს აქ სიკ-
ვდილი ანათესავებს...

სულ რამდენიმე სიტყვა: ის სიტყვები მე გავრიცხე
მგლის ბილეთით! ვგრძნობ: პოეზიაში იმათ არაფერი არ
ესაქმებათ!..

შოთა ჩანტლაძეს ჰქონდა ლექსის შეფასების ოთხნიშნა
სისტემა: პლუსი პლუსით; პლუსი მინუსით; მინუსი პლუ-
სით; მინუსი მინუსით...

შეუდარებლები: სიტყვის ძალა, მეტაფიზიკის ბნელე-
თი...

ირმის ნახტომი: გალაქტიკის ინიციალი...

გეტყვი: ვისაც ერთხელ მაინც ნაუკითხავს „ანდერძი
ავთანდილისა“, რუსთაველის გავლენას ის ვერასოდეს ვერ
გაექცევა!

დრო ლიტერატურულ ქმნილებასაც შლის, ანადგურებს და ნაცრად აქცევს: საუკუნეთა შემდეგ ჩვენ ვხედავთ სიტყვების ქვიშას, მტვერს, მტვერს...

შენ ამბობ, რომ აქ ოდესღაც რაღაც აფეთქდა: აფეთქდა მარადიული და ზემძიმე დუმილი, აფეთქდა მარტოობა, აფეთქდა მიწის მოლოდინი... აფეთქდა დუმილი, რომელსაც მოწმე არა ჰყავდა!

ხარბაკი. სახარბაკე... ერთი მითხარი, რატომ უნდა დაეკარგოთ ეს შესანიშნავი სიტყვა?

პრაგმატიზმმა, სარგებლობის ველურმა წყურვილმა თითქმის მთლიანად დააბნელა სულის ის მხარე, სადაც პოეზიის ველი მდებარეობს, სადაც ესთეტიზმის, სულმალლობის და სულგრძელობის უკვდავი ტაძარია... და ნუგეშის მიზეზიც თანდათან ქრება... და ქრება განუწყვეტლივ, უშეღავათოდ... და რჩება ყოფიერების შავი კედელი, რაზეც აწერია გაუგონარი რამ: პოეზიის გაუცხოება...

აი, გულისამრევი რამე: გაყიდული კალამი მწერლისა, გაზეთის მესიტყვისა, მეისტორიისა...

ასეა: შემოქმედებითი უმწეობა იწვევს ზიზღს და ყოვლად გაუმართლებელ აგრესიას არა თავის მსგავსთა, არამედ შემოქმედებით ძალმოსილთა მიმართ!

იმისი მზერა „დემონის მწუხარებას“ გამოასხივებს: არაქაურ დარდს და ნალევს უსაშველოს...

კითხვა მაინცდამაინც ბედნიერება როდია: ის ტანჯვის ელემენტებსაც უხვად შეიცავს. ის მომენტი კითხვის პროცესს ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქცევს, რის გამოც კითხვა სულის ამაღლების წყაროდ განიხილება. კითხვის უამს განცდილი ტანჯვაც პოზიტიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ...

რაღას არ გაიგონებ დროზე, ცხოვრებაზე... და გაისმის ათასგვარი მითქმა-მოთქმა, რატრატი და ტრაკატრუკი... აქ შეიძლება გზაც კი აგვებნეს... მოდი, ვერწმუნოთ იმ ერთადერთს, ვინც დაბეჯითებით ამბობს, რომ ეს არის გრძელი, მოსაწყენი სიზმარი...

თუნდაც საძულველ ტავტოლოგიაში ჩავეფლო, მაინც იტყვი: აღმქმელი გულის გარეშე პოეზია ვერ იარსებებს!

ენამზე. მზე იყო ენა, რომლის გარშემოც ტრიალებდა პოეტის გული... ენამზე. ენა-მზე...

არ გაიკვიროვო! აი ისიც: ინტელ-აგენტი!

კაცი სიმარტივე. კაცი ნაძლევია... კაცი სიმარტოვე. კაცი დაძლევია...

მერწმუნე: სიყვარული უზენაესის ნებაა: ღვთის ნათელია... სიყვარული ცოდვაში არ გვაგდებს. ცოდვაში გვაგდებს სიყვარულის უარყოფა... მოდი, მივილოთ ღვთის წყალობა: უზენაესს ხელს ნუ შევეზურუნებთ!..

სილატაკე, სოციალური და სექსუალური აგრესია, ომი... ყოველივე ამისთვის ქალი მზად არ არის. გულს ნუ მოვუღობთ ემანსიპაციის ფუმფულა ზღაპრებით, გაძლების უნარს ნუ წაეართმევთ!

აი, ესეც ერთი სენი მწერლობისა: უნაპირო ეგოიზმი...

ამასაც გეტყვი: სამშობლოს მოვლის კანონები ხმაღზე სწერია! ვისაც ხმლის ამოღება არ შეუძლია, ის ამ კანონებს ვერასოდეს ვერ ნაიკითხავს!

სუფთა ჰაერი: აი, ის, ყველაზე მეტად რაც სჭირდება ჩვენს პოეზიას!

ესეც წარმოვიდგინოთ: ქართველზე უფრო მეტად ქართველი!

„დღე გაიზარდა ერთი მტკაველით“. ეს ჯაბუშანურია... მისი უაღრესად რიტმული პოეზია თითქოს უახლოვდება და უმეზობლდება თეთრ ლექსს, ვერბლანს, ვერლიბრს... აქ რითმა რითმასთან ისე „შორს“ დგას, რომ თითქმის აღარც აღიქმება...

პოეზია, რომელიც „ლამაზად“ ამბობს არაფერს!

გეუბნები: სუყველაფერს მაინც წარსული სჯობია: ნაცნობი მხარე, ნაცნობი გზა, ნაცნობი ცა, ნაცნობი ჰაერი, ნაცნობი ქალაქი, ნაცნობი ადამიანები...

დამიჯერე: სული წყლით არ განიბანება. სული დავიბანეო, ამბობს ის, ვინც ლექსი იგრძნო, ვინც პოეზიას ჩასწვდა!

უმნიკვლობის ბურუსში იმალება მნიკვლგამოვლილი ცხოვრება: ეს მოჩვენებითობა იგრძნობა საუბარში, მზერაში, გულისცემაში... ძვირფასო იმანუელ, ვითომ მოჩვენებითობასაც კატეგორიული იმპერატივის ძალმოსილება განაპირობებს?... ერიჰა!

დარდის ხელოვნება: აი, ეს არის მწერლობა!

თავბრუდამხვევი აბრა: „იყიდება ნიჭი!“ ზედ ვილაცას ნახშირით წაუნერია: „იჩქარეთ, უნიჭოებო!“ მახსენდება შოთა ჩანტლაძის ერთი სიუჟეტური ლექსი: ნიჭით დამძიმებულმა პოეტმა ნიჭი გაყიდა. შემდგომ, როცა პოეტმა ნიჭის დაბრუნება მოინდომა, აღმოჩნდა, რომ მისი ნიჭი უკვე ეშმაკს ეკუთვნოდა და ნიჭის სანაცვლოდ სულს მოითხოვდა... და პოეტმა მისცა სული, რადგან ნიჭი თვით სულზეც უძვირფასესია!

მარიამ დედოფალის გმირობის ამბავს ასე აღწერს დიდი დიმიტრი ყიფიანი. გავიმეორებ ამ ძვირფას სიტყვებს: „1803 წელს აპრილის თვეში, განთიადისას, ლაზარევმა დედოფლის სასახლეს ჯარი შემოარტყა, შევიდა პირდაპირ იმის საწოლ ოთახში და გამოუცხადა, რომ ახლავე უნდა გაემგზავროს რუსეთში... „ხომ ხედავთ, მე ავათა ვარ, მგზავრობა არ შემიძლიან, გთხოვთ, მადროვოთ“... „ეგ შეუძლებელია, დედოფალო! მე უთუოდ ახლავე უნდა გაგზავნოთ!“ „როგორ უნდა გამგზავნოთ, როცა მგზავრობა არ შემიძლიან!“ „ვწუხვარ, დედოფალო, მაგრამ ძალას დაგატანთ!“ „ძალას დედოფალს? ძალას დედაკაცს?“ – ნამოიძახა ვილაცამ უკნიდან... „მამ უარზე ხართ? არ გინდათ წასვლა?“ – ამ სიტყვებით მისწვდება ლაზარევი მარიამ დედოფალს, უნდა სტაცოს ხელი, რომ სანოლიდან წამოაგდოს... იმ წუთს ჩასცემენ მას ხანჯალს გულში, გენერალი მკვდარი დაეცემა“ ...

ნისლის დეკოლტე...

დამიჯერე: კაცობრიობას გაანადგურებს არა არმაგედონი, არა მზის სრული და საბოლოო დაბნელება, არამედ – ქალის სულის გამრუდება, რასაც ემანსიპაციის ილუზია ამკვიდ-

რებს: როცა ქალი მამაკაცს წინამძღოლად კი არ მიიჩნევს, არამედ მეტოქედ აღიქვამს და იმას ეჯიბრება, უპირისპირდება და, საბოლოოდ, ეს შეჯიბრი ფატალურად მთავრდება!..

შედევრის წარმავალი მშვენიერება: დრო იმასაც უკვდავ მტვერთან ათანაბრებს... ამის გამოა, ყოველი დრო, ყოველი ეპოქა თავის შედეგებს რომ ქმნის: ის წარსულ დროთა ნასუფრალით არ იკვებება!

გული: ეს არის პოეზიის საბოლოო მიზანი: პოეზიით მიიღწევა გულითადაობა, გულოვნება, გულსრულობა, გულსავსეობა, ცალგულობა...

დამიჯერე: სახელის დაგდება ძნელი არ არის: უფრო ძნელია, რომ უსახელო დარჩე მაშინ, როცა სახელოვან საქმეს აღასრულებ... აი, ეს არის უფრო ძნელი!

ენა თავის თავს აორმაგებს: უფრო გამძლე, ტევადი და გამოსახველი რომ გახდეს. მაგალითებიც აქაა: გულდაგულ, ხელდახელ, ხანდახან, თავიდათავი, თავთავი, ჩიფჩიფი, ყურყური, ფეხდაფეხ, განდაგან, გურგური, კარდაკარ, ქარდაქარ, ბარდაბარ, გზადაგზა, მთადამთა, ხედახე და სხვა და სხვა...

სიტყვა, რომელიც მაღლა კი არ მიიწევს, არამედ მაცოცხლებელი ფესვივით ძირს ეშვება და მიწაში ეფლობა, უფლის ნაჩუქარია: ის თვითონ ირჩევს და იმეზობლებს მომდევნო სიტყვებს... და იწყება ემოციის მზიდავი ტექსტის აღმოცენება, აღმასვლა, გაფართოება, მწვანე ფოთლებით შემოსვა; ასე იწყება სიტყვაში გამლღვალი, ესთეტიკურად დახვეწილი სიცოცხლის დამკვიდრება, რომლის ხანგრძლივობა ხშირად ათასწლით განიზომება... ამგვარ ტექსტს თანასდევს ღვთაებრივი ბიოველი, რაც დროში დაცილებულ გულებს აჯადოებს, მოიმხრობს, შემოქმედების დარდს გადასცემს.

უპირწყლო კაცი...

ასე იყო: ჯერ სამშობლოს გვიმალავდნენ; მერმე თავისუფლებას გვიმალავდნენ... ღმერთო, ღმერთო!.. ღმერთებო!..

აი, კიდევ ერთი სიმრუდე ბუნებისა: ძუხვადი!

პლაგიატორი ბაცაცების ნახელავი: მეორადი ლიტერატურა...

ფიქრები

დრო მრგვალია: მაშ დროის ღვთაებრივ წრეზე მიმავალი ადამიანი უდავოდ წარსულს დაუბრუნდება: ისევ იქ მისა, სადაც როსმე დაჰკრა ისარი!

დედამინის დაუოკარი მიდრეკილება უდაბნოდ ქცევისა, გაუდაბურებისა, სინმინდისა... იგრძნობა: ეს დედამინის მომავალია!

სინანულს თანასდევს ეს მჭრელი სიტყვები, რასაც ბრძენი ლათინები ხშირად იმეორებდნენ: ენამან ჩემმან მიმტრო მე!

თბილისის ქუჩაში ნანახი: ცოცხს დაყრდნობილი ახალგაზრდა მეეზოვე ქალი... საოცარია: სახე სწორედ სარა ბერნარის!

ის იყო და დღესაც ინერციით გრძელდება: განწირულობის პოეზია...

აჰა: შური სულმოკლეობისა და გულწამცეცობის ისეთი ყოვლისშემძლე ფორმაა, რომ თუ მოგეძალა, საიქიოშიც კი შეგიყვანს, დროებით ან სამუდამოდ...

აი, კიდევ ერთი ახალგაზრდა პოეტი: ეტყობა, რომ მტკავლით გაზომავს ის მომავლის საუკუნეებს!

ქართული მეტყველების უპირველესი მიზანი: რუსიზმების დაძლევა!

პრომეთემ ადამიანები ღვთაებრივ საქმეთა მონმეებად გააჩინაო, წერს ლუკიანე... ალბათ, ეს ასეა! ოღონდ ზევსის გულისწყრომა არც ხარის ხორცის გადამალვისა და არც ადამიანთა გაჩენისათვის არ დაუმსახურებია... სავარაუდოდ, ზევსმა პრომეთე დასაჯა იმის გამო, ადამიანებს გონიერება რომ დააკლო, ღვთაებრივ საქმეთა უშუალო წვდომის უნარი რომ არ მისცა... უფრო ქალის გაჩენისთვის დასაჯაო, ამასაც გვეუბნებიან ძველი დროის ტვინოსნები... ვინ იცის!

პოეტური ცთომილება: როცა პოეტი გულწრფელობას სამკაულებით ფარავს, აბუნდოვანებს, ბურუსში ახვევს... უამბურუსოდ პოეზია იქნება სხვა რამ: ის, რაც უფრო მეტად

ახალია, უფრო მეტად თანამედროვე და უფრო მეტად მართალი, გამჭვირვალე... ის, რასაც მე მეტაპოეზიას ვარქმევ...

უღირსებო ადამიანი! შეხედე: ხომ დიდი უბედურებაა! ახლა წარმოვიდგინოთ უღირსებო ქართველი!.. ეს ხომ ყველაზე უფრო ამაზრზენი ვინმეა!.. თუმცა წარმოდგენა, ანთუ წარმოსახვა რა საჭიროა: ასეთები ხომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან დღეს ჩვენს უიღბლო საქართველოში!

მოდ, ცოტა ხნით გამოვიღვიძოთ: დავინახოთ, რომ წარსულის ნაცარში გვძინავს!

პოლემისტებო, ლაფისმსროლელებო, ჭორისამგორებლებო, პასკვილმჩხიბავებო, გაიგეთ, რომ ცნობიერების ყოველ წერტილში, კაცის გულისგულში აღმართულია „თავისი“ საკუთარი სიმართლის ციხე-სიმაგრე, ციტადელი, რაც ეგრე იოლად არ ინგრევა!

სიტყვას თანასდევს უფსკრულთა შიში: ჩაშვების, იავარქმნის, წარწყმედის შიში და, სულის მდგომარეობის კვალდაკვალ, ეს შიში ხან ძლიერდება, ხანაც ნელდება, ინრიტება... ეს არის დამთრგუნველი მოლოდინი. ბენვის ხიდზე გადასვლის ჟრუანტელი და ქმნადობის დასასრულს შევიგრძნობთ არა ქმნილებით მოგვრილ კმაყოფილებას, არამედ – გადარჩენით აღძრულ მადლიერებას; შევიგრძნობთ ასე: მაშ ღმერთი ამჯერადაც ჩემთანაა!.. ამჯერადაც გადავრჩი!

ჟამთასვლა სანმისივითაა: ის იტოვებს მხოლოდ ოქროს, ხოლო ქვიშას და ნაცარს გზადაგზა მიმოაბნევს, წყალს ატანს...

კოლონიური სიძაბუნე, ჩვენს ხალხს რომ სჭირს, როგორც სახადი...

მოდ დიდი მწერლის ეს გულწრფელი ნათქვამი პოეზიას მივუსადაგოთ: „ვილაც წერს მხოლოდ მცირედთათვის, ვინც გაუგებს, ვინც იგრძნობს“ (ვირჯინია ვულფი).

ყოფითი პოეზია. ყოფითი ლექსი...

თუ ბუნებას განუდგები, მაშინ ამგვარ რამესაც იტყვი: ლამაზია სიძულვილი!..

მე შეეხვდი იმას, ვინც ხელალებით მიმტკიცებდა, გენიოსი ვარო. ვინ იცის, ეგებ ასეცაა!.. ეგებ მართალიცაა!.. ხოლო მე კი არ დავუჯერე! ეჰ!..

დროთა კავშირის შეუძლებლობა! გეუბნები: მხოლოდ-დამხოლოდ სიტყვით მიიღწევა დროთა კავშირი!..

საბოლოო მიზანი: ღმერთი. ადამიანის დარდი ამაზე იქით ველარ მიდის: მისთვის დახშულია ღმერთის მიღმური სივრცე, რაც უდავოდ არის და მოიაზრება და შეემცნებაში აისახება, როგორც უწვდენელი რამ: არაფერი, არარა...

„ზურაბის მამა ტიროდა ღალატით მოკლულ შვილსაო: აღარვინ მეგულებოდა მამრევი ზურაბისაო“... მართლაც, იმხანად ზურაბ ერისთავის ძლევა თითქმის შეუძლებელი რამ ჩანდა. ის იყო მოურევნელი კლდეკაცი. ბრძოლაში მისი პირადი მონაწილეობა ყოველთვის გადამწყვეტი იყო. გარდა გულოვანობისა და ფიზიკური სიძლიერისა, მას მზაკვრობის უნარიც დიდი ჰქონდა. ზურაბის არსებობა აშფოთებდა არა მარტო საქართველოს მეფეებს და თავადებს, არამედ – ირანის ძლევათმოსილ შაჰსაც: ღალატის ნაპერწკალიც იქიდან წამოვიდა და საფურცლეში სტუმრად მყოფი ზურაბის კარავთან მივიდა... ელუმი თულუმიშვილი რომ შაჰის მზაკვრული ნების აღმსრულებელი იყო, ეს თვით ელუმმაც არ იცოდა!.. ეს მოლაღატე მკვლელი ხალხმა ასე განადიდა: „ელუმო თოლუმიშვილო, ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი; შენ მაჰკალ ერისთვისშვილი, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი!“

ვიგრძნობ პოეზიას, როგორც მომავალი თაობების საჩუქარი: წერილად აკინძული წმინდა კრისტალების ერთობლიობა, წმინდა ანდერძის მთლიანობა, რომლის წიაღშიც იმალება მფეთქავი გული...

აი, ისიც: მას ემჩნევა, რომ ამძიმებს ცოცხალი კლასიკოსის ნილაბი, თრგუნავს კლასიკოსის ამაზრზენი კომპლექსი და თანდათან შრეტს მისი ქმნადობის უნარს და მას ტოვებს ღვთისთბობილი აურა: შემოქმედების ამოუცნობი დარდი... და ის არის ლანდი, საკუთარი გვარ-სახელის ტყვე: და ეს ემჩნევა მის სიტყვას, მის მოძრაობას, მის გამოხედვას...

რა იმალება ირონიის მიღმა? სულის სიმწირე? ხელმოცარვის დამთრგუნველი შეგრძნება?

დევეთა სახელები: ავი, ავთანდილ, ხაზარან, ბაყბაყ, ბოყყ, ვერხვლის ბულა, ბელელა, ქუჯავეთ, გამხვიარ...

ქალ-დევეთა სახელები სადღაა? აი, რა მითხრა ერთმა ანდრეზ-იგავების მცოდნე ხევსურმა: „დევეებს ცოლებად ჩვენი ქალები მოჰყავდათ და შვილებსაც ისინი უჩენდნენო... თანაც ის შვილები დევეებად არ იბადებოდნენ. ზოგიერთები იზრდებოდნენ დევეებად და დევურ საქმეებსაც ისინი აგრძელებდნენო... დევეთა დანარჩენი შვილები ადამიანებთან ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენო...“ ჰო, ასეა: დევეთა მოდგმის კუდები დღესაც კარგად სჩანს ჩვენს ჭრელ საზოგადოებაში...

ორი მიზანი: პოეზია, ყურისთვის რომ იქმნება, და პოეზია, გულისთვის რომ იქმნება... ეს მიზნები ერთიანდება დიდ პოეტებთან...

მეუბნება: სიბერის უნდა ეშინოდეს იმას, ვისაც გარანტია აქვს, რომ დაბერდება... მე კი რატომ უნდა მეშინოდეს იმისი, რაც თითქმის შეუძლებელი სჩანს?

გრიგოლ აბაშიძე, გივი გეგეჭკორი, დავით წერეთლიანი, სხვებიც... გასულ საუკუნეში ფრანგულ პოეზიას ჩვენში ნამდვილად გაუმართლა!

ირწმუნე: უკვდავების საბუთი ჯიბეში არავის არ უდევს!

დამშრალი მდინარის დუმილი, უფოთლო ხის დუმილი... სიკვდილის დუმილი...

ესეც სიმუხთლე ბედისწერისა: რომ ყოველ წამს იმას ელი ხელებგანვდილი, ვინც შენ არასდროს არ გელოდება!

ფოლკნერის ფორმულა: მარტივი სირთულე...

შეიყვარე ქალთა პოეზია: ის არა სტყუის, ის არის სხვა სამყაროთა შუქით მოსილი: იდუმალი სიყვარულის ანარეკლი...

ესლა გვაკლდა! აი, ისიც: ლიტერატურის „რამკიანი“ ქურდი!

ესთეტიზმის ხელოვნურობა და იმისი ჩარჩოები, დაუძლეველი...

ფიქრები

სიკვდილის სამშობლო ჯერჯერობით მხოლოდ დედამინაა, რადგან ჩვენ არ ვიცით, სამყაროს სხვა უბნებში ვინმე კვდება თუ არა!

ლიტერატურის რეინტერპრეტაციის აუცილებლობა...

სულის პოეტური ანარეკლი: ემოციის ჯადოთი ცხებუ-ლი სიტყვები, სიტყვათა ჯგუფები, სტრიქონები... მათ თვით პოეტი ტრადიციის ან საკუთარი გამოცდილების გავლენით ფორმას და ფერს უცვლის, რის გამოც იმ თავდაპირველიდან, იმ ანარეკლიდან თითქმის აღარაფერი არა რჩება და, თუ რამ რჩება, ისიც მხოლოდ უდიდებამო ტექსტია და მეტი არაფერი!

მართალი ლექსი: სპონტანური ამოძახილით შობილი ტიტველა ტექსტი...

ასე დაიძლევა სიმარტოვე: ძნელად, ტანჯვით, კონვულსიებით, შავნალველის ნამონთხევით... ესაა პროცესი, როცა გული ნანევრდება, ირღვევა და იმის ნარჩენებს ფურცლებზე ვხატავთ და მერმე წიგნის ყდებში ვათავსებთ ჰერბარიუმის ყვავილებივით...

ქალთა პოეზიის უშუალობა: აქა სჩანს თავდაპირველი სანყისი, გულისფეთქვა შორეული და იგრძნობა ცრემლის და სიტყვის განსხვავებული სურნელი, გემო, აურა...

პოეტების ვნებანდომანი: თითქოს ასჯერ, ათასჯერ გამძაფრებული, ჩაღრმავებული, გადაულახველი რამ... ქმნადობის ერთგვარი უხილავი საძირკველი: მწერლური დარდის დიდი სათავე...

სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან მურთაზ და თორღვაი. შემოდის ლამარა: „თორღვაი! რასა იქმ?!“ აი, აქ „ჩათვლიმა“ დრამის სულის დიდმა მისანმა გრიგოლ რობაქიძემ...

სულ ბოლოს წერტილიც აჩქამდება ლურსმნის დაჭედებასავით...

ერეკლე მეფის ხელნაწერი: თითქოს არწივის ბრწყალის მონასში...

ვთქვათ ესეც: ბევრ მწერალს შემლის ციებით რეინტერპრეტაციები!..

საბოლოო და სრული მარტოობა: როცა გტოვებს ღვთისბოძებული აურა...

ძველი ფშაური სადიდებლიდან: „ქადა-ხმიადის მამტანსა, ბულაყრის მამყვანსა მიეც გულის ძალა, სიტყვის ძალა, ხმლის ძალა“... ძალების ამგვარი დალაგება: 1. გულის ძალა; 2. სიტყვის ძალა; 3. ხმლის ძალა...

ეჭვი: იმ ღამეს ძილიც მოჰპარეს!

უკუნეთი: ბნელი ღამე. უკუნისი: მარადიული ბნელი ღამე. უკუნითი უკუნისამდე: მარადიული ბნელი ღამიდან მარადიულ ბნელ ღამემდე, ანუ: მთელი ცხოვრება...

მწუხარების ფორმა, ფერი, გემო და... ეროვნულობა!.. მის სიტყვაში გამლღვალა „მწუხარება ჩვენი, ქართული“...

აი, სიკვდილის მოძოვილი ველ-მინდვრები გარდასულისა!..

დეკლამაციის შეუძლებლობა...

პანეგირიკი, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე...

აი, ისიც, „პოეზია“ ცრუგანგაშის ნაშობი და „ზედმეტი“ გარემამის შვილივით...

პანეგირიკოსიც ხომ ერთგვარი კლიკორია: ნაყიდა მისი ქება, მისი ტაში, მისი ცრუ შეძახილი... „კლიკორების ბრბოებს მოისყიდის და მორჩა“... (გალაკტიონი).

საბჭოურ უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრიდა შალვა დადანი... ხმის მისაცემად მისულმა ერთმა შეზარხოშებულმა ფშაველმა ასეთი ლექსი წააწერა ბიულეტენზე: „გამარჯვება, დადიანო, ხმის მოცემა მნადიანო!.. შენც ისე კი არაი

ჰქნა, როგორც სხვები სჩადიანო: ფაეტონზე დასხდებიან, გლეხებზე ზედ დადიანო!..“ არავინ იცის, რა ჰქმნა შემდგომ დეპუტატმა შალვა დადიანმა. მისი დეპუტატობა აღარავის ახსოვს, ოღონდ ასე მოიგონებენ: საუკეთესო თამადა იყოო... ესეც ხომ უდავოდ დეპუტატობაზე დიდი საქმეა!.. თანაც უაღრესად საპატივცემულოც: ამდენი მთვრალი, ამბიციით ატანილი და აჯაგრული ქართველი გაბარია!..

* * *

წარსულის ღრუბლები ძალიან სწრაფად მოძრაობენ: სჩანს, იქ რომ ქარია!..

* * *

იმას იმხელა გული ჰქონდა, იმხელა დარდი: შიგ ისტორიის გრძელი ღამე დაეტეოდა!

* * *

შემოქმედებითი თანაზიარობა: პოეტური ტყუპისცალობა; გათავისება უნივერსალური: ქართულად ნათქვამი „ტროფეები“ ჰერედიასი..

* * *

ტვინისჭყლეტის ლიტერატურა, სადღაც ევროპის ჩრდილოეთით მდებარე ტანგრილ კუნძულებზე რომ იშვა...

* * *

აი, წერტილი: ფურცელში ბოლომდე ჩარჭობილი ძახილის ნიშანი!..

* * *

სიტყვების პრეისტორიული თიხით ნაძერწი პოეზია: ყოფიერების ანარეკლი, შემეცნების ანარეკლი... და აქა-იქ: ნარ-ეკალი...

* * *

ასეა: სამოთხეს შენ არავინ არ დაგობრუნებს; ის უნდა მოიპოვო! როგორ? გზები ბევრია! იპოვე გზა!

* * *

თვალწერტილი, სადაც თავსდება სამყარო ვრცელი... იქნებ ის იმგვარი სიდიდის შესაკრებელია, რასაც არც ზომა აქვს, არც წონა და ისეთივე დიდი და გადაუღალახავი საიდუმლოა, როგორც თვით სამყარო, თვალწერტილში რომ ეტევა...

* * *

სტალინი „ლამარას“ წარმოდგენაზე მისულა მაშინ, როცა სპექტაკლი უკვე მთავრდებოდა; უთქვამს, ხელახლა ითამაშეთო... ითამაშეს ცარიელ დარბაზში, სადაც მხოლოდ სტალინი იჯდა... გრიგოლ რობაქიძემ იკითხა: „შეირხნენ სტალინიში საქართველოს ფესვები?“ ვინ იცის! ვინ იცის, როგორ დახანჯლა იმისი გული თორღვას გამყინავმა ხმამ!..

* * *

სიყვარული ერთი: ეგზალტირებული გულების ანარეკლი და... სიყვარული კიდევ სხვა: მდუმარე, მარტოდმარტო... და...

* * *

აჰა, უზნეობა ამაღლდა ზნეობის დამცირების ხარჯზე...

* * *

აი, კიდევ ერთი გაუცნობიერებელი ტრაგედია, რასაც სახელი არა ჰქვია: მაგის წიგნებში ერთ ღვთაებრივ სტრიქონსაც კი ვერ დაინახავ, ისევე, როგორც ვერ დაინახავ ყორნის ბუმბულს შუალამეში!..

* * *

რაღას არ იტევს ფურცელი, რაღას არ უძლებს: ლიტერატურის ხარახურა; ლიტერატურის ყორნების ნისკარტების ანაბეჭდები, ლიტერატურის მოხალისეების „შემოქმედება“...

* * *

ლევ ტოლსტოის დაუფინყარი სიბრძნე: სჯობს, არაფერი არ აკეთო, ვიდრე აკეთო არაფერი!

* * *

კაცი: ქვაკოღია, შინაყუღია, ქვანურია, მგელტაცია, ერიყულაპია, ნაცარქექია... და ესეც: კაცური კაცი...

* * *

ნაკეთები ლექსი, ნაკეთები რითმა, ნაკეთები დარდი, ნაკეთები სიყვარული: ლიტერატურის ხარახურა!..

* * *

ნუ ჩაქოლავ, ბრმა სიძულვილს თავს ნუ დაატეხ: შეიბრაღე ლიტერატურის ქურდი!

* * *

რეინტერპრეტაცია, საბჭოური კრიტიკის ბურუსს რომ გაარღვევს!..

* * *

კაცი, მგელზე უფრო მგელი...

* * *

მწერალი მწერლისთვის მგელია! – თურმე ამის გაფიქრებაც შეიძლება, ამის თქმაც შეიძლება და, ღმერთო ჩემო, ამის დაწერაც შეიძლება: ქალაღდი ხომ ვირივით ამტანი და გამძლეა! რაღას არ გაუძლო: ამასაც გაუძლებს! ხედავთ, როგორაა საქმე?!

ფიქრები

* * *

შევარყიოთ ბრმა-ყრუ ტენდენციურობის კედელი: რაც არ მოგწონს, ის ყოველთვის არაფერი როდია!

* * *

სად არის პოეზიის საზღვარი? უსაზღვრებო პოეზია. უსაზღვრებო სული... საზღვარი არსად არ არის, არსად...

* * *

„უყვარდა ლექსები, უყვარდა ღვინო, ქალები ეჯავრებოდა“... იგონებენ ფიროსმანის მეგობრები... ოლონდ: სიღარიბით შეჭირვებულმა ერთი მდიდარი და ხანდაზმული სომხის ქალი მაინც „შეიყვარა“... წერილი მისწერა: ხელი სთხოვა... მაგრამ სულ ამოდ!.. აქედან არაფერი არ გამოვიდა!

* * *

საკუთარი ჯიბის ქურდი: თავისი თავის პლაგიატორი...

* * *

„ფანქარო, ჩემო ფანქარო, ფანქარო, ჩემო ხეო, ხელში ავიღებს ვანკა, რომ ქალაღლით ჩამოხეო, თორემ, იცოდე, ქალაღლზე ამ ნაწერს ჩამოვხეო“... აი, რითმის თვითმიზნური დევნა თვით შოთა ჩანტლაძესაც კი უღიმღამო სიცარიელეში ავდებს!

* * *

გეტყვი: სამოთხე სადღაც აქაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დაუსახლებელი და ცარიელია... უკაცური სამოთხე...

* * *

„ცისკენ აღვაპყრობ ხელეებს, კაცთ კი არ მივცემ პასუხს“... არც მისცა პასუხი!.. თუმცა მისი დუმლიც ხომ პასუხია!..

* * *

აი, სავალალო ერთარსი: „ჭკვიანი რითმა“ და სულელი პოეტი!

* * *

თავისი დირიჟორი პოეტსაც ჰყავს, მაგრამ იგი უჩინარია!..

* * *

ესეც სარწმუნოა: სიყვარული ღვთის წყალობაა: ის იქმნება, როგორც შედევი!..

* * *

ნაკეთები ლექსი: ესეც ხომ თვითნაბადობას იჩემებს... ამის გამო თუა, ამ ავადსახსენებელ საქმიანობას თვით ნიჭითცხებულმა პოეტებმაც გვერდი რომ ვერ აუარეს: ეს

იყო რითმების და ფრაზების გამომგონებლობა და შემდეგ „მონტაჟი“... მკითხველის მოტყუების მცდელობა, რაც წარმატებით არ დამთავრდა და, საბედნიეროდ, კეთილად არც არასდროს არ დამთავრდება!

* * *

ლიტერატურის ტყუილი ფლირტი...

* * *

აი, სამწუხარო რეალობა: წარმღვნილი დეპრესია ემუქრება ყველას, ვისაც მკერდში თანამღმობელი და კეთილი გული უძგერს!..

* * *

იცხოვრე პოეზიით: ჩაიცვი პოეზია, დალიე პოეზია, დათვერი პოეზიით!

* * *

სიტყვა მკივანი: ლექსი მტკივანი...

* * *

შოთა ჩანტლაძე იტყოდა: ყველა ქალი ლამაზია. თვით გზასაცდენილ მეძავსაც კი აქვს თავისებური სილამაზე: მეძავური!.. კაცი? საყოველთაო აზრი ასეთია: კაცი მაიმუნზე ოდნავ ლამაზი უნდა იყოსო... ასეცაა! ჰო, ჰო! აი, სარკე! აქა სწერია ყველაფერი!.. თან იმასაც დასძენდა, ეს აზრი ველური მონღოლეთიდან მარკო პოლომ ჩამოიტანაო...

* * *

კოჰელეთ: უფრო დიდი ნიჰილისტი ლიტერატურას არ ახსოვს!

* * *

ხორასნულ ხანჯარს გაჩუქებ, აი, ისეთს, ძველები წერს რომ იპარსავდნენ. ის ხანჯარი მარტო მტრისთვის ამოიღება... თან ვაფრთხილებ, თავისებთან არ უნდა ამოიღო-მეთქი... და ისიც, ლუკა, ჩემი შვილიშვილი, ხელს „ივლებს“ ხანჯარზე, სწრაფად იღებს ხორასნულ რკინას: ომი დასწრებაზეა!.. და უქნევს, უქნევს!.. თვალწინ მიდგება მამაჩემი: ხანჯარს უსწრაფესად ამოიღებდა! მახვილი ვერ ითმენს დაყოვნებას!

* * *

მოდი, ესეც გავითვალისწინოთ, როცა მისი პოეზიის რეინტერპრეტაციას შევუდგებით: ის ძველ ლექსებს ხელახლა ათარიღებდა პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად...

* * *

ესეც პოეზიის სახელს იჩემებს: გაფილტრული, უვნებო ტექსტი...

ეკა ბუჯიაშვილი

რატომ ეშინიათ სიტყვის?

□

მაკა ჯოხაძის ესეისტური პროზის წარდგინება

— ვის შეადარე მაკა ჯოხაძე? — უკითხავს ერთხელ იოსებ ჭუმბურიძეს როსტომ ჩხეიძისთვის.

— ვის შევადარე და... ვირჯინია ვულფს და მარგარეტ იურსენარს... თანაც, ერთხელ კი არ შევადარე, ორჯერაც შევადარე, სამჯერაც... და რამდენჯერაც დამჭირდება, იმდენჯერ შევადარებო.

რატომ მაინცდამაინც ვირჯინია ვულფს, ამაზე — ცოტა მოგვიანებით, ჯერ კი იმას გეტყვით, რომ ეს ეპიზოდი გამომცემლობა „ინტელექტი“ გაიხსენეს, წარდგინებაზე მაკა ჯოხაძის ახალი წიგნისა — „სამოთხე უსიყვარულოდ“.

ესეებისა და ლიტერატურული წერილების კრებული, რომელიც მწერალმა შვილიშვილს სანდრო (ალექსანდრე) კერვალიშვილს მიუძღვნა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გამომცემლობა „ინტელექტი“, კანმეც კუდავას ხელმძღვანელობით, სწორედ საშვილიშვილო საქმეებს აკეთებს, საოცარი გულისხმიერებით, რუდუნებითა და პასუხისმგებლობით.

დასტურია იმისაც, რომ „ინტელექტი“ იცის, რა გამოსცეს. მითუმეტეს დღევანდელ სიყვარულსმოკლებულ სამყაროში. აკი მაკა ჯოხაძეც ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სიყვარულის უკმარობაში ხედავს. „მისი მძლავრი, ანალიტიკური გონება წერის პროცესში სიყვარულს სიბრძნედ აქცევს და ყველაფერი ძალდატანების გარეშე, ძალიან ბუნებრივად გაჯერებს, რომ ნებისმიერი სამოთხე უსიყვარულოდ ნამდვილი ჯოჯოხეთია“.

კიდევ რაში და როგორ გაჯერებს მწერალი, ამის შესახებ შეკრებაზე იტყვიან, ჯერ კი მომხსენებელი იოსებ ჭუმბურიძემ მიმოიხილავს მაკა ჯოხაძის შემოქმედებას, მიმოიხილავს ვრცლად, საინტერესოდ და შეხვედრაც ასე წარიმართება.

უცნაური რამ კი გახლავთ ეს პატრიოტიზმი.

არის პერიოდები, როცა ძალიან მოდაში შემოდის, ზოგჯერ კი პირიქით. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით არის და ასე იმ წინააღმდეგობის გამო ხდება, რაც არსებობს სამშობლოსა და სამყაროს შორის. ეს წინააღმდეგობა ანტაგონისტური არ არის, ნაყოფიერია და ჩემი აზრით, არც უნდა მოიშალოს, — აღნიშნავს **ლევან ბრეგაძე** და იკითხავს:

— რას შეადარებდით სიტყვა პატრიოტიზმს ფონეტიკურად?

არ იცით, ხომ! მეც ისე ვკითხულობ, რიტორიკულად, თორემ ვიცი, პასუხიც მაკა ჯოხაძემ უნდა გასცეს ამ კითხვაზე:

„რატომ ეშინიათ ამ სიტყვის? ნუთუ იმის გამო, რომ „სტარტოვკასავით“ ტკაცუნობს“.

ყველაფერთან ერთად, როგორი ქვეტექსტია — სტარტოვკა ხომ სპორტული იარაღია, რომლისაც არ უნდა გემინოდეს და, ამასთანავე, მინიშნებაა იმაზე, პატრიოტიზმში რომ ვიცით ხოლმე შეჯიბრება.

აქ თითქმის არ არის ჩვეულებრივი ფრაზები, რომელსაც სმენა მიჩვეულია, გამზადებული ბლოკებივით რომ აწყვიდა, აიღებ და ჩადებ ტექსტში, ადვილად გასაგები რომ იყოს.

მაკა ჯოხაძე ასეთი ფრაზების სასტიკი მტერია.

მართლაც გამოგნებლად შთამბეჭდავია მაკა ჯოხაძე როგორც სიტყვის ოსტატი. როგორი სერიოზულობით ეკიდება სათქმელს, გულს გარეთ არაფერს აკეთებს. ეს დიდი ღირსებაა. იგი ამოსუნთქვის, მოდუნების საშუალებას არ აძლევს თავს. ასეთი დაძაბულია ტექსტიც, ოღონდ ეს დაძაბულობა არ მდლის, რადგან ის სიტყვის, ბოლო ნაწიერებში კი კომპოზიციის არაჩვეულებრივი ოსტატია.

გამაოგნებელია მისი წერილი „ხსოვნის ფირფიტა“. თავიდან ვერც კი ხვდები, რომ პატრიოტიზმსა და სამშობლოზე წერს. ამბობს კიდევ: მე ახლა ფეხბურთზე უნდა ვილაპარაკო... და რა საინტერესოდ, რა საოცრად მიდის მთავარ სათქმელამდე.

ლიტერატურული კრიტიკა, ესეისტიკა ისეთი ჟანრებია, რომელსაც მხატვრული სახეები და მეტაფორები არათუ არ მოეთხოვება, ზოგჯერ ვნებს კიდევ. მაგრამ მაკა ჯოხაძე ისე მაღალხარისხოვნად აკეთებს ამას, რომ შედეგი ძალიან ორიგინალურია.

შესაშურია მის მიერ დანახული მოვლენა. მრავალგვარ ასოციაციას იწვევს სახეები, რომელიც ქვეტექსტებით არის გაჯერებული.

ხშირად იკითხავენ ხოლმე: გვაქვს თუ არა ლიტერატურული კრიტიკა? სეპტიკურად უყურებენ ამ საკითხს. მე თუ მკითხავთ, მაკა ჯოხაძემ გადაგვარჩინა წერილით ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავის“ შესახებ. ეს რომ არ დაენერა, იქნებ მეც დავეჭვებულებიყავი ქართული კრიტიკის არსებობაში. მიხარია, რომ პირველმა მან შეაფასა ეს წიგნი (რომელიც, ჩემი აზრით, მთელ მსოფლიოში უნდა მოგზაურობდეს) და არ დაგვასწრო არალიტერატორმა.

და კიდევ:

გოეთეს ერთ-ერთ პიესაში მთავარი გმირი მისტირის ეპოქას, როცა ყველაფერი ნებადართული იყო. თანამოსაუბრე მას უპირისპირებს ცივილიზებული ყოფისთვის დამახასიათებელ დევიზს:

ნებადართულია ის, რაც ხამს.

— კი, მაგრამ ვინ უნდა გაარჩიოს რა ხამს და რა არ ხამს? — იკითხავს პირველი.

და პასუხი:

— თუ გსურს გაიგო რა ხამს და რა არ ხამს, კეთილშობილ ქალებს უნდა დაეკითხო.

— მოდი სიყვარულზე ვილაპარაკოთ, — მაკა ჯოხაძის „სისხლიან მეტაფორას“ დაესესხება და ასე დაიწყებს თავის გამოსვლას ქალბატონი **ნათელა არველაძე**, — არა გლობალურ, კაცობრიობის სიყვარულზე, რომლისთვისაც მზად არიან დღევანდელი კოსმოპოლიტები, არამედ ღმერთის, სამშობლოს, დედის, მამის სიყვარულზე, რადგან ეს ყველაფერი ერთია, ერთადერთი და უნიკალური, სხვა დანარჩენი კი ბევრია.

მოდი, ერთი ადამიანის სიყვარულზე ვილაპარაკოთ.

მაკა ჯოხაძის სიყვარულზე.

რა ბედნიერები ვართ, რომ ის ამ ქვეყანაში დაიბადა, სწორედ იმ დროს, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდება თავის სამშობლოსაც და პროფესიასაც. სხვებისგან განსხვავებით, მაკას ეს ერთი ციდა მინა მისცა ღმერთმა და ის უყვარს ისე, როგორც უნდა უყვარდეს ადამიანს, რომელსაც სმენაც აქვს, გულიც, ჭკუაც და, რაც მთავარია, გასაოცარი ინტელექტი.

ბოლოს და ბოლოს რა არის მაკა ჯოხაძის სიყვარული?

რა და ის ნაფოტი, რომელსაც შუა ოკეანეში, ხომალდის კატასტროფის შემდეგ წაეტანა, რათა გამოეცხურა და ნაპირამდე გამოსულიყო.

და შეუძლებელია ასეთმა სიყვარულმა ნაპირამდე არ მიგიყვანოს.

მის შემოქმედებაში საოცარი შერწყმა მოხდა მწერლობისა და ჟურნალისტიკის. მწერლის სიტყვა ამოღებული მახვილია, მაგრამ დისტანციაზე გათვლილი, ჟურნალისტის სიტყვა კი ის ისარია, რომელიც დღეს, ამ წუთას, ამ მომენტში უნდა მოხვდეს მიზანს და მაკა ჯოხაძესთან ორივე პროფესიაა შეერთებული. ის წერს დიდი დისტანციისათვის, ხვალისდელი დღისთვის, მაგრამ ეს არის ისარი, რომელიც დღესვე გულის გულს ხვდება, იმიტომ, რომ მაკა ჯოხაძეს სხვანაირი სიყვარული არ შეუძლია.

მას შეუძლია უყვარდეს არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად. ის ეფერება თავის ყველა კოლეგას. და საოცარი რამ დამემართა: შესაძლოა არ ვეთანხმებოდე, ვთქვათ, რომელიმე მწერალს, მაგრამ ვიღებ და ვეთანხმები მაკას მიერ დანახულ ნაწარმოებს ამ მწერლისა. რატომ? იმიტომ, რომ იგი არა მხოლოდ კრიტიკულ წერილს წერს, ინტერპრეტაციორიც არის. მაკა ჯოხაძის ფსიქოლოგიური სვლები კი იმის დასტურია, რომ ის ღრმად მოფიქრალი მწერალია.

აი, ამ ყველაფრისთვის მადლობა მინდა ვუთხრა მაკასო.

— მე კი მინდა ერთ გამბედაობაზე გესაუბროთ, — გააგრძელებს თემას **გიორგი გოგოლაშვილი**, — მაკა ჯოხაძის მოქალაქეობრივ გამბედაობაზე.

აქ არაერთმა ფრაზამ გაიელვა ამის დასტურად, და ეს არ არის დროის მოტანილი გამბედაობა.

მაკა ჯოხაძე ასეთი იყო ყოველთვის.

საინტერესო მიგნებები მისი შემოქმედებიდან მეც ამოვიწერე და ზეპირადაც რომ ვისწავლი, მერე გეტყვით მათ შესახებ, როგორი თავგანწირვით გარბის სიტყვა სამშობლო და როგორ იშლება ის ბგერებად. საოცარი მიგნებაა. მართლაც, გვეკარგება სამშობლო და გვრჩება ერთი დიდი გმინვა — აუი. ეს არ არის ჩვეულებრივი შორისდებული, ქართველებს ბევრნაირი შორისდებული გვაქვს და ენათმეცნიერები თავს ვიმტვრევთ მათ კლასიფიკაციაზე, მაგრამ ასეთი შორისდებული — აუი — არ არსებობს. ეს არის გმინვა, რომელიც მაკამ გაიგონა ჩვენს თავს დატეხილი უზედურების ფაძს. და ჩვენი ვალია შევკრიბოთ ცალ-ცალკე ნასული თანხმოვნები და ხმოვნები და ისევ დავიბრუნოთ სამშობლო.

აქ ითქვა პატრიოტიზმის მოდურობის შესახებ.

მაკა ჯოხაძისთვის კი სამშობლოს სიყვარული მოდური არასოდეს ყოფილა, — იტყვის ბატონი გიორგი და ნაგვიკითხავს ამონარიდს დავით კლდიაშვილის შესახებ დაწერილი წიგნიდან, რომელშიც ავტორი მიმართავს მწერალს, რაკი სწორედ მისგან ელოდება სიყვარულიანი გულითა და გონებით ნათქვამ სიტყვას:

„არიან ბაბუ, როგორ არ არიან ნამდვილი კაცები, რა ვუყოთ მერე დუჟინობით თუ არ არიან, ეგენიც საკმარისნი აღმოჩნდებიან, თუ თვალს გავახელოთ, გულებს გავხსნით, თუკი ნდობით, სიყვარულით წავაქეზებთ, შევაჩერებთ და ვეტყვი: ჩვენ გხედავთ, ჩვენ გვჯერა, ჩვენ ველოდებით თქვენს ერთად ყოფნას.

ნეტავი ცოცხალი იყოთ, ბატონო დავით!

ნეტავი დღეს იყოთ, ამ აზიზობებულ, დაბნეულ, შეგინებულ საქართველოში.

ნეტავი მიმოდიოდეთ, როგორც ცოცხალი მხილება და რისხვა ლაღატის, უზნეობის, გაუტანლობის“.

— ეს სიტყვები ორი ათეული წლის წინათ დაინერა და ის სულისკვეთება როგორ ლამაზად გრძელდება დღესაც. აი, ამ ყველაფრის გამო მინდა ვთქვა:

მაკა ჯოხაძე დღევანდელი ქართული მწერლობის დიდი ქალბატონია და გამარჯვებებს ვუსურვებ მას, — დასძენს ბატონი გიორგი.

* * *

„ჭეშმარიტება და სამშობლო იმ სხივთა განუყოფლობაა, რომელთა გადაკვეთაც ჯვარს ქმნის“.

ილიას ლექსის („პოეტი“) სემანტიკური მნიშვნელობა კი, გრაფიკულად სწორედ ჯვრის ფორმით შეიძლება გამოისახოს“.

ეს მაკა ჯოხაძის სიტყვებია, რალაცნაირი „ბიბლიური სიყვარულითა“ და ტკივილით სავსე, დაწერილი სამშობლოსათვის მიმე წლებში, როცა ყველანაირი გზით ცდილობდნენ საზოგადოების გათიშვას. ამ შეკრებაზეც ქალბატონი **ზაირა არსენიშვილი** სწორედ იმ გახმაურებულ ფრაზას გაიხსენებს, მერაბ მამარდაშვილმა სამშობლოსა და ჭეშმარიტების სიმაღლე ერთმანეთს რომ შეადარა და იტყვის:

— როცა მან ეს თქვა, არ შემეძლო არ მეკითხა: ახლა, ამგვარ ვითარებაში, ასეთი რამ როგორ თქვი-მეთქი? მან კი მიპასუხა: ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთის მიმართ გულანთებულად ყოფნა სამშობლოს წინაშე გულანთებასაც ნიშნავს, მე ისინი არ დამიპირისპირებიაო.

მაკა ჯოხაძის ამ წიგნის მიმართ კი რალაცნაირი სიყვარულიანი მოლოდინი მქონდა. თავის დროზე ძალიან გამიხარდა, როცა შევიტყვე, რომ მაკამ ჩემს წიგნზე წერილი დაწერა. მახსოვს, ერთხელ საპატრიარქოს რადიოშიც მიმინვია და ეს დილოგი ერთ-ერთი კარგი მოგონებათაგანია ჩემთვისო.

სამშობლოსა და ჭეშმარიტების დაპირისპირების ამ მტკივნეულ თემას კი ვერც ამ შეხვედრაზე აუარეს გვერდი. სწორედ ამიტომ გამოეპასუხა ქალბატონი **ზაირას იოსებ ჭუმბურიძე**:

— ახლა პოლემიკის დრო არ არის. თანაც ყველაფერი, ვფიქრობ, ისედაც ნათელია. მადლობა ღმერთს, ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი სულ ახლახან საეკლესიო ქადაგებაში შეეხო ამ საკითხს და მრევლს რაფიელ ერისთავის სტრიქონები გაახსენა:

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“.

ამიტომაც არის მაკა ჯოხაძის „სამშობლოს განცდა“ ასეთი ტკივილიანი, ასეთი ყველაფრისმომცველი, ასეთი გასაკვირველი.

ამიტომაც უწოდებს **მანანა გაბაშვილი** მის წიგნს ქართული საზოგადოების ისტორიას.

— აქ სხვადასხვა ბიოგრაფიისა და ბედის უამრავი ადამიანია წარმოდგენილი.

აქ შეხვედებით ყველა თაობის წარმომადგენელს და, რაც მთავარია, ამ თაობებს შორის დიდი კავშირია. შეხვედებით ქალთა გალერეასაც, რომელიც ცალკე შესასწავლია... და მაინც...

მაინც რატომ არის მაკა ჯოხაძე ჩემთვის ასეთი ძვირფასი?

მთელი მისი შემოქმედება დაფუძნებულია სიმართლეზე, ასე მონატრებულ სიმართლეზე. დღეს ხომ ერთს ლაპარაკობენ, მის მიღმა ან არაფერია ან სიცრუე. პატრიოტიზმიც, თუ წინათ თავგანწირვა იყო, დღეს სპეკულირების, კონფორმიზმის ერთ-ერთ საშუალებად იქცა.

მაკა ჯოხაძე გვისახავს იმ ორიენტირებს, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს საზოგადოებას. იოლი არ არის ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, ამას დიდი გაბედულება და შემართება უნდა.

იშვიათად ნამიკითხავს წიგნი, რომელიც ასე აერთიანებს საზოგადოებას, მე ვიცნობ მაკა ჯოხაძის დამოკიდებულებებს, მაგრამ დადგე ყველაფერზე მაღლა შენი ერის სიყვარულისთვის და შენი საზოგადოება, ნაკლითაც და შეცდომებითაც, ასე გიყვარდეს, დიდი რამ არის და ეს ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს ამ წიგნიდან. ის მიეფერა ყველას, შემცდარ ქართველსაც კი... და ეს სიყვარულიც იმ გულწრფელობით გამოიჩინა, ასე რომ გვჭირდება ქართველობას.

და კიდევ:

„სამოთხე უსიყვარულოდ არის წიგნი, რომელიც დანეროლია ძალიან განათლებული ადამიანის მიერ. სხვაგვარად ვერ ჩახვალ იმ სიღრმეებში, ვერ გახსნი იმ შრეებს, რომელსაც მაკა ჯოხაძე დაგვანახებს... და მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ შორის ასეთი შემოქმედა“.

სწორედ ამიტომ მოგვიანებით, შეხვედრის დასასრულს, შემოქმედის რაობაზე გაამახვილებს ყურადღებას **შალვა საბაშვილი** და აღნიშნავს, რომ მისთვის შემოქმედის ორი ტიპი არსებობს: ერთნი იცნობენ და აღიარებენ საკუთარ შემოქმედებას. მათ შორის მართლაც არიან დიდები, ზოგი ტოლსტოიმდეც ადის, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ სხვებს. ასეთი შემოქმედი კარგი მწერალია, მაგრამ არ არის მკითხველი.

მეორენი კი ხედავენ სხვის სიმალლესაც და არ ეშინიათ ამისა. სწორედ ასეთ მწერლებს განეკუთვნება მაკა ჯოხაძე და ეს თვისება მწერლის განსაკუთრებული ღირსება მგონიაო.

* * *

როსტომ ჩხეიძე:

— შემთხვევით არ შემიდარებია ვირჯინია ვულფისათვის. ჩვენს დროში ისე მიმოფანტულია ეპითეტები, რომ სიტყვები უფასურდება, მაგრამ როგორც კი ისინი ღირსეულ ადამიანს მიესადაგებიან, მაშინვე იბრუნებენ თავიანთ მაღლს.

ვირჯინია ვულფი არის ერთ-ერთი უდიდესი სახელი — რომანისტი, ესეისტი და მოაზროვნე — ადამიანი, რომელმაც განუზომელი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის აზროვნებაზე. ტომას ელიოტს, ვინც არავის და არაფერს ცნობდა და ვისთვისაც არ არსებობდა ავტორიტეტი, ვირჯინია ვულფი საზომად მიაჩნდა.

ვირჯინია ვულფს არ დაუნერია ლიტერატურის ან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორია, მაგრამ მისი ესეები მთლიანობას გვიხატავენ — არა მარტო ინგლისური მწერლობისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, არამედ საერთოდ, დასავლეთისა.

მისი სახელი საქვეყნოდ აღიარებულია და თუ მაკა ჯო-



მაკა ჯოხაძე და იოსებ ჭუმბურიძე

ხაძეს ასე ჯერ არ იცნობენ, ჩვენი ყოფის ბრაღია და როცა ეს წიგნი ითარგმნება, როცა ქართული მწერლობა დასავლური ლიტერატურის სრულუფლებიანი ნაწილი გახდება (და ეს გარდაუვალი პროცესია), მაშინ მაკა ჯოხაძეც მოიპოვებს დასავლურ აზროვნებაში იმ ადგილს, რისი ღირსიც არის — არა მარტო იმიტომ, რომ ქართულ საზოგადოებრივ ყოფასა და მწერლობას წარმოაჩინოს, თავიანთ მწერლობასა და ცხოვრებაშიც ჩაახედებს მათ, რადგან მაკა ჯოხაძის აზროვნება ძალიან მასშტაბურია.

ამიტომაც არ მიკვირს, როცა აქ ახსენებენ მის მეტაფორებს, რომელთა შესახებ ცალკე სტატიები შეიძლება დაიწეროს.

საერთოდ, ესეი ურთულესი ჟანრია. ის კრიტიკული აზროვნების პოეზიაა. კრიტიკოსი შეიძლება იყოს პროფესიონალი და მუდმივად ქმნიდეს წერილების სერიას, მაგრამ ესეი შესაძლოა საერთოდ ვერ დაწეროს, ან მხოლოდ რამდენიმე შექმნას. მაკა ჯოხაძეს კი ასეთი არაერთი აქვს, რომელთაგან, ზოგი ფრაგმენტულად, ზოგი მთლიანად, ქრესტომათიაში უნდა იყოს შეტანილი. მაკა ჯოხაძის შემოქმედება ამ მხრივაც განსაცვიფრებელია. და ეს სიტყვაც — განსაცვიფრებელი — რომელიც დღეს ასე გაცვეთილია, მთელი თავისი სიდიადით მიესადაგება დღევანდელ შეხვედრას.

ეს წიგნი კი დიდ გავლენას მოახდენს ახალგაზრდების სულიერ ფორმირებაზე, მათი თვითდადგინების პროცესზე და ბევრს საამაყოდ ექნება, რომ „სამოთხე უსიყვარულოდ“ ადრე წაიკითხეს. საერთოდ, სიტყვა სიამაყე არაერთხელ გაგახსენდება მაკა ჯოხაძესთან დაკავშირებით. გავა ხანი, მოვლენ ახალი თაობები და ძალიან მკაცრად მოგვეკითხავენ — ახალგაზრდებმა არ იციან (და ძალიან კარგი, რომ არ იციან) შეღავათი — რა გიკეთებიათ, რა დაგვიტოვეთ.

და ჩვენს თაობას შეუძლია რამდენიმე წიგნს შორის ძალიან თამამად დაასახელოს „სამოთხე უსიყვარულოდ“, რადგან ის მხოლოდ მწერლის კი არა, თითოეული ჩვენგანის მონაპოვარია.

ნოდარ ტაბიძე:

— ნიგნის ჩაკითხვისას პირველი კითხვა ასეთია:

რით არის ის გამორჩეული? ბრწყინვალე სიტყვებია, არაჩვეულებრივი მეტაფორები... მაგრამ ისინი შეიძლება ნებისმიერს მიაწერო — ეს არის ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული კრიტიკის ყველაზე დიდი სისუსტე. აი, მაკა ჯოხაძე კი ყოველთვის ცდილობს საგნისა თუ მოვლენის დამახასიათებელი დეტალი აღმოაჩინოს.

ნახეთ, როგორია მისი ფრაზა ანა კალანდაძის შესახებ:

„მან თავალერილი ფიქრი შემოიტანა ქართულ მწერლობაში“.

ან როგორ ახასიათებს მუხრან მაჭავარიანს: „იგი ყვავილიც არის და მუხაც“... და აგრძელებს: „ბატონ მუხრანთან სიკვდილი ასე ტრაგიკულად არ განიცდება, რადგან იქვე, გვერდით სიცოცხლეა.“

მეორე: ამ ნიგნში დიდი შენაკადებია. ავტორი გვაძლევს უზარმაზარ ცოდნას, არა მარტო ვინრო საკითხთან დაკავშირებით, არამედ უფრო გლობალურსაც. აღფრთოვანებული ვარ წერილით ნოდარ ანდლულაძეზე. ნახეთ, როგორი საოცარი დეტალებია: „კარგი სიმღერა ძვლიდან მოდის“... ან „ჩვენ რომ წმინდანები გვყავს, მათი ძვლები თურმე ქარვისფერია“.

და მესამე: კომპოზიცია — როგორ იწყებს ის წერილს, როგორ ქმნის ფონს მთავარი სათქმელისთვის.

ასეთი საოცარი მომენტები მაკა ჯოხაძის შემოქმედებაში უხვადაა. ამიტომაც არის ის ძალიან ნიჭიერი.

საერთოდ, ცოტა გვაქვს ნიგნები, რომელსაც გარკვეული შეჭირვებისას ვკითხულობთ. გალაკტიონსა და სახარებას არ ვახსენებ, ესენი ისედაც სასთუმალთან მიწყვია. როცა რამე სერიოზულ თემას ვკიდებ ხელს, აუცილებლად ვკითხულობ რამდენიმე ნიგნს. ერთ-ერთი ასეთი ნიგნი ქართულ სინამდვილეში მაკა ჯოხაძის „სამოთხე უსიყვარულოდ“ იქნება — როცა მოგინდება ამაღლდე, განენყო და შექმნა რაღაც დიდი.

* * *

მის სახლში პიანინოზე იდო დიდი, ვარდისფერი ნიჟარა, როგორც სიმბოლო აფხაზეთისა და ზღვის... და ამ ჭერქვეშ მასაც თავისი ადგილი ჰქონდა, როგორც ყველაფერს, რაც კი გაუჩენია უფალს.

„მაგრამ ხომ ლელავენ, ხომ ჯანყდებიან ხანდახან ზღვები, დიდი ქარიშხლები რომ ამოხეთქავენ და გამორიყავენ ნაპირზე დიდებს უცნაურ საიდუმლოს...“

სოხუმის ომიც ასეთი საიდუმლო იყო...

მორჩა, იმ დღიდან აღარ მივკარებდვარ ნიჟარას, თითქოს მისთვის ჩვეული სიმკვრივეც დაკარგა, მოითენთა, ფერი ნაუვიდა, რალაცით მკვდარ მედუნას დაემსგავსა... გადასაგდებად მაინც ვერ გავიმეტე, ეს მკვდარიც იმ მზითა და სიცოცხლით გაჩახჩახებულ სამშობლოს ნაწილს მაგონებს, დღეს უკვე დაკარგული აფხაზეთი რომ ჰქვია, ოლონდ ესაა, პიანინოდან ავიღე და კარადაში შევმალე.

სამაგიეროდ, ჩემს სახლში „ახალი ნიჟარა“, ახალი სასწაული გაჩნდა, მეუღლემ გენო კალანდაძის ბოლო ნიგნი „რეკვიემი“ მომიტანა... გამოიმინოდა თუ არა ნიგნი, აბსოლუტურად რეალურად, ცხადად მქონდა იმის განცდა, რომ მომიტანა ახალი, ვერცხლისფერი ნიჟარა, გოგი წერეთლის უფაქიზესი, სადაფისფერი სურათებით მოხატული... და იმ ინსტრუმენტის თავზე შემოვდე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ადრე ნიჟარა ანათებდა“, — წერს მაკა ჯოხაძე წერილში გენო კალანდაძის შესახებ და თითქოს გესმის „ამ ნიჟარაში დატყული მეხთაცხვა, ლამეული ზღვის საშინელი ღმერთი, გრიგალების ხმაური, ზვირთების შემოტევა“... თითქოს ხედავ „სისხლის შხეფებით აფორაჯებულ სავსე მთვარეებს, შავ მზეებს, შუბლგახვეტილი ბიჭებს, სამოსშემოხეულ ქალებს, ფეხშიშველა ბავშვებს...“

გესმის მაშინაც, როცა **გენო კალანდაძე**, შეკრებაზე სიტყვით გამოსული, კიდევ ერთხელ გამოხატავს უსაზღვრო მადლიერებას და იტყვის:

— მინდა გითხრათ, რომ ყურადღებით დიდად განებივრებული არ ვარ და ჩემთვის უდიდესი მოვლენაა, ასე დაინახო სხვისი ტკივილი და სხვისი სიხარული. ბედნიერ ვარ იმით, რომ მაკა ჯოხაძის თვალთახედვის არეში მოხვედა ჩემი შემოქმედება. იშვიათად მინახავს ასეთი ძალის ქალბატონი ქართულ მწერლობაში, მისი „სამოთხე უსიყვარულოდ“ დიდი ნიგნია დღევანდელ ქართულ ესეისტიკაში... საერთოდ, ქართულ ლიტერატურაში.

ამ „დიდი ნიგნის“ ყველაზე ახალგაზრდა პერსონაჟი, **ზვიად კვარაცხელია** კი აღნიშნავს: „— მინდა ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით ჩემს თაობას მივულოცო გამოსვლა ნიგნისა, რომელშიც ყველაფერი პირუთვნელად და მიუკერძოებლად არის შეფასებული და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, აქ არის საოცარი პასუხისმგებლობა, რომელიც ყოველთვის დიდი ჯაფით, საკუთარი სინდისისა და მწერლური დვანლის წყალობით მოჰქონდათ დღემდე იშვიათებს.“

ქ-ნი მაკაც მათ შორისაა, ვისაც თავისი მხრებით, თავისი მწერლური სინდისით მოაქვს სიმართლე, რომელიც წერილიდან წერილში გადადის. ვიზეც და რაზეც უნდა წერდეს, მაკა ჯოხაძის ყველა პუბლიცისტური წერილი გამორჩეულია ეროვნული პოზიციით. პუბლიცისტური შესაძლოა ხასიათით ვუნწოდოთ, თორემ ეს ფორმა, რომელსაც იქნება არც აქვს ზუსტი სახელი, ჩემი აზრით, ნამდვილი შინაგანი მონოლოგია მწერლისა, ნებისმიერი გაგებით — იქნება ეს მოდერნისტული თუ თანამედროვე — შინაგანი კავშირია სამყაროსთან და ამ ყველაფერში მას შემოჰყავს ქართული პერსონაჟები.

ყველა ღირსებასთან ერთად მაკა ჯოხაძე დიდი მხარდამჭერი და ქომაგია ახალგაზრდობისა. ძალიან მნიშვნელოვანია მისი შეფასებები — ის პირუთვნელად მიგიითებებს შეცდომებზე და წარმოაჩენს ღირსებასაც, არაფერს დაგიკარგავს. ასეთი პიროვნებები, ასეთი მოღვაწეები განსაკუთრებით ძვირფასნი უნდა იყვნენ ჩვენი თაობისთვის და მინდა მოგიბოდიშოთ, თუკი ჩემი სიტყვები ცოტა და არასაკმარისი აღმოჩნდა. მომავალში აუცილებლად შევავსებ ამ დანაკლისს“.

მე კი ვუსმენ და მახსენდება მაკა ჯოხაძის ფრაზა: — სიტყვები, სიტყვები, სიტყვები... სიტყვას დღეს ჩალის ფასი დაადეს. საქართველო კი ღმერთთან მოსაუბრე პოეტებით იყო განებივრებულიო, — რომ ამბობს. მაკა ჯოხაძე ის მწერალია, რომელსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიადი ინტიმი“ არ დაუკარგავს, ინტიმი მწერალს სამშობლოსა და უფალს შორის. და გიხარია, რომ საქართველოს კვლავ აქვს ბედნიერება ღმერთთან მოსაუბრე მწერლებით განებივრებისა. მაკა ჯოხაძის სიტყვა ძალიან ძვირფასია... ძალიან ტევადია... ამ სიტყვას საკუთარი ხმა და ფერი აქვს და შეგიძლია შეეხო, მიაყურადო — ნიჟარასავით, იმ დიდი ქართული ნიჟარასავით, ჩვენი მწერლობის ჭერქვეშ რომ დავანებულა, რადგან ყველაფერს, რაც კი უფლისგან არის გაჩენილი, თავისი ადგილი აქვს ამ სამყაროში.

ქარდა ქარდუხი

ნიჟარების რურჩული

□

აფხაზეთი როგორც მისხის პოეზიაში

ყველაზე ძნელი – და არა მარტო ჩემთვის – პოეზიაში არეკლილი აფხაზეთის თემაა ალბათ, ყოველთვის გავუბივარ, მაგრამ რაც უფრო დაშორდები – უფრო აუტანლად მოგენატრება და იგრძნობ უმისობას, ამიტომაც სჯობს მიუახლოვდე, შეეხო, გაუჩინარდე მასში და იქნებ მონატრების ბოლმამ თუ აუტანლობამ მაინც არ დაგახრჩოს. შეუძლებელია გვერდი აუაროს პოეტმა ამ თემას და მიუთმეტეს სოხუმელმა პოეტმა; რობის ყველა ლექსში ისმის აფხაზეთის მოტივები ან აფხაზეთის სუნთქვა: ხან აფხაზეთის მთებსა და მწვერვალებს გამოიხმობს, ხანაც ზღვის მოძახილს, უფრო ზღვის მოძახილს ალბათ, ტალღას გაყოლილი კენჭების შხრიალით. და ბუნვის ხიდია ყოველთვის გადასალახი, ორივე მხარეს უფსკრულია, მარჯვნივ სიყალბე-მარცხნივ უნიჭობა; მარცხნივ პათეტიკურობა – მარჯვნივ მიამიტობა. მე არ შემხვედრია რობის ლექსში ყალბად გამოსმობილი აფხაზეთი; არც ამორძალის მოჭრილი მკერდისათვის შეუდარებია... საქართველო და არც ცას მომწყდარი ვარსკვლავისთვის. ყოველთვის სულის საკრავებს ჩამოკრავენ ხოლმე მისი მეტაფორები.


გულის კარდიოგრამა საქართველოსი და ამოვარდნა – მყინვარწვერი როკი და საკენი — ნაინფარქტალი საქართველო:

კავკასიონის მწვერვალებს მიუყვება / ჩემი გულის კარდიოგრამა. /რამდენიმე ამოვარდნა მაქვს – /უშბა, /თეთნულდი, /მყინვარწვერი; /იშემიის ნიშნები – /როკი და საკენი, /წლების წინ ნაინფარქტალი – /იალბუზი. /მინდვრის ზამბახი ვარ; /მეც მიყვარხარ, /მაგრამ შენი ფხის ხმა /მიხშირებს მაჯისცემას. /ნუ მომწყვეტ, /ხომ ხედავ, /შენს ლარნაკს /ნაფოტად არ ვეყოფი... /

დედისადმი მიძღვნილი ლექსი („ალუბალი“) – აფხაზეთის მეტყველი სიმბოლო თითქოს: ძნელია გაავლო ზღვა-რი ცოცხალსა და მკვდარს შორის, მზეგანხდილთა და

სამზეოს ქვეშე დარჩენილთ შორის, ეს ყოველივე ხომ წარმოსახვაა, უსაზღვრო კოსმოსში დედამინასთან ერთად მორონინე, ფარვანას წარმოდგენილი ან სულაც ფარვანას დაზმანებული. რომელია უფრო მკვდარი, – მარადისობას შერთული თუ მარადისობის მოდარაჯე – ალუბლის შრილის ხმაზე მოცახცახე? არცერთ ლექსში არ მიგრძენია ასე უახლოესი ადამიანის მონატრება, მონატრების სევდით დახატული სახეები. და მაინც, ჩემთვის ლამისაა დასაფლავებული საქართველოს კვნესა ისმის ამ ლექსში, უფრო განზოგადებული; იქნება ჩვენ გარდავიცვალეთ და საქართველო ცოცხალია, და ვერ ვხვდებით უკვე გარდაცვლილები?

*რომ ვერ მოვდივარ?..
მკვდრები ცოცხლებთან როდი მიდიან...
ახლა მითხარი,
რომელია ჩვენ შორის მკვდარი –
შენ, ვინც წლებია გამჭვირვალე ზეცას იხუტებ,
თუ მე, რომელიც
იმ ალუბლის ხმაზეც ვცახცახებ,
თავით რომ გიდვას...*



ამ ლექსში განსხეულებული აფხაზეთია ჩემთვის დედა, სამწუხაროდ მხოლოდ წარმოდგენებში რომ ვიხუტებთ როგორც გამჭვირვალე ზეცას.

ხო, ნიჟარებია აფხაზეთი ჩვენთვის, დაკარგული და მკვდარი თითქოს, მაგრამ საკმარისია ყური მიადო და ავიჩურჩულდება, მითოსური ხმები წამოვა, ნიმფათა ჩურჩული იყოს რეცა, თითქოს აბრსკილე დასჭიდებოდეს თავის ნათლიას, ნათლია გაბრაზებულიყო და მიეკრას სატანჯველად ჩრდილოელი მეზობლის ზურგზე, ისიც დაელუპოს და თავიც ჩურჩულებენ ნიჟარები, ხმაურობენ, მაგრამ ჩვენ ხომ დავკარგეთ ნიჭი მიყურადების, უსულოდ ყრია ნიჟარები, არავინა მათი ყურის დამგდები.

მკვდარი ზღვის წყალივით /გავჯერდი, /ვერ ითევზავებ, /ვერც ჩაყვინთავ, /და თუ მაინც, /თვალეებს /აინვა, /გულს დაიშაშხავ, /ფილტვებსაც, /და მერე ვიჩხუბებთ, /როცა შემთხვევით /დავიბნევით /სუფრის მარილად, /იქ, სადაც წყალი არ იქნება, /ზღვა – მითუმეტეს...

თითქოს მთელი პოლიტიკური სურათია დახატული; ბოლმითა და სიძულვილით გაჯერებული კაცობრიობა, რომელშიც სიცოცხლე (თევზი) არ ფუთფუთებს, და წყალი არ არის, როცა მარილი, ნიშანი უთანხმოებისა უკვე დაბნეულია, წყალი კი არ არის და არც უსაზღვრო სივრცე (ფართო აზროვნება, იგივე სიყვარული), ზღვა — მითუმეტეს.

ნუ დამაბრალებთ ხელოვნური სიმბოლიზმების მოხმობას, მე ასე ვკითხულობ ამ ლექსებს და არც მაინტერესებს, პოეტმა რა ჩაიფიქრა ან საერთოდ როგორ ენვია მუზები.

ცალკე ზღვაური, ცალკე ღამე... სუფთა მორფინი –
წვიმა – ეყრება დედამიწას უღალი ჭორფლივით.
არ ჩანს ნაპირი... შენზე ფიქრი ტალღებს მოება,
ცივა სანგარში მიტოვებულ სამრეკლოებად...
ვთრთი – ოცნებებში გარიყული თეთრი ფრეგატი.

საოცრად განცდილი აფხაზეთი და ყველაზე, ყველაზე
მწარე შეგრძნება იმისა რომ ვერ ვუპატრონეთ, ყვირილი,
ამოჭრილი ყელიდან, როცა გასურს მთელი ხმით იბღავლო,
პოეტი კი რა სათუთად და მოსხლეტით ამბობს:

**რატომ მეგონა, ერთ ზარს მაინც ჩამოვრეკავდი,
თუნდაც განგაშის...**

და კიდევ ერთხელ, რამდენიმე სტრიქონში აღწერილი,
გენერალთა მემუარების გადამწონი, ომი, შეგრძნებული
ომი, უფრო საკუთარ თავთან გადატანილი:

**ომში ხეებიც ჯარისკაცებივით იხოცებიან,
ცეცხლის ენებით...
არ ენდობიან მატყუარა სინოპტიკოსებს,
გრძნობენ ხეები, —
ამ თვის ბოლომდე მიწას მხოლოდ სისხლი
დააღობს, —
შვლების,
არჩვების,
დაბნეული ხობების სისხლი...
ინაცრებიან ცადაწვდილი ასეულები,
ცოცხლად დარჩენილ ჭირისუფლებს —
ფესვებს – დარდობენ.**

ომამდე კი გრძნეულივით შეცნობილი მომავალი, წი-
ნასწარჭვრეტა თითქოს:

**სდექ!
რადგან ყველა საზღვარი პირობითია
და ჩვენი ჩრდილებიც
გადახრილი ანტენების ჩრდილებივით
პირობითად კვეთენ ერთმანეთს
უკანასკნელ ომში,
სადაც აუღებელი ციხესიმაგრეები,
ფესვგადგმული ლოდსატყორცნები
და მოსიარულე გვამები ირწევინან**

თითქოს მაზოხისტური განწყობა გაპიროვნებული
ქვეყნის: იძრობს ნაწილ-ნაწილ საკუთარ სხეულს ქვეყანა,
რომელსაც უკვე საკუთარი ჩრდილისაც ეშინია, საკუთარ
დახუნძლოური ისტორიული წარსული ამძიმებს და ვე-
ლარ ზიდულობს:

**წარამარა რომ თავს ისახიჩრებ,
რისი ბრალია?
ნუთუ ასე გაფრთხობენ მტრები?
სწორედ იმგვარად,
შენ რომ წარსულ დღეებს იშორებ,
შეშინებული ხვლიკი იძრობს კუდს**

**და გაურბის
სიცხეს,
მდევარს და
საკუთარი ჩრდილის ნახევარს.**

ჩრდილისას რომელიც სულისაგან დაცლილია, ხოლო
სული – გადავიწყებული:

**მიტოვებული სულების სეზონი
ჩვენთან წვიმების სეზონია,
ჩამორეცხილი სასაფლაოების,
მიტოვებული სულების
სეზონი.
იერუსალიმიდან რომ ცეცხლს წამოიღებენ,
საბავშვო ოთახში რომ ფეხაკრეფით შევლენ,
მთვრალ პეპლებს რომ მიეპარებიან,
ისე გინახავ...
გულიდან თვალზე გიბნევ
და დავდივარ.**

რა არის ეს მიტოვებული სულები, ჩამორეცხილი და
დაკარგული სასაფლაოები თუ არა ის დაკარგული ძვალ-
თშესანახები, რომელთა მისამართიც იცი, მდებარეო-
ბაც, გრძივიც და განედიც და მაინც ვერ მისულხარ?

**ხანდახან ხდება, —
სულის ნაწიბურებს ვისწორებ,
ტყვიის კვამლს ვისრუტავ
და ვხრჩოლავ.
ვხედავ:
ჩემს ქალაქში მოკლულთა აჩრდილები დადიან,
ერთმანეთს ეჩურჩულებიან და
აყვავებულ მიმოზებს აფრთხობენ...
ოქროსფერ მტვერს აცემინებენ მშიშარა მიმოზები,
მდუმარე ზვირთსაქცევეებს შესცქერიან და უკვირთ,
ქუჩები რომ ცარიელია,
ყავის სუნი რომ არ დგას,
ზღვამ რომ თავისთავში დაიხია...
მოკლულთა აჩრდილებს ვერ ხედავენ მიმოზები,
ჩემსავით არიან, —
უკვირთ...**

დადიხარ და აგროვებ სულის ნაწიბურებს, ცარიელი
ქუჩების ცარიელი ქალაქის, უსულო ქალაქის, აჩრდილები
რომ დამკვიდრებულან, აჩრდილები, რომელთაც ვერც
მიმოზები (არადა ბუნებასთან კავშირი არ გაუნწყვეტიათ
მცენარეებს, მიღმიურთან, უნდა ამჩნევდნენ) და ვერც
ადამიანები ვეღარ ამჩნევენ.

**წვიმის ფარდების გადანევის მეშინია
(ძველი სახეა, პოეტური...)
რალაც „ფობია“ მჭირს:
ზღვაზე ვერ ვბანაობ,
აკვარიუმთან ვერ მივდივარ,
შადრევენებს ვუფრთხი...
ეგ არაფერი, —**

**სველ თვალეში ველარ გიცქერი, —
მგონი გავცოფდი...**

ასეთი ხელშესახები განცდა აფხაზეთის ტკივილისა არსად შემეგრძენია, როცა ზღვისპირელს და ზღვაგამოცლილს წყლის ფობია დაენწყება, რადგან ყოველი შეხება წყალთან პონტოს ნაპირებთან აბრუნებს ფიქრით, იქ კი ფიქრებში დაქრიან მოჩვენებები ძველი დიდების, დიოსკურებიდან, გატაცებული სანმისიდან მოყოლებული ნელ-ნელა რომ ქრებოდა, ქრებოდა და ენგურთან შეწყდა, ალბათ დროებით. ძველი შუმერი გაგახსენდება, ქადდინგირ — ლეთის ჭიშკარი, რალაც ზღაპრულისა და მითიურის ჭიშკრად ქცეულა ხომ დღეს ჩვენთვის „ინგირი“, ენგურზე გადაბული ყველა ხიდი კი მოუსავლეთში გადასასვლელად, თითქოს სტიქსად ქცეულა ჩვენთვის ენგური.

თითქოს „სტალაქტიტებით“ ზღვის ქვიშაზე დაწერილიყოს წარსული, ტალღა ან მიქცევისას ან მოქცევისას რომ წაშლის. წაშლის, მაგრამ მაინც რომ წამოატივტივებენ ცნობიერისა თუ ქვეცნობიერის ფარული ტალღები:

**ადესის მზეჩანულ მტევნებს ვიგონებ,
მუხის კასრზე შემოდგმულ საჭყლელს,
სანყალ ბიძაჩემს,
მტკივანი ფეხით და სევდიანი თვალებით...
(ახლა იმ სახლში,
მარცხენა კედელი რომ
რუსულმა „გრადმა“ მოუნგრია,
სხვები ცხოვრობენ...)
მახსოვს, სამფეხა სკამზე ვდგებოდი,
„ჯადოსნურ“ კასრში რომ ცალი თვალთ ჩამეხედა.
ნელ-ნელა დულდებოდა კასრის შიგთავსი —
ერთი დღე,
ორი დღე,
სამი დღე,
ბევრი დღე...
მე კი ერთი სული მქონდა,
როდის ააცლიდნენ ბრტყელფერდიან ქვებს
(მათ ყოველთვის ქოშინით მივათრევდი),
მერე ხის თავსახურს,
რათა ჩემი სამფეხა სკამი
ხელახლა მიმეჩოჩებინა კასრთან,
საიდანაც ორმაგი ცელოიდის აძრობისთანავე
ჯინივით ამოვარდებოდა ხოლმე
ქაფმოდებული ჭაჭის
სპირტნარევი სუნი
და ნესტოებს მიგანიერებდა.
ჩემს ხასიათს ასდის ახლა ასეთი სუნი...**

და უცებ ერთიანად მოსკდება მოგონებები უძირო ჭიდან:

**სევდა მოიკიდებს ქაფს,
ძალდი უცნაურად ყეფს,
ვტოვებ ბიჭვინთას და ფშაფს,
ვტოვებ ბედიას და რეფს...**

**სახლი ნახატივით ჩანს,
ქარი უბერავს და წვიმს, —
ფოთლით გაივსება ჭა,
სარქველს ნუ გადახდით გვიმს...**

ძნელია უცებ გაიხსენო, რა იყო ომი, როგორი იყო ომი, და გრძნობ მოსაყოლი არაფერია, რადგან იმდენია, და გაფანტული შუადღის სიზმარივით:

**რა მახსოვს? — ჭურვები...
ჭრილობა...
ჭორომი...
დარდს — ცრემლი,
ცრემლს — დარდი,
ომს — ჭორი,
ჭორს — ომი
მოჰყვება უცილოდ...**

თითქმის ყველა ლექსშია საიდანაც შემოჭრილი „ზღვაური“ როგორც ფონი უცილობელი, და განწყობის მთავარი ატრიბუტი.

და შემდეგ ისევ ამოხეთქილი, ვერდატეული ვერსად კვილი, ყვირილი და მოთქმა:

**აქ თოლიების გუნდი ნებოდა ცისკრის ქიმთან,
(შენ გეხსომება, ზღვაო, შენც, ნატყვიარო რტოვ და...)
წვიმდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე წვიმდა,
თოვდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე თოვდა.
ტკბილი „ვარადაც“, „ჩელაც“ ყველა საჯიხვეს მოვდე,
ჩამოვიტოვე ცხუმი, ბზიფი, ფსოუ და მზიმთა...
თოვდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე თოვდა,
წვიმდა იმაზე მეტად, ვიდრე ოდესმე წვიმდა.**

არადა ახლოს იყო გამარჯვება, თეზესმა დაამარცხა მინოტავრი, არიადნეც გადაარჩინა, ლაბირინთსაც გამოაღწია, უბრალოდ აფრის გამოცვლალა დაავიწყდა, კვლავ შავი იალქნით მოადგა ეგეოსს და დალუპა მშობელი (სამშობლო), პატარა უგულობა თუ გულმავეინყობა?!

**დაგაქვს სხეული — დამსხვრეული ნავი მეთევზის,
ალარც საჭეა, ალარც აფრები...
წყველის მინდორზე თეზესისვით
დაიზაფრები.
ვინ იცის, იქნებ შენი შვება სწორედ ეგ არი,
დაგაქვს სურვილი — ზღვის ქაფივით დაუდეგარი**

არადა რა ახლოს იყო გამარჯვება, ურჩხული — დამარცხებული უკვე, აფრების გამოცვლალა იყო საჭირო... ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, ვიცი, რომ ვერაფერიც ვერ ვთქვი, მაგრამ ვინმე თუ ერთხელაც მივაბრუნე რობის ლექსებთან, რობის ლექსებში ჩაყურსულ აფხაზეთთან, მაინც ჰქონდა ალბათ აზრი მაშინ ამ საუბარს, ჩვენ ხომ მდუმარებას ვესაუბრებით, დასავლეთში გაუჩინარებულს, საკუთარი სამშვინველის ლაბირინთებში ჩანთქმულ დასავლეთს, სადაც ასე ხშირად გადავყავართ რობის ლექსებს.

ეკა ცხადაძე

დისტანციიდან შეფასებული რეალობა

□

გივი ალხაზიშვილის ავტობიოგრაფიული რომანი

გივი ალხაზიშვილის მრავალმხრივ შესაძლებლობათა კიდევ ერთი დასტური მისივე პროზაული ტექსტი „მომავალი წარსულია“, სადაც მწერალი თავისებურად ცდილობს დროის შემობრუნებას, მედინობის განცდას და წარსულის სურათების წამიერ მოხელთებას. პოეტს, პუბლიცისტს, მთარგმნელს, კრიტიკოსს... დაუოკებელი სურვილი აქვს ჩანვდეს ეპოქის სულს, ცოტა ხნით მაინც გამოგვტაცოს დღევანდელი ცხოვრების რიტმს და ჩაგვაფიქროს განვლილ დროზე.

„მომავალი წარსული“ ინდივიდუალიზმის ნიშანს ატარებს, მისი ავტორი მთელი არსებით იცავს საკუთარ კრედოს, და როცა საზოგადოებას განსხვავებული პრიორიტეტები აქვს, ირჩევს განზე განდგომას, რათა დისტანციიდან შეაფასოს მოვლენები.

საინტერესო ის არის, რომ მას, როგორც პიროვნებას, ხელი არ ჩაუქნევია, არც ბრძოლაზე უთქვამს უარი, მაგრამ იმის ფუფუნება კი ნამდვილად აქვს, რომ საკუთარი სამხერიდან შეაფასოს არსებული. როცა უმეტესობა თავპირისმტკრევით მიჰყვება დინებას, ეფემერული იდეალებს ეფარება და საყოველთაოდ იმიფრება, გივი ალხაზიშვილმა საკუთარი რიტმი და პულსაცია მონახა, თავის სადინარს მიჰყვა და აუმღვრევლად, დინჯად დაინყო ყველაფრის გაცნობიერება.

„მომავალი წარსულის“ თვალთახედვის არეში სულ ცოტა ხუთი ათეული წელია — განსხვავებული, მრავალგვარი და წინააღმდეგობრივი. ფაქტობრივად, ამ დროს დაიბადა, აღიზარდა და ამოქმედდა ახალი საქართველო; შეიქმნა ის იდეოლოგია, რომელმაც მთლიანად მოიცვა ჩვენი და გარე სამყარო. ეს დიდი საბჭოელი ბელადის შემდგომი ეპოქაა, რომელმაც მიძიმე და თანდათან უარყო ტოტალიტარიზმი და ეროვნული იდეალები აღაზევა. სწორედ ამის კვალდაკვალ მოხდა ნაციონალიზმის დეველაცია და ტოტალიტარიზმის აღორძინებაც. დრომ მრავალი ტენდენცია წარმოაჩინა, ჟამიდან-ჟამ გააძლიერა და კვლავ დაამცრო, პიროვნებისა და მასის ურთიერთზემოქმედება კრიზისების კვალდაკვალ განვითარდა. ყოველივე ეს გივი ალხაზიშვილმა შთამბეჭდავად ასახა ავტო-

ბიოგრაფიულ წიგნში, სადაც „მეს“ გადარჩენა ყველაზე მკაფიო და თვალშისაცემია.

რითია მაინც მიმზიდველი და მართალი დღევანდელი მისი პოზიცია, რა არის მასში ტრადიციული აზროვნებისათვის დამახასიათებელი და რა უახლესი? — პასუხს ყოველივე ამაზე „მომავალი წარსული“ იძლევა. როდესაც წიგნს ყურადღებით ვეცნობით, ვხვდებით, რომ ადამიანს და მის აზროვნებას — გარემოცვისა და ახლობლების გარდა — სრულიად უცხო და უცნობ ინდივიდთაგან მიღებული შთაბეჭდილებები აყალიბებს. ადამიანები ისისხლხორცებენ ერთ იდეას, ერთ ფილოსოფიას და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებენ მას. გივი ალხაზიშვილსაც მრავალი ადამიანი შეხვედრია ცხოვრების მანძილზე, ბევრსაც თავის დადებითი მუხტი გადაუცია მისთვის, უფრო მეტს ბარიერები შეუქმნია და ხასიათის სიმტკიცის ჩამოყალიბებაში ამით დახმარებია.

ლიტერატურული ცხოვრება დაძაბული და დამქანცველია; ბევრს მწერლები და ლიტერატორები განსაკუთრებული და კეთილშობილი ხალხი ჰგონია. ასეთია მათი წარმოდგენა! ჩვენში არსებული კლიშეები ძნელად იმსხვრევა, ადამიანებს გამოგონილი ურჩევნიათ რეალურს და ნამდვილს, ხოლო მართლის მთქმელს სასტიკი გაკიცხვა მოეღობა. „მომავალი წარსული“ იმითაც არის კარგი წიგნი, რომ პირუთვნელად ასახავს სიმართლეს, ადამიანებს თავისი შუქ-ჩრდილებით წარმოგვიდგენს, ავტორისეული მზერა-მედიატაცია მომავლისათვის არის გათვლილი და გამიზნული, ვიდრე ჩვენთვის.

„მომავალი წარსული“ განსაკუთრებული არქიტექტონიკის მქონეა. მასში საგანგებოდაა ჩართული დღიურები, ლექსები, კრიტიკული პასაჟები; აღსანიშნავია ახლობელთა ხასიათებისა და პორტრეტების რეალისტური ხატვის მანერაც. ვეცნობით პირველხარისხოვან ჩინოვნიკებს, მათ დაქვემდებარებაში მყოფ ნიჭიერ მწერლებს, ათვალწუნებულ პოეტებს; თვალნათლივ შევიცნობთ პარტიული დიქტატის დამთრგუნველობას, საძმოებად დაყოფილ ლიტერატორთა ქიმშს, მეგობრობას და ა. შ.

გივი ალხაზიშვილი გვიყვება საკუთარ მეგობრებსა და მტრებზე, ჯიბრსა და შურზე, აულაგმავ თუ ალაგმულ სისულელეებზე, სნობიზმის ზრდის ტენდენციებზე. განსაკუთრებით ცინცხალია ადრეული ბავშვობის მოგონებები, ქუთაისისა და თელავის მკვიდრთა სახეები, მათი სულისკვეთებანი და ინდივიდუალური თავისებურებანი, პირველი სიყვარული და „ევას ვაშლის“ გემო თუ სურნელი. გივი ალხაზიშვილი წერს: „არავინ იცის, რატომ ინახავს მეხსიერება ასეთ ეპიზოდებს, ათწლეულების შემდეგაც რომ ცოცხლდებიან და პირვანდელ შეგრძნებას მყისიერად იმეორებენ, ირეკლავენ და სწრაფადვე აქრობენ, თითქოს იმის საჩვენებლად, რომ ყოველივე სწრაფწარმავალია და ფადახმება, როგორც ველის ყვავილი. რომ არ ეწეროს ესალმუნებში და არც ჰქონდეს ნაკითხული ადამიანს ბიბლიამი, თვითონაც მიაკვლევდა წარმავლობის უამრავ მაგალითს, თუ ჩაუკვირდებოდა მარადიული წრებრუნვის ცვალებად იგივეობას“.

უნდა ითქვას, რომ მწერლის ცნობიერება მრავალფაქტს და მოვლენას ზედაპირზე წამოატივტივებს, შემდგომ ეს ყველაფერი აქტუალობის მიხედვით მოგვენოდება

და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ჩვენც განვიცადეთ და ვნახეთ. გივი ალხაზიშვილი ამჟამად ამჩნევს, რომ ძვრების, უძრაობის და კრიზისების კვალდაკვალ იცვლებოდა და იცვლება საზოგადოება. თანაც თვითონ სხვადასხვა ეტაპების მონაწილეც იყო, აქტიურობდა და ცდილობდა საკუთარი იდეების მსახურებას.

ძალიან საინტერესოა აფხაზეთში ქართველი მწერლების ცხოვრების ეპიზოდი, სადაც ე. წ. რუსი ძმების გავლენა ამჟამად იგრძნობოდა და ყველა ხედავდა, თუმცა ვერაფერს ამჯობინებდა. გურამ ასათიანის სახე, მისი ექსტრავაგანტური საქციელი კიდევ ერთხელ გვაგანძობინებს, როგორ გვაკარგვინებდნენ ჩვენს უძველეს მინას, გვისისინებდნენ და სიტყვიერად გვანამლავდნენ. გივი ალხაზიშვილი არ მორიდებია ბელა ახმადულინას ნამდვილი სახის დახატვას, ზოგადრუსული შოვინიზმის გადმოცემას. იმთავითვე ცხადი იყო, საით მივყავდით ყბადაღებულ რუსულ „გულკეთილობას“, დაჩაგრულის მფარველობის ვითომც „ალტრუისტულ“ პათოსს, ნიანგის ცრემლებს, სინამდვილეში კი შინაგან ბოლმას და გააფთრებას. გივი ალხაზიშვილი თამამად არჩევს ტრადიციულ შეხედულებას რუსულ ლიტერატურულ საზოგადოებაზე, რომელიც თითქოსდა პატივს გვცემდა და გვაფასებდა. სინამდვილეში ამ საზოგადოების საუკეთესო ნაწილიც თვალაბმულია წმინდა რუსული ფანტომებით, ამავე დროს გივი ალხაზიშვილი დიდი სიყვარულით გვიყვება ცალკეულ რუსებზე, მათ ცხოვრებაზე და ადამიანურად თანაუგრძნობს...

„მომავალი წარსული“ დიდი ისტორიული კატაკლიზმების ცალკეულ დეტალებს გვიცოცხლებს, სწორედ იმ მომენტების მოხელთება ხდება, რომლებიც ფერადოვნებას და განუმეორებლობას ანიჭებს ეპოქას. მომხდარი ფაქტები, თვალს მოფარებული და დავიწყებული, მაშინდელი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ მერამდენედ დაგვაფიქრებენ დროის უღმობლობაზე. ამ ადამიანებს ვერასოდეს წარმოედგინათ, ასპარეზს თუ გაეცლებოდნენ.

წიგნში XX საუკუნის 90-იანი წლები ლამპის შუქით გამჭვარტლული და მამაპაპური ლუმლებითაც არის აღსანიშნავი. მაშინ მთელი საქართველო თურქეთსა და დუბაიში გარბოდა, ხოლო ქართველი მამაკაცები უიმედოდ კარგავდნენ ოჯახის ბურჯისა და მარჩენალის სტატუსს. მასობრივად უწიგნური თაობები მოდიოდნენ ბოლმითა და შურისძიების წყურვილით. ცალკეული „ერის მამები“ სწორედ ამ დროს ვეღარ თუ აღარ ასრულებდნენ ერის სულიერი ლიდერის ფუნქციებს. მხოლოდ ცინიზმი შერჩენოდათ. შესაძლოა, მათ არც სურდათ ეს, მაგრამ ვერაფრით ამაღლდნენ მატერიალურზე, ყოფითზე, ყოველდღიურ მოთხოვნებზე. მაღალი სტატუსი და მდარე ინსტიტუტების შეთვისება ერის წინამძღოლობასთან შეუძლებელია.

სწორედ ამ პერიოდში მოინიშნა გივი ალხაზიშვილი მწერლობის როლის გადასხვაფერების მომენტიც: ვერაფრით მოთავსდა ჩარჩი და რაინდი ერთ არსებაში, ვერანაირად ვერ შეისისხლბორცა წვრილმანი შური საქვეყნო



იდეალებმა, როგორ უნდა ყოფილიყო აღიარებული „ერის მამად“ შეუფერებელი ადამიანი...

გივი ალხაზიშვილი ამგვარ დილემაზე წერს: „არსებობს ორი გამოსავალი: ან შუაკაცობა და არასტერილური ლექსების წერა, სადაც ცხოვრება სრულად, ორივე პოლუსის შეხების ზღვარზე იარსებებს, ან მხოლოდ თვითმსახურება, თავგანწირვა რწმენისათვის და ოდებით და იამბიკობით შემოფარგვლა. გადანყვეტილება ავტორმა უნდა მიიღოს. ეს არ ნიშნავს არჩევანს რწმენასა და ურწმუნობას შორის. შესაძლოა, საერო პოეტი საღვთო ნიშანსაც ატარებდეს, თან მძლავრად“.

მთელი წიგნი სევდითა და სხვათა გაფრთხილების სურვილითაა სავსე, ყველაფერი იმ ინდივიდის ნებიდან გამომდინარეობს, რომელიც ჩანვდა საკუთარი არსებობის საზრისს, ვერ აიცილა განსაცდელი და ტკივილები და მაინც იმ რწმენის ერთგული დარჩა, რომ თვისტომი არ უნდა მოატყუო, პატიოსნად უნდა გააფრთხილო და ანუგეშო.

კეთილსინდისიერება ის თვისებაა, რაც „მომავალი წარსულის“ ავტორს აიძულებს საკუთარი ნანახ-განცდილი სხვათა სამსჯავროზე გამოიტანოს. ნიშანდობლივია ისიც, რომ გივი ალხაზიშვილი არ უფრთხის თანამედროვეთა შესაძლო რისხვას. მან უკვე გადალახა „შენჩემიობის“ ზღვარი და განსჯა-შეფასება მომავალს მიანდო. ავტორმა საზოგადოების ინტერესები პიროვნულზე მაღლა დააყენა, — ესაა მთავარი. მისი მთავარი სტიმული საზოგადოებისათვის აუცილებლის განზოგადების სურვილია, როცა ადამიანი სავსეა განცდით, განცდილით, გრძნობებით, სურვილებით და მხოლოდ ფართო აუდიტორია სჭირდება მსაჯულად და არა სამეგობრო წრე ან თუნდაც ოჯახი. ამ პრეცედენტით გივი ალხაზიშვილი კიდევ ერთი „თავხეხელაღებული“ ქართველი მწერალია, რომელმაც „გამოიწვია“ საზოგადოება, ახლა მხოლოდ ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული, ფარისევლურად გაუყურდება და ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება თუ აღმოაჩნდება ძალა რეალური სურათის შესაფასებლად.

საბჭოეთისათვის დამახასიათებელმა ტოტალურმა ტყუილმა, ყველაფრის შელამაზების ტენდენციამ და თვალში ნაცრის შეყრამ, ადრეულ ასაკშივე გამოიწვია გივი ალხაზიშვილის პროტესტი. ის ადამიანთა სულ სხვა რიგს განეკუთვნა — პარტიაში არასოდეს შესულა, ბევრი რამ დათმო სათავისო და აუცილებელი, მრწამსს კი არასდროს გადაუხვია. წიგნში ბევრგან მკაფიოდ იკვეთება ტყუილისადმი აშკარა აუტანლობა და შეურიგებლობა. თავში, რომელსაც „თავისუფალი თემა“ ჰქვია, ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „მე ვიცი, რომ შენ იცი, რომ მე ვტყუი და იცი, რომ სულ უნდა ვტყუოდე და შენ სულ უნდა იცოდე, რომ მოვიტყუებ, რადგან ტყუილია ჩვენი საარსებო წყარო, რადგან თქვენ იმსახურებთ ტყუილს. ფიქციაა თქვენი ყოფიერების საყრდენი. ამდენად, ჩემი ტყუილი სრულიად ლოგიკურია და სწორი, რადგან თქვენ საჭიროებთ ტყუილს ყოველთვის, დღისითაც და ღამითაც,

მუნიციპალურ თუ კერძო ტრანსპორტში პირჯვრის კოლექტიური გადანერისას, კლასიკოსების ციტირებისას...“

გივი ალხაზიშვილი ბუნებრივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოება და ხალხი თავად ითხოვს, ითხოვს კი არა, მოითხოვს, რომ მოატყუონ, ტკბილ ბურანში ამყოფონ, გული მოჰფხანონ.

საზოგადოებამ მართლაც უნდა იცოდეს ლიტერატურული ცხოვრების დეტალები, თუ როგორ კარნახობდა პარტიული ხელისუფლება სასურველ თემებს, შემდგომ როგორ ხდებოდა ამ თემების ხორცშესხმა და შესაბამისი იდეოლოგიით აღჭურვა. „მომავალი წარსულის“ მრავალი პასაჟი გვამცნობს „დაკვეთილი“ ნაწარმოებების, წერილების, პოლემიკის თაობაზე. დღევანდელი გადასახედოდან ყველაფერი ცხადი და ნათელია, მხოლოდ ის არის სამწუხარო, რომ მაშინდელ ვენბათა ლელვას საზოგადოებაში განსჯა და ტყუილ-მართლის გარჩევაც უმალ მოჰყვებოდა. დღეს ეს ნარმოუდგენელი ფუფუნებაა. ქვეყანას არ სცალია შემოქმედებითი ბატალიებისათვის, მით უფრო, რომ ასეთი რამ არც არსებობს. ეტყობა, მაშინდელი პარტიული ბოსებიც გამჭრიახები იყვნენ, კარგად იცნობდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, მწერლებსაც კარგად იმსახურებდნენ და მწერლობასაც სათავეს იყენებდნენ. ესეც მარადიულ-ტრადიციულია, ოღონდ დღეს ნებისმიერმა იცის, რომ მწერალი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანია, ფუნქციას მხოლოდ ხელისუფალთაგან ნებადართული რეკლამირება შესძენს და ისიც მცირე ხნით.

გივი ალხაზიშვილი „ნაცრისფერი ტიპების“ თემასაც ეხება, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ზოგადად მთელი სამყაროსათვის. 1978 წლის აპრილში მწერალი თავის მეგობრებთან ერთად ხალხს შეუერთდა, რომ ცნობილი მოვლენების შუაგულში ყოფილიყო, იგი იგონებს: „ჩვენც არაფრად ჩავაგდეთ ასაკით უფროსი მწერლების გაფრთხილება და ხალხის ზღვას შევეუერთდით. მთავრობის სახლს პირველი სკოლის მხრიდან მივალნიეთ და იქ დავდექით გვერდიგვერდ. ორი საეჭვო ტიპი ერთმანეთს ხმამალა ესაუბრებოდა, ზიზლით გაჰყურებდა ხალხის ზღვას და ჩვენს გასაგონად ერთ-ერთმა მთელი ხმით ამოიხაფა:

— ნეტა, ახლა ტყვიამფრქვევი მომცა, რა სიამოვნებით ჩავცხრილავდი ყველას“.

გივი ალხაზიშვილი ასკვნის, რომ მაშინდელი ხელისუფლების სახე სწორედ ამგვარი „ნაცრისფერი ტიპი იყო“, ვინც ზიზლით უყურებდა ჩვეული წესრიგის მოშლას და ხალხის უჩვეულო აქტიურობას.

„ნაცრისფერი ტიპები“ ყველგან და ყოველთვის ზიზლით უყურებენ ხალხს, მექანიკურად არსებობენ, მხოლოდ დაკისრებულ მოვალეობებზე ზრუნავენ და ყოველივე ამაღლებულს კვირტიმე ჩანშობას უქადაიან. სადაც არსებობს საზეიმო და ამაღლებული, მდარე და უსულგულო სიჩლუნგეც იქვეა ჩასაფრებული.

„მომავალი წარსული“ ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალ მხარეს მოიცავს, ის ძალიან ტევადი ნიგნია და აუცილებლად მოეწონება ყურადღებიან მკითხველს, რომელსაც ზედაპირული ზიზილ-პიპილები კი არა, სიღრმე და აზრი აინტერესებს...

თათია ჯგუშია

ის მკიბე ნითელი

□

ლია სტურუსა კოეტიური კრიკული

ალარ მინდა ეს სილურჯე. ცივია. ტანში სისხლის ნაცვლად შუშის ბურთულები დადიან. დიდები. პატარები... გავცდე მინდა ლურჯს და სადმე, მოყვითალო-მოვარდისფრო ნაპირი ვიპოვო, მაგრამ მიბორკილი ვარ საიმედოდ. ზღვას მეკობრეების სათადარიგო თოკი აქვს ნელზე შემოჭერილი, მე კი იმ თოკზე კეფამი გაყრილი ქინძისთავით ვარ გამობმული და უკვე მოთვინიერებული, შეგუებული სიმშვიდით ბრონეულისფერ სალუტებს ვისვრი: „ზღვა დაკეტილია! ზღვა დაკეტილია!“

მე ცალკე ყურე მაქვს, — უკაცრიელი, ნაფოტებით შემოსაზღვრული, ჩემი ნილი მზით და გრილი ქვებით, ანუ ძალიან ცოტა მზით... ლოცვა მიჭირს, წერილი კენჭები მუხლისთავებს მტკენენ. ვზივარ მთელი დღე და ნანვეტებული ნიჟარით სპლინს ვზვრეც.

ჩემგან მოშორებით, სადღაც შემალღებულ ნაპირზე ქალი დგას. წლებია, დგას და შინდისფერ თემებს, როგორც დიდი მარტოობის დროშას, აფრიალებს.

აფრიალებს!.. აქ ქარი იცის. ჯერ შუაგულ ზღვაში კამკამა წყალს ამოხვრებს, მერე სიმაღლე ყბებს რომ გაუკავეებს, წამოვა ფორთხვით, სველ კალთებს გიგანტური მუხლებით მოითრევს და ნაპირზე დაეხეთქება.

ქალი კი ჩვეული სიმშვიდით დგას და გამუდმებით რალაცას ლაპარაკობს. ისე შეუმჩნეველად იმტვრევს თითებს... წამოასხამს ხოლმე ხანდახან ქარი მის სიტყვებს და მარტოგაღებების ასხმულასავით ხან ყელზე შემომხვევს, ხან თითებს გადაამიხლართავს.

მერე მე ვიხსნი, წინ ვილაგებ და სამი დღის სამყოფი საგზალივით ამეკიდება ფიქრები. რამდენი სკივრი ავავსე ასეთი სიტყვა-მძივებით, ქარს რომ მოაქვს ჩემთან:

„მე სხვანაირი, მოოქროვილი მანანწალა ვარ“; „პიმიწივით დღეებია“; „მკვდარი თევზივით ამინდია“.

ან ამ უძილო, კუნაპეტ ღამეებში ზღვის შუაგულში რომ შუქურა ამოიმართება და ქრიზოლითებივით მოცოცავენ სინათლის ნამცვრევეები, ესეც იმ ქალისგან არის ალბათ, მისი სიტყვები მასხენდება: „ამხელა ტკივილით სამოთხეში ვინ შემომეებს, ჯოჯოხეთისთვისაც არ გამიმეტებენ. სადმე, შუაში, გავჩერდები, ვარსკვლავივით, ისეც თქვენ გაგინათებთ“.

ფერი შევურჩიე იმ ქალს, როგორადაც ვხედავ ხოლმე: — მძიმე ნითელი. ნამებასავით მძაფრი და მკივანი. თითქოს სისხლისფერი ფარდებით დაბურულ ოთახში ეცხოვროს სულ, სამოვარიდან კი ასკილის ჩაი მოწკაპუნობდა, საღამოსთვის გროვებოდა შუშის გამჭვირვალე ჭიქაში, ფანჯრებსაც ნითლად აბრდღვილებული მოცხარი უფარავდა

ალბათ, სისხლს კი ვერ დამალავდა, ბოლომდე ჩაკვნილი ფრჩხილიდან, ფიქრთაცვენის დროს გაჭრილი თითიდან, შვილის გადატყავებული მუხლებიდან... "ნითელი გადაგივლის ცეცხლოვანი ტემპერამენტით"; „ნითელი საგანიც რომ დადგა თეთრის გარდიგარდმო, უკვე ნაშლილი ხარ პატივი ეცი ამ მკაფიობას!“ „თითი რომ გავიჭრა და სისხლის ბოლოს მოვკვდე სულ ნითელ ყელსახვევებად დამინანილებდით მოსულელოები და სუფთები ბატკნებოვით“; „ნითელი ჩრდილი უვარდება“; „ნითელსაღებავიანი ვედრო, რომელსაც ანერია „კუპრი“; „ფარდებს მუცლები უნითლდებათ“; „ნითელ კედელში გაჩენილი ბზარები“; „ოთხ კედელს კიდევ ავილებდი ყოფილი ტემპერამენტით, მაგრამ ის ნითელი!“



ვერ მივუახლოვდი იმ ქალს, მხოლოდ სუნი და სივრცე მინდოდა შემესუნთქა, ხარბად შემესუნთქა და ფეხაკრეფით გამოვბრუნებულყავი უკან, მაგრამ რამდენჯერაც ვცადა და ნაბიჯი წავდგი, ორი იმდენი მანძილით უკან გადამისროლა მის ირგვლივ წრეზე მქროლმა ქარმა. მხარზე კოდალა აზის იმ ქალს და კი არ უტაკუნებს, გარკვევით ამბობს: „შაკიკი!.. შაკიკი!“ ბეთაჰოვენის და მოცარტის სიმფონიები ერთმანეთში ამღვრეული, აქა-იქ შოპენის წვრილ-თბილი ნოკტიურნები ეხვევიან ქართან ერთად. ფირუზის, მალაქიტის, ძონის ნატეხებზე დგას და გეგონება სიტყვებს ადგილს და მნიშვნელობას უცვლის, გემოს უსინჯავს, ერთმანეთს უსადაგებს არა გასართობად, არამედ სხვა სიღრმეებში ჩასანათებლად და იმათგან რომ სიტყვა-ნაჭურჭები რჩება, ზურგსუკან გადმოისვრის. სიტყვა ან რაა?! გამომშრალი, ბებერი მერქანი, სველი და პრიალა ტანი ხომ შიგნით რჩება და ვერ გამოატყე.

საუცხოო ფერი თვალს რომ მომჭრის, დავიხრები ხოლმე, აღმოჩენის ბედნიერებითა და ბავშვური გაოცებით გავაგორებ ხელისგულზე, მერე საჩქაროდ ჩემს მიყრუებულ ყურეს მივაშურებ და თვეობით ვსწავლობ, თეორიების და ფორმულების გარეშე, იმ ჩემს სკივრში ვალაგებ ქალაქში სათუთად გახვეულ მეტაფორებს: „კარაქით მსუქანი ჰაერი“, „ნარინჯებით გატეხილი სიცივე“, „მდულარე ჭიანჭველები“, „უკანმოუხედავი ტყუილი“, „ტკივილზე მოქანავე

სანოლი“, „ბამბის ფეხები“ და „შუშის თითებით დაკრული ჰაინი“.

ამ სიმძიმის ატანამ სხეული ამიმჩატა, უცებ ცალხაზიანი ქალაქისა გავხდი, ხაზებზე, როგორც თაროებზე, განწყობები შემოვალაგე და მინდა როგორმე მუხლებამდე მაინც ამოვივსო, არ მტანჯავდეს ეს ყოველკუთხესა და მოსახვევში ატუზული სიმარტივე, ხანდახან მინდა მხოლოდ იმ ქალის სხეულიდან ვენებოვით ამობურცული უკიდურესობებით და სიმძაფრებით ვიცხოვრო, თუნდაც ვერ გავიგო, ოღონდ მომწონდეს.

ეს კითხვისნიშნები! ერთმანეთზე რომ გამოაბა კაუჭებით, დედამინის ბოლომდე გახვალ, ჯაჭვად გაიყილებ. იცის, რომ არავინ უპასუხებს, რადგან პასუხის მოფიქრებას რომ დრო სჭირდება, ის შეკითხვის გასაგებად შემოეხარჯება და, დრომაც რომ დაიცადოს, აბა რა პასუხს გასცემენ ამათ: „ვინ წაიყვანს მუსიკას რენტგენზე?“ „რას მალავდნენ ეს სამელონები?“ „ვის უნახავს პრიალა სიყვარული?“ „რამდენიმე ნორმალური კაცი რომ განასკვო, ერთი სიგიჟე არ გამოვა?“ „როიალი რომ გადმოაგდონ ფანჯრიდან, ქრომატული გამების ეკლებით იყვირებს თუ მელოდიის ვარდით?“

მან რახანია იცის, მე კი თანდათან ვხვდები, ამხელა სამყაროში, ამდენ ქაოსსა და ზუზუნში მაინც მონოლოგებით საუბარი გინევს, შენი დაუსრულებელი ფრაზები მრავალწერტილს ვერ გასცდება, სასურველ დასასრულს არავინ მიანერს უბრალო ფანქრით და დახრილი ხელწერით, თუნდაც ძნელად გასარკვევად, თუნდაც გაკრული ხელით.

სხეული ამიმჩატდა-მეთქი, მაგრამ სული? ახალშობილივით რომ გამოვახელ ხოლმე თვალებს და იმ ქალისგან წამოკრეფილ სიტყვებს დავინახავ ჩემს კალთაში, უცხო და ჯერ არ გასინჯული საკვებით დავცქერი, სულს რომ სჭირდება დასანაყრებლად და ყელში კი ძნელად გადამდის. ჯერ არ განცილი უბედურებებისთვის რომ შემამზადებს. დავხუჭავ ისევ თვალებს, ჩხვლეტია კენჭებზე გაწვები „და მჟავასუნთან ჰაერს ვეუბნები: „ჩემო არავინ, როგორ დავილაღე...“ ქუთუთოებს კი რაღაც სქელი და თბილი მიფარავს. ის მძიმე ნითელი.

ქრონიკა

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობს სამეცნიერო კონფერენციას, რომელსაც არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებასთან ერთად მართავს.

კონფერენცია ტრადიციულად რომელიმე კლასიკოსი ქართული მწერლის შემოქმედებას ეძღვნება. მონაწილენი იკვლევენ მწერლის ენას, მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ოსტატობას.

წლევანდელი თავყრილობა **დავით კლდიაშვილს** მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **გიორგი გოცირიძემ**.

„და“ კავშირი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციამ, — ასეთი იყო პროფესორ **როინ ჭიკაძის** მოხსენების თემა. საყურადღებოა, რომ დავით კლდიაშვილის პროზაში დასტურდება „და“-ს მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენების შემთხვევები: „**რაზედ ფეხები არ მომტყდა და** (რომ, როცა) **მაგას ნამოყვევი**“.

მეცნიერის დასკვნით, აქ „ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მოდელს ქმნის ინტონაციური ფაქტორი, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს წინადადების სტრუქტურულ მთლიანობას“.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ **ნანა რჩულიშვილის** მოხსენებამ „დავით კლდიაშვილის მემუარები — ოთარ ჭილაძის რომანის „**რკინის თეატრის**“ დოკუმენტური წყარო“.

პროფესორმა **მაყვალა მიქელაძემ** ისაუბრა ემფატიკური ხმოვნის განაწილების საკითხზე დავით კლდიაშვილის პროზის ენის მიხედვით. გამოითქვა სურვილი, რომ მეცნიერმა საინტერესო კვლევა განაგრძოს და ამ თვალსაზრისით **ოთარ ჩხეიძის** შემოქმედებაც განიხილოს.

ასევე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ **ციცინო კვანტალიანი**, **ლია ტალახაძე**, **კონსტანტინე კაკიტაძე**, **ნიკო ოთინაშვილი**, **ირმა გურასპაშვილი**, **გიორგი გოგოლაშვილი**, **იოსებ ჭუმბურიძე**. მერმის კონფერენცია **კონსტანტინე გამსახურდიას** მიეძღვნება.

პასუხისმგებლობა და მოვალეობა

ნინო ხალაქი

(ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულელების ქართველური ენათმეცნიერების მეორე კურსის მაგისტრანტი)

1.

ამ ფილმმა ჩემში მოვალეობებისა და პასუხისმგებლობათა ერთგვარი გადაფასება მოახდინა. მივხვდი, რომ ეს ორი ცნება გაცილებით მეტია, ვიდრე საკუთრივ ვალდებულება ან პასუხის გება საკუთარ საქციელზე. ვალდებულება გავალდებულებს, გბოჭავს და დამოკიდებულს გხდის. მოვალეობა კი, რომელიც თავის მხრივ გრძნობისმიერიცაა, ყველა დაბრკოლებას გადავალახინებს და გაგამარჯვებინებს (თუ, რა თქმა უნდა, ეს მოვალეობა ჭეშმარიტებას ემსახურება).

ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: „ვალდებულება გბოჭავს და დამოკიდებულს გხდის.“ დამოკიდებულს კანონზე, ფურცლებზე, ბრძანებებზე. ფილმის გმირებიც იმდენად კანონმორჩილნი გახლდნენ, რომ ნამდვილი მოვალეობა ექიმისა ერთგვარად უგულვებელაჰყვეს კიდეც და მშვიდად ელოდნენ, რამდენიმე წამში მუსიკოსი როდის შეწყვეტდა სუნთქვას მისი „სურვილისამებრ“.

აქვე გამიჩნდა კითხვა: ღირს კი ასეთ მოვალეობებს ხარკი უხადო (დამორჩილდე)?.. ერთადერთი ექიმი ჰაუსი იყო, რომელმაც ყველაფერი განირა იმისთვის, რომ პაციენტი სიკვდილისგან ეხსნა და სრულად გამოეჯანმრთელებინა, იგი ექიმია და სხვანაირად ვერც მოიქცეოდა. მან კარგად იცის, რომ ამ პროფესიის ადამიანმა მხოლოდ ფურცლებზე დანერილი ინსტრუქციით არ უნდა იხელმძღვანელოს – ეს მისი, როგორც ექიმის, მოვალეობაა, რომელზეც აუცილებლად პასუხს აგებს ან ახლა, ან ოდესმე... ხოლო მისი, როგორც მოქალაქის მოვალეობა, რა თქმა უნდა, უპასუხისმგებლოდ გადაინწყვიტება – იგი არღვევს პაციენტის უფლებებს. პაციენტმა ხომ უარი თქვა მკურნალობაზე?! აქ ერთმანეთს კვეთს ექიმი ჰაუსის როგორც მოქალაქის და ექიმი ჰაუსის, როგორც პროფესიონალის, მოვალეობანი.

ძნელია არჩევანის გაკეთება. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ექიმისათვის ორიენტირი მარტომყოფობა აღმოჩნდა. როცა მარტო ხარ ადამიანი, უოჯახოდ, უცოლ-შვილოდ, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ერთგვარად გეხსნება: არავის წინაშე არ გაქვს ვალდებულება, რაც მეტ თავისუფლებას გაძლევს და რისკის ალბათობაც მცირდება, და როცა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა „გეხსნება“, რა თქმა უნდა, პროფესიულია – იმატებს. ჰაუსი თავგანწირული ექიმია, რომელიც არას დაგიდევთ საკუთარ მომავალს, კეთილდღეობას, ოღონდ კი პაციენტს კვლავ „შთაბეროს“ სიცოცხლის უნარი. ეს მისი მოვალეობაა და მისი მოვალეობა მისი რწმენა და ძალაა.

ფილმის ამ სერიიში ნაჩვენებია მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა მთელი ჯაჭვი, რომლისგანაც სხვადასხვა გმირი სხვადასხვა რგოლს ირჩევს თავისი სიმართლის გამოსავლენად. ყველაფერი ერთმანეთშია გადახლართული და ძნელია გაიგო, რომელი გმირის საქციელია

უფრო მართალი და რომელი იცავს თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად. მართალი გითხრათ, ფილმის სიუჟეტური ხაზი ისე ვითარდება, ბოლომდე ყველა პერსონაჟი მართალი რჩება, მართალი — თავისებურად. ყველა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ პასუხის გებისას მართალი იყვნენ მოვალეობათა პირნათლად შესრულებით. მაგრამ რეჟისორი ჭეშმარიტებას კიდევ სხვანაირად გვიხსნის: მოვალეობა, რომელიც გრძნობისმიერია, ჭეშმარიტია და სწორედ ის უნდა გაიტანო, თუნდაც რომ ხარკის საფასური საკუთარი კეთილდღეობა იყოს. ექიმი ჰაუსიც ასე იბრძვის და ფილმის ფინალი გვიჩვენებს ამ ბრძოლის ღირსეულ გამარჯვებას, რომლის ბოლოსაც დადლილობა და ტკივილი გტანჯავს. რა თქმა უნდა, ტკივილიანია გზა, რომელიც უთანასწორო ბრძოლას ემსახურება. მაგრამ საკუთარი გამარჯვების შეგრძნება და მოვალეობის პირნათლად აღსრულება ამ ტკივილს ერთგვარად გინელებს და განგანყოფს ახალი ბრძოლისთვის: ისევ მოვალეობა და ისევ ამ მოვალეობებში ჭეშმარიტი ხაზის პოვნა – ეს ყველაზე საპასუხისმგებლო ბრძოლაა ჩვენს ცხოვრებაში.

2.

ჩემთვის ეს ტელემოთხრობა იყო, პირველყოფლისა, ფილმის ავტორის დათო ტურაშვილის პასუხისმგებლობა — ეჩვენებინა გურჯი-ხათუნის გზა, და რადგან პასუხისმგებლობა აიღო, მოვალეც გახლდათ ამ გზას ბოლომდე გაჰყოლოდა, რაც გრძელი და დამქანცველი აღმოჩნდა. ანკი, როგორ იქნებოდა ადვილი გზა იმ ქალისა, რომელიც ორი სხვადასხვა სამყაროს გასაყარზე დაინყო და უსასრულობას შეუერთდა: მისი ვარსკვლავი დღესაც კაშკაშებს ქალაქის თავზე და ძველ გზას გაჰყურებს...

ცამეტი წლის ულამაზესი თამარი დედის სურვილისამებრ გაათხოვეს თურქ-სელჩუკთა უფლისწულზე. დაინყო მისთვის ახალი ცხოვრება — პასუხისმგებლობებითა და მოვალეობებით დატვირთული. მოვალეობა არის ის, რაც გვევლება, როცა ვალდებული ხარ რაღაც გააკეთო. პასუხისმგებლობა კი უფლებისა და მოვალეობის ერთიანი განხორციელებაა, ანუ პასუხისმგებლობა კიდევ მეტია, ვიდრე საკუთრივ მოვალეობა. და, შესაბამისად, ძნელია ადამიანმა ეს ორივე გაიგო, მიიღო და ცხოვრების ნესადა აქციო — ზილო იქამდე, სანამ მოვალეობებს „ვადა არ გაუვათ“.

ფილმში, ერთი შეხედვით, თითქოს იოლად, ისე — სასხვათაშორისოდ არის ნახსენები გურჯი-ხათუნის მოვალეობანი. მაგრამ უყურებ სურათს და გრძნობ ამ პასუხისმგებლობათა სიმძიმეს. ჩემში გაოცება გამოიწვია თამარის კე-



თილსინდისიერებამ და იმ მოვალეობათა გასაოცარმა მორჩილებამ, რომელთა აღსრულებაც, ვინ იცის, როგორ ეძნელებოდა ხათუნს. თუმცა თამარი მოვალე იყო იმ ხალხის წინაშე, რომლებიც მას „ქვეყნიერების დედოფალს“ უწოდებდნენ (სელჩუკები), უნდა ეზრუნა მათზე. ძნელია მოვალეობათა აღსრულება, როცა ერთ სინამდვილეში ცხოვრობ, მეორეს კი ეკუთვნი. როცა მუსლიმანური სამყაროს დედოფლად გთვლიან, სისხლსა და გენში კი ქრისტეს სიყვარული აღგებქვდება. საინტერესოა, როგორ გაანაწილო მაშინ მოვალეობები. ტელენოველაში საკმაო სიცხადითაა გადმოცემული ამის პასუხი. ავტორი საოცარი სიმშვიდით მოგვითხრობს მართლმადიდებლურ ტაძარსა და ბოლნურ ჯვარზე და ის ტკივილი და თანაგრძნობა კი, რაც თამარის მიმართ გვიჩნდება, უაღრეს პატივისცემასა და აღფრთოვანებაში გადაგვეზრდება (მისი საოცარი დიპლომატიისა და შემწყნარებლობის გამო). კადრი სასახლის ნანგრევებზე გამოსახულ ბოლნურ ჯვარს გვიჩვენებს და ამით ხვდები, როგორი ფრთხილია დედოფალი თავისი პასუხისმგებლობის მიმართ: მუსლიმანთა გურჯი-ხათუნი მოკრძალებულ კუთხეში თავისი სულიერების სიმბოლოს ამოტვიფრავს (ჯვარი), წმინდა გიორგის ტაძარში ფრესკაზე ერთად დაახატინებს მართლმადიდებელ წმინდანებსა და მუსლიმან მოღვაწეებს. მეგობარი პოეტის საფლავზეც აღმართავს ნაგებობას, რომელიც ჩვენებური ტაძრის ყელსაც მოგვაგონებს და მასზე არაბული ასოებით არაქრისტიან მეგობარს სამახსოვრო წარწერას მიუძღვის. ეს ყველაფერი ბრწყინვალე ჩვენებაა იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ორმაგი მოვალეობებით ისე, რომ არც ერთს ავნო რაიმე და არც მეორეს. უფრო ზუსტად, ერთიც პირნათლად აღასრულო და მეორეც. მერე კი, როცა მოვალეობებს „ვადა გაუვათ“ (მას ორივე ქმარი გარდაეცვლება), თავისუფალმა (თავის უფალმა) მარადიულ სამყოფელს მიაშურო. თამარისათვის ეს მხარე ღვთივკურთხეული საქართველო აღმოჩნდა. იქ, სადაც თავისი დიდი წინაპრები ელოდნენ. ზევით კი, უფრო ზევით, სადაც ღმერთთა თამარის ბრწყინვალეობა დღესაც თვალს მოგჭრით. ეს მისი ვარსკვლავია, სამუდამოდ გაბრწყინებული...

3.

„ეკლიანი და პატარა გზა“, — ასე ჰქვია როსტომ ჩხეიძის ნაწარმოებს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ნავიკითხე და რომელმაც ამბივალენტური გრძნობებით ამავესო. მთავარი კითხვა კი სულ „ჩამჩიჩინებს“ — სად გადის ზღვარი პასუხისმგებლობასა და მოვალეობას შორის? გასაოცარია ავტორის უნარი: ოცდარვა პერსონაჟს მოაყოლინოს ამბები ილიაზე, რაც არის ოცდარვა გზა „ილიას წინამურამდე“ და ოცდარვა გააზრება ილიას პასუხისმგებლობათა, ჯვარისა, რასაც გზის ბოლოს მკითხველი ნათელ სვეტად აღმართულს ხედავს.

აღფრთოვანებას იწვევს ილიას ცხოვრების წესი: ის ერთნაირად პასუხისმგებელია გლეხის, მუშის, მაღალი წრის წარმომადგენელთა და თვით საკუთარი მკვლელების წინაშე.

აკვირდებით გლეხი მარტია: რუსთა მმართველობის ქეზის შემდეგ ილიას აღმურმა გადაჰკრაო და ცუდ გუნებაზე დამდგარ თავადს მათი მიტოვება ეწადა, მაგრამ „წესს იცავდა“ და კვლავ განაგრძობდა ზრდილობიან მასპინძლობას

სტუმრებისას. გასაოცარია ილიას დამოკიდებულება მოვალეობებისადმი: განა არ შეეძლო გაეკეთებინა ის, რასაც გული ეუბნებოდა? (ამდგარიყო და გასულიყო), მაგრამ მან კარგად იცის, რომ ილიაა და პასუხს აგებს თუნდაც იმ გლეხის წინაშე, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მის მამულში ოფლი დაღვარა. მართალია, მოგვიანებით მასზე იტყვიან „პირნავარდნილი მემამულეა“ და „გლეხების სულთამხუთავიო“ (ნოე ჟორდანი), მაგრამ თუ ამ სიტყვების მიქმელს დავესესებთ, „ხალხმა ყველაფერი იცის, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ“. ხალხი ისტორიას ქმნის. ისტორია კი შემდგომ ამისა იტყვის ყველა ქართველის სათქმელს: „ილია — მართალი“. მართალ კაცს კი განა შეიძლება პასუხისმგებლობები განზე გადაედო? ილია საკუთარ მკვლელსაც არ ესროდა. იაკობ ბითარიშვილი გვეუბნება: იარაღს ატარებდა, შეიძლება ამოეღო კიდეც, მაგრამ არ ისროდაო. როგორი დიდი უნდა იყო ადამიანი, რომ ცხოვრების ბოლო წუთებშიც კი არ დაივიწყო მოვალეობანი და პასუხისმგებლად მიგაჩნდეს თავი საკუთარი სიცოცხლის მომსწრაფველის სიცოცხლის წინაშე. ეს მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, ვინც ტყვეის წინაშე დგას „მთელი თავისი დღე და მოსწრება და თითქო სხვაგვარად არც უნდოდეს და ვერც წარმოედგინოს“ (ივანე მაჩაბელი).

კითხულობ და უკან მოხედვისას ხვდები, რომ გზადაგზა ყველა პერსონაჟი თავის მოვალეობას იხდის და პასუხისმგებლობას არ გაუბრბის: ილაპარაკოს „თავისი სიმართლე“ ხმამალა და საყოველთაოდ გმირები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული არიან სოციალური სტატუსითა თუ მდგომარეობით, თუმცა მათ ყველას აერთიანებს გრძნობა — მოვალეობა, რომელსაც ხარკს თითოეული მათგანი სხვადასხვაგვარად უხდის. გლეხი მარტიასათვის მოვალეობაა, საქმე ძველებურზე უფრო გულმოდგინედ აკეთოს, რათა მეგობრის სულმა დაინახოს და ეამოს, რადგან „კაცია, ქუდი ხურავს და არ უნდა გაიხადოს საქმე სასაყვედუროდ.“ ივანე მაჩაბელი, პირადი წყენის მიუხედავად, მოვალეა თქვას სიმართლე: ილია მეომრის გაბედულობით გამოირჩევა და სიფრთხილე მასთან რა მოსატანიაო. აი, ეკატერინე გაბაშვილს პასუხის გება თითქოს ერცხვინება კიდეც, მაგრამ მოვალეა იმ საქციელისთვის, რომელიც მისას არა ჰგავდა, პასუხი აგოს და თავზე ქოლგაგადაამტეხელი თავი იმით იმართლოს: ილიას მგომბს მეტიც ეკადრებოდაო.

აი, ასე გრძელდება და საბოლოოდ იკვრება ნაწარმოები მოვალეობათა წყება ჯაჭვებით და ავტორიც მიგვახვედრებს, რომ ამ მოვალეობებს „გადადება“ არ უყვართ. არ უნდა გადადო რაიმე სამერმისოდ, თითქო თავს უფრო მომზადებულად იგრძნობ გაისს და ისე დახატავ „მოვალეობათა პორტრეტს“, თორემ „სიბერე როგორ შემოგეპარება და უღონობა როგორ დაგრეცს ხელს“, მერე შენ თვითონაც გაგიკვირდება.

სწორედ ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა ილია, რომლის გზამაც პასუხისმგებლობებითა და მოვალეობებით დაინყო ათვლა და, დასასრულ, მთელი ეპოქა შექმნა, ეპოქა, რომელიც ილიამ ზიდა საკუთარი ტყავით — მოვალე იყო და იმიტომ... ილიას მთელი ცხოვრება კი ერთ წინადადებაშია ასახული, როცა ავტორი იაკობ გოგებაშვილს ათქმევინებს: „მარცვალს ხომ მაინც ჩავაგდე ხნულში, ადრე თუ გვიან აუცილებლად რომ იხარებს.“ ამ ოპტიმიზმით დასრულდა ილიას ეპოქა. და „მოვა დრო და ყველა

ლილი მატრეველი

(*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი*)

1.

ჰიუ ლორი,
ლაიზა ედელსტეინი,
დევიდ შორის ექიმი ჰაუსი...

“ღმერთო ჩემო, რა თვალები აქვს?!” მახსოვს, სწორედ ეს სიტყვები წარმოთქვა ჩემმა მეგობარმა ფილმის დაწყებისას, როცა პირველად შეავლო თვალი ექიმ გრეგორი ჰაუსს. არ გამკვირვებია, მეც იმავეს ვფიქრობდი.

ცოტა უცნაური, თითქმის უჩვეულო, სევდანარევი, და კიდევ — ირონიული ლიმილით სახეზე, ექიმი ხელჯოხით, თეთრი ხალათის გარეშე, უდავოდ არაბუნებრივი მანერებით — მოკლედ, ძალიან უცნაური ვინმეა ეს ჰაუსი...

ჰაუსი არ ცხოვრობს ისე, როგორც ყველა. ნაკლებად ემორჩილება წესებს, მუდამ თავდაჯერებულია, აქვს მკურნალობის საკუთარი მეთოდები, არასტანდარტული და ყველასგან გამორჩეული. ხასიათის ეს უჩვეულობა და თვითნებობა არაერთხელ გამხდარა კონფლიქტის მიზეზი არა მხოლოდ საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან, არამედ გუნდის წევრებთანაც. “რა აუტანელია...” “მძულს!” — ხშირად გაიგონებთ ექიმის ბუნებით ნირნამხდარი ფორმანისა თუ სხვა კოლეგებისაგან. თუმცა ეს ნაკლებ ანაღვლებს ჰაუსს.

როგორც წესი, ირონიული ლიმილით, სარკასტული შენიშვნებით, მოთმინებით ისმენს გუნდის წევრთა გულუბრყვილო ვერსიებს ავადმყოფის შესაძლო დიაგნოზის შესახებ. ამ დროს მაგიდაზე შეწყობილი ფეხები მიანიშნებს მის თავდაჯერებულობას.

უნიკალური ინტუიცია და პროფესიონალიზმი საშუალებას აძლევს დასვას სწორი დიაგნოზი. როგორც ექიმი, უბრალოდ გენიოსია. ჰაუსისთვის უმთავრესია პაციენტისთვის სიცოცხლის შენარჩუნება, რაც ექიმის უმთავრესი მოვალეობაა.

მუსიკოსი ჯონ ჰენრი როგორც კი გააცნობიერებს, რომ ველარ დაუკრავს, მისთვის ყველაფერი მთავრდება, უმუსიკოდ ცხოვრება დასასრულია, ისევე როგორც ყოველი განუკურნებელი პაციენტია ჰაუსისთვის დასასრული. ექიმი-დეტექტივი ბოლომდე იბრძვის, იმიტომ არა, რომ პაციენტის გული მოიგოს, არც იმიტომ, ღვანლმოსილი ექიმის სახელი ჰქონდეს (ალბათ, ყველაზე ნაკლებ, სახელ-დიდება ანაღვლებს). უბრალოდ ესაა და ასეთია ჰაუსის ცხოვრება... რეჟისორი ძალიან წარმატებულად ასერხებს ჰაუსისგან შექმნას, ისეთი პერსონაჟი, რომელსაც ბოლომდე შეუძლია თავისი იდეალის მსახურება, იდეალი კი აბსოლუტური პასუხისმგებლობაა. მარტოსული ექიმი ეულად მიუყვება ცხოვრების გზას... სამყარო, რომელშიც ცხოვრობს, საესებით აკმაყოფილებს. სამედიცინო ამოცანები, აზარტი — და დიაგნოზს სვამს...

არა, მართლა უცნაური ვინმეა ეს ჰაუსი...

2.

არსად ისე არ იგრძნობა უდაბნოს სუნი, როგორც შუა უდაბნოში... ხელისგულზე დაყრილ ქვიშასთან ჩურჩული, ქვიშასავით სუნთქვა და ფიქრი... გარდასულ ამბავთა საოცარ წყებას აცოცხლებს დათო ტურაშვილის ტელე-

მოთხრობა... დერვიშები, ბედუინები, გზაბნეული ქარავანი, ქვიშის ქარი... აღმოსავლეთში ხომ დრო ნელა გადის და უდაბნოში ადამიანები არ ჩქარობენ. მზეც ზანტად მოძრაობს და კაცთათვის დღეები და ღამეები აზი-აში უფრო გრძელია, ამიტომაც არსად ისე არ ქრებიან ადამიანები, როგორც უდაბნოში... სულ სხვანაირია ყველაფერი ჩვენთან, ქართველთა ქვეყანაში: ბევრი ტყე, ცოტა ქალაქი, პური, ვაზი, ჩვენი მზე თბილია, დედის ალერსივით თბილი, სულისჩამდგმელი და არა გავარვარებული... უდაბნოს რომ აშრობს, სუნთქვას რომ გიშლის, სულს რომ გართმევს. ო, რა ძნელია ასეთი ქვეყნის დატოვება...



დათო ტურაშვილის ტელემოთხრობაში „გურჯი ხათუნი“ საოცარი ემოციითაა მოთხრობილი ქართველი დედოფლის თავგადასავალი. შვიდი საუკუნე გვაშორებს იმ ეპოქასთან, რომელიც გურჯი ხათუნის კვალს ადევნებულმა ქართველმა მწერალმა გააცოცხლა. ეს, ცხადია, არაა ერთი ჩვეულებრივი ქართველის სევდიანი ამბავი. ქვეყნიერების დედოფლად ნოდებულის, მშობლიურ მიწას მონყვეტილი გურჯი ხათუნი არ შეიძლება მხოლოდ თანაგრძნობას ინვევდეს ქართველი კაცის გულში, არ შეიძლება ქართველი დედოფლის სიმტკიცით გულგამაგრებულ ყოველ ქართველში ამავე დროს არ დაიბადოს სიამაყისა და ღირსების გრძნობა.

შვიდი საუკუნის წინათ მუსლიმი სულთნები ემშაკობენ, — ქრისტიანებს არ აძალბებენ ისლამის აღიარებას, მაგრამ ვინც მაჰმადის რჯულს აღიარებს, მათ გადასახადებს არათუ უმცირებენ, საერთოდ არ ახდევინებენ, და ეს მზაკერული გეგმა აშართლებს. ანატოლიასა და მთელს აზიაში ამიტომაც მრავლად არიან მუჰამედის მიმდევრები: ბერძენები, ქართველები, და მართალია, ისინი ჯვარს გულით ატარებენ, მაგრამ პარასკევს მეჩეთს არ აცდენენ, რათა მეზობლებმაც დაინახონ და ხარკი არ დაადონ. ბევრი აატირა ქართველთა ამ მდგომარეობამ. ტიროდნენ ქრისტეს დროშისთვის შეუპოვარ ადამიანებზე, ახლა უცხო რჯულს რომ მონებდნენ, საქართველოს იმ მიწას ტიროდნენ, დედამიწის სამოთხეს, კვნესის ჭაობად რომ ქცეულიყო, იმ მიწას, სადაც ყველა ღმერთი მიეტოვებინათ.

ცრემლი მოჩანდა 13 წლის ქართველი ქალწულის დიდრონ, ზღვასავით სევდიან თვალბშიც, “როცა ცაზე გაქრება ნაკითხული სიცოცხლის ხაზიც, ლურჯი თვალები აგვესება თეთრი ცრემლებით.” ისტორიის ქართველი მსხვერპლს მოითხოვდა, — მოვალეობა და პასუხისმგებლობა, — დარჩა მხოლოდ ეს ორი სიტყვა.

ასე იქცა 13 წლის ქართველი ქალწული ქვეყნიერების დედოფლად, ქართველი თამარი — გურჯ ხათუნად. ასე გაჩნდა სელჩუკეთის ცაზე უცნობი ვარსკვლავი გურჯი ხათუნისა.

**ეს სამყარო პატარადავით მშვენიერია,
მაგრამ ამ ჯიუტ ლამაზმანზე დაქორწინება
ვერაგინ შეძლო.**

სულთანს ქორწინლზე არავინ დაუპატიჟებია, თუმცა თურმე, მთელის ანატოლიაში იმდენს ლაპარაკობდნენ სულთან ქაიხურსევის მომავალ მზეთუნახავ მეუღლეზე, რომ უამრავ ხალხს მოეყარა თავი კესარიაში, რათა საკუთარი თვალით ენახა 13 წლის პრინცესა გურჯისტანიდან, რომლის მსგავსი თურმე არც მანამდე შობილა და არც მერე...

მართლაც, ძალიან ლამაზი ყოფილა გურჯი-ხათუნი — ვკითხულობთ ისტორიულ ქრონიკებში თუ გვამცნობენ ზეპირი გადმოცემები. რამდენი კაცი ეტრფოდა კონიაში თუ ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა, მონუსხავდა ყველას განუმეორებელი ხიბლით.

ბევრი სიკეთე მოიძოქმედა გურჯი ხათუნმა სელჩუკთათვის, გულით სათნო იყო ქართველი დედოფალი, თანაც — მოვალეობა, პასუხისმგებლობა, — გამუდმებით იძახდა მასში ჩასახლებული იდუმალი ხმა. არც გაქცევია ამ პასუხისმგებლობას... დღესაც არსებობს პატარა სალოცავი წმიდა გიორგისა, რომელიც გურჯი ხათუნის ბრძანებით აუგიათ. უცნაურია სალოცავის კედლები მასზე გამოსახული ქრისტიანი და მუსლიმი წმინდანებით, აქ, როგორც არსად, ორი განსხვავებული, საპირისპირო ცივილიზაცია და კულტურა ერთად არსებობს. რომ არა გურჯი ხათუნის უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი, ალბათ, ეს არასოდეს მოხდებოდა... ტელემოთხრობაში საოცარი სიძხადით არის გაცოცხლებული ისტორიის გახუნებული ფურცლები...

ბოლოს მაინც მოვიდა თავისუფლება...

იგი გაქრა... უკანასკნელად იმ უცნაურ კლდეებთან ნახეს, სადაც ქართული მზეა გამოსახული, დედის ალერსივით თბილი ქართული მზე, სულისჩამდგმელი...

ახლა მხოლოდ უცნაური ჰანგები მესმის, აღმოსავლური, მაგრამ თითქოს არის მასში ქართულიც და სასახლის აივნიდან ქვეყნიერების დედოფალი — გურჯი ხათუნი — სევდიანი ღიმილით გაჰყურებს გურჯისტანს...

3.

ამასწინათ მესიზმრა, შუალამით: ვითომ გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, უკანმოუხედავად, შეუჩერებლად. უცნაური ამ სიზმარში ის იყო, რომ არც გზა ჩანდა ჩვეულებრივი და არც კაცი. ბურუსში გახვეულ ვიწრო, ძალიან ვიწრო და ეკლიან გზაზე, უფრო ბილიკზე კაცი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, თითქმის გარბოდა, მართალია, ბასრი ეკლები ფეხებს უსერავდა, მაგრამ მაინც მიდიოდა და მიდიოდა... წამით მაინც დაველანდე კაცის სახე და მასში ილია ჭავჭავაძე შევიცანი...

წიგნში “ეკლიანი და პატარა გზა” საოცარი განცდითა და სრულიად ახლებურადაა აღწერილი გზა, რომელმაც ილია წინამურამდე მიიყვანა.

“ილია და მხოლოდ ილია... სულ მაგის სახელი არ გაისმის?” ალბათ ამიტომაც აზრი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ მის თანამედროვეთა შორის ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა. ბევრი მას ფანატიკოს ნაციონალისტად მიიჩნევდა, ეროვნულ დროშას, რომელსაც ასე ეთაყვანებოდა ილია, ჩვართან აიგივებდა, ხოლო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას მარ-

ქსისტული იდეოლოგიის შემაფერხებლად ნათლავდა. ალბათ, ამიტომაც წამოაძახეს: “არ გაპატიებს ხალხი გადადგომას, არ გაპატიებს, ნოლებად რომ გამოაცხადე.”

მათ ასე გაიგეს. ავის პირუთენელად მამხილებელი ერის მამა შუა საუკუნეთა ბნელეთში ჩარჩენილად გამოაცხადეს. თუმცა ფიქრობდნენ ასეც: “ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, თითქოს, ტყვიის წინაშე იდგეს მთელი თავისი დღე და მოსწრება და სხვაგვარად არც უნდოდეს და ვერც წარმოედგინოს.”

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ სხვები; “ჩემო კალამი, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში, რასაც ვმსახურობთ, ერთგულადვე მას ვემსახუროთ”, — ასე ფიქრობდა ილია. ის, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის წინაშე იყო პასუხისმგებელი. როგორც გრიგოლ რობაქიძე შენიშნავს, მოსე წინასწარმეტყველად ესახებოდა თავი, პოეტის სიმბოლიკის მისეულ გააზრებაში ჩანს ბიბლიური პატრიარქის სახება. არანაირი დოქტრინით არ ყოფილა შემოზღუდული და მხოლოდ ჭეშმარიტებას ეძიებდა, სამშობლოც ჭეშმარიტებას გაუიგივებდა, ასე იწამა და კიდევ შეენირა მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ სწრაფვას.

მოგონებები და მოსაზრებანი, რომლებიც წარმოდგენილია როსტომ ჩხეიძის წიგნში, გვიჩვენებს არა მხოლოდ ილიას სახეს, არამედ ნათელს ხდის ეპოქის ბუნებასაც.

“ნუ მალვძიებ, წყნარად ილაპარაკე...” (მიქელანჯელო) ბუნებრივია, გადაგვარებულ ადამიანებს სძულთ მხატვარი, რომელმაც ისინი მეტად კარგად დახატა, თანაც, უკომპრომისოდ ებრძვიან მათ, ვინც ბევრს ფიქრობს, მითუმეტეს, ვინც ფიქრობს განსხვავებულად, ასეთი ადამიანები ძალიან აშინებთ! ხოლო მან, ვინც მიჰყვება ჭეშმარიტების გზას და აშენებს მარადისობის ტაძარს, კედელში თავისი გული უნდა ჩაატანოს. ასე მოიქცა ილიაც, სამწუხაროდ, პიროვნებები ან წყვეტენ ბედს იქ, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან ეპოქები, პრინციპები და იდეოლოგიები.

აქ გამახსენდა ილიას ღუმილი, როცა უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა ღიმილი ყიფიანის ცხედარს. ღუმილი... თანაც რა დროს! ხელისუფლებას მაინც ვეღარაფერი გაენყო და მხოლოდ კბილებს აღრჭიალებდა სიმწრით, რომ ღიმილი ყიფიანის გადმოსვენება სტავროპოლისიდან და მთანმინდაზე დაკრძალვა დიდ საპროტესტო გამოსვლად გადაქცეულიყო. ბევრი დააფიქრა იმ დღეს ილიას ღუმილმა. ზოგი ფიქრობდა, მეტი ლეღვისაგან სათქმელს თავი ვერ მოუყარაო, მაგრამ ილია და ენაზე “ჭალის მოკიდება?” ზოგმა მისი ღუმილი ნაკლები რადიკალიზმით ახსნა, იკითხეს კიდევ: “რაღაც ღრმა აზრი ხომ არ ჩაბუდებულა ილიას ამ საქციელში?” იმასაც ამბობდნენ: “ეტყობა, უფრო დიდ საშიშროებას ხედავს, ვიდრე მთავრობის პოლიტიკაა, უფრო ერთბაშა და დაუნდობელს, ეს სამხელელი მთავრობაც რომ შეიძლება მოგვანატროსო.”

მართალია... ღუმილი ყოველთვის არ ნიშნავს სათქმელის უქონლობას. ილია ღუმდა, ღუმდა, ვინაიდან მის წინაშე დრო შეიცვალა, მოვიდა ახალი ეპოქა ახალი იდეოლოგიით, რომელიც ყოველგვარ დაბრკოლებას უმონყალოდ ანადგურებდა და მან ეს მთელი არსით შეიგრძნო ყველასთვის ჯერჯერობით აუხსნელი და მიუწვდომელი... სულ სხვა დროიდან სულ სხვა დროში ამოყო თავი, ეს სწორედ ის იდუმალი კაკუნის განცდაა, მოსვენებას რომ

დააკარგვინებს იაკობ გოგებაშვილს, სამუდამოდ აღბეჭდილი ფსიქიკაში: “ასე იყო, ასე — წამის დიდი გარდასახვა ვიხილე, ახალი ჟამის დაბადება. ვიხილე და ველარც გამოვეხსენი, ეს რა დათრგუნვა სცოდნია შიშს!”

უძლეველი ძალის წინაშე დადუმებული ილია საკუთარი ფეხით მიდის წინამურამდე, თუმცა მანამდე იყო ბევრი გაფრთხილება, რჩევა, ბევრიც ეხვეწეს, ემუდარეს. არა ჰქნა: “სიყრმიდანვე ქართლის ბედს ვარ აყოლილიო”. რასაკვირვე-

ლია, იცოდა ისიც, რომ “ჯვარს ეცვი თუგინდა! საშველი არ არის, არ არის, არ არის!” იცოდა, მაგრამ მაინც ენუგეშებოდა: “მე ხომ ვიყივლე და გათენდება თუ არა, ღმერთმა იცისო!”

ილიას სიკვდილზე ბევრი დაინერა, ბევრიც ითქვა, მერე მოვიდა ერის ღრმად განცდილ ტანჯვაში მკვლელობის ახლებური გააზრება. როგორც ამბობენ, წინამური იქცა მსხვერპლად, რომლის საიდუმლოებაც სინამდვილის გარდამქმნელი ძალაა. ალბათ, ასეცაა...

ელენე ნაკირაძე

(ფილოლოგიის მიმართულების ქართველური ენეთმეცნიერების პროგრამის II კურსის მაგისტრანტი)

1.

მედიცინაში არც ისე გარკვეული ვარ, მაგრამ ეს ფილმი ძალიან მომწონს. უყურებ ექიმი ჰაუსის პიროვნებას, რომელიც თავს გაყვარებს, თავისი ორიგინალური ქცევის მიუხედავად, ან... იქნებ სწორედ ამით?!

საოცარია და იშვიათი, იყო ასეთი მცოდნე, გქონდეს უფლის მიერ ბოძებული ნიჭი და ცდილობდე, ყოველთვის დაეხმარო ადამიანებს იმის მიუხედავად, გეხება ეს საქმე შენ თუ არა; არ ერიდებოდე არც სასამართლოს, არც შენი კოლეგების წინააღმდეგობას და ჯიუტად ცდილობდე, დაეხმარო პაციენტს; ამის გამო შეიძლება ეგოისტადაც ჩაგთვალონ, ფანტიკოსობაც დაგნამონ, მაგრამ არ შედრკე და არ შეეპუო — ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მხოლოდ ექიმ ჰაუსის პიროვნების მსგავს ადამიანებს ხელეწიფებათ ასეთი მოქმედება; ამგვრი ადამიანები კი ძალიან ცოტაა.

ამ შემთხვევაში ჰაუსს შეეძლო, ჯონ ჰენრის ექიმის მსგავსად ხელი ჩაექნია და სასიკვდილოდ გაენირა ავადმყოფი, მით უმეტეს, რომ ამ ავადმყოფის მკურნალობა არ შედიოდა მის მოვალეობაში, მაგრამ მას სჯეროდა თავისი თავის, ცოდნისა თუ ალღოსი, არ ემეტებოდა სიკვდილისთვის პაციენტი და, მიუხედავად ამ უკანასკნელის სურვილისა, არ ჩატარებულყო რეანიმაცია, მაინც დაეხმარა, სიკვდილს ხელიდან გამოჰგლიჯა. ამის გამო მას სასამართლოშიც კი უჩივლეს, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა.

უყურებ ამ ყველაფერს და იმედით ივსები, გსურს, ასეთი ექიმები ბევრი იყვნენ, ასე ხომ უფრო დაცულად იგრძნობ თავს! ექიმ ჰაუსის მნახველი ხვდები, თუ როგორი უნდა იყოს სინამდვილეში ექიმი — რაც უნდა მძიმედ იყოს ავადმყოფი, ხელი არ უნდა ჩაიქნოს, ადვილად არ უნდა დაუთმოს სიკვდილს.

უყურებ ამ ფილმს და ყველაფერი გადმომაქვს ჩვენს ქვეყანაში: ვადარებ, პარალელს ვაკლებ; ჩვენც გვყავს ბევრი მცოდნე და სანდო ექიმი; ბევრ მათგანს გადაურჩენია და სიკვდილისაგან დაუხსნია ავადმყოფები, თუმცა არიან, საუბედუროდ, ისეთებიც, ვისაც მხოლოდ ფული გაუხდია ყველაფრის საზომად, უიმისოდ კი ხელსაც არ გაანძრევენ... ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ, ღვთის მადლით, ხომ არსებობენ ჩვენი „ექიმი ჰაუსებიც“!

2.

გურჯი-ხათუნი — XIII საუკუნის სელჩუკთა დედოფალი, ქართველი ქალი...

უყურებ ამ ტელემოტხრობას და თითქოს შენს თვალწინ ცოცხლდება XIII საუკუნის საქართველო და ოსმალეთი, თითქოს შენც მოგზაურობ მწერალთან ერთად იქ, იმ სამყაროში, გურჯი-ხათუნივით გიმძაფრდება ცნობისმოყვარეობა და მასავით განიცდი იმ ტკივილს, სამშობლოსგან მონყვეტას რომ მოაქვს. მშობლიური მიწის სიყვარული — ყველაზე სპეტაკი გრძნობა — სწულდება ექცევით ხოლმე ბედის უკუღმართობით სამშობლოსა თუ საკუთარ კერას მონყვეტილ ადამიანებს. ნოსტალგია ჰქვია ამ დაავადებას და უკურნებელ სენად რჩება, ვიდრე კაცი თავის კერას არ დაუბრუნდება. გურჯი-ხათუნიც, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აკლდა, მაინც დაუბრუნდა თავის მრავალტანჯულ ივერიას, მანამდე კი თვისი ხვედრი გმირულად ზიდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ის ხომ წმინდა თამარ მეფის ღირსეული შთამომავალი და მოსახელე იყო!



სელჩუკების იმპერიის „ქართველი დედოფალი ყველამ შეიყვარა გასაოცარი სილამაზისა და სათნოების, სიკეთისა და სიბრძნის გამო. პირველი, რაც მან კონიაში გააკეთა, პურის გაიაფება იყო“, რადგან კარგად იცოდა, რომ ხალხისთვის პური ყველაზე მთავარი სასიცოცხლო პროდუქტია... უყურებ ამ ფილმს და უნებლიეთ გახსენდება ჩვენი დღევანდელი პურის ფასები...

იგებ გურჯი-ხათუნის მიერ ჩადენილ სიკეთეს, მის გონიერებას და გული გწყდება, განიცდი იმას, რომ ეს დიდი ნიჭი და გონება შენს ქვეყანასა და ხალხს არ მოხმარდა, ვერ გამოადგა. ან იქნებ... იქნებ ასე სჯობდა საქართველოსთვის? ვერაფერს ვიტყვი!..

იგი ამენებს ქართულ ტაძრებს, არ ივინყებს მშობლიურ ფესვებს, ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ... მარადიული ტკივილით აქვს გული ავსებული, სამშობლოს მონატრების მწარე ტკივილით.

ყურს უგდებ გურჯი-ხათუნის სევდიან ამბავს და მწერალთან ერთად არც შენ გემეტება 13 წლის ქართველი მზეთუნახავი სელჩუკთა დედოფლობისთვისაც კი; და უნებურად გახსენდება მრავალი ქართველი ქალი, სამშობლოს მოშორებული, უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრები,

არა სადედოფლოდ, არამედ ლუკმა-პურის საშოვნელად წასული, გახსენდება და ტკივილი გიათკეცდება...

დათო ტურაშვილმა გურჯი-ხათუნის ნაკვალევზე თვითონაც განვლო და მკითხველიც გაატარა იმ მძიმე გზაზე, რათა ყველამ ჩაიხედოს წარსულში, დაფიქრდეს იმაზე, რაც მოხდა და ხდება, რათა მომავალი უკეთ განჭვრიტოს.

მწერალმა ამ ტელემოთხრობით უკვდავების ძეგლი დაუდგა უცხო ქვეყნის ქართველ დედოფალს. სწორედ დათო ტურაშვილმა ამოაბრწყინა XIII საუკუნის ქართველის – გურჯი-ხათუნის ვარსკვლავი XXI საუკუნის გარიჟრაჟზე და ჩვენც გვჯერა მწერალთან ერთად რომ: „უცხო ქვეყნის სახელოვანი დედოფლის გურჯი-ხათუნის ვარსკვლავი... არ ჩაქრება, როგორც ერთი ქართველი ქალის ლამაზი და სევდიანი ისტორია“.

3.

გულში ღრმად გწვდება სიტყვები: „ეკლიანი და პატარა გზა“, გწვდება და სულს გიფორიაქებს, გახსენებს სამარცხვინო ლაქას ჩვენი ისტორიისას... იმ დროს ხომ დაბნეული ქართველების თვალწინ ქრებოდა ისტორია, ამას კი ერის დაცემა მოჰყვებოდა უთუოდ. კარგად იცოდა ეს ილიამ, ამიტომ ვერ გაჩუმდებოდა. საკუთარ თავზე ფიქრით მას არასოდეს უცხოვრია. მან თავის უპირველეს მოვალეობად იმთავითვე მიიჩნია ერის გამოღვიძება. იგი „ქართველის ბედს სიყრმიდანვე იყო აყოლილი“, თუმცა კარგად ესმოდა, რომ შეენირობოდა, მაგრამ არ შედრკა. „ბედს ვერავინ წასვლიაო“, — ამბობდა. აკი ემსხვერპლა კიდევ ერისა და ქვეყნის დიდ სიყვარულს, ტყვიები არგუნეს ამისათვის. საქართველოში ხომ... ვერ ვეგუებით სიმართლის პირში მთქმელ ხალხს: როგორც კი ვინმე ჭკვიანი და გამბედავი გამოჩნდება, მზად ვართ ჩვენივე ხელით მოვუსწრაფოთ სიცოცხლე... სამარცხვინოა, მაგრამ ამისთანა შავი ლაქები არც თუ ისე ცოტაა ჩვენს ისტორიაში.

ილიას მკვლელობით, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „...ეპოქა გათავდა დიდი“. როსტომ ჩხეიძის ეს წიგნიც მთელი ეპოქაა, მრავალი მოგონებით გაცოცხლებული. კითხულობ ამ მოგონებებს და მწერალთან ერთად თანაგანმცდელი ხდები იმ საშინელი ტრაგედიისა, დღემდე მოუშუშებელ ჭრილობად რომ აჩნია თითოეულ ქართველს. აქვე ამოკითხავ ილიას მისამართით თქმულს: „ხეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივა... ამათ რა უნდათ — რევოლუციამ თუ უცოდველი ადამიანებიც გაიმეტა, თვით რევოლუციები უარყოთ?“

თანაც, ეს რომელი უცოდველი გახლდათო... (ნოე ჟორდანიას).

ნაიკითხავ და მწარედ გტკენს გულს ნათქვამი, თანაც სიბრაზე მოგეძალება. სწორედ ასეთი გამონათქვამის გამო ვერ შეიკავა თავი ეკატერინე გაბაშვილმა ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში და დიდ მამულიშვილზე უკადრისი სიტყვის მთქმელ თავადიშვილს ქოლგა გადაამტვრია თავზე. ნაიკითხავ ამ მოგონებას და გიხარია, გიხარია, რომ სწორად მოაზროვნეები უფრო მეტი გვყავდა ქართველებს.

როსტომ ჩხეიძემ ამ წიგნის გამოცემით კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეაფასებს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჩვენს მოქმედებას, ვალდებულნი ვართ, პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე; ისტორია კი აუცილებლად ყველას თავის ადგილს მიუჩენს. სწორედ ამიტომ, რომ წინამორიდან საგურამომდე ეს „ეკლიანი და პატარა გზა“ ილიას სიკვდილით კი არ დამთავრებულა, პირიქით — მარადისობას შეუერთდა.

...და, მიუხედავად დღევანდელი სიდუხჭირისა, ჩვენდა სასიხარულოდ, დღესაც მრავლად გვყავს საღად მოაზროვნე საზოგადოება. ხალხი ბრძენიაო, — უთქვამთ და აკი სწორედ ამ ბრძენი ხალხის წყალობით მისი ღვაწლი დაფასდა. ქართველმა ერმა ერის მამად, წმინდანად შეირაცხა და წმინდა ილია მართალი უწოდა.

ელენე ამაღლობელი

დუდუკი ქართული წარმოშობისაა

ასეთი საღამოსაც შევიგულებდით —

გადავწყვედით ლიტერატურული სალონების ციკლში, არაერთი ორიგინალური შეხვედრით რომ გამოირჩევა, კიდევ ერთი ახლებური ნაკადი შეგვეტანა, არც მეტი, არც ნაკლები, „ქსოვრელების“ ანსამბლი მოგვეწვია და მათი შემოქმედების ფონზე მურმან ჯინორიასა და რუსუდან ბოლქვაძეს აენშიანებიან ქართველი პოეტების ლექსები.

არა, პოეზიის საღამოები სხვა დროსაც გავგიმართავს — „ჩვენი მწერლობის“ სალონის სტუმრებს კარგად ახსოვთ „ლექსთა შეჯიბრებისა“ თუ მხატვრული კითხვის საღამოები, ჩვენი ცნობილი მსახიობების მონაწილეობით, მაგრამ... ახლა წარმოდგინეთ, შემოიხიხართ ლიტერატურულ სალონში და, ლიტერატურის რომელიმე კრიტიკოსის ნაცვლად, ქსოვრელები გხვდებიან დუდუკებითა და აკორდეონით, მაღალინტელექტუალური მსჯელობის მაგივრად კი, ძველი თბილისის ნოსტალგიაშეპა-

რული მუსიკის ფონზე, მსახიობი კითხულობს, ვთქვათ, ლექსს „მეარღნეები და პოეტები“.

წარმოიდგინეთ? გაგიჭირდათ? ასეც იქნებოდა.

ჰოდა, ვიდრე საღამო შედგებოდა, დეტალების დასაზუსტებლად თუ განწყობის შესაქმნელად, ასეთი უჩვეულო საღამოსთვის ნიადაგის შესამზადებლად, „ქსოვრელებს“ ვენციეთ და ელდარ შოშიტაშვილს ცოტა რამ ვაამბობინეთ ანსამბლის შესახებ.

ცოტა, თორემ მათ რომ ამბები გადახდენიათ, ამდენს აბა როგორ მოვასწრებდით.

საღამო შედგა და დაავიკრავინა კიდევ წლებანდელი შეხვედრების საგაზაფხულო ციკლი, ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობენ ამ უჩვეულო შეკრების შემსწრენი... და ვიდრე ამ ყველაფერს გაგიზიარებდეთ, ისე — განწყობის შესაქმნელად თუ შესამზადებლად — გვინდა ცოტა რამ თქვენც გაიმბოთ „ქსოვრელების“ შესახებ:

საქართველოს მედუდუკეთა ანსამბლი 1958 წელს ჩამოყალიბდა **გრიგოლ ქსოვრელის** თაოსნობით და „სოინარი“ ეწოდა. ხელმძღვანელთან ერთად პირველ ბირთვის ქმნიდნენ: **ამირან ძიძიგური, ლადო არჩვაძე და მიხეილ ბებერაშვილი**. სამოსი ყარაჩოღელებისა ჩაიცვეს, საკრავები ძირძველი ქართული მოიმარჯვეს და საკუთარი ნიშაც მალე დაიმკვიდრეს ქალაქურ მუსიკაში. სამი დუდუკისა და ერთი დოლისგან შემდგარმა ანსამბლმა, მოგვიანებით აკორდეონიც რომ შეემატა, წლების მანძილზე არაერთი ფესტივალისა და კონკურსის წარმატებით მოვლის შემდეგ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, სამშობლოში კი ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთ სახეზე ჩამოყალიბდა და თბილისური შეკრებების კოლორიტადაც იქცა. წლების მანძილზე ანსამბლის შემადგენლობა იცვლებოდა, არაერთმა მუსიკოსმა მოსინჯა ძალა „სოინართან“ ერთად. ბატონი **ელდარ (გიორგი) შოშიტაშვილი** კი იქ პირდაპირ დიდი სპორტიდან მოხვდა – საჭიდაო მოედნის მიტოვების შემდეგ ანსამბლში მუსიკის სიყვარულმა მიიყვანა. 80-იანი წლების დასაწყისიდან კი, გრიგოლ ქსოვრელმა ის ანსამბლის წევრად მიიღო და მას შემდეგ ამ გზიდან აღარც გადაუხვევია.



ელდარ შოშიტაშვილი

1984 წელს ლენინაკანში გამართული კონკურსიდან პრიზი ჩამოიტანეს.

1986 წელს, მცხეთაში, ხალხური მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე მთავარი პრიზი აიღეს.

არაერთ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდნენ, წარმატებით მოიარეს გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ისრაელი... განსაკუთრებულად დიდი გამოხმაურება მოჰყვა ანსამბლს 1992-93 წელს ბელგიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე.

იმავედროულად, 1981 წლიდან, რესტორან „ქალაქურში“ უკრავდნენ. ერთ-ერთი ასეთ საღამოს, ქართული კულტურის წარმომადგენელთა შეკრებაზე, მორის ფოცხიშვილს ანსამბლის წევრებისთვის ლექსი მიუძღვნია. მუსიკას მე დაწვერო, – უთქვამს ვაჟა აზარაშვილს და ასე ერთ საღამოს შექმნილა სიმღერა „ქსოვრელები მღერიან“, რომელიც ანსამბლის სავიზიტო ბარათად იქცა.

1984 წელი იყო მაშინ.

გრიგოლ ქსოვრელის გარდაცვალების შემდეგ (1995 წ.) „სოინარი“ თითქმის დაიშალა, მაგრამ ოთხ თვეში მისი წევრები ისევ შეკრიბა ბატონმა ელდარმა და კონცერტიც გამართეს ფილარმონიაში სწორედ ამ სახელწოდებით: „ქსოვრელები მღერიან“.

ანსამბლის ხელმძღვანელადაც სწორედ მაშინ „მოინათლა“ და „ქსოვრელებმაც“ ახალი სუნთქვით გააგრძელეს ტრადიციები. ძველი ბირთვიდან, ბატონ ელდართან (სოლო დუდუკი) ერთად, **ზაურ წერეთელი** (ბანი დუდუკი) შემორჩა ანსამბლს, შემოემატნენ ახალი სახელებიც: **რობიზონ გიგაური** (სოლო დუდუკი), **ვანო ტატიაშვილი** (დოლი), **არჩილ ალავერდაშვილი** (აკორდეონი).

– „ქსოვრელების“ თანხლებით ბევრ მომღერალს მოუსინჯავს ძალა ამ ჟანრში. ანსამბლთან ერთად მღეროდნენ: მედეა ძიძიგური, ინგა ფერაძე, ვენერა მაისურაძე, ციური მჭედლიძე, თამარ მეჭიაური, ნინო კრავიციანი, ეთერ კაკულია, ლია ხუნწარია, ირაკლი უჩანეიშვილი, მერაბ დონაძე, ნინო ციფრაშვილი, თემურ ნიკლაური, რობიზონ კურტანიძე, ანა ბაჯიაშვილი, სულიკო მერუაშვილი, ირმა შოშიტაშვილი... უმღერიათ ასევე ზურაბ ანჯაფარიძეს, მამუკა ონაშვილს, მერაბ სეფაშვილს, ნინო ჩხეიძეს, ლელა წურწუმიას, გაია სურამელაშვილს...

ქალაქური ფოლკლორის გარდა სიმღერები იქმნებოდა იეთიმ გურჯის, მორის ფოცხიშვილის, ჯიმი ჯარიაშვილის, მედეა კარტოზიას, კარლო კალაძის, ეთერ ჭელიძის, მერაბ მერაბიშვილის და სხვა პოეტების ლექსებზე.

– არიან ადამიანები, – ამბობს ბატონი ელდარი, – რომელთაც ეჭვი ეპარებათ, რომ დუდუკი ქართული საკრავია – ჰგონიათ, რომ აღმოსავლურია და აზიური ფესვი აქვს, არადა ასე არ არის. სალამური სხვა ერებსაც აქვთ, ზურნაც, ფანდურიც, მაგრამ დუდუკი სწორედაც რომ ქართულია და მხოლოდ ჩვენია, ჩვენად-მდე ხანისა, არქეოლოგებს კოლხეთის დაბლობზე აღმოუჩენიათ ორნასვრეტიანი დუდუკი, მერე კი, დროთა განმავლობაში, ნასვრეტები დაუმატებიათ და საუკუნეების მანძილზე თბილისური კოლორიტის განუყოფელ ნაწილად დამკვიდრებულია. ჭერმის ხისგან მზადდება და ისტორიულად ისიც ცნობილია, რომ ყველაზე კარგი ჭერამი სოფელ დილოში ხარობდა და დუდუკიც ამ მხარისა ფასობდა. ამ საკითხზე ბევრი დაწერილა. დუდუკის ქართული წარმოშობის დამადასტურებელი უამრავი მასალა არსებობს. ეს ყველაფერი შეკრებილი მაქვს, მაგრამ სპონსორს ვეძებ, რომ წიგნად გამოვცეთ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სპონსორს სხვა კარგი საქმისთვისაც ეძებენ: მამათა თაობის ძალისხმევით ამ ყველაფერს „პატარა ქსოვრელებიც“ ეუფლებიან, მათთან ერთად გადიან საერთაშორისო ასპარეზზე, აკი დიდი წარმატებაც ხვდათ წილად შარშან პოლონეთში გამართულ ფესტივალზე, წელს კი იტალიასა და ესპანეთში არიან მინვეულები და თუკი სპონსორი გამოჩნდა, იქაც შეძლებენ თავიანთი სიტყვის თქმას.

ბატონი ელდარი ძალიან ემაღლიერება „თიბისი“ ბანკს და მის ხელმძღვანელობას, ვისი დაფინანსებითაც ახალი თაობის „ქსოვრელებს“ ახალი ფორმები ნინო ბინაძემ შეუკერა.

ასე, უკვე წლებია მოჰყვება ანსამბლი ამ გზას, რომელზეც არაერთი კომპოზიტორის მუსიკა აამღერეს. მათ მორის ვაჟა აზარაშვილის, ჯიმი ჯარიაშვილის, გოგი ცაბაძის, ნუნუ დულაშვილის... ნაწარმოებები. თავისი მოღვაწეობით ანსამბლმა სხვაგვარი კოლორიტული ფერი შესძინა ქალაქურ ფოლკლორს, საკუთარი გამორჩეული სიტყვითაც დამკვიდრდა ქართულ მუსიკაში და ახლა თაობებს გადასცემს ამ ტრადიციებს.

ო' ჰენრი

ნეტარების სამოსელი

ერთი წლის წინათ, თითქოს მინამ უყო პირო, ჯონი ბელჩემბერსი მოულოდნელად გაუჩინარდა. იღუმალი ამბები დიდ ქალაქში ისე ხშირია, რომ ეს აღარავის გაჰკვირვებია, არც მის ნაცნობებს და არც მათ, ვინც დღედაღამ გაზეთებს ჩაჰკირკიტებენ ცხელ-ცხელი ქორების მოლოდინში. ჯონის ბურუსით მოცული გაქრობის საიდუმლოს ფარდა კი აეხადა, მაგრამ ეს ისტორია ისეთი უცნაური და დაუჯერებელი აღმოჩნდა, მხოლოდ მისმა ახლო მეგობრებმა ირწმუნეს.

ჯონი ბელჩემბერსს ელიტის წარმომადგენლად იცნობდნენ. ის არ ცდილობდა საკუთარი სიმდიდრისა და კეთილდღეობის საგანგებო წარმოჩენით მიექცია ყურადღება სხვა ელიტარების დარად, თუმცა ყოველმხრივ დახვეწილი კაცი იყო და საკმაოდ მაღალი საფეხურიც ეკავა საზოგადოებრივი იერარქიის კიბეზე.

განსაკუთრებით ჩაცმა-დახურვით ბრწყინავდა. ამ მხრივ ბადალი არ მოეძებნებოდა. მუდამ კონტად და ფაქიზად შემოსილი, სინატიფითა და სისალუქით გამორჩეული ბელჩემბერსი უცილობლად იყო აღიარებული ნიუ-იორკისა და, მაშასადამე, ამერიკის პირველ ფრანტად. რომელი გოტემელი¹ თერძი არ ოცნებობდა იმ პატივსა და ფუფუნებაზე, ბელჩემბერსისათვის ტანსაცმლის შეკერვა რომ ერქვა! დიდად მადლიერნი რჩებოდნენ ამით და მზად იყვნენ ისე მომსახურებოდნენ, ცენტიც არ გამოერთმიათ მისთვის. უკეთეს რეკლამას ვერც ინატრებდნენ. მათ ნახელავში ხომ თავად ჯონი ბელჩემბერსი გამოეწყო. ჩვენს გმირს განსაკუთრებით შარვლის შერჩევა ხიბლავდა, მხოლოდ საუკეთესო მოდელებს იხდენდა ხოლმე. სამოსს მალიმალ იცვლიდა, ამაში საგანგებოდ დაქირავებული კაცი ეხმარებოდა, ხელიდან რომ არ უშვებდა უთოს. მეგობრები იხსენებდნენ, რომ ბევრი-ბევრი სამი საათი გაეძლო ერთსა და იმავე ჩასაცმელში.

ბელჩემბერსი სრულიად მოულოდნელად გაუჩინარდა. სამი დღე ისე გავიდა, ახლობლებს განგაში არ აუტეხიათ. შემდეგ კი შემფოთდნენ და მიიკითხ-მოიკითხეს, მაგრამ ვერაფერი შეიტყეს. ჯონი უკვალოდ გამქრალიყო. მეგობრები თავს იმტვრებდნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი უცნაური გადაკარგვის მიზეზი. ჯონის არც მტრები ჰყოლია, არც ვალი ჰქონია, მშვენიერთა სქესიც არ უნდა ყოფილიყო გარეული ამ ამბავში. ბანკის ანგარიშზე სულ რამდენიმე ათასი დოლარი ედო. ჭკუა-გონებას არ უჩიოდა, ხასიათიც მშვიდი და განონანსობებული ჰქონდა. ასე რომ, ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. გაუჩინარებული მეგობრის ძებნის ყოველი ცდა ამაო გამოდგა. ჩანს, ესეც ბოლო ხანს გავრცელებულ შემთხვევათაგანი იყო – ადამიანები ისე ქრებოდნენ, ჩამწვარი სანთელივით ნაღვენითის ნასახსაც არ ტოვებდნენ ნიშნად. ერთი სიტყვით, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამაო, სწორედ რომ ჯონი ბელჩემბერსზე ითქმოდა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, მისში – ბელჩემბერსის ორი მეგობარი, ტომი ერსი და ლანსელოტ ჯილიამი, სა-

მოგზაუროდ ევროპისკენ გაემშრნენ. იქ, იტალიასა და შვეიცარიაში ხეტილისას ერთი არაჩვეულებრივი მონასტრის ამბავს მოჰკრეს ყური, შვეიცარიის ალპებში რომ აეშენებინათ. იქაურობა უფრო მეტ შთაბეჭდილებას და სიამოვნებას ჰპირდებოდა მათ, ვიდრე ტურისტთათვის განკუთვნილი სხვა სანახაობანი. მეგობრები აიტაცა თითქმის მიუღწეველი, ციკაბო მთის მწვერვალზე აღმართული მონასტრის ნახვის სურვილმა. მაინც რით მიიზიდა ჩვენი მოგზაური ამ სახიფათო ექსკურსიამ? რით და მოარული ხმებით, იქაური ბერები არაჩვეულებრივად გემრიელ, ღვთაებრივ ლიქიორს ამზადებენო, ბენედიქტინსა² და შარტრეზზე³ ბევრად უფრო გემრიელსო, მონასტრის უზარმაზარი თიბბრის ზარი დღემდე ისეთსავე წკრიალა ხმას გამოსცემს, როგორსაც პირველად, სამასიოდ წლის წინათ, და მისი ექო თითქმის არ წყდებაო, ამ ადგილას ჯერ ინგლისელს ფეხი არ დაუდგამსო. ერსმა და ჯილიამმა გაგონილს ნახვა ამჯობინეს და გადაწყვიტეს მაცდური ხმები შეემონებინათ, რათა მათ ჭეშმარიტებაში თავად დარწმუნებულიყვნენ.

ორი მეგზური იშოვეს და მათი დახმარებით მალე წმინდა გონდრაუს მონასტერში ააღნიეს. მონასტერი ხიფათით სავსე, თოვლის ზვინებით მოფენილ მოყინულ ქარიან კლდეზე იდგა. მოგზაურებს დიდი გულითადობით შეეგებნენ დამხვედურნი, მონასტრის ძმები, რომელთა მოვალეობა იშვიათ სტუმართა დახვედრა-გართობა და გამასპინძლება იყო. ახალმოსულებმა დააჭაშნიკეს ლიქიორი, რომელმაც სიცოცხლის ელექსირივით იმოქმედა მათზე, სული მოათქმევინა და თავისი ძალა აგრძნობინა. შემდეგ მონასტრის ზარის რეკვას მიაყურადეს და მისი ექოთი დაიტკბეს სმენა. ბოლოს ისიც შეიტყეს, რომ ნამდვილად პირველნი იყვნენ, ვინც მონასტრის რუხი ქვის კედლებში შეაღწია, პირველნი ინგლისელ მოგზაურთა შორის, რომელთა მოუღლევი ფეხი დედამინის ყოველ კუთხე-კუნჭულს მისწვდებოდა.

დღის სამ საათზე ორმა გოტემელმა ახალგაზრდამ კეთილმონესე კრისტოფერთან ერთად მონასტრის დიდ, ცივ ტალანში შეაბიჯა. იქ მათ ასეთი სურათი გადაეშალათ. თავდახრილი ბერები წყვილ-წყვილად დამწკრივებულიყვნენ, სანდალნამოცმულ ფეხებს უხემ ფილაქანზე უხმაუროდ აბიჯებდნენ და ნელი, მწყობრი სვლით სატრაპეზოსკენ მიემართებოდნენ. როცა პროცესია მოგზაურებს გაუსწორდა, ერსმა უეცრად ჯილიამს მკლავში ხელი სტაცა.

„შეხედ ბერს შენს პირდაპირ“, – ნასწურულა შეძრულმა, – „აი იმას, წელთან რომ მიუტანია ხელი. თავს მოვიჭრი, თუ ეს ჯონი ბელჩემბერსი არ იყოს!“

ჯილიამმა გაიხედა და დაკარგული ფრანტი შეიცნო. „დალახვროს ეშმაკმა!“ – გაკვირვება ვერ დაფარა მან, – „აი, სად ყოფილა ჩვენი ბელი! არა, არა, ტომი, დარწმუნებული ვარ, ეს შეუძლებელია! განა ოდესმე გსმენია, ჯონის



რელიგიური მისწრაფებები ჰქონოდა? რომელი ღვთისმოსიში ეგ მყავდა, არ გახსოვს, გალიზიანებული ღვთის გმობასაც კი არ ერიდებოდა, ჰალსტუხს ხეირიანად თუ ვერ შეიკრავდა ხოლმე”.

„ბელია, ეჭვგარეშეა“. – დაიჟინა ერსმა, – ან თვალთ დამკლებია და ეგაა. მაგრამ ერთი იფიქრე, სად ჯონი ბელჩემბერსი და სად სულიწმინდა?! სად ჩვენი სალონების ავანჩავანი, ლორდი და დენდი, პენენიკი ჯონი და სად ეს თამბაქოსფერ ტომარასა თუ აბანოს ხალათში შემოსილი ბერი?! რა დარჩენია აქ, ამ ყინულეთში? ვერაფერი გამიგია. მოდი, ჩვენს მხიარულ ნაცნობ ბიჭს ვკითხოთ, იქნებ რამეში გაგვარკვიოს”.

გაოგნებულმა მეგობრებმა კეთილმონესე კრისტოფერს მიმართეს, მაგრამ ვერ გააგებინეს, ვისზე იყო საუბარი — ბერები აღარ ჩანდნენ, ისინი ამ დროს უკვე ტრაპეზს მიირთმევდნენ. ჯონი ბელჩემბერსი? გვარსახელით აქ მას არ იცნობენ, წმ. გონდრაუს ძმებმა ხომ პერად შედგომისას ერისკაცობის სახელი შეიცვალეს. რომელიმე ძმის ნახვა უნდათ სტუმრებს? კი, ბატონო, თავად შეუძლებს სატრაპეზოში, უჩვენონ, ვისთან სურთ შეხვედრა და ღირსი აბატი, უეჭველია, ამის ნებას დართავს.

ერსი და ჯილიამი სასადილო ოთახში შევიდნენ და ძმა კრისტოფერს იმ ბერზე მიუთითეს, რომელშიც ძველი მეგობარი შეიცნეს. მისი სახე ახლა უკვე მკაფიოდ გაარჩიეს და მიხვდნენ, თვალი არ ატყუებდათ. დიახ, მათ წინ ნამდვილად ჯონი ბელჩემბერსი იყო. ის პირქუშ ძმებს შორის ჩამჯდარიყო და თავჩაქინდრული ტლანქი ყავისფერი ჯამიდან შეჭამანდს შეეცცოდა.

აბატმა მოგზაურებს ნება დართო გასაუბრებოდნენ ერთ-ერთ ძმას. მეგობრები მას პაემნისთვის განკუთვნილ სენაკში ელოდნენ. მალე ფეხის ხმა მოისმა და სანდალგაყრილმა ჯონიმ მსუბუქად შემოაბიჯა. ერსი და ლანსელოტი დაბნეულები და გაკვირვებულები შეაცქერდნენ. თავი სიზმარში ეგონათ. მათ წინ ჯონი ბელჩემბერსი კი იდგა, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდათ, მაგრამ, ღმერთო, ეს როგორ გამოცვლილიყო?! გაკრიალებულ სახეზე ენითუთქმელი ნეტარება და სიმშვიდე, სრულყოფილი ბედნიერება გამოსახოდა. ტანი გამართული, განწყობილება ზეანეული ჰქონდა, თვალეში შუქი ჩასდგომოდა, უშფოთველი და სანდომიანი გახდომოდა. ისეთივე საამო და პენენიკი ჩანდა, როგორც ძველ დროს ნიუ-იორკში, მაგრამ ეს რანაირად შემოსილიყო?! ახლა ერთადერთი სამოსი ეცვა – უხეში ყავის-

ფერი ჯვალოს გრძელი ანაფორა, წელთან თოკით შეკრული და ძირს სწორად ჩაშვებული, მხოლოდ ფეხებთან რომ ეშვებოდა ნაკეცები. მან სტუმრებს ხელი გაუწოდა გულლიად, ძველებური დიდებულებით. ცდილობდა, უხერხულობა გაეფანტა. სენაკში დასაჯდომი არ იყო, რომ ჩამომსხდარიყვნენ და ძველმა მეგობრებმა ზეზეურად ისაუბრეს.

„სიხარულით აღარა ვარ, ძმობილო“, – ძლივს დაარღვია სიჩუმე ერსმა. – „რას ვიფიქრებდი, აქ თუ გნახავდი! ვერ გამიგია, ცხადში ვარ თუ სიზმარში. ისე, ცუდი იდეა არ უნდა იყოს, მე და ჩემმა ღმერთმა, მოშორდე და გაერიდო ჩვენს თვალთმაქც საზოგადოებას, ფარისევლურ ყოფას. დიდი შვებაა, ალბათ, განმარტობა, ლოცვა, მარხვა, ვალობა, ცხოვრების ამოებაზე ფიქრი“

„გეყოფა, ტომი“. – შეანყვეტინა ბელჩემბერსმა მხიარულად. – „იმან გაგაოცა, ცივ ფილაქანზე რომ დავაბიჯებ სხვა ბერებთან ერთად? ეს ხომ უბრალოდ აქაური წესია. მეც აქ ძმა ამბროზიო ვარ. ეჰ, ბიჭებო, თქვენთან სასაუბროდ მხოლოდ ათი წუთი მაქვს! ეს რა ჟილეტი ჩაგიცვამს, ჯილიამ, წუთუ ასეთებია ახლა მოდაში? ამას ატარებენ ბროდვეიზე?“

„ისევე ის ჯონია“, – გაიხარა ჯილიამმა, – „რა ეშმაკმა, – მინდოდა მეთქვა, – ოჰ, ჯანდაბას,.. რამ მოგაფიქრა აქ გადმოკარგვა, ძმობილო?“

„გაიძრე ეგ ფლასები, აიკარ გუდა-ნაბადი და გამოგყევი.“ – შეეხვენა ცრემლმორეული ერსი. – „აბა, რა შენი საქმეა ეს?! ჩვენები ცას ენევიან სიხარულით, რომ გნახავენ. იცი, როგორ დაითაღხნენ გოგოები, შენი აორთქლება რომ შეიტყვეს? გემუდარები, ჯონი, უარი თქვი შენს მოვალეობებზე, გადადექი ან, რა ვიცი, რაც გინდა, ქენი, ოღონდ მოშორდი აქაურობას. გაცივდები, დაავადდები ამ დაწყველილ საყინულეში. ღმერთო ჩემო, წინდებიც კი არ გაცვია!“

ბელჩემბერსმა სანდლებნამოცმულ შიშველ ფეხებზე დაიხედა და გაიცინა.

„ვერ მიმიხვდით, ბიჭებო“. – დაამშვიდა მეგობრები. – „გულს მიჩუყებს თქვენი სურვილი, უკან დამბრუნოთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ძველი სამყარო აღარ მხიბლავს. აქ კი ჩემი ოცნება და გულისნადილი ავისრული, ის ვიპოვე, რასაც ვეძებდი. ახლა სავსებით კმაყოფილი, ბედნიერი ვარ და დარჩენილი დღეების გატარებასაც აქვე ვაპირებ. ხედავთ, როგორი ხალვათი სამოსი მაქვია?“ – ბელჩემბერსი ფრთხილად შეეხო სწორად აჭრილ ქსოვილს. – „როგორც იქნა, უზადო სამოსელს მივაგენი, ისეთს, მუხლებთან რომ აღარ გაინელება, უკვე ვიპოვე...“



მხატვარი ნინო ხურცილავა

უცხოური ნოველა

ამ დროს მონასტრის დიდმა თითბრის ზარმა დაიგუგუნა. ლოცვა იწყებოდა. ძმა ამბროზიომ მეგობრებს თავი დაუკრა, შეტრიალდა და სენაკი უჩუმრად დატოვა. ქვის ჭიშკარში რომ გადიოდა, ხელი ძლივს შესამჩნევად გააქნია. ჩანს, ძველ მეგობრებს ასე ემშვიდობებოდა. ტურისტებმა მონასტერი ისე დატოვეს, ჯონი მეტად აღარ უნახავთ.

აი, ის უცნაური ამბავი, ტომი ერსმა და ლანსელოტ ჯილიამმა რომ ჩამოიტანეს ბოლო ევროპული მოგზაურობიდან.

ინგლისურიდან თარგმნა
მანია ცერცვაძემ

1. გოტემი (ინგლ. Goat - თხა) - სოფელი ინგლისში, ნოტინგემშირის საგრაფოში. ინგლისურ ფოლკლორში მოხსენიებულია, როგორც სულელთა და ბრიყვთა სამკვიდრო. 1807 წელს ცნობილმა ამერიკელმა რომანტიკოსმა მწერალმა ვაშინგტონ ირვინგმა სატირული მოთხრობების კრებულში „სალმაგუდი“ ნიუ-იორკი სულელთა სოფელს შეადარა. ამ დროიდან „გოტემი“ ქალაქის ერთ-ერთ არაოფიციალურ სახელწოდებად იქცა.

2. მაგარი ფრანგული ლიქიორი. მზადდება შაქრის ჭარხლის, ბალახებისა და თაფლისგან. 1510 წელს გამოიგონა დონ ბერნარდო ვინცელიმ საფრანგეთში, ფეკანის წმინდა ბენედიქტეს მონასტერში.

3. ფრანგული ლიქიორი, რომელიც დაამზადეს კარტეზიანელთა ორდენის ბერებმა შარტრეზის მთიანი მასივის ახლოს.

დღიურის ფურცლებიდან

მარინე ტურავა

ორი სამყაროს სამანზე

□

ზოგიერთი დაკვირვება თამაზ ბაძალუას ლექსებზე

თამაზ ბაძალუას წიგნის სათაურმა — „სიზმარში მანც ვხვდებით ერთმანეთს“ — ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი და იდუმალი სული — ნოვალისი გამახსენა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადრეული გერმანული რომანტიზმის ეს რჩეული წარმომადგენელი სრულიად ახალგაზრდა, 29 წლისა გარდაიცვალა და ერთი წლით მეტ ხანს იცოცხლა, არამედ იმიტომ, რომ ამ 29 წლის მანძილზე იგი სიკვდილ-სიცოცხლის, რეალურისა და ირეალურის სამანზე ცხოვრობდა, თითქოს აერთიანებდა და ამთლიანებდა ორ სამყაროს, ამიერ და იმიერ სოფელს.

სატრფოს გარდაცვალების შემდეგ ნოვალისი გადანყვეტს მოკვდეს — „როგორც ჩანს, ჩემი ცხოვრების აზრი ესაა: ამქვეყნად ვერაფერს მივალწიო, აყვავების ხანაში მოვწყდე ყველაფერს, რათა უკანასკნელ წუთში შევიცნო ის, რაც ყველაზე ღირებულია ნაცნობ საგანში, ასევე საკუთარ თავშიც. მე ახლა ვსწავლობ და ვეცნობი ჩემს თავს, ამიტომაც უნდა წავიდე სიცოცხლიდან. მე დედამინაზე არ მიწერია დასრულება“.

ნოვალისი არ საუბრობს თვითმკვლელობაზე, ის აცხადებს საკუთარ მზაობას — სულიერი, მინაგანი ძალისხმევით მიუახლოვდეს, გამოიწვიოს აღსასრული.

თამაზ ბაძალუას დეკლარირებულად არ გამოუცხადებია სიკვდილისადმი მზაობა, მის შემოქმედებაში ეს მოტივი წინასწარჭვრეტის, შემოქმედის მიერ საკუთარი ბედის შეცნობის ნიჭად არის მიჩნეული, თუმცა აქაც ადგილი უნდა ჰქონდეს ერთგვარ სულიერ მზადყოფნას, ქვეცნობიერ იმპულსს — მოკვდეს, როგორც ახალგაზრდა პოეტი.

თამაზ ბაძალუაც ორსავე სოფელში ცხოვრობს ერთდროულად — „მე კენჭებს ვისვრი დამშვიდებული და ღვინოსავით ვეჩვევი სიკვდილს“, „მე დაბადება მაახლოებს სიკვდილის სიღრმეს.“ ზოგჯერ ეს განცდა სცილდება ლოკალურს, პიროვნულს და სამყაროს სიკვდილამდე ღრმავდება — „მესიზმრება ბაბილონი ინგრევა თითქოს და ძილში ვხედავ ავარვარებულ, წითელ სახეებს, რომ ჩემს სიკვდილთან ერთად სამყაროც მოკვდება თითქოს.“

იგი გრძნობს, რომ ორი სამყაროს მიჯნაზეა — „ორ ხიდზე ვდგავარ, ქვევით ორი მდინარე ბრუნავს“. თითქოს მუდმივი არჩევანის წინაშეა, რომელი მდინარე აირჩიოს, რომელი ხიდი. ერთი მხრივ, ეშინია სიკვდილის, შეუცნობლის — „გულსა მტკენს ფიქრი, რომ ყველაზე ბასრი ისარი ჩემს შუბლზეა დამიზნებული, რომ ყველაზე უნდო ხაფანგი ჩემს თათებზეა გამოზომილი“, „ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიმის სურნელი“, მეორე მხრივ, ევრიდოკეს, დანტესა თუ ნოვალისის მსგავსად, მიცვალებულთა საუფლოსაკენ მიემუხრება თავგამოდებით — „გარდაცვლილი მეგობარი მესიზმრა წუხელ: მეფერებოდა, ხელს მიქნევდა, წამომყვიო და მახარებდა რაღაც მშვიდს და რაღაცა ნამდვილს“, „მე დამესიზმრა თითქო შენს სიკვდილში შევედი, როგორც შემთხვევით გამოვსული კარში და ვერ გიცანი.“ სიზმარი თამაზ ბაძალუასათვის არის საშუალება იმიერ ქვეყნად მოგზაურობისა, მისი საიდუმლოს შეცნობისა.

საყვარელი ძმის, ერაზმის გარდაცვალების შემდეგ ნოვალისი წერდა დღიურში: „როცა სოფია და ერაზმი ფხიზლობენ, მე შემიძლია მშვიდად ვიყო.“ ასეთივე სიმშვიდით ესაუბრება თამაზ ბაძალუა გარდაცვლილ ახლობლებს.

მას ჰქონდა უნარი პოეზიად ექცია ყველაფერი, რასაც შეეხებოდა. ანდრო ბუაჩიძის სიტყვით, „თამაზი იყო მუდმივად შეყვარებული და მუდმივად აღფრთოვანებული რაღაცით ან ვიღაცით. მისი ხასიათის თავისებურება არ იყო ნეგატივების გამოძლავანება, ეს არ აღიზიანებდა მის შთაგონებას“. ნოვალისი იყო, ალბათ, ერთადერთი რომანტიკოსი, რომელსაც არ აღიზიანებდა არაპოეტური გარემო, რადგანაც თვითონ აქცევდა მას პოეზიად, „სამყაროს რომანტიკულება“. იგივე ჰოლდერლინის ან ბარათაშვილისაგან განსხვავებით, რომელიც ვერაფრით ეგუებოდა თავის მძიმე „მხვედრს“.

თითქმის ორი საუკუნის შემდეგ სამყაროს მოველინა კიდევ ერთი, მართლაც უცნაური, იდუმალი სული და თავისი ხანმოკლე ცხოვრებით, რაღაც შეუცნობელით, ძალიან პოეტურით დატოვა გზა, კვალი მხოლოდ მისეული და ერთადერთი.

როსტომ ჩხეიძე

რომანტიკოსი პრაგმატული ჟამისა

□

მინაწერები ზურაბ აზმაიფარაშვილის წიგნის აუიუზა

– აზმაიფარაშვილი კარგი საბუთია მათ წინააღმდეგ, ვისაც ქართველი ქალები და ქართველი მამაკაცები სხვადასხვა მასალისაგან გონია ნაგები! იგი ნამდვილი ნიჭია, ამასთან არც ბრძოლის ჟინი, ნამდვილი სპორტული ცეცხლი და აზარტი აკლია!

ამ თვალსაზრისს მიხეილ ტალი განაცხადებს 1986 წელს, თბილისში გამართული ვიქტორ გოგლიძის მემორიალის შემდეგ, სადაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად I-II ადგილებს გაიყოფს.

მშვენიერი დითირამბია.

თანაც, ვინ ამბობს!..

მიხეილ ტალს ეს შეხედულება სხვა დროს აღარ გაუმეორებია, არ მისცემია საშუალება და არც თვითონ უძებნია. და რაოდენ სასიამოვნოა ქართველი მწერლებისათვის, რომ ეს დითირამბი ითქვას არა ჟურნალისტთან, არამედ პოეტთან საუბრისას.

ტარიელ ჭანტურიამ პირდაპირ ჰკითხა აზრი თვალდათვალ დანინაურებულ ახალგაზრდა ქართველ მოჭადრაკეზე და რიგელმა დიდოსტატმაც გულწრფელად მიუგო... მაგრამ ეს შეკითხვა რომ არ ნამოჭრილიყო?..

ესეც კიდევ ერთი დასტური, რაოდენ აუცილებელია ცნობილ და არაცნობილ საუბრის ჩანერა, რათა საგულისხმო მოსაზრებანი და დაკვირვებანი ქარს არ გაჰყვეს – ჩანიშვნა ინტერვიუსა თუ დიალოგის ფორმით, დღიურსა თუ მემუარულ ჩანაწერებში.

და კიდევ ერთი დასტური, რომ არ ვიყოთ მარტოდენ ჟურნალისტების იმედად და თვითონვე ვითავოთ საუბართა ჩანაწერების მომზადება – ხან წინასწარი ჩანაწერით, ხანაც გონების უეცარი განათებით, არ არის ეს ნალაპარაკევი დასაკარგავი და, ვიდრე დამვიწყებია, ბარემ ჟურნალისტური თუ ლიტერატურული ფორმა მივანიჭო.

„თორმეტი გაბრაზებული მამაკაცის სახელით“ გამოქვეყნებული დიალოგი ერთი საუკეთესო ნიმუშია ტარიელ ჭანტურიას მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში და ლიტერატორებსაც არანაკლებ დასჭირდებათ, ვიდრე სპორტულ ჟურნალისტებს.

ქართველი ქალები და ქართველი მამაკაცები არ არიან სხვადასხვა მასალისაგან ნაგებიო, – ირწმუნებოდა მიხეილ ტალი და ყველაზე მეტყველ საბუთად წარმოუდგებოდა ზურაბ აზმაიფარაშვილი – ბრძოლის ჟინით, ნამდვილი სპორტული ცეცხლითა და აზარტით.

ვუნდერკინდების ხვედრი უმეტესწილად ეს ყოფილა: ერთბაშად გახმაურდება მათი სახელები, როგორც არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვებისა, ყველა მათზე ლაპარაკობს, განსაკუთრებულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ როგორც ამოიფრქვევიან, ისევე იფერფლებიან, ის ნამიერი გასხვივება კი რჩებათ არა ნეტარ მოგონებად, არამედ გაუნელებელ ტკივილად და ნოსტალგიად.

უმეტესწილად, მაგრამ არა ყოველთვის, რადგანაც გამოწვევები ახერხებენ გამოაღწიონ იმ თავისებურად მოჯადოებულ წრეს და წარმატებითვე განაგრძონ ის გზა, რასაც საერთო აჟიოტაჟით ანთებული ადამიანები უქადდნენ.

ამ გამოწვევის შორის – ბედის წყალობით – აღმოჩნდა ჩვენი იუბილარიც, ვისთვისაც 50 წლის შესრულება გამოდგა საბაბი მრავალმხრივ საგულისხმო და ორიგინალური აგებულების ნიგნის გამოსაცემად, დამაფიქრებელი სახელწოდებით – „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“.

არადა: ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს, არა?

სიმონ ჩიქოვანის ეს სტრიქონიც და მთლიანად ლექსიც ქრესტომათიულია თავისი სიღრმითა და მძაფრი შინაარსით. მართლაც ვინ უნდა თქვას ამხელა ისტორიისა და კულტურის მქონე მოდემის სიპატარავე?! მაგრამ ამჯერად ნიგნის სათაურით მინიშნებულია მისი ამჟამინდელი დამცრობილი ყოფა და შემოზღუდული სივრცე, რომელიც ვერ გიქმნის იმ ასპარეზს, სრულყოფილად გამოავლინო თავი.

გამოწვევები ამ მხრივაც ჩამოითვლება, მაგრამ ზურაბ აზმაიფარაშვილი ამგვარ გამოწვევის შორის უკვე აღარ მოხვედრილა; და თუმცა ქართველ ვაჟთაგან ამხელა საჭადრაკო წარმატებებისათვის არავის მიუღწევია – არც ამ რანგის ტურნირებში გამოუჩენიათ თავი, არც ასეთი რეიტინგი ჰქონიათ, არც ევროპის ჩემპიონობა მოუპოვებიათ – ხელისშემშლელი გარემოებანი იმდენი და ისეთი აღმოჩნდებოდა, რომ ნაადრევად ჩამოაცილებდა საჭადრაკო ორთაბრძოლებს და ამ ტალანტის პიროვნებას სამწვრთნელო და ფუნქციონერულ მოღვაწეობას დაუტოვებდა საასპარეზოდ.

მაინც კარგია, რომ იოლად არ გაიწირა და მალევე არ ჩაიფერვლა ის ექვსი წლის ზურიკო, რომელიც ერთდროული თამაშის სეანებს მართავდა და მის ყოველ სვლას ტაშით ხვდებოდნენ გარშემო ერთბაშად შექმნილი აჟიოტაჟის მონაწილენი.

სხვაგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში ეს აჟიოტაჟი თან გამოჰყვებოდა მის სპორტულ კარიერას და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხმაური და გამოძახილი მოჰყვებოდა გარი კასპაროვის სამწვრთნელო ბანაკში ყოფნასაც, ევროპის საჭადრაკო ჩემპიონატში გამარჯვებასაც და ფიცეს ვიცე-პრეზიდენტად მის არჩევასაც, ცალკეულ თვალისმომჭრელ გაელვებებზე რომ არაფერი ითქვას. რა დაავინყებს იმ ფრაზას, რასაც მისი გაჩემპიონებისას ეტყოდა ნონა გაფრინდაშვილი: ახლა შენს გარშემო ყველაფერი შეიცვლებაო. იმას თავისი გამოცდილება ალაპარაკებდა, მსოფლიო საჭადრაკო ტახტზე გადედოფლებამ სრულიად რომ შეცვალა მისი ყოფა და მთელი ქვეყნის ინტერესის შუაგულში მოაქცია.

ის განწყობილება აღარ განმეორდებოდა, ცხადია, მაგრამ ის ხომ მაინც შეიძლება, რომ თვით ასეთ გადასხვაფერებულ რეალობაშიც გამოედოთ თავი სპორტულ ჟურნალისტებს მაინც და არ დათანხმებოდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის ზურაბ აზმაიფარაშვილისათვის მხოლოდ მეხუთე ადგილის მიკუთვნებას. მითუფრო, რომ ის წელი ისე-

დაც ვერ ბრწყინავდა ჩვენს სპორტსმენთა მიღწევებით და ევროპის ჩემპიონობა ბევრად აჭარბებდა სხვათა წარმატებებს.

თურმე არც უნდა სწყენოდა არამარტო პირადად მის მიმართ, არამედ ჭადრაკისადმი გამოჩენილი გულგრილობა – უხერხული და უპატივბერილი.

არაერთი წარმატებული პროექტისათვის მოება თავი და საკმაოდაც გამოეცოცხლებინა საჭადრაკო ცხოვრება საქართველოში, ოღონდ როდესაც აქ გამოეცლებოდა ხელიდან სამოქმედო სარბიელი, ცალკე სინგაპურის სპორტულ ყოფას დააჩნევდა სასიკეთო კვალს და ცალკე აზერბაიჯანისას, ამ ქვეყნის სპორტსმენებს (არამარტო მოჭადრაკეებს) მანამდე განუცდელი გამარჯვებას რომ აზიარებდა – ევროპის გუნდურ ჩემპიონობას, რაც უკვე საზოგადოებრივ მოვლენად გამოჩნდებოდა.

ეგაა, ვერა და ვერ მოეცალა საკუთარი თავისათვის, არც ფიქრობდა თავისი უკეთესი საჭადრაკო პარტიების თავმოყრასა და ერთ ნიგნად გამოცემას შესაფერისი კომენტარებით.

შესაძლოა ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ჩვენში არ არსებობდა საამისო ტრადიცია და არც თვითონ უზრუნიათ და არც სპორტულ ჟურნალისტებს გამოუდევთ თავი, ვთქვათ, ვიქტორ გოგლიძის, არჩილ ებრაღიძის, ბუხუტი გურგენიძის რჩეულ პარტიათა გამოსაცემად თუ მათზე ბიოგრაფიული ნარკვევების შესაქმნელად, იმგვარისა, თუნდაც ვიქტორ ვასილიევის „მეშვიდე რიდე“ რომ არის, საჭადრაკო პროზის ჩინებული ნიმუში, თვალსაჩინო მოჭადრაკეთა ბიოგრაფიები მოთხრობებივით რომ იკითხება.

თენგიზ გიორგაძის ნიგნს „თამაშობს ანდრია დადიანი“ (ბიოგრაფიული ნარკვევი და რომანტიკული ჟამის საჭადრაკო პარტიათა შთამბეჭდავი ციკლი) თითქოს სასიკეთოდ უნდა შემოეტრიალებინა ვითარება და კარგ ნამოწყებას გაგრძელებაც სათანადო მოჰყოლოდა, მაგრამ გადიოდა წლები, ათწლეულებიც და გაგრძელება არსად ჩანდა.

და, აი, ზურაბ აზმაიფარაშვილის ცხოვრებაში ჩამომდგარი შუადღის მზის მცხუნვარება. და მისი მეუღლის თავგამოდება.

ის შეაგულიანებდა, ამ თარიღს წიგნით ხელდამშვენებული შეხვედროდა და გაეანალიზებინა ნაწილი იმ პარტიებისა, სადაც ყველაზე მკაფიოდ მოჩანდა მისი დიდი ხელოვნება – ანალიტიკური სიღრმე და მახვილგონიერება.

ბიოგრაფიულ ნარკვევს კი თვითონ მარინა მილორავა შეადგენდა, მილოცვის ბარათების შეკრებასა და წიგნისათვის დართვასაც ურჩევდა, ფოტოების ორივე რკალის გაბნევა-მოთავსებასაც – დაფასთან და დაფის მიღმა, და ასე შეიქმნებოდა „პატარა ქვეყნის დიდოსტატის“ ორიგინალური არქიტექტონიკა, რომლის მთავარ ძარღვსაც 50 რჩეული პარტია განსაზღვრავდა, თავისებური და მომხიბლავი სამყარო, ექსტრა-კლასის დიდოსტატის შესაფერისი კომენტარებით, ესთეტიკურთან ერთად საგანმანათლებლო მნიშვნელობაც რომ ენიჭება და ძალიან წაადგება ჩვენი ჭაბუკი მოჭადრაკეების სულიერ ჩამოყალიბებას.

ორიგინალური არქიტექტონიკა...

ამასთან, ორ ენაზე – ქართულად და ინგლისურად.



ზურაბ აზმაიფარაშვილი

ბიოგრაფიული ნარკვევი ისე ჩინებულადაა დაწერილი, ზოგიერთი მონაკვეთი თუ პასაჟი ცოტა მეტად რომ გაშლილიყო, იქნებ ტოლიც არ დაედო ვიქტორ ვასილიევის საჭადრაკო მოთხრობებისათვის. თხრობაც ცოცხლად და წარმართული და დოკუმენტური მასალის მონტაჟიც მარჯვედ აგებული, მთლიანი ქსოვილი კი რელიეფურად წარმოსახავს მოჭადრაკის ათასგვარი მღელვარებით აღსავსე თავგადასავალსაც და მის კოლორიტულ პიროვნებასაც.

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმება გივი გამრეკელი – არამარტო ჩინებული სპორტული ჟურნალისტი, არამედ მშვენიერი საჭადრაკო ნოველების ავტორიც, ამ ჟანრის თავისებურება და შინაგანი აღნაგობა პირადი გამოცდილებითაც რომ მოეხსენება.

ზურაბ აზმაიფარაშვილის პიროვნული თვისებანი უფრო მეტადაც შეიძლება გამოკვეთილიყო?

ამას ნარკვევის ავტორიც იგრძნობდა, და თუ ამჯერად ლაკონიურ პასაჟებსა თუ მინიშნებებს იკმარებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნის შედგენის პროცესში ძალდაუტანებლად დაეზადებოდა იდეა – ეს ყოფილიყო პირველი ტომი, საერთოდ კი ტრილოგია მომზადებულიყო ზურაბ აზმაიფარაშვილზე – მეორე წიგნი დათმობოდა მის სამწვრთნელო და ფუნქციონერულ მოღვაწეობას, მესამე კი – პიროვნებას, მთელი თავისი სისრულით. ეს ორივე წიგნიც, რასაკვირველია, ბლინგური აღნაგობისა იქნება. ასე რომ, „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“ დამოუკიდებელი წიგნიცაა და განზრახული ტრილოგიის ნაწილიც და უმთავრესი საყრდენიც.

ზურაბ აზმაიფარაშვილი მშვიდი და განონასწორებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში კი წინააღმდეგობებით სავსე და ძნელად ამოსაცნობი პიროვნებააო, – ირწმუნებოდა თამარ ოთიაშვილი 1998 წლის გაზეთ „იდუმალების სამყაროს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ინტერვიუს შესავალში და დასძენდა: საოცრად გულლიაო.

ეს თვისება რომ არა, ასერიგად წარმატებული დიდოსტატი, რასაკვირველია, მოერიდებოდა იმის გამჟღავნებას, რომ ამ ბრძნული თამაშისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას არ იჩენდა და იმას, რასაც მიაღწია, შრომის მეათედი მოახმარა მხოლოდ და მხოლოდ.

– შეიძლება ითქვას, რომ ჭადრაკში შრომა 30 წლის შემდეგ დავიწყე, ისიც ინფორმაციული თვალსაზრისით, რადგან ჩემი კოლეგების უმრავლესობისაგან განსხვავებით, მივიჩნევ, რომ კონკრეტული პრობლემატიკა დაფასთან უნდა გადავწყვიტო და არა მანამდე. თამაში გაცილებით უფრო მიზიდავს, ვიდრე თამაშის წინა პერიოდი...

ეს ნიშნავს, რომ საკუთარი პიროვნება ბოლომდე ვერ გაამჟღავნეთო? – ეკითხებოდა ჟურნალისტი და ესეც ეთანხმებოდა, თუმც უკმაყოფილო მაინც არ გახლდათ, რადგანაც ამგვარი დამოკიდებულებით შესაძლოა ნაკლებისთვისაც მიეღწია, რაკილა ჩაკირკიტება ბავშვობიდანვე არა სჩვეოდა და, თუ რაიმეს ერთბაშად ვერ გადაწყვეტდა, შეიძლება გვერდით გადაედო. მათემატიკაში საკონტროლოს 15 წუთში ამთავრებდა და, მოგვიანებით ფიქრობდა, მეტი დრო რომ დამჭირებოდა, ალბათ ვერ დავწერდიო.

ჭადრაკსა და ამ ასპარეზზე მოპოვებულ წარმატებებს არსებითად არაფერი შეუცვლია მის ფსიქიკასა და ცხოვრების სტილში.

ყოველთვის ინტუიციას უფრო ეყრდნობოდა, მისი უფრო სწამდა და საჭადრაკო კარიერაც მასზე დააყრდნო; და ყოფით ცხოვრებასა და ქვეყნის საზოგადოებრივ სინამდვილეშიც ალღოს მეშვეობით უფრო მიიკვლევდა გზას, ადვილად გამოთქვამდა პროგნოზებს, თუ როგორ წარიმართებოდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური დინებანი და ზოგადი შეფასებისას თითქმის არასოდეს შემცდარა.

პოლიტიკოსთა თუ ცრუპოლიტიკოსთა უზღვეავი ნაკადისათვის თავის შემატება კი ერთხელაც არ უცდია, მიუხედავად იმისა, რომ მის თვალშიც ცხოვრება ძალიან ჰგავდა ჭადრაკს – პაიკის შეწირვა იმისათვის, რათა მეორე ფიგურას გაუმჯობესებინა თავისი მდგომარეობა, ფიგურის შეწირვა, რათა მესამე ფიგურას დაეშამათებინა მეტოქის გვირგვინოსანი, თვით ლაზიერის განწირვაც, ოღონდაც მეფე გადარჩენილიყო.

და მაინც გაერიდებოდა პოლიტიკურ სარბიელზე საკუთარი ძალ-ღონის მოსინჯვას, რადგანაც საქართველოს მოსახლეობის 95 პროცენტს პაიკებად აღიქვამდა მთავრობის ხელში, მკვეთრი ცვლილებისა არ ეიმედებოდა, არადა, არ სურდა, თვითონაც ესარგებლა ამ თავზარდამცემი ყოფით.

ვინმეს კიდევ ნააქებებდა ჭადრაკისა და ცხოვრების მსგავსების აღმოჩენა, ზურაბზე საპირისპიროდ ემოქმედა ამგვარ დაკვირვებას, განსხვავებით გარი კასპაროვისაგან, ვინც ისეთი შეუპოვრობითა და მთელი არსებით გადაემყვებოდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საჭადრაკო დაფასთან რომ სჩვეოდა. ეგაა, მაშინ ერთი დაკვირვება აღწევდა სამეფო გვირგვინამდე, აქ კი უჭიანურდებოდა ბრძოლა.

არ დაგიდევდა და თავისას განაგრძობდა, თუნდაც ამისათვის ჭადრაკისაგან განზე გადაგომაც დასჭირებოდა.

იქნებ გაბეზრებულიყო მეფეთა თამაშით, გულმოყვრება დაუფლებოდა და ამ სამყაროდან გამოსაქცევად პოლიტიკა ხელსაყრელი გარემოც აღმოჩნდა მისი დაუოკებელი ტემპერამენტისათვის?

ამჯერად ჩამოვეხსნათ მისი მოქმედების ფსიქოლოგიური ფესვების ძიებას, და თუ გარი კასპაროვის პიროვნებაზე ჩამოვარდა სიტყვა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა შეთავაზებამ, ყოფილიყო ერთ-ერთი მწვრთნელი მსოფლიო პირველობის მატჩზე, ზურაბს არამარტო დიდი საჭადრაკო გამოცდილება შესძინა, არამედ მის წინაშე გაიხსნა ის ჩაკტილი წრე, რომლის მიღმაც ვერა და ვერ გაედგნა და მისთვის შესაფერისი ტურნირების მიღმა რჩებოდა.

ნამდვილი ზურაბ აზმაიფარაშვილი არსებითად ამ მინვევის შემდეგ დაიბადა. თვითონ ასე სჯერა და ძალიან ამიტომაც ემადლიერება მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონს.

ის თავის მხრივ არის მისი მადლიერი უსაზღვრო ოპტიმიზმისა და მებრძოლი განწყობილების განმტკიცებისათვის გუნდში:

– ეს თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთული გამოცდილების პირობებში, რომელშიც აღმოჩნდებიან ხოლმე მსოფლიო პირველობის მატჩის მონაწილენი და მწვრთნელები. ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა ჩემთვის დიდი ფსიქოლოგიური საყრდენი იყო.

თურმე არც ის დაეინყნოდა, რომ პირველად მათი გზები თბილისში, ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის პირველობაზე გადაიკვეთა, როდესაც ზურაბმა მოულოდნელად გადამწყვეტი როლი შეასრულა საპრიზო ადგილების განაწილებაში.

– სწორედ მას – თუმცა ამის შესახებ არავის არც კი უეჭვია იმ დღეს, როცა ბოლო პარტიები მთავრდებოდა – ვუმაღლი ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ჩემს პირველ ოქროს მედალს.

ამ მნიშვნელოვან ეპიზოდსაც (ზურაბის გამარჯვებამ გარის გაუმჯობესა „ბუჰნოლცის“ კოეფიციენტი!) იმ მისალოცში გაიხსენებს, მიმზიდველად რომ არის დანერგილი, ისე ცოცხლად, ცოტა კიდევ რომ გაეშალა და ერთი-ორი ეპიზოდიც ჩაერთო მსოფლიო პირველობაზე მატჩის სამზადისიდან თუ კულუარებიდან, მშვენიერ საჭადრაკო ნოველად აქცევდა.

ასეა თუ ისე, მილოცვის ის ტექსტი, რომელსაც გაცენო მკითხველი, ამშვენებს „პატარა ქვეყნის დიდოსტატს“. და საერთოდაც, წიგნის ეს ნაწილი სცილდება მილოცვათა დადგენილ, ტრაფარეტულ ჩარჩოს და თავისებურად ავსებს ბიოგრაფიულ ნარკვევასაც და ზურაბ აზმაიფარაშვილის სილუეტსაც: კირსან ილუმჟინოვის მიერ იქნება შედგენილი, ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის, თეიმურ რაჯაბოვის, ნანა ალექსანდრიას, ბორის გელფანდის, მიხეილ გურევიჩისა თუ ემილ სუტოვსკის; ამ რკალს კი ავსებს ანატოლი კარპოვის, იუდიტ პოლგარის, ვიმთვანათან ანანდის, ვესელინ ტოპალოვისა და სილოვი დანაილოვის სახელები.

ეს ყოველივე ფაქსიმილეთა იმ წყებად წარმოგვიდგება, რაც თავისებური რეზოლუციაა არამარტო ამ წიგნის, არამედ სწორედაც სამტომეულისათვის.

ამიტომაც „პატარა ქვეყნის დიდოსტატის“ ჩამთავრების შემდეგ ნუ დაგრჩებათ სინანულისა თუ უკმარისობის განცდა: მეტი შეიძლებოდა!.. იმ „მეტს“ მომდევნო წიგნებში დაველოდოთ, ისეთივე ევროპული ყაიდის გამოცემაში, ეს პირველი ტომი რომ წარმოგვიდგება „ომეგა თეგის“ წყალობით, და კიდევ იმ ჯგუფისა, რომელმაც სასტამბოდ ასე ჩინებულად მოამზადა ეს წიგნი, მსოფლიოს თვალსაჩინო მოჭადრაკის სახელს რომ შეჰფერის – მხატვარი კარლო ფაჩულია იგულისხმება, თავისი ხელობის საუკეთესო წარმომადგენელი და ჭადრაკის დიდი ქომაგი; და კიდევ თენგიზ რობიტაშვილი, ვინც მონდომება არ დააკლო „პატარა ქვეყნის დიდოსტატის“ კომპოზიციური არქიტექტონიკის სილამაზეს, სკაიპში თავჩარგული საათობით რომ განიხილავდა თვითეულ წვრილმანს სინგაპურში მყოფ ზურაბ აზმაიფარაშვილთან და საგულისხმო მოსაზრებებსაც უზიარებდა.

ბიოგრაფიული ნარკვევის მინანქრში აღნიშნულია, თუ რა უთქვამს ერთ პოეტს, ვისაც ეს ხელნაწერი წაუკითხავს:

– ბიჭოს, ეს ჩვენი ზურა რომანტიკოსი ყოფილა! წარმოგიდგენიათ, რეალისტი რომ ყოფილიყო?

ეს „ერთი პოეტი“ ვახტანგ ჯავახაძეა, ვისი მხატვრული აზროვნებისთვისაც ასერიგად ნიშანდობლივია ლიმილი, მახვილი, მოსწრებული სიტყვა, კალამბური, პარადოქსი. და ეს ფრაზაც სწორედ ამ მხრივ უნდა აღვიქვათ – შეფარულ ქებად და არა სინანულად, რადგანაც „რეალისტი“ ზურაბ აზმაიფარაშვილს შეეძლო მოეპოვებინა რამდენიმე სატურნირო წარმატებით მეტი, რამდენიმე ქულით გაუმჯობესებინა თავისი კოეფიციენტი ელოს რეიტინგში, გაეადვილებინა პირადი ცხოვრება, მეტი დაფასება და პოპულარობაც მოეხვეჭა სამშობლოში, მაგრამ ვერასოდეს მოიპოვებდა იმ კოლორიტულობას, იმ „შარმს“, რასაც ზურაბ აზმაიფარაშვილობა ჰქვია და საჭადრაკო დაფის მიღმაც ინარჩუნებ შენს პიროვნულობასა და თავისთავადობას.

* * *

კოლაუ ნადირაძის ლექსის – „25 თებერვალი“ – გამოქვეყნებას გამოცემლობა „მერანის“ თანამშრომელთა გათავისუფლება რომ მოჰყვა სამსახურიდან – ეს მთავარი რედაქტორი, ეს მისი მოადგილე, ეს განყოფილების გამგეო, ეს თვითონ ამ წიგნის რედაქტორი, ეს მხატვრული რედაქტორი, ეს მთავარი მხატვარი – თურმე კიდევ რა უშავდა, რადგანაც მოსალოდნელი იყო სულაც დაეპატიმრებინათ უკლებლივ ყველა, თუ გამოირკვეოდა, რომ უნებლიე შეცდომას კი არ გამოენვია მისი დაბეჭდვა, არამედ წინასწარგანზრახვით გაავრცელეს ეს ანტისაბჭოთა პოეტური ნიმუში.

სენსაცია და ასეთი!..

ჩეკელები მიცვივდებოდნენ გამოცემლობაში და დაკითხვას იქვე გამართავდნენ. არა, არსაიდან დასტურდებოდა, რომ ლექსი განზრახ გაეპარებინათ. ამიტომაც ორგანიზებული ჯგუფური დანაშაულის ბრალდებაც მოიხსნებოდა და ამ სკანდალური ამბის მონაწილეთა — მამუკა წიკლაურს, გრიგოლ ჯულუხიძეს, იზა ორჯონიკიძეს, ლეილა ბეროშვილს, კარლო ფაჩულიას, სპარტაკ ცინცაძეს — „მერანიდან“ გამოშვებას აკმარებდნენ.

საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ იზა ორჯონიკიძე საჯარო თავყრილობებზეც გაიმეორებდა და ჟურნალისტებთან დაილოგისასაც: პირადად ჩემი თაოსნობით და მიზანდასახულად მოხდა ამ ლექსის დაბეჭდვა, მე მოვატანიე „25 თებერვალი“ საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის ფონდებიდან. დაე მომსვლოდა, რაც მოსასვლელია, ოღონდაც ეს ლექსი პროტესტის ნიშნად მიმეხალა ხელისუფლებისთვისო.

კარლო ფაჩულიას ბოლოსდაბოლოს წონასწორობას დააკარგვინებდა იმ ეპიზოდის სრული გადასხვაფერების ეს აკვიატებული სურვილი და მთხოვდა, ეგებ საშუალება მომცე, ყველაფერი მოგყვე ისე, როგორც სინამდვილეში იყოო.

იმხანად ერთად ვმუშაობდით „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში და ნინო დეკანოიძის მიერ მომზადებული ინტერვიუ კარლო ფაჩულიასთან ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდებოდა.

სინამდვილე კი ის გახლდათ, რომ მან, როგორც ამ კრებული („პოეტის ათასი სტრიქონი“) მხატვრულმა რედაქტორმა, პირნმინდად დიზაინერული მიზნით, მოიფიქრა ყოველი ახალი პოეტის ლექსებს წამძღვარებოდა მათივე ავტოგრაფული ნიმუში.

გოგი წერეთელი სწორედ ამ მიზნით ეწვია ლიტერატურის მუზეუმს და სხვა ხელნაწერებთან ერთად წამოიღო კოლაუ ნადირაძის ის ლექსიც შალვა დემეტრაძის არქივიდან. ნაკითხვით აღარავის ნაუკითხავს, ისე მოანერგეს ხელი, რაკილა „25 თებერვალი“ მხოლოდ მხატვრული ელემენტი უნდა ყოფილიყო და არა კრებულის სრულყოფილებიანი მონაწილე. სათაურის მიხედვით კი ივარაუდეს, რომ ეს იქნებოდა ჩვეულებრივი საბჭოური ლექსი, XI არმიის სახობოდ მომართული.



არადა... იზა ორჯონიკიძე გაგულისდებოდა და რას გაგულისდებოდა, მარჯვედ აგებულ სიუჟეტს რომ ჩაუფუშავდნენ. მაშინვე რედაქციაში დარეკავდა და კარლო ფაჩულიას მუქარას შეუთვლიდა: არსად გადამეყაროს, თორემ თმასა და წვერს ღერა-ღერა დავაცლიო.

შემამფოთბელი გახლდათ ასეთი შეთვლა და კარლოს გაავრთხილებდით: მოერიდეთ, ხომ იცი, თუ რამე თქვა, შემსრულებელიაო.

ის გაიკვირებდა: მართლა კი არაფერს ჩაიდენსო.

მაგრამ თავისთვის მაინც გადანყვებდა, თვალში არსად მოხვედროდა, პირისპირ არსად შეჩებოდა.

გამოხდებოდა დრო.

და ერთხელაც რუსთაველის გამზირზე დანდობილად მიმავალ კარლოს ვილაცა მკლავში ჩაავლებს ხელს.

შეხედავს... რა გინდა ილონო — იზა!..

— გეძებდი, — ის ეუბნება, — ძალიან მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ... რატომ გეძებდი?.. ნეტა რატომ გეძებდი?.. ალბათ... ალბათ ჩვენი მუზეუმის ახალი გამოცემების ჩუქება მინდოდა... არ მიჩუქებია, არა?

— არა, — პასუხობს ნირნამხდარი კარლო.

— წამოდი მაშინ, — და ასე ჩაბლუჯული მიჰყავს.

ისიც მიჰყვება ბედსშერიგებული ბოროლასავით, ფიქრობს, წიგნების ჩუქება მხოლოდ საბაბია, რათა მუზეუმში თავისუფლად გამისწოროს ანგარიშო... მაგრამ ველარც თავი დაუღწევია.

იმას თავის კაბინეტში აჰყავს და ღია გუსევას იბარებს, რათა მუზეუმის მიერ გამოცემული ახალი წიგნები უკლებლივ შემოზიდოს.

ამასობაში კარლოს ყვავასაც მიართმევენ, კონიაკსაც გაუხსნიან... აგერ წიგნებსაც ათვალიერებს და უწონებს ასეთ ჩინებულ გამოცემებს. ქების მოსმენისას იზა ლამის დადნეს.

— შემთხვევით რომ არ გადაგყროდი, შენით ხომ ვერ მოიფიქრებდი აქ შემოსვლას, იცოდეთ, მუზეუმის კარი შენთვის ყოველთვის ღიაა... ოღონდაც რამე დაგჭირდეს. წიგნებს ხომ არ მოგაკლებთ და არა.

კარლო გახარებული მოდის რედაქციისაკენ, წიგნებით დატვირთული მოაბიჯებს და გუნებაში წყრომას გვითვლის თვითელ ჩვენგანს, ვინც ვაფრთხილებდით: გირჩევნია მოერიდოო!..

„წიგნები რომ ეჩუქებინა, ეს არ უნდოდათ, თორემ... არა, კონიაკი მაინც რა ძვირფასი გამიხსნა“ — ფიქრობს და ფიქრს ღიღინსაც ააყოლებს.

ამასობაში იზას ახსენდება, რისთვისაც დაეძებდა კარლო ფაჩულიას, და მაშინვე ტელეფონის ყურმილს მიწვდება გაალმასებული:

— ახლა გადამიჩა კარლოა თუ ვინც არის, მაგრამ მეორედ აღარსად გადამანყდეს, თორემ მე ვიცოდეთ და მაგან!

...კარლო კი მოდის, მოლილინებს, ისედაც ადამიანის, სიცოცხლის, მზის მოყვარული, ისედაც ყოველნამს სიკეთის ჩასადენად მზადყოფი და ვერ წარმოუდგენია, თუნ-

დაც ერთი ადამიანი რატომ უნდა ჰყავდეს ნაწყენი...

აბა, რა მისი ბრალია, თუ მოვალენი ვართ, ხსოვნაში ყველაფერს ვინახავდეთ ისე და მხოლოდ ისე, როგორც სი-

* * *

თელავის უნივერსიტეტში ჩემი ბიოგრაფიული რომანის წარდგინებაა — „ალექსანდრე ორბელიანი“. თანაც მისი სახელობის საზოგადოების თელავის ფილიალიც უნდა დაფუძნდეს და ამ განხილვას ლიტერატურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებასთან ერთად საზოგადოებრივი მნიშვნელობაც ენიჭება.

უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი როინ ჭიკაძე და ცნობილი მკვლევარი და ბიბლიოფილი გიორგი ჯავახიშვილი ისეთ ჩინებულ სიტყვებს წარმოთქვამენ, თბილისელებს შეეხარებოდათ. სხვებიც ცდილობენ ტოლი არ დაუდონ და დარბაზი ამიტომაც უსმენთ დიდი ცნობისწადილითა და სიამაყით — ესახელებათ, ასეთი რანგის მეცნიერები რომ კითხულობენ ლექციებს ამ კედლებში.

საპრეზიდენტო მაგიდასთან გვერდით უჩა შერაზადიშვილი მიზის. ივანე ამირხანაშვილს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დარბაზში ყოფნა ურჩევნია, ხალხისთვის ყურის დაგდება, ხან გასვლა-გამოსვლაც, რათა რეპორტაჟისათვის — არსებითად კი დოკუმენტური ნოველისათვის — სასურველი მასალა მარჯვედ წამოკრიფოს.

მსმენელთა შორის აშკარად იქცევის ყურადღებას ერთი ლექტორი, რომელიც, შემდგომ რომ გამოვარკვევთ, ნიკო გოგოჭური აღმოჩნდება. ლელავს, ძალიან ლელავს, წამოხტება, დაჯდება, ისევე წამოხტება, წამდაუნუმ რალაცას გადაულაპარაკებს ხოლმე გვერდით მსხდომთ, არც ორატორებს აკლებს რეპლიკებს. ბოლოს სიტყვას მოითხოვს და კათედრასთან გამდგარი გამოსვლას ამ ფრაზით დაიწყებს: მართალია წიგნს არ გავცნობივარ, მაგრამ პატივცემულ ავტორებს იერზე ვაჭყობ, რომ სოციალ-დემოკრატები მაინცდამაინც გულზე არ უნდა ეხატებოდეთ და ამ ბიოგრაფიულ ქრონიკაში უთუოდ ეს თვალსაზრისი იქნება წითელ ხაზად გატარებული. უჩაც ავტორად მიიჩნია.

როინ ჭიკაძე მის შეჩერებას შეეცდებოდა: ალექსანდრე ორბელიანის დროს რა უნდოდა სოციალ-დემოკრატებსო? — მაგრამ ამაოდ. ის არ დაუთმობდა: მეც კარგად ვიცი, ლამის საუკუნე რომ აშორებთ ალექსანდრე ორბელიანსა და სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ ეს ახალგაზრდები მაინც მოახერხებდნენ მათი ღვანლის დაკნინებასა და გაბიბრუებას და მათ მიმართ თავდასხმებს ვერ ავიტანო.

მიდგებოდა და სოციალ-დემოკრატთა ქებად დაიღვრებოდა, მათ იდეოლოგიას შეუმცდარად მოიხსენიებდა, მათ ღვანლს — განუზომელად, მათ მიღწევებს — შეუდარებლად საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე.

თავიდან მეც და უჩასაც მოგვეჩვენებოდა, რომ პარო-

დიულ გამოსვლას ვისმენდით, უილიამ შექსპირის პიესები-სა არ იყოს, ტრაგიკულ თხრობაში კომიკური ეპიზოდები თუ პასაჟები რომ ჩაერთვის მაყურებლის გასახალისებლად და მწუხარე განწყობილების შესამსუბუქებლად.

და რაც მეტად იზრდებოდა ორატორის პათოსი, მით უფრო ემგვანებოდა ეს გამოსვლა პაროდისა.

ჩემს სიტყვაში გული არ მომიტენდა, რომ სოციალ-დემოკრატთა „ღვანლი“ ლაკონურად, მაგრამ ამომწურავად არ შემეფასებინა: ილია ჭავჭავაძის მკვლევლობით დაიწყეს და საქართველოს დამოუკიდებლობის უღვთო გამეტებით დაასრულეს-მეთქი, და ზურაბ ავალიშვილის ფრაზასაც დავესესხე: მენშევიკებმა ქორეგიული ოპერაციისათვის რომ გაამზადეს ჩვენი ტრაგიკული ქვეყანა, ბოლშევიკებმა ეს ოპერაცია დააგვირგვინეს.

— ხომ ვამბობდი, მცდარი იდეებით გაჟღენთდნენ იმ წიგნს-მეთქი, — ძალიან გაეხარებოდა ნიკო გოგოჭურს, რაკილა მისი ვარაუდი დადასტურდა, ანტიმენშევიკებად რომ მოგვნათლა ეს „ორი პატივცემული ავტორი“.

სალამო რომ ჩათავდებოდა, უეცრად... უხერხულობას იგრძნობდა, მოეჩვენებოდა, რომ მართალია უნებურად, რომ მარტალია უნებურად, მაგრამ მაინც დაარღვია სტუმარმასპინძლობის წესი და უჩას განზე გაიხმობდა:

— უნდა მაპატიოთ, რაც უნდა იყოს სტუმრები ბრძანდებით და ზედმეტად კრიტიკული გამოსვლა გამომივიდა!..

უჩამ კი პასუხად:

— რას ბრძანებთ, რა ზედმეტად კრიტიკული, კიდევ მეტიც შეიძლება.

რა ენაღვლებოდა, რა!.. კიდევ რომ აქეზებდა?!

— ის რას ამბობს? — ჩემზე ჩაეკითხებოდა ნიკო გოგოჭური.

— იმას ჩემზე მეტადაც გაეხარდა, ვერ შეატყვეთ, როგორ იცინოდა, თქვენ რომ ლაპარაკობდით?..

— აბა, ილიას მკვლევლობა და საქართველოს დამოუკიდებლობის უღვთო გამეტებო?

— ეს მხოლოდ ინერციით, აბა, ერთბაშად ხომ ვერ გათავისუფლდება მოძველებული შეხედულებებისაგან.

ნიკო გოგოჭურს უხარია და ცდილობს რალაცით ასიამოვნოს უჩას: — დარწმუნებული ვარ, ამ მცდარი აზრების გარდა წიგნში სხვა ყველაფერი რიგზე იქნება.

— რიგზეა, რიგზე, — ამშვიდებს ესეც, თბილისისაკენ გზად კი რამდენჯერმე შემახსენებს: გირჩევნია შენ თვითონვე წამანერო თანაავტორად, თორემ ხომ ხედავ, ხალხს მაინც ასე ჰგონიაო.



მეგობრული შარყები მალხაზ იაშვილისა

ახალი აღქმის დრო

დიდგორის ძლევა მოსილ-მა ომმა (1121 წ.) დავით აღმაშენებელს დასავლეთშიც მოუხვეჭა სახელი. როგორც ცნობილია, ამ ომის აღწერილობა, მისი მონაწილე ჯვაროსანი რაინდების მონათხრობის მიხედვით, მოიპოვება ანტიოქიის სამთავროს კანცლერის გოტიეს თხზულებაში, რომელიც არაერთ ხელნაწერად გავრცელდებოდა და ევროპელი მკითხველი შეიტყობდა შორეული კავკასიის მთებში ჩაკარგული ქრისტიანული ქვეყნის გულადი და ბრძენი წინამძღოლის შთაგონებულ სიტყვებს თავისი მხედრობისადმი: თუკი ქრისტეს რჯულის დასაცავად პირნათლად ვიბრძოლებთ, არამც-თუ ეშმას ურიცხვ მიმდევარს, არამედ თვით ეშმასაც იოლად დავამარცხებთ და უფალს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დაღუპვა გვიჯობს, ვიდრე ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევაო.

ევროპელები გოტიეს ნაშრომში კითხულობდნენ თვითმხილველთა პირობით გადმოცემულ სავესტით რეალისტურ ინფორმაციას დავით აღმაშენებლის შესახებ, მაგრამ ჟამთა სვლას თავისი კორექტივი შეჰქონდა და ნამდვილ ამბავს ერწყმოდა გამოწვინი.

დიდგორის ომიდან ზუსტად ასი წლისთავზე დავით აღმაშენებელი უკვე ლეგენდის გმირად ქცეულა ევროპელთა ცნობიერებაში. ასი წლის შემდეგაც ცოცხალია და უწინდებურად ხმალიც უჭრის და ჭკუაც. მეფე დავითი თავისი ჯარით „აღთქმულ მინას“ უახლოვდება — ამგვარი მითქმა-მოთქმა დაიბადა პალესტინაში და დასავლეთ ევროპასაც მისწვდა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის (1218-1221) შეჭირვებული მონაწილენი სასოებით ელოდნენ შენევენას ერთი საუკუნის წინათ განსვენებული ქართველი მეფისგან!

როგორც ჩანს, განგება პატარა ქვეყნებს, თითქოს თანდაყოლილი კნინობითი კომპლექსის დასაძლევად, დროდადრო დიდ ადამიანებს უწყალობებს ხოლმე. სწორედ მათ უნდა გაიტანონ პატარა ქვეყნის სახელი უცხოეთში და დაამტკიცონ მშობელი ხალხის მძლავრი ფიზიკურ-სულიერი პოტენციალი.

დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომში მოხვეჭილი სასახელო გამარჯვება იქცა მთელი ქრისტიანული სამყაროს ტრიუმფად.

უცხოელ მემკვიდრეთა კალამი ქებით მოიხსენიებდა საქართველოს მეფეს. ისინი მხოლოდ ბრძოლის ველზე მოპოვებულ წარმატებებს როდი აღწუხებდნენ, არამედ იმ არანაკლებ მნიშვნელოვან წარმატებებსაც, უცხოელთა გულში რომ მოიპოვა.

განა გასაოცარი არ არის იმდროინდელი არაბი ისტორიკოსის სიტყვები იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებლის სამეფოში მაჰმადიან სწავლულებსა და პოეტებს ისეთ პატივსა სცემდნენ, როგორც თავად მაჰმადიანთა საბრძანებელში არ ენახათო.

სომეხი ისტორიკოსები გვაუწყებენ, რომ დავით მეფე იყო სათნო და ღვთისმოსავი, შემწყნარებელი და მოყვარული სომეხთა ტომისა, რომელიც სიყვარულითვე პასუხობდაო.



ჰუმანისტი მეფის რჯულ-შემწყნარებლობა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ თავმოსანონ ფურცელს შეადგენს და, ალბათ, დღესაც გამოგვადგება მისაბაძ მაგალითად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს წარსულის გმირთაგან ყველაზე უფრო აღექსანდრე მაკედონელთან შედარება ხიბლავს. საქართველოს სახელოვან მეფეს ხან „მეორე აღექსანდრეს“ ეძახის, ხანაც „ახალ აღექსანდრეს“. ქვეყნის უბადლო მესაჭეს უშურველად ასხამს ხოტბას და თვისტომთა მცირერიცხოვნებით მჭმუნვარე ნალვლიანად შენიშნავს: „თუ არა, ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რასა აღექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთამცა ჰქონებოდა მეფობა ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინცა გენახნეს ნაქმარნი მისნი და სხვათა ქებულთანი!“

მწარე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ესოდენ დიდებულ კაცს განგებამ წილად არგუნა პატარა ქვეყნის მეფობა; ირანსა თუ ბიზანტიაში რომ ემეფა, აი მაშინ გენახათ, რასაც იზამდაო. მისი მოღვაწეობა და გამარჯვებანი სხვებზე აღმატებულად იქნებოდაო.

დახეთ, ჩვენს წინაპრებს თვალში ეპატარავებოდათ ქართველ მეფე-სარდალთა საომარი ასპარეზი, დიდი სატახტონი და უზარმაზარი არმიები ეზმნებოდათ

მეტი გაქანებისათვის, მსოფლიო სახევის მოხვეჭას ელტვოდნენ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მეოცე საუკუნემლა აუსრულა თვალწარმტაცი ოცნება).

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართველმა ხალხმა დავით მეფეს შემთხვევით როდი შეარქვა „აღმაშენებელი“. ეს ცნება მარტო საქართველოს გაერთიანებას, დამოუკიდებლობის აღდგენას, ეკონომიკურ მოღონიერებასა და კულტურის გაფურჩქვნას არ უკავშირდება. ეგებ, უწინარეს ყოვლისა, ხალხის სულის „აღმაშენებელი“ უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც დამპყრობელთაგან შემდგურული და დამცრობილი სული განწმინდა და აღამალა, თავის ქვეშევრდომებს არნახული სიმამაცისა და უმაღლესი ზნეობის გაკვეთილები დააზებირებინა.

და დიდებული მეფის დაუღალავ გარჯას ამოად არ ჩაუვლია.

ივანე ჯავახიშვილი იმონებდა დავით აღმაშენებლის თვითგანსჯას („გალობანი სინანულისანი“) და თითქოს ეპაექრებოდა უკიდურესი თავმდაბლობით აღჭურვილ ავტორს: „...მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და უღმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდი ხანია უკვე, რაც თავისი პირუთენელი განაჩენი გამოთქვა... ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო სსოვნას თავისი გულის სიღრმეში ატარებს და შეუზარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.

მოზაიკა

ერთი ექვსი — ჩვენს სასარგებლოდ

ინგლისის საფეხბურთო პრემიერ-ლიგის ერთი მეორეხარისხოვანი კლუბი, რომელიც ე.წ. „ბრწყინვალე ოთხეულში“ (მანჩესტერი, ლივერპული, ჩელსი, არსენალი) არავინ ეპატიჟება, ეთამაშებოდა გაცილებით ძლიერსა და პოპულარულ კლუბს, რომელიც, მართალია, ევროპის გრანდებს არ მიეკუთვნება, მაგრამ ბევრიც არ უკლია. იმ მეორეხარისხოვანის სახელი კი ქალაქს ნიშნავს თუ თავად კლუბს, საქართველოში ათასერთი კაციდან, შესაძლოა, ოდენ ერთმა იცოდეს.

მატჩი მიმდინარეობდა იმ მეორეხარისხოვანი კლუბის სტადიონზე და მეორე ტაიმის (ახალქაჯურად „თაიმი“) შუაგულში ანგარიში იყო ექვსი ნული — სტუმრების სასარგებლოდ.

მეორეხარისხოვან მასპინძლებს არც პესიმიზმი შეპარვიათ გულში, არც სასონარკვეთილება დაუფლებიათ, თამაშობდნენ ისეთივე ხალისითა და ენერგიით, როგორც ეთამაშებდნენ, ვთქვათ, სამით სამი რომ ყოფილიყო ანგარიში. გულმოდგინედ ირჯებოდნენ და მსაჯის შეცდომასა თუ დაუდევრობაზე კბილებს კი არ აკრახუნებდნენ, არამედ გულლიად უღიმოდნენ მტერსაც და მოყვარესაც.

და აი, როგორც იქნა, ბედმა ამ უბედურებსაც გაუღიმა. ელისათ, ელისათ, ერთი გოლის გატანა ელისათ. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა სტადიონზე!

იფიქრებდი, რადიომ ან ბერლინის ალება ამცნო ქვეყნიერებას ანდა მთვარეზე გაფრენაო. მხურვალე აპლოდისმენტებმა სტადიონი შეაზანზარა. ფეხზე წამომხტარი ფანები მეორეხარისხოვანი კლუბისა, პირველხარისხოვანი ლუდით გაჟღენთილნი, რაღაცას გაჰყვიროდნენ, ალბათ დღეგრძელობას უსურვებდნენ თავიანთ კერპებს.

ისე უხაროდათ ეს ერთი საცოდავი ბურთი, თითქოს მსოფლიო ჩემპიონობა მოეტანოს. რა ტკბილად დაიძინებდნენ იმ დღეს კმაყოფილი ფანები და დაესიზმრებოდათ „ერთით ექვსი — ჩვენს სასარგებლოდ“.

რა სჯობია ასეთ ოპტიმიზმს, როდესაც გგონია, რომ შენია მთელი ქვეყანა, შენ შემოგყურებს და თვალბში შემოგ-

ყველაზე ტკბილ იავნანას.

უჭოჭმანოდ გჯერა და გნამს, რომ ვინც არ უნდა იყოს შენი სტუმარი, ჩინელი იქნება თუ ფინელი, ინდოელი თუ ინდიელი, ურუგვაელი თუ პარაგვაელი, იმნამსვე ერთი ნახვით შეუყვარდები. და დიდებულ ქართველ პოეტს ტყუილად როდი უთქვამს: ვინც მუშაა, ვინც გლეხია, ვინც სიმართლის მძებნელია, საქართველო არ უყვარდეს, ყოვლად შეუძლებელიაო.

ერთით ექვსი — ჩვენს სასარგებლოდ!

მამ წადი და მხიარულად მიირთვი შენი წილი ლუკმა, ლალად სვი შენი წილი ღვინო. არაფერი არ არის ამქვეყნად უკეთესი მხიარულებაზე და არ არის სხვა სიკეთე მოკვდავისათვის ამქვეყნად გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს.

შუქი გვაქვს? გვაქვს, გვაქვს! („არშინ მალალანის“ ჰანგზე).

გაზი გვაქვს? გვაქვს, გვაქვს! წყალი გვაქვს? გვაქვს, გვაქვს! ჭამეთ, სვით და გიხაროდნენ, ერთით ექვსია — ჩვენს სასარგებლოდ.

გადასასვლელზე მწვანე შუქი აინთო შენთვის, მაგრამ ფრთხილად მიიბიჯებ, თვალს არ აშორებ ძლიერს

დამუხრუჭებულ ავტომობილს, გადაუდებელ საქვეყნო საქმეზე რომ მიეჩქარება, შენ კი ხელს უშლი, აყვავებ და არ განუხებ, რომ ამით საქვეყნო საქმე დაზარალდება.

როდის და სად აგვიანდებოდა ქართველსო, ბრძანებდა დიდებული ქართველი მწერალი. მართალი ბრძანდებით, დიდებულო ქართველო მწერალო, მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია და ა.შ.

რომ გაგიტანოს ავტომობილმა, შენ ხომ ვერაფერსაც ვეღარ იზამ და იმასაც ვერავინ ვერაფერს უზამს.

ღვთის წყალობით, არ გაგიტანა და ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გაიტანე ერთი ბურთი და ანგარიში გახდა ერთით ექვსი — ჩვენს სასარგებლოდ.

მხურვალე აპლოდისმენტები, ოვაციაში რომ გადადის...



ქრონიკა

10 ივლისი დემნა შენგელაიას მიეძღვნა — „სანავარდოსა“ და „ბათა ქექიას“ შემოქმედს, ლიტერატურული სტატიებისა და ფოლკლორული ძიებების მრავალმხრივ საგულისხმო სერიების ავტორს, მწერალს, ვინც ხელშესახებდა განგვაცდევინებს XX საუკუნის 20-იან წლებს, ერთ-ერთ საბედისწერო ჟამს საქართველოს ისტორიაში, მტანჯველი კითხვებითა და აპოკალიფსური ხილვებით აღბეჭდილს.

დემნა შენგელაიას რჩეული თხზულებანი კვლავაც მონანილე იქნება ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების, ამისათვის კი აუცილებელია ამ სახელის შესაფერისი დაფასება და პოპულარიზაცია.

დაე 10 ივლისი იყოს ერთ-ერთი რგოლი ამ გზაზე, რომელიც გულისხმობს არა მარტოდენ ერთი მწერლის, არამედ ეპოქის ამ-

რეკლავი შემოქმედების ხელახალ დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიდუბის პანთეონში აღესრულა პანაშვიდი.

სახლის ფასადზე, მწერალი 1935-80 წლებში რომ ცხოვრობდა, გამოეკრა მემორიალური დაფა.

კინოს სახლში უჩვენეს მხატვრული ფილმი „განძი“, რომელიც რეზო ჩხეიძემ გადაიღო დემნა შენგელაიას სცენარის მიხედვით.

საერთოდაც ამ დღის სულისჩამდგმელი რეზო ჩხეიძე გახლდათ, სახელოვანი რეჟისორი, ვისთვისაც — მას შემდეგ, რაც მამა, მწერალი დია ჩიანელი, დაუპატიმრეს და დაუხვრიტეს — დემნა შენგელაია აღმოჩნდა გამზრდიელიც და დიდ შემოქმედებით გზაზე დამყენებელიც.